

სხანი უმკმდეი

თებერვალი 2011 №68
ფასი 5 ლარი

ისტორიები

**მანა
მიქაშაშვიძე**

ნინო ლომაძე

ქაკლინ კენელი-ონასისი
დავ სტამბოლი

რუსუდან ბოსირიძე
ნათია ბულიაშვილი

საესტროები

ოჯანნი რობორტ არჩევანი

დოკუმენტური პროზა

სინგაპური

შოთა ბაბარინი

მექსიკა

გიორგი ბვასარია

ფერილანი სექსუა

იდა ქრადოქი

დავით ჩიხლაძე

ლიტერატურა

დათო ქარდავა

ჯანილზ ვერვი

დავით გაბუნია

ნუზარ ზაზანაშვილი

ISSN 1512-2220



9 771512 222006

FM
სენტი
98.0





რადიო

თელავი, ყვარალი, ლაგოდეხი	FM 105.5
გორი, ქარალი, საშური	FM 103.0
ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედია	FM 104.5
ურაკი, ქობულეთი, ბათუმი	FM 101.0
ფოთი, სენაკი, ზუგდიდი	FM 101.9



გარეკანზე: მაია მიქაშვილი
ფოტო: სებასტიან კანო



სხანი შოქოლადი

N68, თიბერძალი 2011

- 6 რედაქტორის წერილი
- 8 ჩვენი ავტორები
- მიმოხილვები** 10 თბილისის თოვლი ცარიელი არ არის *დავით ჩიხლაძე*
- 12 ჩანაწერები ამომავალი მზის ქვეყნიდან *დავით ჩიხლაძე*
- 14 „ვიკილიქსის“ დროის თეატრი *დავით ბუხრიკიძე*
- კომენტარები** 20 შიშისმომგვრელი მეთოდები და უნიათო პროტესტი *ნინო ბექაშვილი*
- 24 რა საჭიროა გზა, თუ იგი პოლიციამდე არ მიგვიყვანს?! *დავით ბუხრიკიძე*
- წერილი** 26 იქ, სადაც სიკვდილს დასცინიან *გიორგი გვაზარია*
- ისტორიები** 30 მაია მიქაშვილი
სულ სხვა კოშკი და ისევ ის თეატრი *დავით ბუხრიკიძე*
- 42 *ჟაკლინ კენედი-ონასისი*
ჯეკი ო. – ქალი, რომელიც მუშაობდა
დავ სტამბუზი
ინგლისურიდან თარგმნა ქეთი ქანთარია.
- 48 *რუსუდან გოცირიძე*
ეპისკოპოსი, ექსპერტი გენდერის საკითხებში
ნათია გულიაშვილი
- ინტერვიუ** 36 ინტერვიუ მაქქოი თაინერთან და გარი ბარცთან
კახა თოლორდავა
- სპეცპროექტი** 54 ოჯახი როგორც არჩევანი *რატი ამალლობელი*
- დოკუმენტური პროზა** 68 Mail from Singapore Inc.
შოთა გაგარინი
- წერილები სექსზე** 72 ქალი რომლის ქმარიც ანგელოზი იყო
დავით ჩიხლაძე
- ესეი** 78 Love me tender. აბელარი და ელოიზა
თამუნა ნადარეიშვილი
- 82 ისევ ჩანაწერები, ამჯერად თბილისური
ლანა ლოლობერიძე

R.O.C.S.



ბონიხი ჯიჩის პასატი სიამოვნების მოყვანითათვის



R.O.C.S.-ის კბილის პასატი „ყავა და თამბაქო“ სპეციალურად შემუშავებულია ყავის, ჩაის, ნითელი ღვინისა და თამბაქოს მოყვარულთათვის. შეინარჩუნეთ მომხიბვლელი ღიმილი და ჯანსაღი სუნთქვა.



www.gpc.ge



www.reda.ge

0-007

საინფორმაციო სამსახური

მთავარი რედაქტორები:
 ნინო ლომაძე, რატი ამბლობელი
არტ-რედაქტორი:
 გიორგი ნადირაძე
რედაქტორ-სტილისტი:
 პაატა შამუგია
კორექტორი: თამარ ღონლაძე
ნომერზე მუშაობდნენ:
 დავით ბუხრიკიძე, გიორგი გვახარია,
 ლევან ბერძენიშვილი, დიანა ანფიმიადი,
 მიშა მდინარაძე, შოთა გაგარინი, კახა
 თოლორდავა, ქეთი ქანთარია, ნათია
 გულიაშვილი, თეო ხატიაშვილი, გიორგი
 მაისურაძე, ლანა ლოლობერიძე, დავით
 ჩიხლაძე, შოთა გაგარინი, თამუნა
 ნადარეიშვილი, ნინო ლომაძე
ფოტო:
 მარიკა ქოჩიაშვილი, ლევან ხერხეულიძე,
 სებასტიან კანო
ილუსტრაცია:
 მაია სუმბაძე
დიზაინი:
 თორნიკე ლორთქიფანიძე
მენეჯერი:
 რუსუდან ფურცელაძე
საზოგადოებასთან ურთიერთობა:
 ლელა შუბითიძე
კლიენტთა მომსახურების მენეჯერი:
 ნათია რუსაძე
სარეკლამო გაყიდვები:
 თინა ოსეფაშვილი
დისტრიბუცია:
 ზვიად შენგელია
გამომცემელი:
 შორენა შავერდაშვილი

გამომცემლობა:
 შპს „ემ ფაბლიშინგი“, თბილისი 0105,
 ფალიაშვილის ქ. 108, ტელ.: 912326
 ელ-ფოსტა: mpublishing@caucasus.net
სხვა გამომცემები:
*ლიბერალი, ბიზნეს-ადამიანები,
 მეთოდები, სტრატეგიები, დიალოგი.*
სტამბა:
 „ფავორიტი“, თბილისი, ჩუბინაშვილის ქ.
 50, ტელ.: 951952

ჟურნალი გამოდის 2004 წლის 25 დეკემბრიდან
 © "M Publishing" საავტორო უფლებები
 დაცულია. ჟურნალში გამოქვეყნებული
 მასალების ნაწილობრივი ან მთლიანი
 გამოყენება გამომცემლობის ნებართვის გარეშე
 აკრძალულია.

**სხანი
 შოკოლადი**



ძველი საერთო საცხოვრებელიდან აღელვებული საუბარი ისმის. არ ჩანს რა ხდება. შესასვლელთან, კიბეზე ორი პატარა ბიჭი ზის. ერთ-ერთს მუჭში კენჭები უჭირავს და იქვე ტყლაპოში ყრის. ვიცანი, ჩემ შვილთან ერთად სტადიონზე მინახავს. „აბა, ვისხდეთ და ველოდოთ როდის გაგვყრიან აქედან?“ – ისმის უკვე ყვირილი ზემოდან.

– ბებიამეძმა თქვა იმ ფიფისავით დავინვა თავსო... ამბობს ერთი.
 – როგორ დაინვა, ვინ მისცემს მაგას „ბენზინს“? არა, არ გაგვყრიან... ჩვენ ძველები ვართ. ისინი ახლები იყვნენ.

იმ დილას, შვიდ საათზე საბაჟო დეპარტამენტის შენობას კორდონები იცავდნენ, სატივრო მანქანებში კი დევნილების ნივთებს ალაგებდნენ, ზოგ მათგანსაც იქვე, საბარგულში სვამდნენ და ახალი საცხოვრებლისკენ მიჰყავდათ. კადრებში თითქოს ახალი არაფერი ჩანდა – შეშინებული, უკმაყოფილო, გაბრაზებული, მოჩხუბარი უფროსები და დაბნეული ბავშვები – დევნილები.

„მახსოვს, კი ვბრაზობდით, მაგრამ ხმამალა არ გაგვიპროტესტებია ის, რომ 1992-1993 წლებში ზვიადისტებს მიტინგებზე ხვრეტდნენ, – ამბობს ნინო ბექიშვილი (გვ. 20). დასავლეთ საქართველოდან ზვიადის ბანდები თბილისისკენ მოდიოდნენ, აფხაზეთში ომი იყო და გვეგონა, რომ ჩვენს ხელისუფლებას სხვა გზა არ ჰქონდა. გავიდა რამდენიმე წელი და რევოლუციით გაბრუნებულები „რუსთავი 2“-ზე პირდაპირ ეთერში რომ ვუყურებდით ტელედაპატიმრებების სასტიკ სცენებს, ვფიქრობდით, რომ ხელისუფლებას ისევ არ ჰქონდა სხვა გზა. გვიან გამოვფხიზლდით, სადღაც, 2006 წელს. ვეცადეთ, მაგრამ ჩემი ფიქრით, ალტერნატივაც არ გვქონდა და ვერაფერი შევცვალეთ.“

სალამოს საერთო საცხოვრებელთან აღარ გამივლია. არ ვიცი ისევ მიდის მარჩიელობა „ძველი“ და „ახალი“ დევნილების თემაზე თუ არა. ვიცი ის, რომ კორდონებსა და სატივრო მანქანებს „კომპაქტურად დასახლებულ“ პუნქტებშიც სხვებიც ელოდებიან.

ნინო ლომაძე
 მოგვწერეთ, editor@shokoladi.ge



SINCE 1884

SARAJISHVILI

სარაჯიშვილი

ჟურნალი „ცხელი შოკოლადი“ გინვავით

შეხვედრა გიორგი გვახარიასთან

სტუმრები მხატვარი, ხელოვნებათმცოდნე ილიკო ზაუტაშვილი, პოეტი დავით ჩიხლაძე

გურამ ნიბახაშვილის ფოტოჩვენება

ქართული ავანგარდი, დემოკრატიის პირველი სიგნალი 80-იანი წლებიდან

მარჯანიშვილის თეატრის სხვენი 7 თებერვალი, 18:30 საათი



ბომბი გვახარია

სუთიდან ერთი

ირაკლიმ, ჩემმა უმცროსმა ძმამ, რომელიც თითქმის ოცი წელია ცხოვრობს მექსიკაში, მთხოვა, აქ გატარებულ დღეებზე როცა დანერ, გეხვეწები, ძალიან ნუ გაგვაკრიტიკებო... იცის ჩემი ხასიათი – ყველას ასე მაცნობს – „კრიტიკოსი“ და სიცილ-სიცილით უმატებს, ადამიანი, რომელსაც არაფერი მოსწონს და ყველაფერს აკრიტიკებსო.

„მოდი შევთანხმდეთ 5 რამეს რომ დანერ, აქედან მხოლოდ ერთი იყოს ცუდი!“ – შემომთავაზა „კომპრომისი“. დავთანხმდი და ჩამოვწერე კიდევ რალაცები ჩემთვის – „4 კარგი“ და „ერთი ცუდი“.

მაგრამ წერის დროს მივხვდი, რომ კარგი ძალიან ბევრია და რომ ჟურნალისთვის მომზადებული სტატია ვერ დაიტევს ამ ყველაფერს. მექსიკაში გატარებული სამი კვირა სულ ვწერდი და ვწერდი; მაგრამ ვწერდი არა დღიურებს (ეს ძალიან ბანალური იქნებოდა), არა მოგზაურის შთაბეჭდილებებს („მეგზურს“ ქართველებისთვის, ეგზოტიკური მხარის გასაცნობად), არამედ ცალკეულ დიალოგებს, ყურმოკრულ ფრაზებს, რომელთა აწყობა ძალიან გამიჭირდა. განსაკუთრებით ვერაფერი მოვუხერხე ფინალს...არადა სწორედ ფინალი გამომდის ხოლმე ყველაზე კარგად. შეიძლება იმიტომ, რომ ორ ოკეანეს შორის მოქცეული მექსიკა თავადაა უსასრულობა. თავადაა მოკლებული ფინალს და ჩაველა ვარგასის სიმღერებს ჰგავს – მოულოდნელად რომ წყდება ხოლმე.

შოთა ბაბარინი



ამ ნომრისთვის უჩვეულოდ სიტყვაუხვი გამოვდექი და უზრდელობა იქნება, რომ არ გაგეცნოთ. გამარჯობა. არა, ცოტათი კი უნდა მიცნობდეთ წესით, მაგრამ ასე, პირდაპირ, პირველად მოგმართავთ. რითი დავიწყო?

ბოლო ამბით! ამერიკის ვიზა მომცეს. სანტა ფე არც ინსტიტუტიდან მქონდა მოწვევა. გეგმები დავალაგე, უკვე მესიზმრებოდა როგორ ვქარაოვ კადილაკს, როგორ მივქრევიარ. აქეთ უდაბნო, იქით უდაბნო, შუაში გზა. როგორ ვჭრი სამ შტატს ალბუკერკიდან – სან-ფრანცისკომდე. გზად ბისტროებში ვჩერდები. მოტელებში მძინავს. ლუციუს შეფარდისეულ პატარა სამხრეთულ ქალაქებს ვკვეთ. სან-ფრანცისკოში შევედივარ „სითი ლაითს ბუქსტორში“, ლორენს ფერლინგეტის მიერ გახსნილ წიგნის მაღაზიაში, ბიტნიკების მექაში. პირველად ამ მაღაზიის თაროებზე გამოჩნდა ჯექ კერუაქის „გზაზე“, უილიამ ბეროუზის „შიშველი ლანჩი“, გინზბერგის „ყმული“...

ვიზის ჩარტყმიდან ათ დღეში დამირეკეს, საელჩოში დამიბარეს ჩემი დამშვენებული პასპორტითურთ და მითხრეს, რომ ვიზას მიუქმებდნენ.

ძალიან გავბრაზდი. მერელა დაფიქრდი. ღმერთო, რა დამამცირებელია ვიღაც რომ გაფასებს, ცდილობს კოეფიციენტებად გადათარგმნოს შენი ემოციები, სიყვარული. არალეგალურად მუშაობის ხიბლი ხომ არ გადაწონის ოჯახს? მშენებლობაზე მუშაობას ხომ არ ამჯობინებ წერას? ზედმეტად ბარბაროსული ხომ არ ხარ დასავლური საზოგადოებისთვის? კაიბიჭობა გირჩევნია თუ ტორტი? რა ცუდია, რომ ყველაზე უდარდლების საქმე, მოგზაურობა, ყველაზე არათავისუფალი ადამიანების საქმედ იქცა. რა ცუდია, რომ ბედის საქებრად წასვლა მხოლოდ ზღაპრებშია შესაძლებელი. რა ცუდია, როცა ოცნებას მანძილი კი არა, საბუთი გამოვრებს.



ჯი ჰი სი-ს აფთიაქებში აიხჩია 5 მადიხაბენსი და მიიღე ბახანსიხაბუდი საუხეთასო ფასი

- ✓ **ისარგებლე სამედიცინო შეღავათით** - ყოველთვიურად, კვალიფიციური ექიმის უფასო სამედიცინო კონსულტაცია ექსპრეს კლინიკაში და ექსკლუზიური ფასდაკლება სხვადასხვა სამედიცინო მანიპულაციებსა და ლაბორატორიულ კვლევებზე.
- ✓ **გამოიყენე გარანტია** - თუ აღმოაჩენთ, რომ "ჯი-პი-სი" აფთიაქში შენი კალათის ფარგლებში შერჩეული მედიკამენტის ღირებულება აღემატება სხვა აფთიაქებში არსებულ ფასს, დაგვიკავშირდით ნომერზე 0-007, დააფიქსირეთ ინფორმაცია და ჩვენ ვუზრუნველყოფთ "ჯი-პი-სი" სააფთიაქო ქსელში ფასის შესაბამის კორექციას (5 სამუშაო დღის განმავლობაში).
- ✓ პროგრამაში ჩართვის შემდეგ, თქვენ გეყოლებათ **პირადი სამედიცინო მრჩეველი**, რომელიც:
 - 24 საათის განმავლობაში უპასუხებს თქვენს ნებისმიერ შეკითხვას.
 - დაგიკავშირდებათ თავად მკურნალობის პროცესის მიმდინარეობისა და ეფექტურობის, სასარგებლო რჩევებისა და მოსალოდნელი სიახლეების თაობაზე.
 - დაგიგეგმავთ ურთიერთობას ჩვენი ქსელის კონკრეტულ აფთიაქსა და ექსპრეს კლინიკასთან (აფთიაქში მედიკამენტების მარტივად და დროულად მიღების უზრუნველყოფა წინასწარ შეთანხმებით; ექიმთან ვიზიტის დანიშვნა; მანიპულაციებისა და გამოკვლევების განრიგის განსაზღვრა და ა.შ.).

შენი სააფთიაქო ჯანათა 

თბილისის თოვლი ცარიელი არ არის

დავით ჩიხლაძე

„გალა გალერეაში“ კოტე სულაბერიძის გამოფენა „ცა თბილისის თავზე“ ერთ თვეს მიმდინარეობდა, ამ გამოფენით დაასრულა გალერეამ სეზონი და ამითვე შეეგება ახალ 2011 წელს. თბილისში წელიწადის ეს დრო, მიუხედავად მომატებული საზეიმო განწყობისა, ამდენადვე არამომგებიანია ხოლმე დამთვალიერებლის მოზიდვის მხრივ.

მთავარ დარბაზში გამოფენილი იყო თოთხმეტი ფერწერული ტილო, რომლებიც გამოჭრილი აპლიკაციების კონტურებს მოგაგონებდათ, ხოლო ცისფერისა და თეთრის ინტენსიური და არამოცულობითი პალიტრა კომპიუტერის ეკრანზე დანახულ გამოგონილ რეალობას გვახსენებდა (არ ვიცი, იქნებ „ფეისბუქის“ ინტერფეისის ფერებთან კავშირის გამო). მაგრამ ყველა ეს ნამუშევარი ნამდვილად ფერწერული ტილო იყო, სადაც ავტორი თითქოს ეძებდა მოეძებნა ის ილბლიანი შუალედი, როდესაც უკვე ათასჯერ გამეორებული უბრალო მშვენიერებისა და ამდენადვე უკვე არაფრის მთქმელი კონცეპტუალური თავისუფლების ნამდვილი გადაკვეთა იქნება შესაძლებელი.

კოტე სულაბერიძის სახელი, მართლაც, ყოველთვის ამ ორ მიმართულებასთან იგივედებოდა – დამაჯე-

რებელ, ფიზიკურ ფერწერასთან და იდეურ, ასკეტურ კონცეპტუალიზმთან თანაბრად. ამ გამოფენაზე კი ეს ორი ვექტორი განსაკუთრებით გამოიკვეთა და ერთმანეთთან სრულიად არახელოვნური დაახლოება დაიწყო. გამოფენის დათვალიერება ნამდვილად გაზიარებდათ როგორც მშვენიერებას, ასევე უცნაურ და თბილ სიცარიელესაც, რითაც, გარკვეულწილად შედგებოდა ეს ნახატები.

ცალკე კიდევ ის სიახლე გამოიკვეთა, რომ კოტე სულაბერიძის ნამუშევრებში ტექსტი აღარ ფიგურირებდა, როგორც ეს ხშირად იყო ხოლმე ადრე. ტექსტი ამჯერად გარეთ აღმოჩნდა, სათაურებში – ხვეული კიბე, მუზა, ახალი ესტაკადა, შუქნიშანი, ცათამბჯენი, ზემელი, სატელევიზიო ანძა, ეკლესია, დაშენება, ხედი ჩემი სახლიდან, გამაფრთხილებელი ნიშანი – როგორც საყვარელი ქალაქის მთავარი ლექსიკონი, რომელიც მარტო დასახელებებითაც კი უკვე ნამდვილ პოეზიას ქმნიდა. ამ ერთგვარი cut-up აპლიკაციების მიზაძვის მეთოდში – სადაც თბილისის მაცხოვრებლების-

თვის კარგად ნაცნობი ნაგებობები და ქალაქის მონაკვეთები თითქოს ამოჭრილია სურათებიდან და მათ ადგილზე თეთრი ზედაპირები დარჩენილა, როგორც სარკმელი სიცარიელეში – ხედავ, რომ კოტე სულაბერიძესთან სიცარიელე განსაკუთრებით ლამაზია. მეორე დარბაზში მხატვარმა სპეციალურად საახალწლოდ დამატებითი პატარა ექსპოზიცია წარმოადგინა, ნაძვის ხის სათამაშოების მოძირო ზომის ფერწერული ტილოები ჩამოჰკიდა.

გალერეის ფასადზე ასევე გამოფენილი იყო წლის განმავლობაში აქ განხორციელებული გამოფენების აფიშები, რომლებიც არქიტექტორმა თავო ვალიშვილმა გამოიყენა ფრონტალური ხედის ფართომასშტაბიანი დიზაინისთვის, რომელიც, როგორც გალერეაში მომსვლელებს, ასევე მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე მოძრავი ტრანსპორტის მგზავრებსაც, „გალა გალერეის“ მხატვრების საახალწლო კოლექტიური მისალოცი ბარათივით ეგებებოდა.

კოტე სულაბერიძის
გამოფენა:
„ცა თბილისის
თავზე“

★★★★★
THE
RESTAURANT

მისამართი: ხეივანის ხიზი 6
ტელ.: 43 89 50 / 43 89 51



ჩვენს რესტორანს "ოვანი" გთავაზობთ:

- მაღალი დონის მომსახურებას და უმძიმეს გახუმრობას
- გემრიელ კერძებს, ღვინოს და ღვინოს ფართო არჩევანს

ჩვენს რესტორანს "ოვანი" იდეალური ადგილია
თქვენთვის და თქვენი სტუმრებისათვის

მიმოხილვა

ჩანაწერები ამოავალი მზის ქვეყნიდან

დავით ჩინლაძე

პოეტი და ჟურნალისტი პაატა ნაცვლიშვილი დიდი ხანია ცნობილია საკუთარი სამოგზაურო პუბლიცისტიკით, მისი რეპორტაჟები მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან ყოველთვის საინტერესო საკითხავი იყო. იაპონელი პოეტების მსგავსად, ის ბევრს მოგზაურობდა და პოეტური ექსპერიმენტებიც ყოველთვის ბავშვებით უხაროდა და აინტერესებდა. ამჯერად კი ჩვენს წინაშე მისი იაპონური მოგზაურობის შთაბეჭდილებათა წიგნია, „ნამდვილი ქალაქის წერო“. დიახ, ადრე იაპონელი პოეტებიც, როგორც ნესი, მცირეფორმატიან ლექსებს, ჰაიკუს წერდნენ, მაგრამ ბევრს მოგზაურობდნენ და გზაზე მუდმივად დღიურის ტიპის პროზაულ ჩანაწერებსაც აკეთებდნენ, რაც ცალკე ჟანრად ჩამოყალიბდა და ჰაიბუნი ეწოდებოდა. სწორედ ამ ჩვენთვის ახალ, კლასიკურ იაპონურ ტრადიციას უკვე პირდაპირი მნიშვნელობით ამკვიდრებს პაატა ნაცვლიშვილი და ფოტოების თანხლებით გვიყვება იაპონიაზე.

მეტიც, პაატა ნაცვლიშვილის ახალ წიგნს ცალკე ფოტოგამოფენაც ახლდა, რომელიც „თიბისი“ ბანკის გალერეაში გაიხსნა დეკემბერში, რაც, ალბათ, ისევ იმას შეგვახსენებს, რომ პოეზიასთან ყველაზე ახლოს მართლაც ფოტოგრაფიაა, ისიც ხომ სწორედ წამის განუმეორებლობას მის-



ფოტომასალა
პაატა ნაცვლიშვილის
წიგნიდან



დეც ყოველთვის. მთელი ეს წიგნი კარგადაა შეკრული ჰაიკუს, ფოტოებისა და ჟურნალისტური ნარკვევების მონაცვლეობით, საიდანაც არა მხოლოდ ამომავალი მზის ქვეყნის შესახებ ვიგებთ, არამედ ავტორის ამ ქვეყანასთან დაკავშირებულ ბევრ პირად საინტერესო გამოცდილებასაც შევიტყობთ. საქართველოში იაპონური კულტურის გამოცდილებაც ჟურნალისტის არქივში გამორჩეული ყურადღებით და მომხიბლავად დალაგებულია.

ნაიკითხო პაატა ნაცვლიშვილის წიგნი „ნამდვილი ქალაქის წერო“, ნიშნავს, თავად იმოგზაურო იაპონიაში და ყველა კუთხიდან თვალნათლივ დაინახო ის — ძენის ბაღებიდან დაწყებული კომონოთი და იმპერატორებით დამთავრებული — აქ იაპონიის ძველი და ახალი ცხოვრება გადაიშლება თქვენს თვალწინ. წიგნში საინტერესო დამატებაა მოგზაურობიდან შემორჩენილი ეფემერაც — ტრანსპორტისა თუ მუზეუმის ბილეთები, კონვერტები, გზამკვლევები, სავიზიტო ბარათები, ის რასაც ჩვენ ყველანი განსაკუთრებული სიყვარულით

ვუფრთხილდებით ხოლმე მოგზაურობიდან დაბრუნებისას, როგორც მყიფე, მაგრამ ერთადერთ ხელშეახებ კავშირს სასიამოვნო წარსულის სსოვნასთან. ავტორის ერთი ვიზუალური ლექსი კი ნამდვილად იაპონური სისადავისა და სტანდარტის მქონე აღმოჩენაა, ის წრიულად იკითხება და მოკლე ვერსიით ასე იქნება — TOKYOTO, რაც ძველი და ახალი იაპონიის დედაქალაქებს, ტოკიოსა და კიოტოს აერთიანებს, როგორც წარსულისა და მომავლის უწყვეტ კავშირს, რისი ჩვენებაც პაატა ნაცვლიშვილმა შესანიშნავად მოახერხა.







მოგზაურობის ორგანიზატორი იყო იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტრო და იაპონიის საელჩო საქართველოში.





Հիომայտյան ՅՐՈՒՄՈՒՄ, (ԿՐՈՋՈՒՆԻ ՏԳԵՑ ՅՐՈՒՄՈՒՄ), ԵՒՆՅԱՆՈՒԹԻ

ԵՒՆԻՍԵՒՆԸ ՄՈՒԾՆԱԴԻՈՒԹՅԱՆ ՏԱՅԻՆՆԵՐՈՒԹՅՈՒՆ

-  ԵՒՆԻՍԵՒՆԸ ՄՈՒԾՆԱԴԻՈՒԹՅԱՆ ՏԱՅԻՆՆԵՐՈՒԹՅՈՒՆ
-  ՏՅՈՒՄԵՒԻՆՏԱՅԻՆ ԵՒ ՄԱԿԱԿԵԾԻՆ ՆԻՇՆԵՐ
-  ՏԱԿԵՄԵՍՈ ՏԱՏԵՄԻՈՒԹՅՈՒՆ
-  ՆԵՐՅՈՒՆԵՐԱԿԻ ԵՒՆԵՒԻՆԵՐ
-  ԿԻՆՏԵՄԵՐԻ ԵՒ ԶՅՄՈՒԹՈՒՆԻ ԵՒՆԻՆԵՐ
-  ԵՒՆԻՆԵՐԻ ԿԵՏՈՒՆԵՐ ԵՒ ԿԱԶԻՆԵՐ



ՄՈՒՆԿՅԵՒ ԻՄԱՆԿԵՐԻ ՄՈՒԾՆԱԴԻՈՒԹՅՈՒՆ
ԵՒ ԳԱԿԱԿԵՒ ԵՒՆԻՆԵՐ ԶԱՆԵՆԿԻՆԻ ՆԵՐ,
14 ԵՒՆԵՒԻՆԵՐ, ՅԻՆԻՆԵՐ!



245 ԵՒՆԵՐ

ԵՒՆԻՆԵՐԵՐԻ ՄՈՒՆԵՐ: ՏԱՏԵՄԻՈ ՏԱԿԵՄԻՈ 4 ՆԵՐ, ՅԱՅԻՆԵՐ ՄՈՒՆԵՐԵՐ ԵՒ ԵՒՆԵՐԵՐ



„ათასი წლის შვილები ანუ აპოკალიფსისი“



წერილი ფესტივალთან მომზადდა თბილისის ბოეთის ინსტიტუტის მხარდაჭერით



„ვიკილიქსის“ დროის თეატრი

სოციალურად და პოლიტიკურად მღელვარე სხეულების ისტორიები ბერლინის ფესტივალზე „შპილსაიგვეროკა“

ავტორი: დავით ბუხრიკიძე

თეატრში ესთეტიკური გლობალიზმი-სა და საკრედიტო „ანგარიშსწორების“ დრო დადგა. თანამედროვე ვიზუალური ხელოვნებისა თუ თეატრის ადებტები სულ უფრო ემსგავსებიან კორპორატიულ წვეულებებზე მიბატიყებულ საგანგებო სტუმრებს, ხელოვნებაში გარკვეულ პოლიტიკოსებს, ლირიკულ თუ ირონიულ ბანკირებს (უკვე ასეთებიც არსებობენ), ახალი ტექნოლოგიებით მოჯადოებულ სანიმუშო პუბლიკას... თუმცა თანამედროვე ქორეოგრაფებს ეს არ ეხებათ. ისინი ჯერ კიდევ მოურჯულელებელ ხელოვანთა „ჯიშს“ განეკუთვნებიან. რალაცნაირად, ჩუმად, თავისთვისაც და ხელოვნებისთვისაც ერთნაირად იტანჯებიან და თითქმის არასოდეს მოსწონთ, რასაც აკეთებენ.

ყოველ შემთხვევაში, გარეგნულად ასე ჩანდა ბერლინის ცნობილ ფესტივალზე „შპილსაიგვეროკა“, რომლის მთავარი დევიზი – „სხეული და თანამედროვეობა“, ყოვლისშემძლე ჯულიან ასანჟმა და „ვიკილიქსმა“ გვარიანად აურ-დაურია. სწორედ ფესტივალის დროს გაჩნდა მედიაში „ვიკილიქსის“ მასალები და ამან პუბლიკაზეც

დიდი გავლენა მოახდინა. არც გამიკვირდება, ხვალ-ზეგ თავად ასაწი გახდეს ქორეოგრაფთა შთაგონების წყარო, ან მის შესახებ ლარი ფლინტივით ფილმებიც გადაიღონ.

ბერლინის „ფესტივალჰაუზის“ სცენაზე ცნობილ ქორეოგრაფთა ინტერნაციონალური რაზმი ერთმანეთის მიყოლებით წარმოადგენდა თანამედროვეობის პრეტენზიით მონოდებულ სპექტაკლებს. პირველ რიგში, გამოჩენილი გერმანელი ქორეოგრაფი-ქალბატონი საშა ვალცი უნდა აღვნიშნოთ, რომელსაც ფესტივალის გახსნის პატივი ერგო, ხოლო მისი სპექტაკლი Continu ნამდვილად მოვლენად იქცა. ასევე, საინტერესოა ალბანური წარმოშობის ფრანგი ქორეოგრაფის, ანჟელენ პრელჟოკაჟის „ათასი წლის შემდეგ, ანუ აპოკალიფსისი“, რომელიც მოსკოვის დიდი თეატრისა და პრელჟოკაჟის ფრანგული დასის ერთობლივი პროექტია.

პრესა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა მაროკოელი წარმოშობის ბელგიელი ქორეოგრაფის, სიდი ლარბი შერკაჟის ახალ ოპუსს „ბაბილონი“ (სი-

ტყვები), რომლის პროდიუსერებს ლამის დაბევებული აქვთ თითქმის ყველა ცნობილი თეატრალური ფესტივალი. ნიუ-იორკში მცხოვრები ჩინელი ქორეოგრაფი შენ ვეი იგორ სტრავინსკის მრავალტანჯულ და ქორეოგრაფებისთვის განსაკუთრებულ საყვარელ „კურთხეულ გაზაფხულს“ ასკეტიზმით და განსაკუთრებული გამომსახველობითი ფორმით წარმოდგენდა.

იზაბელ იუპერის დაბრუნება

განსაკუთრებულ მოვლენად იქცა იზაბელ იუპერის გამოჩენა ბლანშ დიუბუას როლში (მოდური პოლონელი რეჟისორის, კმიშტოვ ვარლიკოვსკის სპექტაკლი „ტრამვაი“). საფესტივალო ტოტალურ-ქორეოგრაფიულ ფონზე ტენესი უილიამსის კლასიკური დრამატული ტექსტი ერთდროულად აღსარებასაც ჰგავდა და დაცინვასაც. იუპერის ბრწყინვალე თამაში კი ნამდვილ მსახიობურ ემანაცია: სპექტაკლის ფინალში „ფესტივალჰაუზის“ გადაჭედილი დარბაზი დაახლოებით 20 წუთის განმავლობაში, უკრავდა ტაშს ფრანგ კინოვარსკვლავს, რომელმაც



„კურთხეული ბაჯახული“

ბრწყინვალედ ითამაშა ქრესტომათიული მის დიუბუას როლი. იზაბელ იუპერი თეატრალურ ამპლუაში უკვე მეორედ სტუმრობდა ბერლინს, რომელსაც კარგად ახსოვს 2007 წელს სახელოვანი რობერ ვილსონის მიერ დადგმული „კვარტეტი“ (ჰაინერ მიულერის პიესა), სადაც მადამ იუპერი ცბიერ, ჭკვიან და სექსუალური კომპლექსებით შეპყრობილ მარკიზა დე მერტის თამაშობდა. და აი, კიდევ ერთი შესანიშნავი თეატრალური როლი, რომელიც ამტკიცებს, რომ იუპერი ნამდვილად დიდი მსახიობია.

„ტრამვაი“ ინტერნაციონალური პროექტია, რომელიც 2010 წლის გაზაფხულზე პარიზში, ცნობილ თეატრ „ოდეონში“ განხორციელდა. თეატრს უკვე რამდენიმე წელია „საერთო ევროპული თეატრის“ სტატუსი აქვს და განებივრებულია ცნობილი თანამედროვე რეჟისორების სპექტაკლებით. ახალი თაობის პოლონელი რეჟისორი კშიშტოფ ვარლიკოვსკი 80-იან წლებში სწორედ პარიზში, პიტერ ბრუკთან გადიოდა სტაჟირებას. მისი რეჟისორული წარმატებანი, ძირითადად, კლასიკური პიესების ხაზგასმულად მოხულიგნო დადგმებსა და ავანგარდული ტექსტების შეძლებისდაგვარ „მოთვინიერებას“ უკავშირდება.

ტენესი უილიამსის ცნობილი პიესა სცენაზე განლაგებული მოძრავი ვიდეოკამერებით, შუშის გიგანტური აბაზანით და კრისტიან დიორის ხარისხიანი კაბებით გამახსოვრდებათ (სხვათა შორის, პროგრამაში ეს საგანგებოდაა მითითებული!).

თუმცა ეს მხოლოდ მაცდური სარეკლამო-ვიზუალური შთაბეჭდილებაა, რომელსაც აქარწყლებს (ან იქნებ ამდიდრებს) თამაში რეჟისორული ინტერპრეტაცია და ფრანგულენოვანი კანადელი დრამატურგის, ვაშდი მოავადის ტექსტიც. ეს უკანასკნელი ფსიქოლოგიურად დემორალიზებულ ბლანშის ბიოგრაფიას ერთგვარად ავსებს მარგარიტა გოტიეს, სალომესა და იოკასტეს ტექსტებითაც. ეს, ცოტა არ იყოს, ხელოვნურია, მაგრამ ძალიან საინტერესო.

პატარა, გამხდარ და კაფანდარა იზაბელ იუპერს არაფერი აქვს საერთო ელია კაზანის ცნობილ ფილმში, ვიციენ ლის მიერ განხორციელებულ საბედისწერო და დრამატულ ბლანშთან. იუპერის თამაში განსაცვიფრებელი დამაჯერებლობით, ცოცხალი იუმორით, ბავშვური ჭირვეულობითა და ცინიზმამდე მისული უშუალოებით გამოირჩევა. სწორედ ეს თავისუფლება განასხვავებს ბლანშს დანარჩენი პერსონაჟებისგან: ფიზიკურად უხეში და ემიგრანტის კომპლექსებით „დახუნძლული“ სტენლი კოვალსკისგან (ანჯეი ჩირა); ქმრისადმი მაზოხისტური ერთგულებით გამორჩეული სტელასგან (ფლორანს ტომასინი); მხოლოდ ფიზიკური ვნებებითა და ლუდის სმით დაკავებული მიჩისგან (იან კოლეტი)....

ბლანშის გზა არსაით მიდის და ეს მან ყველაზე კარგად იცის. ახალი ორლეანის სულისშემხუთველი ატმოსფეროსა და მინიმალური ჯაზის ნაცვლად რეჟისორი თითქოს „მინის სამხეცეში“ გვამყოფებს და სცენის მთელ სიგრძეზე, გიგანტურ



„ბაბილონი“



აბაზანას და ტუალეტს მთავარ, დამცინავ მეტაფორად აქცევს. და სწორედ აქ, ამ გამჭვირვალე „სამხეცეში“ ხდება ძალადობის აქტივ. ტუალეტის ქაღალდებით „შეკოჭილ“ ბლანშს აქედან წაიყვანენ საგიჟეთში, თუმცა ამას უკვე მხოლოდ მაშინ იუპერის საყვარელი, უტყვი და უგრძნობი კამერა აღბეჭდავს!

პინა ბაუშის აჩრდილი და საშა ვალსის „კოლექტიური სხეული“

„ლეგენდარული პინა ბაუშის შემდეგ ყველაფერი სადღაც გაქრა, ახალი სახელები კი მისმა აჩრდილმა გადაფარა.“ – წერდა „ფრანკფურტერ ალგემაინეს“ მიმომხილველი. მისი სიკვდილის შემდეგ დაცარიელებული ტახტის „კანონიერ მემკვიდრედ“ სწორედ საშა ვალსს მიიჩნევენ, რომლის სპექტაკლი **Continu** გვაბრუნებს ექსპრესიონისტული ცეკვის ტრადიციებთან, კერძოდ, ბაუშის ადრეულ ოპუსებთან. კონცეფტუალურად ის განსაკუთრებით ახლოა 70-იან წლებში დადგმულ ბაუშის „კურთხეულ გაზაფხულთან“, რომლის სკულპტურული გამომსახველობა, ჯგუფური პორტრეტები, მოძრაობის ელემენტები და დრამატული რიტმი უდავოდ შთააგონებდა საშა ვალსს ახალი იდეებს. კრიტიკოსები უფრო შორსაც მიდიან და მარი ვიგმანს, 30-იანი წლების ექსპრესიონისტული ცეკვის ტრადიციას და ლეგენდარულ მართა გრეჰემსაც კი იხსენებენ. თუმცა, ეს გადაჭარბებულად გვეჩვენება.

Continu შესანიშნავად „ნაკეთი“ და თი-

თქმის გრანდიოზული სანახაობაა, რომელშიც ოცდაოთხი მოცეკვავე ცდილობს, მივიწყებული ქორეოდრამის ჟანრი გაასხენოს მაყურებელს. სპექტაკლში არის ანტრაქტივ, რაც თანამედროვე ცეკვის თეატრში იშვიათობაა. ქორეოგრაფიულ მონახაზსა და კომპოზიციაშიც იკითხება საშა ვალსის მთავარი ამოცანა – ადამიანის სხეულს რაღაც კოლექტიურად მღელვარე „ფილტვები“ და სულიერება ჩაუდგას. სწორედ ამით გაძლიერებული თუ გახალისებული ადამიანები ჯგუფებად გროვებიან და ერთმანეთს აწყდებიან, ეჯახებიან, უპირისპირდებიან. დაახლოებით ისე, როგორც მართა გრეჰემის კლასიკურ ნაწარმოებებში...

კარგად ნაწრთობი სხეულებისგან შედგენილი ჯგუფი, ანუ „კოლექტიური სხეული“, დროდადრო, წონასწორობას კარგავს. მერე გამოფხიზლდება, სიჩქარეს და ენერჯის იკრებს და განდგომილ თუ „კოლექტივს“ მოწყვეტილ სხეულს ქარიშხალივით ატყდება თავს. ცხადია, რომ არა მოცეკვავეთა შესანიშნავი ტექნიკა, ან საშა ვალსის ირონია მასისა და ინდივიდის ყბადაღებული, რევოლუციური დაპირისპირების მიმართ, ეს პათეტიკური და ოდნავ ძველმოდურიც იქნებოდა. ცეკვის ისტორიასთან ამგვარი დიალოგითა თუ დისტანციით ქორეოგრაფი ახერხებს დრამატული სიმძიმის შენარჩუნებას (რაც, გარკვეულწილად, იანის ქსენაკისის და ედგარ ვარეზეს მუსიკის დამსახურებაა), ხოლო გარკვეული ირონიული დამოკიდებულებით სხეულების მოცეკვავეების

მიმართ, ინარჩუნებს სიმსუბუქესაც. და ეს კონტრასტი საოცრად ზუსტი და გამოზომილია.

რასაკვირველია, ციტატები პინა ბაუშიდან, ან მართა გრეჰემის რიტუალურ ნარმოდგენებიდან არც უბრალო კოპირებაა და არც აშკარა ირონია ნარსულისადმი. ეს ტიპური პოსტმოდერნული მიდგომაა, როცა ისტორიული ნარმოდგენები, ხატები ან პოზები უნდა დაშალო და დაანაწევრო, რათა მერე ახალი ააწყო. საშა ვალსი ამის გაკეთებას სხვადასხვა დროს განსხვავებული გზებით ცდილობდა. მაგალითად, ოდნავ მკაცრი ესთეტიკით დადგმულ „ცვაილანდში“, ან ბრუტალურ-ეროტიკულ სპექტაკლში „სხეული“. მაგრამ ყოველთვის იყო რაღაც, რაც გაგრძელების შანსს, ანუ დაუსრულებლობას გულისხმობდა. ამჯერად ამ წესს იცავს სპექტაკლში **Continu**, რომელიც საშა ვალსმა მკაცრი და რიტუალური „მედეასა“ და ოდნავ სასტიკი „ცვაილანდის“ შემდეგ დადგა. ამჯერად ის მღელვარე, პათეტიკური სხეულების ამბოხს და კონფლიქტს იკვლევს. ეს ბევრად უფრო საინტერესოა, ვიდრე სხეულთა ურთულესი სავარჯიშოები ან თავბრუდამხვევი მალაყები. როგორც ერთი კრიტიკოსი წერს, „საშა ვალსი, ყოველთვის უფრო მეტია, ვიდრე უბრალოდ ვალსი“.

და მაინც, „ვიკილიქსის დროის“, ანუ ბერლინის ფესტივალ „შპილცაიტვეროპას“ უმთავრესი „კულტურული კოზირი“ ახალგაზრდა ბელგიელი ქორეოგრაფი, სიდი ლარბი შერკაუი გახდა. მისი სპე-



„ათასი წლის შიმდვა, ანუ აპოკალიფსისი“

ქტაკლი „ბაბილონი“ ფესტივალისა და იქნებ, წლის მთავარი მოვლენაც გახდა. ტელეკამერები მას ფეხდაფეხ დასდევდნენ, ხოლო კრიტიკამ მისი ოპუსი „ქორეოგრაფიულ ვიკილიქსად“ მონათლა.

ანტვიკაენიდან ბაბილონამდე... ფეხშიშვალა

მაინც ვინ არის 34 წლის ქორეოგრაფი, მოცეკვავე, მუსიკოსი, მხატვარი უცნაური გვარ-სახელით, რომელმაც ბოლო დროს ევროპული ფესტივალების და მედიის დიდი ყურადღება მიიპყრო? რატომ იქცა მისი ბოლოდროინდელი სპექტაკლები „მითი“, „სუტრა“ ან „ბაბილონი“ მნიშვნელოვან თეატრალურ თუ ქორეოგრაფიულ მოვლენად? ინგლისელი რეჟისორის, დონ კენტის ერთსაათიან დოკუმენტურ ფილმში „ოცნება ბაბილონზე“, სიდი ლარბი ამბობს, რომ თავად არ იცის, რა უფრო მნიშვნელოვანია მის წარმოდგენებში, სიტყვა, მოძრაობა, ვნება თუ სიმღერა. „ჩემი პასუხი შესაძლოა ბანალურია: ყველაფერი ერთად!“

მამით მაროკოელი და დედით ბელგიელი სიდი ლარბი შერკაუი 1976 წელს, ანტვერპენში დაიბადა. ამჟამად ლონდონში ცხოვრობს, თუმცა გამუდმებით „დაეხეტება“ ინდოეთში, ჩინეთში, ისრაელში, მალრიბის ქვეყნებში... თავის წარმოდგენებში ის მოუხმობს წარსულისა და აღმოსავლური კულტურის აჩრდილებს და ამავე დროს, აპელირებს თამედროვე დასავლური კულტურით. ამასთანავე, აღიარებს, რომ ის ამკარა კრიზისშია. შეიძლება ამიტომაც,


გამუდმებით ეძებს ინსპირაციის წყაროს აღმოსავლეთსა და აფრიკაში. მაგალითად, მისი სპექტაკლი „სუტრა“, რომელშიც შაოლინის მონასტრის ახალგაზრდა ბერები მონაწილეობენ, ავინიონის 2008 წლის თეატრალურ ფესტივალზე მთავარ მოვლენად იქცა.

სიდი ლარბის ბიოგრაფია თანამედროვე, სანაქებო ევროპული მულტიკულტურულობისა და ფარული რელიგიური კონფლიქტების ანარეკლია. ამას თან დაერთო ისიც, რომ ის ლიად აცხადებდა თავისი ჰომოსექსუალობის შესახებ, რაც მუსლიმური ტრადიციებით აღზრდილი მამისთვის ლამის შეურაცხყოფას ნიშნავდა... კონფლიქტი გარდუვალი იყო და 20 წლის ასაკში სიდი ლარბი სახლიდან წავიდა.

დანყებითი ქორეოგრაფიული განათლება ის მცირე ნაპერწკალი აღმოჩნდა, რომელიც 90-იანი წლების ბოლოს, ბრიუსელის ცნობილ თანამედროვე ქორეოგრაფიის სასწავლებელში აგიზგიზდა. რამდენიმე კურსი წარმატებით დასძლია, სადაც უკვე მისმა ცეკვის ტექნიკამ და სხეულის ფლობის განსაცვიფრებელმა ნიჭმა თანამედროვე კლასიკოს-ქორეოგრაფების, ანა-ტერეზა დე კერესმაკერისა და ალან პლატელის ყურადღება მიიპყრო. უკვე 2002 წელს, ქორეოგრაფ ვიმ ვანდეკეიბუსის ახალ პროექტში ნათლად წარმოჩნდა მისი, როგორც მოცეკვავის შესაძლებლობები.

2004 წელს მონპელიეს ქორეოგრაფიულ ფესტივალზე მისი ბრწყინვალე დებიუტი კრიტიკოსებს არ გამოჰპარვიათ.





ამას მოჰყვა მონტე-კარლოს ბალეტთან თანამშრომლობა მოცეკვავისა და ქორეოგრაფის რანგში. ასევე, ლიონის საბალეტო დასთან და ჟენევის დიდ თეატრთან ერთად გამოსვლა. პრესამ და კრიტიკამ „განსაკუთრებული, ბრწყინვალე და პოლიტიკური“ უწოდა ცნობილ მოცეკვავესა და ქორეოგრაფთან, აკრამ ხანთან მის ნამუშევარს სახელწოდებით „ნული გრადუსი“, რომელშიც ისრაელ-პალესტინის მოსაზღვრე და დრამატულ სივრცეს იკვლევს. განსაკუთრებული ექსპრესიით გათამაშებულ ისტორიაში გაიგივებულია მანკეებისა და ადამიანების ბედი, რომლებიც ომისა და ძალადობის მსხვერპლი არიან.

დაახლოებით ამ პერიოდიდან იწყება სიდი ლარბი შერკაუის თანამშრომლობა ქორეოგრაფ დამიენ ჟალესთან და მხატვარ-სცენოგრაფთან, ენტონი გობლისთან. სწორედ მათთან ერთად, როგორც რეჟისორი და იდეის ავტორი, ქმნის ტრილოგიას „რწმენა“ (2005), „მითი“ (2007) და „ბაბილონი“ (2010). თუმცა აღიარება მანამდე „აპოკრიფმა“ და უკვე ზემოხსენებულმა „სუტრამ“ მიუტანა. „რწმენაში“ აშკარად იგრძნობა ავტობიოგრაფიული, პოლიტიკური და ჰომოეროტიული მოტივები. სცენოგრაფია მტიკინეულ, გასაგებ და პროვოკაციულ თემას - საზღვრებს ეხება, რომელსაც ემატება ძალადობის თამამი, მაგრამ ქორეოგრაფიულად ბრწყინვალედ გამომსახველი სცენები.

მისი სპექტაკლების ნახვის შემდეგ აშკარაა, რომ რელიგიური მოტივები, აკრძალული ვნებები და აღმოსავლური

ატმოსფერო ინსპირაციის მთავარი წყაროა. თუმცა ბიბლიური თემები და არქაული მუსიკა განუწყვეტლივ გვაბრუნებს მთავარ კითხვასთან, ვინ არის სიდი ლარბი შერკაუი: ხელოვანი რომელიც ცდილობს მუსლიმური ფესვების დათრგუნვით ევროპული კულტურა აღმოსავლეთით გაამდიდროს? ან იქნებ, ევროპაში დაბადებული ხელოვანი, რომელსაც სურს „ბებური კონტინენტის“ გამომრალი, რაციონალური კულტურა აღმოსავლური სულიერებით მორწყას და აღზარდოს?

მის ბოლო ნამუშევარში „ბაბილონი“, ეს მოტივები კიდევ უფრო განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. სიდი ლარბის ფანტაზიით შთაგონებული მოცეკვავეები (პერკუსიონისტებისა და სცენის სიღრმეში მყოფი მოძღვრების დახმარებით) ბაბილონის კოშკს სხვადასხვა ფორმის ალუმინის კუბებისგან ისე „აშენებენ“, რომ არ ზრუნავენ ის როდის დაინგრევა. უფრო ზუსტად, ეს ჰგავს ბავშვურ, მაგრამ ვირტუოზულ თამაშს, ან ოცნებას ბაბილონზე, სადაც რელიგიური, ენობრივი, რასობრივი და ეთნიკური უთანხმოებანი აღარ იარსებებს; სადაც ამერიკელი, იაპონელი, ფრანგი ან პორტუგალიელი ერთმანეთს არ წამოაძახებენ, ვისი ენა უფრო მდიდარია ან ვისი კულტურა უფრო ძველია.

დაახლოებით ორი საათის განმავლობაში, სიდი ლარბი ხან აქრობს და ხან აღვიძებს პოლიტიკური ქაოსისა თუ დამანგრეველი ვნების იმპულსებს. ადამიანთა აგრესია თითქოს სადაც ქრება, მაგრამ საკმარისია უწყინარი რასისტული ფრაზა სპექტაკლში, ან რელიგიური ნაპერწკლის

გალვიება (მაგალითად, მუსლიმურ-ევროპული თემა), რომ ყველაფერი ისევ ქაოსის დაწყების მიზეზი შეიძლება გახდეს.

სიდი ლარბი შერკაუი არ გვიჩვენებს ბრიუსელის ან პარიზის „ტკბილი ცხოვრების“ წვრილმან ან დახვეწილ მომხიბვლელობას. მშვიდი და უდარდელი ცხოვრების მიღმა მიძინებული ბაბილონი თვლემს: დიდი ქალაქების გარეუბნების სისასტიკე და მუსლიმთა თუ ევროპელთა შეუწყნარებლობა, რასობრივი პრობლემები და ძლივს შეკონინებული, სანაქებო მულტიკულტურულობა, რომელიც დიდი ხანია ევროპის თავის ტკივილად იქცა.

„რა მოაქვს ერთად ცხოვრებას, ან როგორ ვაშენებთ მას? ვინ გვრთავს ნებას, რომ სხვის ცხოვრებაში შევიჭრათ? რატომ ვსაუბრობთ უცხო ადამიანთან უფრო ნათელი და გასაგები ენით, ვიდრე ყველაზე ახლობელთან?.. ამ სიტყვებს აშენებული და დანგრეული ბაბილონის კედლებში მოყოლილი და ფინალში ქანცგანწყვეტილი ერთ-ერთი პერსონაჟი ამბობს...

მართალია, ეს შეკითხვები „ვიკილიქსის“ დამფუძნებლის პოლიტიკურ ნიჯურობას (ან შეგნებულ პროვოკაციას) ჰგავს, მაგრამ ჯულიან ასანჯისგან განსხვავებით, სიდი ლარბის „მამხილებელი“ ტომები შემონახული არა აქვს. ის უბრალოდ ცივილიზებული ევროპის გამჭვირვალე, მაგრამ მაინც ყრუ კედლებს ანგრევს... და ეულად, ფეხშიშველა მიაბიჯებს დაიწყებული ანტიევროპიდან ახალი ბაბილონისკენ.



G.U.R.U.
club

G.U.R.U.club. Rustaveli Ave.12, Tbilisi, Georgia
info/tickets/tables : 983803 / 855 506890

შიშის მოგვრელი მეთოდები და უნიტო პროტესტი

2011 წლის იანვრის ქრონიკა

კარგად ვიცნობ, ვერ მოვტყუვდები – საბავშვო მარშია; ისეთი, რომელსაც პატარაობისას ხშირად ვისმენდი. გავდივარ იქ, სადაც ტელევიზორი დგას და ვხედავ იმას, რასაც 2011 წელს ყველა წესისა და კანონის მიხედვით, არაფრით არ უნდა გადავანყდე 21-ე საუკუნის ქართულ ტელევიზორში – სწორედ ისაა, რაც ჩემ საბჭოთა ბავშვობაში უამრავჯერ მომისმენია და მინახავს. ტექნოლოგიაა შეცვლილი. ფორმა და შინაარსი უცვლელია. მამაჩემის ნათქვამიც მახსოვს – ესენი სანამ მარშების ტირაჟირებას არ მოეშვებიან, არაფერი გვეშველებაო.



ავტორი: ნინო ბაკიშვილი
დღეს, 20 იანვარს ისეთი სისასტიკა ვნახე, რომ ვიფიქრე: მართალია, სსრკ თავის საზღვრებში ველარასდროს აღდგება, მაგრამ თუკი ხელისუფლება ასეთ მეთოდებს საკუთარი მოქალაქეების, მოხუცებისა და ბავშვების მიმართ გამოიყენებს, ჩვენ კი ამ ყველაფერს მხოლოდ სუსტ და უნიტო პროტესტს შევაბეგებთ, სწორედ იქ, საბჭოთა კავშირში დავბრუნდებით.

მოეშენენ – შევარდნაძის მმართველობის ათწლიან პერიოდში ხელისუფლებას ამგვარი მარშებით ნამდვილად აღარ შეუუნუხებია. თუმცა მაინც არ იყო საშველი. ახლა – ისევ დაიწყეს. თანაც ეს ერთი კლიპის ერთჯერადი ჩვენება არ გახლავთ, – ნაციონალური არხები პოლიციის საბავშვო მარშს დღეში რამდენჯერმე ატრიალებენ. კლიპის დამკვეთებმა და შემსრულებლებმა, ალბათ, იფიქრეს, რომ ყველაფერი ახალი კარგად დაიწყებულ იქნა და გახსენებია. ჰოდა, გაიხსენეს. საბჭოთა მილიცია მსოფლიოში ყველაზე ჰუმანური მილიცია იყო, დღევანდელ ქართულ პოლიციას ბადალი არ ჰყავს პოსტ-საბჭოთა სივრცეში. ამაზე არც მეტი, არც ნაკლები, რუსული მედიაც კი წერს. ერთი მხრივ, მართლაც ასეა – მოსახლეობისგან არც ქრთამს იღებენ და არც უხეშობენ, მაგრამ ცხადია, ბრძანების კარგი შემსრულებლები არიან – არა აქვს მნიშვნელობა, როგორი იქნება ეს ბრძანება – კანონიერი თუ კანონსაწინააღმდეგო.

პოლიციის მარში ახალი წლის შემდეგ მალევე, ერთ კვირაში გავიდა ეთერში. როგორც აღმოჩნდა, 2011 წლის სამ იანვარს პოლიცია და ვილაც შავქურთუკიანი დაკუნთული მამაკაცები სწორედ უკანონო ბრძანებას დაემორჩილნენ და აღასრულეს, როცა „დიდების მემორიალთან“ მოშიშვლეს ვეტერანები ნამოყარეს და მათი აქცია შეწყვიტეს. შიშობა რომ კანონიერი იყო, ეს აღიარა საქართველოში მოქმედმა ყველა უფლებადამცველმა არასამთავრობო ორგანიზაციამ, სახალხო დამცველმა, ამერიკის ელჩმა. შედეგი: აქციის დამშლელ პოლიციელთა შორის ერთ-ერთი – სავარაუდოდ, ყველაზე ბრიყვი, ის, ვინც აქციის მონაწილე ქალბატონს თავში ხელი ღონივრად წაუშინა,

სამსახურიდან გაათავისუფლეს. ვეტერანებს, რომელთაც მხოლოდ სოციალური მოთხოვნები ჰქონდათ და რომლებიც საშიშობაში სწორედ შიშობილმა გამოიყვანა, წესრიგის დარღვევისთვის 400-ლარიანი ჯარიმა დააკისრეს. პოლიციელებს და შავქურთუკიანებს და, რაც მთავარია, იმათ, ვინც კანონიერი აქციის უკანონოდ დაშლა ბრძანა და აღასრულა, არავინ შეეხებია – დღესაც „ჩვენი“ სიმშვიდის სადარაჯოზე დგანან.

მეორე დღეს, 4 იანვარს, დარბეული ვეტერანების მხარდასაჭერად მცირერიცხოვანი აქცია გაიმართა. აქცია, ძირითადად, ინტერნეტორუმებზე იყო დაგეგმილი და ხალხი ბევრი არ ყოფილა – დაახლოებით 50-იოდე კაცი იდგა. მათ ორი ამდენი პოლიციელი „იცავდა“. აქციაზე მალე პოლიტიკოსებიც გამოჩნდნენ, გასცეს ინტერვიუები და წავიდნენ. ვალი მოიხადეს. უნიტო და სუსტი პროტესტი გამოვიდა. რაც ყველაზე საწყენია – ჯერჯერობით უშედეგოც.

დღეს კი, 20 იანვარს, ინტერნეტში გავრცელებულმა კადრებმა დაახლოებით შემოიქმნა წარმოდგენა იმაზე, თუ როგორი მეთოდებით ასახლებდნენ ბერია და მის ძმები მესხებს, ჩეჩნებს თუ ყირიმელ თათრებს. დევნილებს, რომლებმაც ერთხელ უკვე იგემეს სახლ-კარის დაკარგვის სიმწარე, ხელისუფლებამ ეს ყველაფერი მეორედაც უჩვენა. გახსოვთ, ალბათ, ერთი თვის წინ დევნილმა ქალბატონმა ნანა ფიფიამ პროტესტის ნიშნად თავი დაიწვა. ადვილია იმის თქმა, რომ მას ფსიქიკური პრობლემები ჰქონდა; უფრო ადვილი კი იმის, რომ ხელისუფლებას თავისი სასტიკი მეთოდებით ადამიანები სასონარკვეთილებამდე და თვითმკვლელობამდე მიჰყავს.



წამოვსწავი

ქაჩითი
სწავი წავი
ბავი

სწავი
ჯი. ბი. ს. - გავი!

Panorama Buffet

წავი, სწავი სწავი 7, V სწავი

- სწავი სწავი
- 300-ბი სწავი სწავი სწავი სწავი
- სწავი სწავი
- სწავი სწავი



Panorama

ბაგების სტუდენტებს და ორხევში მცხოვრებ დევნილების დასახლებებს საბარგო მანქანები დილაუთენია, 7 საათზე მიაყენეს და ხალხს აიძულეს, შენობა დაეტოვებინათ. „სატვირთო მანქანებით მიყვავართ, როგორც საქონელი,“ – ამბობს ერთ-ერთი ქალბატონი ინტერნეტში გავრცელებულ ვიდეოში. მერე ისიც აჩვენეს, როგორ ადიან ის და მისი 10–12 წლის გოგონა ავეჯით დატვირთულ საბარგო მანქანაში. ახლა ზამთარია. შევილები იმათაც ჰყავთ, ვინც დევნილების ასე გასახლება უზრუნველყო. იმათი შევილები, ალბათ, საზოგადოებრივი ტრანსპორტითაც არ მგზავრობენ, ნაკურთხი ჯიპებით დაბრძანდებიან. პოლიციელი კი, რომელიც კლიპის მიხედვით, სიკეთისა და ჰუმანურობის

ლი დეკლარაციებით. გამოდის, რომ სახელმწიფო საკუთარ მოქალაქეებს უფლებებს მართო იმიტომ უზღუდავს, რომ დღევანდელი თუ გუშინდელი პოლიტიკოსების უნიათობისა და შეცდომების წყალობით, ისინი საკუთარ ქვეყანაში ერთხელ უკვე იქცნენ დევნილებად. მეთოდები, რომლებითაც ხელისუფლება მათ უსწორდება, სასტიკია და შიშისმომგვრელი.

საზოგადოების სიჩუმე – ორმაგად შიშისმომგვრელია. ჩვენი პროტესტი სუსტია და უნიათო. შეიძლება ინტერნეტის საზღვრებს გაცდეს და ქუჩაშიც გამოვიდეთ, მაგრამ ჩვენს სიტყვას არავინ უსმენს. თითქოს ქუჩაში დგომასაც დაკარგული აქვს აზრი. გამოვიდნენ ვეტერანები, დასხდნენ, იმიშვილეს და რა? არც არაფერი, სა-

მენიარად უნდა დაეშომინებინა ე.წ. კანონიერი ხელისუფლების დამცველები და ქვეყანაში წესრიგი უნდა დამყარებინა.

გავიდა რამდენიმე წელი და რევოლუციით გაბრუებულები, როცა „რუსთავი 2“-ზე პირდაპირ ეთერში ვუყურებდით ტელედაპატიმრებების სასტიკ სცენებს, ვფიქრობდით, რომ ხელისუფლებას ისევ არ ჰქონდა სხვა გზა – ქვეყანაში ყველგან კორუფცია იყო გაბატონებული და მის დასამარცხებლად შეიძლებოდა ასეთი ვანდალური მეთოდების გამოყენება. გვიან გამოვფხიზლდით, სადღაც, 2006 წელს, ვეცადეთ, მაგრამ ჩემი ფიქრით, ალტერნატივაც არ გვქონდა და ვერაფერი შევცვალეთ. რა გამართლება უნდა ჰქონდეს ომის ვეტერანებისა და ისედაც გამწარე-

საზოგადოების სიჩუმე – ორმაგად

შიშისმომგვრელია. ჩვენი პროტესტი სუსტია და უნიათო.

შეიძლება ინტერნეტის საზღვრებს გაცდეს და ქუჩაშიც გამოვიდეთ, მაგრამ ჩვენს სიტყვას არავინ უსმენს. თითქოს ქუჩაში დგომასაც დაკარგული აქვს აზრი.

განსახიერება და რომელიც ბავშვებს აუცილებლად უნდა უყვარდეთ, ამ ყველაფრის შემსრულებელია. წარმოდგენაც კი მიჭირს, როგორ ჩააღწევდნენ ღია საბარგო მანქანებით დევნილი ბავშვები დანიშნულების ადგილებამდე.

ის დევნილები, რომლებმაც პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევა სცადეს, დააპატიმრეს. ორ მათგანს 14-დღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა შეეფარდათ, დანარჩენებს კი – 400–400 ლარის გადახდა.

იურისტი არა ვარ და ზუსტად არ ვიცი, დაარღვია თუ არა სახელმწიფო კანონი (საბოლოოდ ამაზე სასამართლომ უნდა იმსჯელოს, თუმცა სად არის სასამართლო?), მაგრამ საქართველოს კონსტიტუციით ნებისმიერ მოქალაქეს აქვს ქვეყნის შიგნით თავისუფლად გადაადგილების უფლება. ეს უფლება გარანტირებულია ადამიანის უფლებათა საყოველთაო და ევროპუ-

ნაცვლოდ შეურაცხყოფა და 400-ლარიანი ჯარიმა მიიღეს. სიტყვის თავისუფლება მხოლოდ იმას არ ნიშნავს, რომ ამ სიტყვის თქმისთვის ციხეში არ აღმოჩნდები, არამედ იმასაც, რომ ნათქვამ სიტყვას, ბოლოს და ბოლოს, მაინც მოისმენენ და სხვა თუ არაფერი, დაგელაპარაკებიან. დღეს არც ამის იმედი მაქვს. მოუა არჩევნები და რატომღაც მგონია, ხელისუფლება რალაც მანქანებით ისევ მოახერხებს უმრავლესობის მოპოვებას, თანაც ისე, რომ გაყალბება ტოტალური არ იქნება.

მახსოვს, მე და ჩემი მეგობრები კი ვბრაზობდით, მაგრამ ხმამაღლა არ გავვიპროტესტებია ის, რომ 1992–1993 წლებში ზვიადისტებს მიტინგებზე ხვრეტდნენ. დასავლეთ საქართველოდან ზვიადის ბანდები თბილისისკენ მოდიოდნენ, აფხაზეთში ომი იყო და გვეგონა, რომ ჩვენს ხელისუფლებას, უბრალოდ, სხვა გზა არ ჰქონდა – რა-

ბული დევნილების მიმართ ასეთ მოპყრობას, ვერაფრით ვხვდები. ან საზოგადოებამ როგორ და რატომ უნდა გადაყლაპოს ეს ყველაფერი, ან ხელისუფლება რა სარგებელს ნახულობს ამით?

დღეს, 20 იანვარს, ისეთი სისასტიკე ვნახე, რომ ვიფიქრე: მართალია, სსრკ თავის საზღვრებში ვედარასდროს აღდგება, მაგრამ თუკი ხელისუფლება ასეთ მეთოდებს საკუთარი მოქალაქეების, მოხუცებისა და ბავშვების მიმართ გამოიყენებს, მეორე მხრივ კი, ტელევიზორში დაუსრულებლად იტრიალებს პოლიციის საბავშვო მარშები და ჩვენ ამ ყველაფერს მხოლოდ სუსტ და უნიათო პროტესტს შევავებებთ, სწორედ იქ, საბჭოთა კავშირში დავბრუნდებით.

და სულ არა აქვს მნიშვნელობა სად დგას ი.ბ. სტალინის ძეგლი, დაბომბილი გორის მოედანზე თუ იქვე, მუზეუმის ეზოში.



თავის აწინააღმდეგობა შენ
მბოროტად შეგებინებს და გესმის...

სიხარული

...ამიტომ Pampers Premium Care
იწყებს შენს ყაზს.



სხვათა Pampers Premium Care მიეჯობა უფრო მეტად უწყობს DryMax, უწყობს მშრალი და, ამავდროულად, 20%-ით თბილია, ეს სვეტი ყველაზე მშრალი და თბილი სავსეა, ასე რომ ვერასოდეს არ იწყებს წინ მოსიყვანოლო შეგების სრულყოფილი შეგნობებს.



რა საჭიროა გზა, თუ იგი პოლიციამდე არ მიგვიყვანს?!

კობტად ჩაცმული, სანიმუშოდ მონესრიგებული და სატელევიზიოდ კარგად აღზრდილი ქართული პოლიცია მისაბაძი გახდა ყოფილი საბჭოთა ქვეყნებისათვის. ეს არცაა გასაკვირი. გაკრიკებული გარეგნული ეფექტი და მონესრიგებული სისტემა ჯადოსავით მოქმედებს ოდესღაც ერთნაირად უბედურ პოსტსაბჭოელებსა და საერთო წარსულის მქონეთა ფსიქიკაზე. თანაც მეზობლების, აზერბაიჯანის აშკარად კორუმპირებული და სომხეთის ჯერ კიდევ „საბჭოთა მილიციის“ ფონზე, გამჭვირვალე, თანამედროვე სტანდარტის შენობები და პოლიციელთა ქცევის დაზეპირებული ნორმები, მართლაც ეფექტურია და, ერთი შეხედვით, მომწესხველი.



ავტორი: ღაპით ბუხრიკიძე

**მოავალი ბავშვებს
ეკუთვნით, ათ
შუკე „მოიკრას“
პოლიციელთა
ფორმები,
ათი მსუბუქი
„პასატები“, ქუჩის
ბადასასვლელაზი,
კატარაზი, შენობაზი,
კარუსელაზი, ბარაზი
და რასტორნაზი.
მარტივი და
მაჟორული
ტონალოზის
კლივი, რომელსაც
ღღაჟი ოსჯარ ბინს
უჩვენებენ სხვადასხვა
არხაზა, თითქოს
არაჟარს ბვეზნება
ქალოვანთა სისტემაზა,
სინამდვილეთი კი
პოლიციაზა კაროღას
ან ღასინვას უჯრო
კვავს.**

მაგრამ საკმარისია შიგნიდან დაინახოთ ძალოვანთა იერარქიის მექანიზმი, ან კარგად „დაზეთილი“ მანქანის მუშაობის პრინციპი, რომ მაშინვე იგრძნობთ ამ უაღრესად ხისტ პოლიტიკურ სისტემას. ის მყისიერად შეგეხებათ, როგორც კი დაინტერესდებით. ეს დაუნდობელი, უჟანგავი გილიოტინასავით მომუშავე სისტემაა, რომელიც ნთქავს საკუთარ შვილებს, მშობლებს, წარსულს, მონინაღმდეგეებს. არ ცნობს ქცევით დაზღვენილობებს, ეთიკურ ნორმებსა და ასაკობრივ სუბორდინაციას.

პოლიციელებზე ითხზება ახალ-ახალი მითები. ისინი ყველგან არიან: სკოლებში, სახლებში, გამჭვირვალე ოფისებში, ბანკებში, ფილმებში, შენობების წინ და სკვერებში. იდეოლოგიურად უბადრუკი და საჩქაროდ დამზადებული სატელევიზიო კლიპები მათ გმირებად აქცევენ, როგორც პოლივეუდის ბლოკბასტერებში. უნდა გვახსოვდეს, რომ ახლა სხვა დროა და „სხვა ხალხის ისმის აქ ჟრია-მული“ და, საერთოდ, ყოფილ სახელმწიფო ბნელეთს პოლიციურად კურთხეული სახელმწიფო უნდა დაეუპირისპიროთ – ასეთია შეკვეთის იდეოლოგიური მექანიზმი.

და რადგან მომავალი ბავშვებს ეკუთვნით, მათ უკვე „მოირგეს“ პოლიციელთა ფორმები, მათი მსუბუქი „პასატები“, ქუჩის გადასასვლელები, კატარალები, შენობები, კარუსელები, ბარები და რესტორნები. მარტივი და მაჟორული ტონალობის კლიპი, რომელსაც ღღეში ოცჯერ მაინც უჩვენებენ სხვადასხვა არხზე, თითქოს არაფერს გვეუბნება ძალოვანთა სისტემაზე, სინამდვილეში

კი პოლიციაზე პაროღას ან დაცივნას უფრო ჰგავს. როგორც გერმანული ექსპრესიონისტული ფილმი „ჯუჯები“, რომელშიც დიდების სამყარო სწორედ ჯუჯების „დახმარებითა“ გაშარჟებული.

უცნაურია, რომ სოციალურ ქსელებში საბჭოთა „მზიურლებსა“ და ფილარმონიის წინ გახსნილ „ვარსკვლავზე“ აქტიურად მოქილიკენი არაფერს წერენ და ამბობენ ამ საბავშვო-პოლიციურ კლიპზე. ეს ადრეული საბჭოთა ეპოქის ფილმების ტრადიციებს უფრო მოგვაგონებს, ვიდრე ოცდამეერთე საუკუნის „გამჭვირვალე საქართველოს“. სინამდვილეში კლიპი ძალოვანების, ანუ ხელისუფლების შეკვეთაა და ამის შესახებ ყველამ შესანიშნავად იცის – გადამღებმაც და ამ სახალისო, პრიმიტიული სიმღერის ავტორმაც, რომელიც ვერც კინოფილმ „მანანას“ გულუბრყვილო-პიონერულ პაროდიებამდე ქაჩაქვს და ვერც ირონიული დისტანციის შენარჩუნებას ახერხებს ბავშვ-პოლიციელებზე დანერჩილ სიმღერაში. პირიქით, კლიპში ბავშვები საგანგებოდ არიან დამსგავსებული დიდებს და ამის გამო კომიკური ეფექტი კიდევ უფრო იზრდება.

თუ სახელმწიფო ასე მარტივად უყურებს აღზრდისა თუ თავისუფლების პრობლემას და ბავშვები „მონესრიგებულ პოლიციელებად“, ანუ 12 წლის სანიმუშო მოქალაქეებად წარმოუდგენია, პირველი კითხვა, რაც თავში მოგდით ამ კლიპის ნახვის შემდეგ, ცინიკურად, მაგრამ ზუსტად ჟღერს: საერთოდ, რას ნიშნავს მაშინ ადამიანის თავისუფლება და რა საჭიროა გზა, თუ იგი გამჭვირვალე პოლიციამდე არ მიგვიყვანს?!



ინფორმაციის სანდო წყარო

ფაქტები და ანალიზი ვაშინგტონიდან
ყოველ დღე 20:00 საათზე



საპარტიზმოს საზოგადოებრივი მუხყვბვბვ

- 100.3** ქუთაისი
- 100.6** გორი, თელავი
- 101.3** ზუგდიდი
- 102.4** ბათუმი, ახალციხე, ამბროლაური,
ჭიათურა, საჩხერე, მესტია,
ლენტეხი, თბილისი





იქ, სადაც სიკვდილს დასვინიან (ახალი წელი ბექსიკაში)

ავტორი, ფოტო: ბიორბი ბვახარია

დაახლოებით ათი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც „რუსთავი 2“-ის ოფისიდან გამოსულს, მანქანის პარპრიზზე მიკრული წარწერა დამხვდა – „ნაერთიე საქართველოდან!“... პირველად სწორედ მაშინ დავფიქრდი ქვეყნიდან გაძევების პერსპექტივაზე და, რაც მთავარია, იდენტიფიკაციის საიდუმლოზე; როცა ვილაკაზე ყველაზე მეტს ფიქრობ, გიჩნდება სურვილი, მისი თვალთ შეხედო ყველას და ყველაფერს, უფრო მეტიც, მიბაძო კიდევ მას. იმხანად ჩემი ტვინი მთლიანად ეიზენშტეინით იყო მოცული – ვისბადენის კონფერენციისთვის მოხსენებას ვწერდი ეიზენშტეინისა და დავით კაკაბაძის „სტერეოკინოზე“. როგორც

მჩვევია, წავიკითხე ყველაფერი, რაც ოდნავ მაინც ახლოს იყო თემასთან – მათ შორის, მერი სიტონის, ცოტა არ იყოს, „ყვითელი“ წიგნი ეიზენშტეინზე, რომელიც, თუ არ ვცდები, დღემდე არ უთარგმნიათ რუსეთში (საბჭოთა კავშირში აკრძალული იყო). სიტონი ამტკიცებს, რომ სტერეოკინოზე ფიქრმა რუსი-საბჭოთა კინორეჟისორი განსაკუთრებით გაიტაცა 30-იანი წლების დასაწყისში მექსიკაში მოგზაურობის დროს, როცა გრიგორი ალექსანდროვთან ერთად, ფრიდა კალოსა და დიეგო რივერას დახმარებით, მხატვრულ-დოკუმენტური ფილმის, „ვივა მექსიკას!“ გადაღებას შეუდგა. თუმცა ეიზენშტეინის ყველაზე სკან-

დალური ბიოგრაფი სტერეოკინოს სპეციფიკაზე ნაკლებად მსჯელობს – მერი სიტონი დანვრლებით გვიამბობს, როგორ აღიარა აქ, მექსიკაში სერგეი ეიზენშტეინმა თავისი გრძნობები მეგობრისა და კოლეგის, გრიგორი ალექსანდროვის მიმართ, რამაც ისე დააფრთხო ალექსანდროვი, რომ გადაღებას თავი დაანება და მოსკოვში დაბრუნდა. უფრო მეტიც, დააბუღა ეიზენშტეინი პირადად სტალინთან... რამდენიმე დღეში ეიზენშტეინმა სტალინისგან წერილი მიიღო. ბელადი კატეგორიულად, მუქარის ტონით, სთხოვდა „ყველაზე მარქსისტული ფილმის“, „ჯავშნოსანი პოტიომკინის“ ავტორს, დაენებებინა გადაღებისთვის



თავი და მოსკოვში დაბრუნებულიყო. სიტონის მტკიცებით, ეიზენშტეინს შეეშინდა და დაუფიქრებლად შეასრულა ბელადის ბრძანება. თუმცა არსებობს მეორე ვერსია – ეიზენშტეინს არ შეეძლო ალექსანდროვისგან შორს ყოფნა, მან თავისი ცხოვრების „მთავარ მამაკაცს“ ლალატიც კი აპატია!

სამშობლოში დაბრუნებულ ეიზენშტეინს ალექსანდროვი უკვე დაოჯახებული დახვდა. მათ თითქმის მთლიანად განწყვიტეს კონტაქტი. მიუხედავად ამისა, ეიზენშტეინის სიკვდილის შემდეგ, 1979 წელს, სწორედ ალექსანდროვმა გადაწყვიტა მექსიკაში დაუმთავრებელი ფილმის აღდგენა. უფრო სწორად, დამონტაჟება.. ალექსანდროვის „ვივა მექსიკას!“ არანაირი კავშირი არ ჰქონდა „ინტელექტუალური მონტაჟის“ თეორიასთან, რომელიც საფუძვლად უნდა დაედებოდა მექსიკურ ფილმს. აქ მხოლოდ იმ ფილმის კადრები დარჩა...

„სამოთხე! სამოთხე!“... ამ ორ სიტყვას განუწყვეტლივ იმეორებს ეიზენშტეინი თავის მექსიკურ ჩანაწერებში. თანაც, სწორედ ასე, ორ-ორჯერ! მერი სიტონის აზრით, „სამოთხის“ შეგრძნება საკუთარი იდენტურობის „შექნამ“ განაპირობა. თუმცა მოგვიანებით გაირკვა, რომ რუსმა რეჟისორმა ჰომოსექსუალობა ჯერ კიდევ 20-იან წლებში, ბერლინში „ალიარა“ (აქ ეიზენშტეინი ფსიქონალიზის სენსებს გადიოდა). მართლაც, ბენდიერების განცდის მიზეზი მხოლოდ სექსუალური იდენტურობის „მოპოვება“ რომ ყოფილიყო, ეიზენშტეინს მექსიკაში ჩასვლამდე, ამერიკაში შეეძლო დარჩენა – ჰოლივუდში, სადაც მას არაერთ საინტერესო პროექტს სთავაზობდნენ, სადაც მას ჩაპლინი და დისნეი მფარველობდნენ, და, რაც მთავარია, სადაც სრულიად თავისუფალი იყო. მაგრამ „სამოთხე, სამოთხე!“ „ყველაზე მარქსისტული

ფილმის“ ავტორმა სწორედ მექსიკაში შესძახა.

ჰოდა, ამ „პროკლამაციით“ დამშვენებულ ჩემს მანქანას რომ შევხედე, მაშინვე ეგ „მექსიკური სამოთხე“ მომაგონდა. სამშობლოდან წასვლას თუ მაიძულებდნენ, არ დავიკარგებოდი; მე ხომ მაგ სამოთხეში მოხვედრის საშუალება მქონდა – საყვარელი და ერთადერთი ძმა მექსიკაში მელოდებოდა... არც ჩემს საქმეს მივატოვებდი; ვისწავლიდი ესპანურს და ეიზენშტეინს მივხედავდი; პატარა მუზეუმს გავხსნიდი ეიზენის „მექსიკური ნახატებით“, რომელთა დიდი ნაწილი 1985 წლის მიწისძვრის დროს დაიკარგა, მაგრამ რაღაც ნაწილი ხომ გადარჩა! (მაშინ ჯერ კიდევ არ ვიცოდი, რომ მექსიკამ არა თუ ეიზენშტეინს, თვით ლუის ბუნუელსაც კი ვერ მიხედა. ახლახან ბუნუელის სახლი მეხიკოში ესპანეთის ხელისუფლებამ არცთუ ისე ძვირად იყიდა).



მეორე დღით აღარც პროკლამაცია მახსოვდა და აღარც მექსიკა. ეიზენშტეინზე მოხსენებაც დავამთავრე და მორიგი „ფსიქოსთვის“ მზადებას შევუდექი. მაგრამ ეს მექსიკა, ჩემი ძმითა და ძმისშვილებით, საყვარელი ოჯახით (რომელიც თავად არ მქონია), სითბოთი, სიყვარულით, მზით, ყოველთვის იყო „რეზერვში“ – თუკი ეიზენი სამოთხიდან გამოაძევეს, მე ჩემი ფეხით შევაბიჯებდი მიწიერ სამოთხეში!

სხვათა შორის, ვისბადენის კონფერენციაზე ხალხი ყველაზე მეტად სტერეოკინოსთან „მიწიერი სამოთხის“ იდეის მიმართებით დაინტერესდა; სტერეოკინოს შესაძლებლობებზე ფიქრი ეიზენშტეინმა ნოემბერში, მექსიკელების საყვარელ „სიკვდილის ფიესტაზე“ დაიწყო; ამ დღეს, მოგეხსენებათ, მექსიკა მთლიანად „სიკვდილით“ ცხოვრობს – ამზადებენ სალათებს, ნამცხვრებს ფიტულების,

თავის ქალის ფორმით. გემრიელად შეექცევიან და კვდებიან სიცილით. „ქვეყანა, სადაც სიკვდილი არა მარტო სძულთ, არამედ დასცინიან!“ – წერს ეიზენშტეინი მექსიკაზე... აღფრთოვანებული წერს! ცხადია, სიკვდილის ასეთი დათრგუნვა იმხანად ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა და ჯანმრთელ რეჟისორს იმიტომ არ მოეწონა, რომ რაღაც „ეგზისტენციალური შიშები“ ჰქონდა; „სიკვდილის დაცინვა“ ჰარმონიულად ეწერებოდა ეიზენშტეინის სტილში, რომელიც მან ნაწილობრივ თავისი მასწავლებლისგან, მეირჰოლდისგან ისესხა. „სატირა სიკვდილზე“, „გაყინული მდგომარეობის დაფიქსირება და მასზე ქილიკი“, „ძალაუფლება, როგორც სიკვდილი და მისი გაშარჟება ხელოვნებაში“ – ეს ეიზენშტეინის გამოთქმებია, რომელსაც რეჟისორი და თეორეტიკოსი მუდმივად იყენებს მექსიკურ დღიურებში. რა თქმა უნდა, სიკვდილის

ასეთი „განვდილი ხელით“ შეგრძნება (ისევ ეიზენშტეინის ტერმინია) სხვა ხალხებსაც ახასიათებთ – ესპანელებსაც, იაპონელებსაც... მაგრამ მექსიკაში სიკვდილის გაშარჟება იმიტომ კი არ ხდება, რომ თავისუფლების შეგრძნებისთვის მუდმივად უნდა „გახსოვდეს სიკვდილი“... მექსიკაში სიკვდილი ძალაუფლების ყველაზე ძველი, „ადრეისტორიული“ გამოვლინებაა. ამიტომ სიკვდილი არა მარტო უნდა გახსოვდეს, არა მარტო „განვდილი ხელის“ მანძილზე უნდა გყავდეს მონიშნული, არამედ უნდა ებრძოდე მას. მთელი არსებით ებრძოდე!

შეიძლება, სწორედ ამიტომ გადავწყვიტე მამაჩემის გარდაცვალების წლისთავის აღნიშვნა სწორედ მეხიკოში – ჩემს ძმასთან და მის ოჯახთან ერთად; ახალი წელი, ბედობა, შობა, მამის წლისთავი – ყველაფერი გავაერთიანეთ, რათა როგორმე გავთავისუფლებულიყავით დამთრგუნველი



ქართული ნეკროფილიისგან და გასული წლის დასაწყისში გარდაცვლილი მამა ისევ ჩვენს შორის, ცოცხლებს შორის წარმოგვედგინა.

მეხიკოში ჩასვლისთანავე ირაკლიმ (ჩემმა ძმამ), ქალაქის მთავარ მოედანზე წაგვიყვანა აქაური კათედრალური ტაძრის დასათვალიერებლად (ყველაზე დიდი ტაძრისა ლათინურ ამერიკაში)... ტაძრის შესასვლელთან ჩვენი ყურადღება მიიპყრო საცვლებში გამოწყობილმა ახალგაზრდების ჯგუფმა. აღმოჩნდა, რომ უნივერსიტეტის სტუდენტები კვირაში ერთხელ, ასეთი ფორმით გამოხატავდნენ პროტესტს იმ ტრადიციების წინააღმდეგ, რომლებიც მათი თქმით, ხელს უშლის ქვეყნის განვითარებას. აქვე, მოედანზე, ირაკლიმ მეხიკოს მერის, მარსელო ებრარდის პორტრეტი დამანახა წარწერით „ქუჩის მუსიკოსებო, თქვენ შეგიძლიათ მექსიკის პრეზიდენტები გახდეთ!“... და მიამბო სასამართლო-

ზე, რომელიც მერმა გვადალახარას კარდინალს მოუგო.

მას შემდეგ, რაც ქალაქის პარლამენტმა მიიღო ერთსქესიანი ქორწინების ლეგალიზაციის კანონი, კონსერვატორულმა წრეებმა მიმართეს ქალაქის მერს, რათა მას ვეტო დაედო პარლამენტის გადაწყვეტილებისთვის. მაგრამ მარსელო ებრარდმა უარი განაცხადა. საქმეში ჩაერთო მექსიკის არქიეპისკოპოსი, რომელმაც ქალაქის მერს მოსთხოვა, სასწრაფოდ დაედო ვეტო ამ „უზნეო კანონისთვის“. სიტუაცია კიდევ უფრო გამწვავდა მას შემდეგ, რაც ქალაქის საბჭოს ტურისტული დეპარტამენტის მდივანმა, ალესანდრო როხასმა განაცხადა: „მეხიკო გახდება ტურიზმის ახალი ცენტრი. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან აქ ჩამოვლენ ერთსქესიანი წყვილები ჯვრის დასაწერად და თაფლობის თვის გასატარებლად“.

კონსერვატორებმა უზუნაეს სასამართლოში შეიტანეს სარჩელი ქალაქის სა-

ბჭოს წინააღმდეგ, მაგრამ სასამართლომ სარჩელი არ დააკმაყოფილა, რასაც მოჰყვა გვადალახარას კარდინალის წერილი, რომელშიც იგი ამტკიცებდა, სასამართლო ქალაქის მერმა მოისყიდა... ახლა უკვე მერმა შეიტანა სარჩელი სასამართლოში, „ღირსების შელახვის გამო“: „ჩვენ საერო სახელმწიფოში ვცხოვრობთ და კარდინალი ვალდებულია, დაემორჩილოს საერო სახელმწიფოს კანონებს... სულ ერთია, მოსწონს მას ეს კანონები, თუ არა“ – განაცხადა მერმა.

მთელი ეს ისტორია – ერთსქესიანი ქორწინების დეკონონება კათოლიკურ მექსიკაში, სადაც, მაგალითად, აბორტი არა მარტო აკრძალულია, არამედ ძალიან ცუდ ტონად ითვლება, ამ ქვეყნისთვის დამახასიათებელი წინააღმდეგობებით არის სავსე და გარკვეული თვალსაზრისით, აქაური კულტურის სახეებში გამოიხატება.

>>> ბაზრძილია ბვ. 94

კომფორტის ზონა

ავტორი: ნინო ლომაძე

ფოტო: სებასტიან კანო, მაია მიქაშავიძის პირადი არქივი

იმ დღის ბევრი არაფერი მახსოვს. არ მახსოვს, ვინ გავიცანი „ჟურნალისტიკისა და მედია მენეჯმენტის კავკასიური სკოლის“ გასაუბრების რიგში, არ მახსოვს, როგორ გამოიყურებოდნენ „გამომცდელები“, ვინ რა მკითხა, არ მახსოვს საკუთარი პასუხები, მახსოვს მხოლოდ – მაია მიქაშავიძის უსიტყვო, უზერხულობამდე დაჟინებული მზერა და განცდა, რომ ეს უცხო ადამიანი ჩემგან რაღაც განსაკუთრებულს, ლამის სამყაროს ხსნის რეცეპტს ელოდა. მოგვიანებით მივხვდი, რომ ეს გამოხედვა მისი ხასიათის ერთ-ერთი მთავარი შტრიხია და მასში ძლიერი კონცენტრაცია, შენი ფიქრების, აზროვნების სტილისა და შესაძლებლობების ამოცნობის მცდელობა იკითხება. როგორც კი მაიას ინტერესის არეალში ექცევი, ამ მზერას ველარ ემალები – ნამზომი მუდამ ჩართული გაქვს და სულ გახსოვს, რომ მისი მოლოდინი უნდა გაამართლო. ნდობისა და შენთვის დახარჯული დროის ფასად პასუხისმგებლობის შენზე დაკისრების უნიკალური უნარი აქვს.

მაია პირდაპირი და ლაკონურია. ლაპარაკობს ზუსტად იმდენს, რამდენიც საჭიროა. ძალიან პრინციპულია, მაგრამ მოსმენაც უყვარს. მშვიდად დაგელოდება, სანამ ყველა შენს საინააღმდეგო არგუმენტს ჩამოთვლი, მაგრამ თუ საკუთარ სიმართლეში მაინც ვერ დააჩქვებ, მორჩა – მის გადაბირებას ვერასდროს შეძლებ. აქვს მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმები. მისთვის ოცნება, რომანტიკისგან დაცლილი, სრულიად მინიერი სიტყვაა და შორეულ პერსპექტივას ნიშნავს, რომელიც ჭკვიანი ადამიანის გონებაში თანმიმდევრულ ნაბიჯებად ლაგდება და ცხოვრების გეგმას ერგება. „ძლიერი პიროვნება, ძლიერი პროფესიონალი“ – ამ სიტყვათშეთანხმებას ხშირად ხმარობს. და სულ ასეთი ადამიანების ძიებაშია. მისთვის მიუღწეველი

წერტილი არ არსებობს, თუ, ცხადია, უწყვეტი დინამიკის შენარჩუნება შეგიძლია, ძლიერი ნებისყოფა და კიდევ, დროში ორიენტაციის უნარი გაქვს.

მაია მიქაშავიძე „ჟურნალისტიკისა და მედია მენეჯმენტის კავკასიური სკოლის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და დეკანია.

ბროსეს 2 ნომერში, მესამე სართულზე თავის კაბინეტში მუშაობდა. ვინრო, თეთრკედლებიან ოთახში, ფურცლებით სავსე მაგიდა და სამი სკამი დგას. მაია მობილურზე ლაპარაკობს და თან კლავიატურაზე „ბრმად“ ბეჭდავს. კართან მაინც მამჩნევს, ორი წუთი დამელოდეო, ხელით მანიშნებს და თვალბით სკამზე მიმითითებს. ბეჭდავს მალე ასრულებს და გორგოლაჭიანი სავარძლით ფანჯრისკენ, მერე ისევ უკან მაგიდისკენ ბზრიალდება. ამასობაში საუბარს ასრულებს და ჩემთვისაც იცლის.

– აბა, საიდან ვინყებთ?

მისი პირველი ინსპირაცია ბაბუა იყო – ქალაქ რუსთავის ერთ-ერთი დამაარსებელი, ქიმიურ-მეტალურგიული და ფეროშენადნობთა ქარხნების პროექტების ერთ-ერთი ავტორი და თანამედროვე გაგებით – ზედა რგოლის მენეჯერი. ბაბუა სახლში ძალიან ცოტა დროს ატარებდა და ოჯახის წვრილ-წვრილი ვალდებულებებისგანაც თავისუფალი იყო. „უზარმაზარი მნიშვნელობის საკითხები და პრობლემები ჰქონდა გადასაჭრელი. ამას მეც ვგრძნობდი და ეს ყველაფერი საშინლად მომწონდა“. მაშინ, მაია ბებიასთან ყველაზე მეტ დროს ატარებდა. ბიოლოგი მშობლები ასპირანტურაში მოსკოვში სწავლობდნენ და ხშირად მოგზაურობდნენ. როგორც ამბობს, ეს არასდროს გაუპროტესტებია, რადგან ოჯახის წევრების წარმატებით თვი-

თონაც დიდებით ამაყობდა.

საკუთარი საქმე მალე თვითონაც გაუჩნდა. მშობლებმა მუსიკისადმი ინტერესი ადრევე შენიშნეს და სპეციალურ მუსიკალურ სკოლა-ათნლედში მიიყვანეს. მათი მოტივი ასეთი იყო – თუ სწავლა უნდა, სჯობს, თავიდანვე სერიოზულად მიუდგეს. ინსტრუმენტად ვიოლინო აირჩია. მიდგომით კი, მართლაც სერიოზულად მიუდგა და სკოლა-ათნლედის მერე კონსერვატორია დაამთავრა. ცხრა წლის მანძილზე მუსიკა მისი ერთადერთი კარიერა იყო. ძალიან ბევრს და თავდაუზოგავად მუშაობდა, მოსწონდა ის წრე, სადაც ტრიალებდა. მეგობრებთან ერთად კამერული ორკესტრი დააარსა, ჰქონდათ ინტენსიური საკონცერტო ცხოვრება, ბევრს მოგზაურობდნენ. მაგრამ მოუხედავად ამისა, უკმარისობის განცდა მაინც გაუჩნდა. საკუთარი შესაძლებლობები კრიტიკულად შეაფასა და დაასკვნა, რომ ამ პროფესიაში დიდ და თავბრუდამხვევ წარმატებას ვერასდროს მიაღწევდა. ბევრი არ უფიქრია, ადგა და ყოველი შემთხვევისთვის ინგლისურიდან ქართულ ენაზე სინქრონული თარგმნის ორწლიან კურსზე ჩააბარა.

90-იანების დასაწყისში ორკესტრის სახელმწიფო დაფინანსება შეუწყდა. მევიოლინეს ხელფასით კი, შეუძლებელი გახდა არსებობა. ოჯახის წევრებმაც ერთდროულად დაკარგეს შემოსავლის წყარო. „შევამჩნიე, რომ სახლიდან რაღაც ნივთები გაქრა და ამან ძალიან იმოქმედა. მივხვდი, რომ ახლა სხვა პრობლემები გვიდგას – რომ ჩვენ შეიძლება არ გვექონდეს საჭმელი და შეიძლება ზამთარში ვერ გავთბეთ. მივხვდი, რომ ბევრი რამე საკუთარ თავზე უნდა ამელო და დავინყე თარჯიმნობა. მოკლედ, უცბად აღმოჩნდა, რომ ყველაზე მეტად სინქრონული თარგმნის ცოდნა გამომადგა“.





**აქვს მოქლევადიანი და
ბრძელვადიანი გეგმები. მისთვის
მოსწავლა, რომანტიკისგან დასვლილი,
სრულიად მიწიერი სიტყვაა და შორაულ
პერსპექტივას ნიშნავს, რომლის ჭკვიანი
აღამიანის გონებაში თანმიმდევრულ
ნახიჯებად ლაზდება და სხოვრების გეგმას
იკრება.**

სამუშაო ბევრი ჰქონდა – საქართველოში სახელმწიფო და არასამთავრობო ინსტიტუტების განვითარების პროგრამებზე მაშინ იწყებოდა მუშაობა და სხვადასხვა ქვეყნიდან დელეგაციები ხშირად ჩამოდიოდა. რალაც ხანი ორკესტრსა და სინქრონულ თარგმანს ერთმანეთს თავისუფლად უთავსებდა. მაგრამ მალე დაიღალა. საორკესტრო ცხოვრებაც ნაკლებად საინტერესო გახდა და ყველაზე მნიშვნელოვან საზრუნავად სტაბილური სამსახური იქცა.

მალევე იპოვნა. ამერიკის საელჩოში, კულტურისა და პრესის განყოფილებაში (პრესის ნაწილში) დაიწყო მუშაობა. „ძალიან საინტერესო სამუშაო იყო. 1995-99 წლები, როდესაც რეალურად იწყება დამოუკიდებლობის გააზრება, მედია შენს თვალწინ პირველ ნახიჯებს დგამს, ჩნდება არასამთავრობო სექტორის ჩანასახი.

ეს არ იყო პრესამსახურის ტიპური სამუშაო – პრესრელიზების მომზადება, პრესკონფერენციების ორგანიზება და ა.შ. ეს იყო საქმე, რომლის მიზანიც ჩემთვის დღემდე უცვლელია – მედიაგარემოს განვითარების ხელშეწყობა“. ამერიკის საელჩო მედიაში ყოველ ნახიჯს ყურადღებით ადევნებდა თვალს. აწყობდნენ სემინარებს, ჟურნალისტური უნარ-ჩვევების დასახვეწნად, ეძებდნენ პერსპექტიულ ჟურნალისტებს, მედია მენეჯერებს და გზავნიდნენ გაცვლით ტურებში. ესწრებოდნენ „რუსთავი 2“-ს სასამართლო პროცესებს, როდესაც ტელევიზიის ლიცენზიის საკითხს იხილავდნენ. ერთი სიტყვით, პრესამსახური თავისუფალი სიტყვის ქომაგი უფრო იყო, ვიდრე მხოლოდ ინფორმაციის დისტრიბუტორი.

„საელჩოში სულ სხვა სამუშაო ატმოსფერო დამხვდა. იქ მივხვდი, რომ



კოლექტივში შენ არ შეიძლება, მარტო წარმატებული ან წარუმატებელი იყო. მოვხვდი ადგილას, სადაც თვითორგანიზება, სხვების მიმართ პასუხისმგებლობა, დროის განაწილება, კომუნიკაცია ვისწავლე. ამერიკის საელჩო ჩემთვის სტაბილურობის კუნძული, იმ დროს ერთადერთი განვითარების პერსპექტივა იყო“.

ჟურნალისტიკის სკოლის შექმნის იდეა პირველად საელჩოში მოისმინა. იდეის ავტორი, გიორგი თოფურია ამბობდა, რომ მედიის განვითარებას უფრო კონცენტრირებული ძალისხმევა



სჭირდებოდა და გამოსავალს მედიანაგანათლების აკადემიურ პროგრამაში ხედავდა. როგორც კი იდეა პროექტად იქცა, მაია პროცესში მაშინვე ჩაერთო. პროექტს სათავეში ამერიკის საელჩოს პრესისა და კულტურის ატაშე, ყოფილი ჟურნალისტი, „საკმაოდ ექსცენტრული და მიზანმიმართული ადამიანი“ – ვიქტორია სლოუნი ჩაუდგა. საბჭოთა ტელევიზიის „კეთილხმოვანების“ ფონზე გაზრდილი მაიასთვის, სლოუნი უფროსის გარდა გასაღები იყო, რომლის დახმარებითაც სრულიად უცხო სფეროში, თავისუფალ

მედიაში შეღწევას ცდილობდა. „მისგან ძალიან ბევრი ვისწავლე. ვისწავლე მთელი პროცესის მართვა – იდეის დამუშავებიდან პროექტის მომზადებამდე, ვისწავლე კარგად წერა და ვისწავლე თეორიულად – როგორი უნდა იყოს თავისუფალი, მაღალი სტანდარტის ჟურნალისტიკა“. პროექტში სკოლის მთავარი კონცეფცია, მიზანი ასე ჩამოყალიბდა – დამოუკიდებელი მედიისთვის პროფესიონალი კადრების მომზადება, ვისთვისაც მამოძრავებელი მუხტი უკვე ტრაფარეტადქცეული, იმ დროისთვის კი თითქმის რევოლუ-

ციური იდეა – არამიკერძობული, ფაქტებზე დაყრდნობილი, ეთიკური ჟურნალისტიკა იქნებოდა. პარტნიორად „საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი“ შეირჩა. სლოუნიმა გეგმა ამერიკის მთავრობას წარუდგინა და მალე მათი თანხმობა – 450 ათასი ამერიკული დოლარი მოიპოვა. როდესაც სკოლის დირექტორის ვაკანსიაზე კონკურსი გამოცხადდა, მაია მიქაშავიძემ ვიქტორიას უთხრა, რომ კონკურსში მონაწილეობა უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა.

ოქტომბერი-ნოემბერი 2001. მაია მიქაშავიძე ჟურნალისტიკის ფაკულტე-

ჩვენ ამ წარმოდგენით ვუშვებთ ჩვენს

კურსდამთავრებულს და ვუზღვებით, რომ მათ უნდა „შეაჯღღრიონ ნავი“, რომელიც ტაჯიკი ტივტივებს. ამ ჯანჯღღარით დინამიკა შექმნან და მათი სივრცე მოიპოვონ იმისთვის, რომ აკეთონ ის, რას უნდათ.

ტებს სტუმრობს, აუდიტორიებში შედის და ლექციის მსვლელობის დროს ახალი „ჟურნალისტიკისა და მედია მენეჯმენტის კავკასიური სკოლის“ პრეზენტაციას მართავს. საუბრის ბოლოს თავის სავიზიტო ბარათებს არიგებს და სტუდენტებს სამაგისტრო პროგრამაზე ჩაბარებას სთავაზობს. სალამოს რომელიღაც სატელევიზიო გადაცემაში მიდის, სკოლის ამერიკელ დეკანთან, მარგარეტ ფრინისთან ერთად, სკოლის მიზნებზე და მისი შექმნის მთავარ იდეაზე უნდა ისაუბროს. სწავლის დაწყებამდე ერთი თვეა დარჩენილი. სტუდენტების სრული სია კი ჯერაც არ არსებობს. „სასაცილო იყო ჩემი პირდაპირ ეთერში მინგვეა, – მეუბნება ფრინი და სიცილს ვერც ახლა იკავებს, – არაფერი მესმოდა, რას ლაპარაკობდნენ, ვიჯექი ჩემთვის, თავს უაზროდ ვაქნევი და გიჟივით ვიღიმოდი. ეს იყო უბრალო ფესტი, რომლის მნიშვნელობაში მაიამ ტელევიზიაში წასვლის წინ მაინც დამარწმუნა – ჩვენ იმის დემონსტრირება გვინდოდა, რომ სკოლას ამერიკის მთავრობის მხარდაჭერა და, შესაბამისად, სერიოზული გეგმები ჰქონდა. ამერიკის მთავრობის განსხვავება ეთერში მე ვიყავი“.



მოსამზადებლად სულ რამდენიმე თვე ჰქონდათ. ამ დროს სკოლის სასწავლო პროგრამა, განრიგის შედგენა, სტუდენტების შერჩევა, შენობის მოწესრიგება – ყველაფერი უნდა მოეწყო. სკოლას სულ სამი თანამშრომელი ჰყავდა, დირექტორი – მაია მიქაშაიძე, დეკანი – მარგარეტ ფრინი და მძღოლი – პაატა ქენქაძე. პირველივე წელს სკოლაში ოცდახუთმა სტუდენტმა ჩააბარა. „ეს ჩემთვის უკვე წარმატება იყო. ეს ნიშნავდა, რომ შევძელით პროფესიულ წრეებსა და სა-

ზოგადოებაში სკოლის ისე წარმოჩენა, რომ ნდობა ავანსად მოვიპოვეთ. ჩვენ მაშინ, არაფერი გვექონდა საჩვენებელი საკუთარი თავის გარდა“.

დღეს ავანსი აღარ სჭირდებათ. სტუდენტები (როგორც თავად ამბობენ) „ჯიპაში“ იმისთვის აბარებენ, რომ ჟურნალისტიკის განხილვაში გახდნენ, გაიარონ თეორიული და პრაქტიკული კურსები ერთდროულად, თანაბრად შეეძლოთ ბეჭდურ, რადიო, ტელე, ონლაინ – მედიებში მუშაობა და მრავალფუნქციური ჟურნალისტიკა იქცნენ – მაღალი პრო-



დექტიულობისა და შესრულების ხარისხით.

ყველამ თავიდანვე იცოდა, რომ პროექტი ოთხწლიანი იყო. მერე პროგრამა დაიხურებოდა და კავკასიაში, ამერიკულ ჟურნალისტიკაში კარგად გავარჯიშებული, ასი პროფესიონალი დარჩებოდა. მაღალი ჟურნალისტური ლირებულებების მატარებელი ასი ადამიანი – და მორჩა. მაგრამ მაია ასე არ ფიქრობდა. ვერაფრით ხვდებოდა, რატომ უნდა დასრულებულიყო პროექტი, რომელიც ოთხი წლის მანძილზე

მხოლოდ ვითარდებოდა და გაცილებით მრავალფეროვანი, საინტერესო ხდებოდა. „საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის“ რექტორმა, გიორგი მარგველაშვილმა და ჩვენ ერთად მოვიფიქრეთ ფორმა, როგორ უნდა გვექცია პროგრამა სკოლად. მერე ჩვენი მმართველი ორგანიზაციისგან („ჟურნალისტების საერთაშორისო ცენტრი“) გადმოვიბარეთ მენეჯმენტი და სამომავლო გეგმაზე მუშაობა დაიწყო“.

იმისთვის, რომ სკოლას არსებობა არ შეეწყვიტა, ასპარეზის გაფართოებასა

და დამატებითი ფინანსური რესურსის შექმნის გზებზე დაიწყო ფიქრი. „ჟურნალისტიკისა და მედია მენეჯმენტის კავკასიურ სკოლაში“ ჯერ ქართულენოვანი პროგრამა გაიხსნა. გაჩნდა მოკლე კურსები სხვადასხვა სპეციალიზაციით. მოგვიანებით კი საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მედიის, ასევე კომუნიკაციის მენეჯმენტის კურსები სამაგისტრო პროგრამებად იქცა.

>>> ბაბრქილია ბვ. 97

ინტერვიუ მაქჟოი თაინერთან და გარი ბარსთან

ავტორი: ქახა თოლორდავა

ფოტო: ლევან ხერხეულიძე, გარიკა ქორიასვილი

როგორ შექმნა ბგერამ სამყარო

გარი ბარცი – ნებისმიერი ბგერა მუსიკაა! ბგერა ზედმინევენით მძლავრი რამაა. სუფიებს მიაჩნიათ, რომ სამყარო აღმავალმა ბგერამ შექმნა. ჯერ იყო ბგერა, მერე კი, რალაც მომენტში, ის ისეთი ხმამაღალი გახდა, რომ დიდი აფეთქება გამოიწვია. აი, ასეთ სამომხარულად გვაქვს საქმე ჩვენ, მუსიკოსებს. მომღერლები შუშის ჭურჭლებს ამსხვრევენ ბგერის მეშვეობით; ბიბლიური ჯერიკოს კედლები ბგერამ დაარღვია. ბგერა რთული, საშიში და ამოუწურავი ფენომენია. მე ხშირად ვეუბნები ხოლმე ჩემს სტუდენტებს, რომ ერთი ცხოვრება საკმარისი არაა მუსიკის შესასწავლად. ამიტომაც, ჩვენ, მუსიკოსები, ვაკეთებთ მხოლოდ იმას, რისი გაკეთებაც ერთი ცხოვრების განმავლობაში შეგვიძლია.

საუბრები ლმერთან

მაქჟოი თაინერი – მუსიკა ჩემი ყოფიერებაა. ესაა ის, რის სიახლოვესაც ვდგავარ მთელი ცხოვრების განმავლობაში. მე მ უ ს ი კ ა შ ი გავიზარდე. მუსიკა ჩემივე თვითგამოხატვის საშუალებაა. ის კომუნიკაციის კიდევ ერთი ფორმაა და გარწმუნებთ, მისი მეშვეობით უფრო მიაღწილდება ადამიანებთან საუბარი, ვიდრე სიტყვების მეშვეობით. მუსიკის ენაზე ლმერთან საუბარსაც შევძლებდი. შეიძლება, მე და ის ერთ ენაზე არ ვსაუბრობდეთ, მაგრამ მუსიკის მეშვეობით ნამდვილად გაეუგებდით ერთმანეთს. ჩემი მუსიკოსად გახდომის იდეაც ხომ მისგან მოდის? მან დამაყენა ამ გზაზე, მე კი დავუჯერე და მის მიერ დასახულ გზას დავადექი. ესაა და ეს. ეს მისი იდეა იყო, არა – ჩემი. შენ ლიდერი მხოლოდ იმ შემთხვევაში ხდები, თუ ლიდერის გაყოლის უნარიც გაქვს.

რა ჯაზი, რის ჯაზი?

გარი ბარცი – მე არ ვხმარებ იმ სიტყვას, რომელიც „ჯ“-ზე იწყება და რომელიც თავი და თავია ყველა გაუგებრობის. თვითონ სიტყვა „ჯაზს“ აქვს ნეგატიური კონოტაცია! ის ბორდელეში გაჩენილი ტერმინია და სრულად არ ასახავს იმ აკუსტიკურ მოვლენას, რასაც იმპროვიზატორები სთავაზობენ მსმენელს. ჯაზმენები იმ ყუთში ჩარჩენენ, რომელსაც „ჯაზი“ აწერია და თუ იმ ყუთიდან ვინმე გამოსვლას გადაწყვეტს, ყველა ერთხმად იწყებს ყყყყანს, – „არა, შენ ამის გაკეთების უფლება არ გაქვს!“ და აი, ასეთები იწოდებიან არტისტებად?! წარმოიდგინეთ, რომ ვიღაც მიდის პიკასოსთან და ასეთ კომენტარს აკეთებს „გერნიკაზე“ – არა უშავს პაბლო, ცუდი არაა, მაგრამ იქნებ აი, აქ ოდნავ მეტი ცისფერი დაგემატებინა, ეს ძროხა კი გაგყვითლებინა? სისულელეა, არა? ასეთ რამეს ნამდვილ ხელოვანს ვერ შებედავ! მუსიკა მუსიკაა და ის ისე შემოდის შენში, როგორც მას მოეპრიანება; ამას ვერ გააკონტროლებ, ამიტომაც არ მომწონს, როდესაც უნდათ, რომ რალაც ერთ ყუთში მიკრან თავი. მე ჩემ თავს უბრალოდ მუსიკოსს ვუწოდებ და არა ჯაზ, თუ სხვა რაიმე სახის მუსიკოსს; ეს კი იმას ნიშნავს, რომ მე ყველანაირ მუსიკას ვუკრავ. მე ყველა სახის მუსიკას ვსწავლობდი, მაგრამ ჩვენ მოგვატყუეს, ჰიპნოზი გაგვიკეთეს და ჟანრებად დაანაწევრეს ის ნაკადი, რაც დანაწევრებას არ ემორჩილება.

მთელი ეს ორსახოვანი ჯაზი

მაქჟოი თაინერი – ჯაზს ერთი უცნაური თვისება აქვს, – მისი ძირითადი კილოები და რიტმები სხვა კონტინენტიდანაა მოსული, – კერძოდ კი აფრიკიდან. ჯაზი ამ კილოების და რიტმების ინტერპრეტაციის მცდელობაა. ჯაზის მეშვეობით თქვენ შეგიძლიათ, ამერიკის

უახლეს ისტორიას გაეცნოთ ისე, რომ თავიდან აიცილოთ ისტორიისადმი სპეციფიკური მიდგომა. ჯაზს შეუძლია დანახოთ, განვითარების რა ფაზაში იყო ქვეყანა ამა თუ იმ ათწლეულში. ჯაზმენების ვოკაბულის ერთ-ერთი ძირითადი ელემენტი ბლუზია, რომელიც, დამეთანხმებით, არცთუ ისეთი „მხიარული“ კილოა, და ხშირად ჯაზმენი, რომელიც ბლუზს უკრავს, თვითონაც არაა კარგ სულიერ თუ ფინანსურ მდგომარეობაში, მაგრამ ის როგორღაც ახერხებს საკუთარი სიღრმეებიდან ისეთი „მხიარული“ მუსიკის „ამოგდებას“, რომელიც დანარჩენებს ეხმარება ცხოვრებისეული დაბრკოლებების ან სიძნელების გადალახვაში.

რატომ მოქლეს მაიქლ ჯექსონი

გარი ბარცი – არტისტები საშიშნი არიან საზოგადოებისთვის იმიტომ, რომ ისინი თავისუფლები არიან. ადრე ეკლესია კარნახობდა მათ, თუ რა უნდა დაეხატათ ან დაეკრათ, მაგრამ იმ დროსაც კი ისინი არღვევდნენ ნესებს და თავისას, რასაც ისინი ხედავდნენ და ესმოდან, უმატებდნენ ხელოვნების ნაწარმოებს. ხელოვნების მთელი ისტორია შემოქმედი ადამიანების კონტროლის ქვეშ მოქცევის ქრონიკაა. ნუ დაგავინყდებათ, რომ იყვნენ ადამიანები, ვინც წვავდა წიგნებს და ანადგურებდა ხელოვნების ნიმუშებს მხოლოდ იმიტომ, რომ დანარჩენების გაკონტროლება შეეძლებოდათ. მუსიკა მძლავრი იარაღია. ამიტომაც ცდილობენ მუსიკოსების კონტროლის ქვეშ მოქცევას და სწორედ ამიტომაც მოკლეს მაიქლ ჯექსონი, ან მისცეს მისი მოკვლის უფლება; იმიტომ, რომ ის საშიში არტისტი გახლდათ! ჯექსონი საოცრად პოპულარული არტისტი იყო, შესაბამისად, დიდი ძალაუფლების მქონეც, მაგრამ ის არ იყო პოლიტიკო-

„ღმერთმა მოგცა ნიჭი და მიზრძანა, ეს ნიჭი სხვისთვის გამოანაწილებინა, თუმცა ისინი დამარცხა, ბევრი ტვინი არ გაჟღერებია იმის ანალიზში, თუ რას და როგორ ვაკეთებ“ – მაქსიმი თაინერი

ინტერვიუ

სი და პოლიტიკოსებისათვის გასაგები წესებით არ თამაშობდა. მას ჰქონდა საოცარი პოპულარობა, საოცარი ძალაუფლება და ის არ იყო არც ერთი ქვეყნის პრეზიდენტი, გამიგეთ? მაიქლ ჯექსონს სახალხოდ რომ ეთხოვა რამე ახალგაზრდებისათვის, ისინი მის თხოვნას შეასრულებდნენ, ეს კი რისკის ქვეშ აყენებს იმ ადამიანების კეთილდღეობას, ვისაც საზოგადოების კონტროლი აქვს განზრახული. მე მქონდა მაიქლთან ურთიერთობის ბედნიერება. საოცრად კეთილშობილი არსება იყო; სუფთა ადამიანი. რალაციით იესოს მაგონებდა. ასეთი ადამიანები კი საშიში არიან ბევრისთვის, რადგანაც საჭიროების შემთხვევაში უამრავი ადამიანი გაჰყვებოდა მას.

დაუბეზავი მოზაპრობა უხილავში

მაქქო თაინერი – ღმერთმა მომცა ნიჭი და მიბრძანა, ეს ნიჭი სხვისთვის გამენაწილებინა, თუმცა ისიც დამარიგა, ბევრი ტვინი არ მეჭყლიტა იმის ანალიზში, თუ რას და როგორ ვაკეთებ. ხშირად ვერც კი გეტყვი, თუ საიდან, ჩემი რომელი კუნჭულიდან მოდის ის, რასაც მე ინსტრუმენტის მეშვეობით გთავაზობთ. ზოგჯერ ჩემივე მუსიკის მოსმენა სასიამოვნოდ გაკვირვებულს მტოვებს ხოლმე, მაგრამ ნამდვილად არ ვიცი, საიდან შემოვიდა ის ჩემში... ინსტრუმენტთან მიახლოება მოგზაურობის დასაწყისივითაა, – შენ არ იცი, მოგზაურობაში რა გელის, მაგრამ ვალდებული ხარ, წინ იარო და შეეგუო იმ აზრს, რომ ყველა ნაბიჯს წინასწარ ვერ დაგეგმავ.

ზრდა

გარი ბარცი – მე უკვე 70 წლის ვარ. 1940 წელს დავიბადე, ასე რომ, ომის შვილი ვარ. მუსიკის სმენა ადრეული ასაკიდან დავიწყე, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილება მაშინ მივიღე, როდესაც პირველად ჩარლი ფარქერს მოვუსმინე. სწორედ მაშინ გადავწყვიტე, რომ იმის კეთება მინდოდა, რასაც ის აკეთებდა. გასული საუკუნის ორმოცდაათიანები სწავლის პერიოდი იყო ჩემთვის; სამოციანებში ნიუ-იორკში გადავედი საცხოვრებლად და იმ ათწლეულმაც სწავლაში გაიარა, ისევე, როგორც შე-

მდგომმა ათწლეულმაც. ოთხმოციანები მუსიკის დეგრადირების ათწლეული იყო და იმ ათწლეულით გულაცრეული ოთხმოცდაათიანებში გარკვეული ხნით ჩამოვცილდი მუსიკალურ სამყაროს. ეს ის პერიოდი იყო, როდესაც ადამიანები ამბობდნენ, – „ჰო, ჩვენ გვიყვარს ის, რასაც თქვენ, მუსიკოსები აკეთებთ,“ მაგრამ მიუხედავად ამისა, გვეპყრობოდნენ ისე, როგორც ნაგავს. მუსიკის წყარო მუსიკოსია და თუ მუსიკა გიყვარს, მუსიკოსებსაც უნდა სცე პატივი. რას ვაკეთებდი იმ პერიოდში? რა თქმა უნდა, ვუკრავდი! ვუკრავდი და ვსწავლობდი, ვსწავლობდი და ვუკრავდი! სხვანაირად ვერ გაიზრდები.

ჯემ-სეშენი სილაპაზის სალონი

მაქქო თაინერი – ულამაზესი დედა მყავდა. ადამიანებს ის მისი კეთილი გულის გამო უყვარდათ. სილაპაზის სალონი მუშაობდა, მაგრამ ფორტე-პიანოზე დაკვრაც ძალიან უყვარდა. ვინმესთან სტუმრად რომ მივდიოდი, და თუ მასპინძლებს სახლში ფორტე-პიანო ჰქონდათ, მიუხედავად იმისა, რომ დაკვრა არასდროს უსწავლია, ის იმნამსვე მიუჯდებოდა ინსტრუმენტს და დაკვრას იწყებდა. კარგად მახსოვს ეს მომენტები! მისი დაკრული და საერთოდ, ფორტეპიანოს საუნდი, ისე მომწონდა, რომ ერთხელ ვთხოვე ინსტრუმენტი მიყიდე-მეთქი. დამიჯერა, პიანინო მიყიდა, სილაპაზის სალონი დადგა და მითხრა, მიდი, უკარი რამდენიც გინდაო. ასე ვუკრავდით მე და ჩემი მეგობრები ჯემ-სეშენებს სილაპაზის სალონი. კლიენტები მიდიოდნენ და მოდიოდნენ, ჩვენ კი ვუკრავდით და არავინ ამის წინააღმდეგი არ იყო.

რატომ ეშინიანთ სიხსლავის ვილას-ვილასებს

გარი ბარცი – იმიტომ, რომ ყუთებიდან რომ გამოიხედავენ ხოლმე, კომფორტულად ვერ გრძნობენ თავს. გასულ წელს ჩარლი ფარქერისადმი მიძღვნილ ფესტივალში მივიღე მონაწილეობა ჩემ შვილთან ერთად. ის პოეტია და რეპერი, ასე რომ, ჩემს ბენდში დიჯეიც იყო. ეს ნორმალურია! რადგანაც 21-ე საუკუნეში ვცხოვრობთ და

არა გასული საუკუნის ოცდაათიანებში ან ორმოციანებში. ვილაც-ვილაცები ირონიულად კითხულობდნენ: „რა კავშირშია ბარცის დღევანდელი ბენდი ჩარლი ფარქერთან?“ ისინი ამ კითხვას ყუთებიდან სვამდნენ! ჩემი შვილი ჩემსავით ფარქერის მუსიკაზე გაიზარდა, მაგრამ ის პოეტია და დღევანდელი კონტექსტის შესაბამის ნაბიჯებს დგამს. მას მარტო ის ფარქერი კი არ აინტერესებს, რომლითაც ყუთებში გამოკეტილი მუსიკოსები ინტერესდებიან, არამედ ის ფარქერი, რომელიც სრულიად უნიკალურ რეაგირებას მოახდენდა დღევანდელი მუსიკაზე. მუსიკა მუსიკაა ისევე, როგორც ჰაერი ჰაერია, ხოლო წყალი კი წყალი. შენ შეგიძლია, ერთი პეშვი დალიო ან ერთი ჭიქა, მაგრამ წყალი წყლად დარჩება. წყურვილს თუ მოიკლავ, რა მნიშვნელობა აქვს, პეშვი წყლით მოხდება ეს თუ ჭიქა წყლით? ამიტომაც მომწონს ის, რასაც დღეს ახალგაზრდები აკეთებენ. ისინი ყველაფერს თავის სახელს არქმევენ და არაფრის ეშინიათ. მათთვის კატეგორიები არ არსებობს. ისინი ჩვენ მუსიკაზე გაიზარდნენ, მაგრამ ამ მუსიკისადმი მათი მონივნება იმაში კი არ გამოიხატება, რომ სამუზეუმო სივრცეში გამოკეტონ ის, არამედ იმაში, რომ თავისუფლად გამოიყენონ ის. ჯონ ქოლტრეის შეეძლო ჯემზ ბრაუნის გვერდზე ცხოვრება და ასეთი თანაცხოვრებით ორივე ერთმანეთს ამდიდრებდნენ.

სიხსლავი? რა სიხსლავი?

მაქქო თაინერი – ჩემი მუსიკა მოცემული მომენტის წყალობით იქმნება, ის მოცემული მომენტის მეშვეობით ეგზორციზმის მცდელობაა და ამიტომაც არ მესმის, თუ რას ნიშნავს მუსიკაში ახლის ცნება, რადგანაც ის სულ ახალია. რამდენსაც უნდა ეცადო, დღეს იგივე მასალას ისევე ზუსტად ვერ დაუკრავ, როგორც ერთი კვირის წინ. ის განვლილი ერთი კვირა თავის დაღს დაგასვამს და სხვანაირად დაგაკვირვინებს მუსიკას.

ინოვაციები

გარი ბარცი – ინოვაციური ისაა, ვინც იმ იდეებს იყენებს, რომელიც მუდამ



„თვითონ სიტყვა „ჯანს“
აქვს ნეგატიური კონოტაცია!
ის ბორღალებში
გაჩენილი ტერმინია და
სრულად არ ასახავს იმ
აკუსტიკურ მოვლენას,
რასაც იმპროვიზატორები
სთავაზობენ მსმელს“ –
ბარი ბარსი



ჰაერში ტრიალებდა, მაგრამ სხვა კუთხით უყურებს და სხვანაირად უდგება მათ. მაილზი ინოვაციური იყო იმიტომ, რომ სხვა კუთხით უყურებდა სამყაროს და სწორედ ამიტომაც აკეთებდა და იქცეოდა ისე, როგორც იქცეოდა. ის ჭეშმარიტი ხელოვანი იყო, ისევე, როგორც ქოლთრენი, ოლონდ მაილზისგან განსხვავებული თრენის ხელოვნება მუსიკის განსხვავებულად ღრმა ცოდნაზე იყო აგებული, იმაზე, თუ რა ზემოქმედების მოხდენა შეუძლია მუსიკას ადამიანის სულიერებაზე.

შეისან თაჰი შენი

მაქქო თაინერი – ადამიანები საუბრობენ რელიგიურ და სეკულარულ მუსიკაზე, მაგრამ ეს უბრალოდ კატეგორიებია. დარწმუნებული ვარ, რომ ნებისმიერ ჩვენგანში დევს სულიერი ფუნქცია. ჩვენ ყველა ერთ პლანეტაზე ვცხოვრობთ და აქ ყოფნისას ყველას რაღაც გვაქვს გასაკეთებელი. ჩემი ფუნქცია მუსიკის შექმნა და შესრულება და ამ დროს ყველაზე მთავარი ისაა, რომ ამ გზით საკუთარ თავს შეიცნობ. მუსიკა შენივე სიღრმეების ანარეკლია და ვერც კი წარმოიდგენთ, რამდენად მაღლიერი ვარ ღმერთის, ამის უნარი და ნიჭი რომ მომცა, რომ ჩემი თავი მუსიკის მეშვეობით გავაცნო მსოფლიოს. მერე კი გასტროლებზე მივდივარ და უეცრად სადღაც აფრიკაში, ვილაც უცნობი მოდის ჩემთან და

მეუბნება რომ ის, რაც მე მნიშვნელოვანი მგონია, მისთვისაც მნიშვნელოვანი ყოფილა. რა უნდა ისურვოს ადამიანმა ამაზე მეტი?

პროგრესი

გარი ბარცი – შენს გარშემო ყველაფერი გამუდმებით იცვლება და ეს ცვლილებები გავლენას ახდენს შენზე. ამას წინათ მეგობარს მაილზ დევისზე ვესაუბრებოდი და მე მას ვუთხარი, რომ მიუხედავად იმისა, რომ მაილზის მუსიკა გამუდმებით იცვლებოდა, თვითონ მაილზი იგივე რჩებოდა. ის უკრავდა იმას, რასაც ადრე, მაგრამ მის გარშემო კონტექსტი იცვლებოდა და ის ამ კონტექსტს არგებდა თავის ინსტრუმენტს. ჰო, დროის განმავლობაში მან უკეთესად დაიწყო საყვირზე დაკვრა, რადგანაც მეტი მოქნილობა მიეცა მალალ რეგისტრში, მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ის შეიცვალა, არამედ იმას, რომ ის დაიხვეწა. ეს პროგრესიაა. უკეთ დაკვრაში ადამიანები ხშირად იმას გულისხმობენ, რომ მუსიკოსმა ინსტრუმენტთან ურთიერთობის ფორმები შეცვალა, მაგრამ ჩემთვის ეს უბრალო ფერიცვალება კი არა, პროგრესიაა.

საჩუქრის განაწილების აუსილებლობაზე

მაქქო თაინერი – უამრავ ქვეყანაში მინევეს მოგზაურობა და სადაც უნდა

ჩავიდე, ადამიანები მოდიან ჩემთან და მეუბნებიან, რომ ჩემი მუსიკა რაღაცაში დაეხმარა მათ, ცხოვრება დაულაგა და მოუნესრიგა; ვილაც წარკომანი იყო და ჩემი მუსიკის მეშვეობით შვება იგრძნო, ვილაცას სხვა რამ აწუხებდა და ჩემი მუსიკა დაეხმარა დაბრკოლების გადალახვაში. ამასთან ერთად, ყველაზე მნიშვნელოვანი ჩემთვის მაინც ისაა, რომ ჩემი მუსიკით, პირველ რიგში, საკუთარ თავს ვეხმარები. ღმერთმა იმის ნიჭი მომცა, რომ მუსიკის მეშვეობით გამოვხატო ჩემი გრძნობები და თუ ამას კარგად გავაკეთებ, შესაძლებელია სხვასაც გადაედოს ჩემი ინსპირაცია. მე მარტივი წესებით ვცხოვრობ, – მაქვს საჩუქარი და ვიცი, რომ ეს საჩუქარი სხვასაც უნდა გავუნანილო. ესაა და ეს.

არშემღბარი და შემღბარი საუბრები წინაპრებთან

გარი ბარცი – დიახ, ამას წინათ იმ გარდაცვლილ მუსიკოსებს შორის, ვისთანაც შეხვედრა და საუბარი მომიწებოდა სიდნი ბეშე, ლესთერ იანგი და ჩარლი ფარქერი დავასახელე. პირადად არცერთს არ ვიცნობდი, მაგრამ კარგი იქნებოდა, ცოტა ხნით რომ შევკრებილიყავით, ერთი-ორი გადაგვეკრა და მათი ისტორიების მოსმენის საშუალება მომცემოდა. ვიცი, რომ ამ გზით იმაზე მეტი მეცოდინებოდა, ვიდრე – ახლა. ჩვიდმეტის ვიყავი, ნიუიორკში რომ ჩავედი და მუსიკოსების წრეში დავინეყე

**„ბამონხატი
 ღღაჴანდელობა,
 მაგრამ ნუ დაივიწყებ
 მათ, ვინც შენს წინ
 მოდიოდნენ, რაღბანას
 სწორად მათ შექმნეს
 ის საუბრეველი,
 რასაც შენი მუსიკა
 ეფუძნება..“ –
 მაქქოი თაინერი**

ტრიალი, – მაქს როუჩი, ები ლინქოლნი, ლი მორგანი და სხვები... მე მათთან ერთად ვუკრავდი და ეს საოცარი რამ იყო, მაგრამ არანაკლებ საინტერესო იყო მათი მონათხრობის სმენაც. როდესაც ისინი ყვებოდნენ, მაგალითად, ფარქერზე და იხსენებდნენ, თუ როგორ ვარჯიშობდა ის დაკვრაში, მათი სიტყვების ძალა იმდენად მიმზიდველი იყო, რომ მზად ვიყავი, მეც ისევე მევარჯიშა დაკვრაში, როგორც ამას ფარქერი აკეთებდა. მათი მონათხრობი მეხმარებოდა, რომ ჩემთვის გავრკვეულიყავი როგორ მივდგომოდი მუსიკას. რაც შეეხება არშემდგარ შეხვედრებს ბეშესთან, იანგთან და ფარქერთან, რა თქმა უნდა, ყველაზე მეტს მაინც პირად ცხოვრებაზე შევეკითხებოდი, თუმცა კონკრეტულად რა შეკითხვებს დაფუძნებული ინტერვიუში, არ ითქმის. ისინი ანგელოზები არ იყვნენ და აჯობებს, თუ ახლა ამაზე არაფერს ვიტყვი. ჰო, იმასაც შევეკითხებოდი თითოეულ მათგანს, თუ როგორ ჩასაბერებს ხმარობდნენ.

კოპირება, ინტერპრეტაცია და ლექსიკონი ყველაასთვის

მაქქოი თაინერი – მართალია, მუსიკოსების ნაწილი ცდილობს დღევანდელი მუსიკაში დატყვევებას,

და ეს დღევანდელი მუსიკისთვისაა შეუპასუხებელი ალიქმება, მაგრამ სინამდვილეში მათი მუსიკა მარტო დღევანდელი მუსიკისგან კი არ შედგება, არამედ წარსულისგანაც და იმისგან, რაც ხვალ მოხდება. გამონახატი დღევანდელი მუსიკა, მაგრამ ნუ დაივიწყებ მათ, ვინც შენს წინ მოდიოდნენ, რადგანაც სწორედ მათ შექმნეს ის საფუძველი, რასაც შენი მუსიკა ეფუძნება. აქ შეიძლება, პატარა გაუგებრობას ჰქონდეს ადგილი, – კოპირებასა და ინტერპრეტაციას შორის დიდი განსხვავებაა. რამდენადაც უნდა მომწონდეს ის, თუ როგორ უკრავდნენ ჯერი მორტონი, ელინგტონი ან ართ თეიტუმი, მე მათ კოპირებას კი არ ვცდილობ, არამედ მათი მუსიკის დღევანდელი კონტექსტის შესაბამისად ინტერპრეტაციას. ისინი თავისი ისტორიული კონტექსტის შესაბამისად აკეთებდნენ ამას, მაგრამ ვინაიდან ჩვენ და ჩვენი წინაპრები ერთი და იმავე მუსიკალური ლექსიკონით ვსარგებლობთ, ადამიანებს გონიათ, რომ დრომოჭმულ მუსიკას უსმენენ. ეს ასე არაა.

მონიჭული ასაკის სუპრატენორის შესახებ

გარი ბარცი – თუ ჯანმრთელობა ამის საშუალებას გაძლევს, რაც უფრო გემატება ასაკი, მით უფრო უკეთესი მუსიკოსი ხდები. ამ დროს შენ უფრო კომფორტულად გრძნობ თავს საკუთარ ტყავში; შენ იცი, თუ რატომ აკეთებ იმას, რასაც აკეთებ და უკეთ გესმის ეს.

ბენი ბოლსონი, ჯონ ქოლთრეინი და ჩარლი ფარქერის საქსოფონის ჩასაბერი

გარი ბარცი – ამ ისტორიას ბენი გოლსონი მომიყვა: ერთხელ, ახალგაზრდები რომ იყვნენ ის და ჯონ ქოლთრეინი, ფილადელფიაში დიზი გილესფი და ჩარლი ფარქერი ჩავიდნენ დასაკრავად. კონცერტი რომ დამთავრდა, კულისებში გავიდნენ, მონიწებით მიეახლენ ფარქერს და შესთავაზეს საქსოფონს ოტელში ჩვენ მიგატანინებოთ. ფარქერი დაეთანხ-

მა. გზაში გოლსონი და ქოლთრეინი შეკითხვას შეკითხვაზე უსვამდნენ ფარქერს, სად ყიდულობთ საქსოფონს, როგორ ჩასაბერს ხმარობთ, როგორ კლავიშებსო. ფარქერმა ყველა მათ შეკითხვას უპასუხა. მეორე დღეს გოლსონი მალაზიაში გაგარდა და ისეთივე ჩასაბერი იყიდა, როგორსაც ფარქერი ხმარობდა. რამდენიმე დღის შემდეგ კი ქოლთრეინმა დაურეკა და შეეკითხა, ფარქერის ჩასაბერით როგორი ჟღერადობა აქვს შენს საქსოფონსო. ზუსტად ისეთივე ქაქი, როგორიც მანამდისო, – უპასუხა გოლსონმა. ბენი მხოლოდ მაშინ მიხვდა, რომ ფარქერისნაირი ჩასაბერი კარგ მუსიკას ვერ დააკრევენიებდა მას.

ალბილი, სადაც მხოლოდ შენ შებიძლია მოხვლა

მაქქოი თაინერი – ცუდია, მაგრამ ჩემი ცხოვრება ისეა მოწყობილი, რომ ახალგაზრდა მუსიკოსების სმენას ვერც კი ვახერხებ. როცა არ ვმოგზაურობ, მუსიკას ვწერ ან სტუდიაში ვმუშაობ. სიმართლე რომ გითხრათ, არც კი მაინტერესებს, ახალგაზრდები რას აკეთებენ. თუ ვინმე „განწირულია“ იმისთვის, რომ ახალი სიტყვა თქვას მუსიკაში, ის უჩემოდაც მოახერხებს ამას. მე კი ჩემი სათქმელი მაქვს. მე მოვდივარ იქიდან, სადაც მხოლოდ მე შემეძლო ვყოფილიყავი და მივდივარ იქ, სადაც მხოლოდ მე შემეძლია მოვხვდე. იმედი მაქვს, რომ ეს ცუდი ადგილი არ იქნება.

ნდობა

გარი ბარცი – მაქქოსთან მუშაობამ ძალიან ბევრი მასწავლა წლების განმავლობაში. შეუძლებელია, მისგან რომ ვერ ისწავლო. მუსიკა იდებია და ის, თუ საით მიყავს ეს იდეები მუსიკოსს. ახალგაზრდებს უამრავი იდეა აქვთ, მაგრამ ხშირად ისინი ამ იდეებს კარგად ვერ იყენებენ. მაქქოი კი... ძალიან ცოტაა ასეთი ყურის მქონე მუსიკოსი. ის ჭეშმარიტი მუსიკოსია და მე მას ვენდობი. მე მას გავყვები სადაც არ უნდა მოისურვოს მან წასვლა. მაილზიც ასეთი იყო; მე მას ვენდობოდი და ნებისმიერ მუსიკაში სამოგზაუროდ გავყვებოდი მას.

ჟაკლინ კენედი-ონასისი

ჯეკი ო. – ქალი, რომელიც მუშაობდა

ავტორი: დაუ სტამპფი
ინტელისურიდან თარგმნა ქეთი ქანთარია

სტატია პირველად გამოქვეყნდა ჟურნალ „Vanity Fair“-ში დეკემბერი, 2010

ის საკულტო ფიგურა და გლამურული პირველი ლედი იყო, მგლოვიარე ქვრივი, მერე – მაგნატის თანამეცხედრე. თუმცა როლი, რომელიც ჯეკი კენედი ონასისმა თავად აირჩია, წიგნის რედაქტორობა იყო. წიგნში, რომელიც საგამომცემლო სფეროში ჯეკი ონასისის მიერ გატარებულ ორ ათწლეულს ეძღვნება, მისი გამომცემლობის ერთ-ერთი ავტორი, გრეგ ლოურენსი 1975 წელს ჯეკის მიერ დაწყებულ ახალ კარიერას და იმ რომანის გამოცემის პერიპეტეებს მიმოიხილავს, რომელმაც კენედების ოჯახთან მისი ურთიერთობა შეარყია. ეს უთანხმოება დღემდე საკამათო საგნად რჩება.

ამონარიდები წიგნიდან: ჯეკი – რედაქტორი: ჟაკლინ კენედი-ონასისის ლიტერატურული ცხოვრება. გამოიცა სენტ მარტინ პრესის მიერ 2010 წელს.

ნორმან მეილერმა მას ერთხელ „საკუთარი სახელის მძევალი“ უწოდა. ეს ფრაზა კარგად ახასიათებს ჟაკლინ კენედი ონასისს, როგორც მასმედიის საშუალებების მითური შემოქმედების მუდმივ ობიექტს. მაგრამ მეილერმა ერთი რაღაც არ იცოდა: 1983 წელს, როცა ამ სიტყვებს წერდა, მსოფლიოს ყველაზე სახელოვან ქალს უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა, როგორ დაეღწია თავი ამ სახელის მარწმუნებიდან. ჯეკის ცხოვრება ორმა არაორდინარულმა მამაკაცმა განსაზღვრა. შემდეგ ჯერ დაქვრივებული პირველი ლედის როლში ერგო უზომო თავყვანისცემა, მერე კი, არცთუ ღირსეული ბერძენი მილიარდერის ცოლობის გამო, საყოველთაო გაკიცხვის ობიექტი შეიქნა. იმ წლებში, როცა უძვირფასეს საიუველირო ნაკეთობებს დამონებულ, მაღალი მოდის სამყაროზე უზომოდ მიჯაჭვულ ექსტრავაგანტულ ქალად სახავდნენ, ჯეკიმ თავის რეალიზება თავისსავე მიერ წაყენებულ პირობებზე გადაწყვიტა, რასაც მომდევნო წლებში, უკვე მედიასაშუალებების და ფართო საზოგადოების ყოვლისმხედველ თვალს მიფარებული, მყუდრო გარემოში შესანიშნავად მოახერხებს.

„თუ შენი ხელიდან ერთი წიგნი მაინც გამოსულა, ცხოვრებაში რაღაც შესანიშნავის გაკეთება მოგიხერხება“.

ჟაკლინ კენედი-ონასისი





ისტორია

ვინც უნდა ყოფილიყო თავისი ცხოვრების განმავლობაში – ტრაგიკული გმირი, იდუმალი სფინქსი, მისდა უნებურად კულტად ქცეული ქალი – ჯეკი თავს საკუთარი საქმისა და პროფესიული კარიერისადმი თავდადებულ ადამიანად თვლიდა. მის მიერ გამოცემული წიგნების რაოდენობა უდავოდ შთამბეჭდავია. მეილერმა, რომელმაც მას „მილიონი ობიექტის შუქით გასხივოსნებული პრინციპა“ უწოდა, სათანადოდ ვერ შეაფასა, რა ოსტატობით აიწყო ჯეკიმ ცხოვრება შემდგომ წლებში, როგორც კერძო, ისე საზოგადოებრივ სფეროში. მან თავშესაფარი პროფესიულ ასპარეზზე, საგამომცემლო სფეროში ჰპოვა და თითქმის მოუხელთებელი გახდა, პაპარაცებისთვისაც კი, რომლებიც მის ოფისს გარს უტრიალებდნენ და გამუდმებით კუდში დაჰყვებოდნენ. ჯეკის მიერ გამოცემული ასზე მეტი დასახელების წიგნი, თავად მის ნაწერებთან ერთად, ალბათ, ყველაზე კარგად ჩაგვახედებს მის გულში და მის მუდამ დაეჭვებულ

არსებას უკეთ გაგვაცნობს.

1975 წლის მარტში, არისტოტელე ონასისის გარდაცვალების შემდეგ, ჯეკიმ თავისი საზოგადოებრივი იმიჯის ტრანსფორმირება მოახერხა. ვირჯინიაში და ნიუ-ჯერსიში ნადირობისას ცხენზე ამხედრებული ჯეკის ფოტოებმა ნელ-ნელა ჩაანაცვლა მისი გამოსახულებები, რომლებზეც ის უმდიდრეს მაღაზიებს სტუმრობდა და Orsini's- ში და La Côte Basque-ში სადილობდა. საბოლოოდ, საზოგადოებრივი თვალთვალი მისი ცხოვრების წესზე იმ საგამომცემლო სახლებით შემოიფარგლა, რომლებშიც მას ოდესმე უმუშავია. ახლა სახლიდან გამოსული ჯეკი, როგორც უფრო მოსალოდნელი იყო, ნიუ-იორკის საზოგადოებრივი ბიბლიოთეკისკენ უფრო ხშირად მიემუშრებოდა, ვიდრე მაღალი საზოგადოების ბრწყინვალე ტრადიციულ წვეულებებზე. ძალიან ხშირად საღამოებს შვილებთან ერთად ატარებდა, რომლებსაც საკუთარი ცხოვრების მთავარ მიღწევად და პასუხისმგებლობად თვლიდა,



მათთან ერთად სადილობდა, ლამისპირს კი საოჯახო ბიბლიოთეკაში განმარტობას და მუშაობას არჩევდა.

1979 წლის მარტში ჟურნალ Ms.-ის გარეკანზე გლორია სტაინერი სწორედ მისი რედაქტორობის ადრეულ წლებს გულისხმობდა, როცა კითხულობდა: „რატომ მუშაობს ეს ქალი?“. თუ მისი ცხოვრების უკანასკნელი თხუთმეტი წლის განმავლობაში მიცემულ რამდენიმე ინტერ-







ვიუს და საზოგადოებაში რამდენჯერმე მიცემულ განმარტებას არ ჩავთვლით, ამ კითხვას ჯეკიმ გასცა მშვენიერი პასუხი, რომელშიც სიმპათიის აღმძვრელი გულწრფელობით წერდა, რამ აფიქრებინა ცხოვრების გზაგასაყარზე, 46 წლის ასაკში საკუთარი პროფესიული კარიერის გზას შედგომოდა. „ჩემს თაობაში ითვლებოდა, რომ თუ ქალს ოჯახი ჰქონდა, არ უნდა ემუშავა. ბევრს უმაღლესი განათლებაც ჰქონდა – მაშ, რა უნდა ეკეთებინათ მას მერე, რაც შვილებს დაზრდიდნენ, ფანჯარასთან მდგარიყვნენ და წვიმის წვეთებისთვის ედევნებინათ თვალი? თავიანთი დახვეწილი გონებისათვის

გამოყენება არ ეძებნათ? რა თქმა უნდა, ქალმა უნდა იმუშაოს, თუკი ეს თავად სურს. ადამიანმა რაღაც უნდა აკეთოს, რაღაც ისეთი, რაც სიამოვნებას ანიჭებს. ბედნიერების განსაზღვრებაც ხომ ასეთია: „საკუთარი შესაძლებლობების ხორცშესხმა, მათთვის მასშტაბურობის მინიჭება და წარმატების ასე მიღწევა“. ეს ქალებს სწორედ იმდენადვე ეხებათ, რამდენადაც მამაკაცებს“.

იმ პერიოდის დასაწყისში ჯეკიმ ერთ ახლო მეგობარს გულწრფელად უთხრა: „ცხოვრებაში ყოველთვის მამაკაცებს ვეყრდნობოდი და მათ მიერ შემოთავაზებული ცხოვრებით ვცხოვრობდი.

ახლა ვხვდები, რომ ამას ველარ გავაკეთებ.“ ჯეკის ცხოვრებისეული საგის მესამე თავი, რომელიც მისი ორი ქორწინების დასრულების შემდეგ დაიწყო, მისი ბიოგრაფიების ავტორების მიერ არასათანადოდაა გაშუქებული, მიუხედავად იმისა, რომ ეს პერიოდი 19 წელიწადზე მეტს, მისი სიცოცხლის თითქმის ერთ მესამედს მოიცავს, რომელიც ჯეკი ონანისმა საკუთარ კარიერას და მოწოდებას მიუძღვნა. კომლექსური ბუნების, რენესანსული ტიპის ქალი – ასეთი იყო ჯეკი, რომელსაც მე, როგორც მისი გამომცემლობის ერთ-ერთი ავტორი ვიცნობდი, ვისაც მისი ცხოვრების უკანასკნელ ათწ-



ლეულში ჩემს სამ წიგნზე მასთან ერთად მუშაობის ბენდიერება მქონდა.

„მე ხომ რეპორტიორი ვიყავი და ისტორიის უმნიშვნელოვანესი მონაკვეთების თანამონაწილედ გავმხდარვარ. არა მგონია, ამ სამუშაოსთვის ყველაზე შეუფერებელი ადამიანი ვიყო“.

„მასხოვს, ერთხელ ტაქსის მძღოლმა მკითხა, „ქალბატონო, თქვენ მუშაობთ, იმის მიუხედავად, რომ მუშაობა არ გჭირდებათ? ვუთხარი, დიახ-მეთქი. მომიბრუნდა და მითხრა: „მე თუ მკითხავთ, ეგ შესანიშნავია!“

უაკლინ კენედი-ონასისი

1975 წლის ზაფხულში, მეორედ დაქვრივების შემდეგ, ჯეკიმ ბავშვებთან ერთად მანჰეტენზე გადაწყვიტა ცხოვრება. იმედი ჰქონდა, რომ მათი ცხოვრება თანდათანობით კალაპოტში ჩადგებოდა. მაშინ მეგობრებმა შენიშნეს, რომ ჯეკი ისე ცხოვრობდა, თითქოს რაღაც სენი შეყროდა: მოწყენილობისა და შფოთვის შემოტევების დაუსრულებელ მონაცვლეობაში. გლოვის პერიოდი მეტისმეტად გაიწელა.

ჯეკი თავის დაძლევის ცდილობდა და მალე ცხოვრების ჩვეულ, მანჰეტენურ წესს დაუბრუნდა, თუმცა, რეპორტიორებს მერეც გაუბრუნდა. ქეროლიანი,

რომელიც მაშინ 17 წლის იყო, ლონდონში დასახლებას აპირებდა, რომ სოთბის სახვითი ხელოვნების კურსებზე ესწავლა, 14 წლის ჯონი კი, კენედების ოჯახის უკანასკნელი წევრი, რომელზეც საიდუმლო სამსახურების დაცვა ვრცელდებოდა, ზედა ვესტ საიდზე, ცნობილ საუნივერსიტეტო სკოლაში სწავლობდა. ბავშვები გაიზარდნენ, იმდენი დროის დათმობა არ ჭირდებოდათ, რამდენისაც ადრე, და ჯეკის თავისუფალი დრო გაუჩნდა.

>>> ბაზრქილება გვ. 98

ეპისკოპოსი, ექსპერტი ბენდერის საკითხებში

ავტორი: ნათია გულიაშვილი
ფოტო: მარიკა ქოჩიაშვილი

კვირა, შუადღის 12 საათზე ევანგელისტურ-ბაპტისტურ ეკლესიაში ტრადიციული წირვა იწყება. მოგრძო დარბაზის ორივე მხარეს ჩარიგებულ სკამებზე მრევლის წევრები სხედან, მათ შორის გზას კი, შესასვლელიდან ამბიონისკენ, ღვთისმსახურები გადიან. გალობა, სახარების კითხვა, ქადაგება, ბოლოს – ზიარება. უჩვეულო თითქოს არაფერია, თუ არ ჩავთვლით, რომ პირველად ვხედავ ამბიონზე მდგარ მოქადაგე ქალს.

რამდენიმე თვის წინ, ომბუდსმენის ინიციატივით, ოჯახში ძალადობის თემაზე რელიგიურ და ეთნიკურ უმცირესობათა შეხვედრა მოეწყო. ერთ-ერთმა მონაწილმა სტუმარმა, რუსუდან გოცირიძემ, თავი საქართველოს ევანგელისტურ-ბაპტისტური ეკლესიის ეპისკოპოსად წარადგინა. არ მახსოვს, თავის მეორე სტატუსი მაშინვე აღნიშნა თუ მოგვიანებით, მაგრამ არანაკლებ გავოცდი, როცა გავიგე, რომ ის „კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო ცენტრში“ გენდერის და რელიგიურ უმცირესობათა საკითხებზე ექსპერტად და ტრენერად მუშაობდა.

ქალის ღვთისმსახურება არათუ საქართველოში, მსოფლიო პროტესტანტულ რელიგიებშიც არცთუ ხშირი და უმტკივნეულო მოვლენაა. რუსუდანმა პარალელი გაავლო პატრიარქალურ კულტურებში არსებულ სტერეოტიპებთან და თავისი „ორბუნებოვანი“ საქმიანობის ძირითადი კრედოც, მოგვიანებით, ნაშრომის სახით ასე განსაზღვრა „ქალისა და მამაკაცის თანასწორობა ეკლესიის კართან არ მთავრდება“ – კარის არც იქით მხარეს, არც – აქეთ.

33 წლის ასაკში ანაფორა მოირგო. თუმცა ეპისკოპოსად ხელდასხმამდე, ცხოვრებას თუ რეტროსპექტივაში გახედავს, ჯერ შიდაეკლესიური განხეთქილება ჩანს, მანამდე იმის გაცნობიერება, რომ, რაკი ქალია, ეკლესიაში კარი დაკეტილი აქვს, კიდევ უფრო ადრე, მიხვედრა, რომ „სხვაა“, „უმცირესობაა“, არაუმრავლესობის რელიგიის აღმსარებელია.

თავდაპირველად კი, იყო ბავშვობა და ძილის წინ, პაპისგან ზღაპრებად მოთხრობილი „ბიბლია“. პაპა ჯერ დიაკვანი იყო, მერე ქართლის რეგიონის უფროსი ხუცესი, იმ რეგიონის, რომელზე პასუხისმგებელიც ახლა რუსუდანია.

„პაპას უყვარდა ხოლმე ბიბლიური ამბების მოყვლა. ეს იყო ჩვენი ზღაპრების საღამო. თან ძალიან ცრემლიანი კაცი იყო, იოლად უჩუყდებოდა გული, ტიროდა და ასე გვიყვებოდა, მაგალითად, იოსების ამბავს, თუ როგორ გაყიდეს ძმებმა. ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს შორეულ ამბავს კი არ ვისმენდი, არამედ რაღაცას, რაც ამ კაცსაც ეხებოდა და ამის ცრემლების გამო გვეხებოდა ჩვენც, შვილიშვილებსაც. სახლში ყოველთვის ასეთი გარემო იყო და ასე მოვიდა ჩემამდე რწმენაც. მხოლოდ, როცა ნამოვიზარდე, მაშინ გავაცნობიერე, რომ არსებობს სხვანაირი ეკლესიებიც და ისიც, რომ შეიძლება შენი ეკლესია ვიღაცას არც ეხატებოდეს გულზე.“

და კიდევ უფრო ადრე იყო დიდი ბებო – მელანო. ბაპტისტად მაშინ მონათლულა, როცა რუსუდანის პაპაზე იყო ფეხმძიმედ. ბუნდოვნად ახსოვს, თუმცა იცის, რომ უცნაური ქალი იყო

და მასთან ერთად იმ პერიოდს იხსენებს, ბაპტისტური ეკლესიის პირველ ნაბიჯებს რომ უკავშირდება საქართველოში.

„დიდუბეში ჰქონდათ ძველი სახლი, რომელიც მორწმუნეებმა ააშენეს და მერე ეჭვი გვაქვს, იმის გამო ჩამოერთვათ, რომ საბჭოთა ხელისუფლებას არ უნდოდა, იქვე მდგარ სკოლასთან პატარა ეკლესია ყოფილიყო. მოგვიანებით, გერმანელი ტყვეების მიერ აშენებული საწყობი მისცეს, დაბალჭერიანი, კაპიტალური კედლებით. მიწის ზემოთ ჭერის ამალღების უფლებაც არ ჰქონდათ და მარტო ის შეძლეს, ძირი გაეთხარათ და ამის ხარჯზე აემალღებინათ, მერე გადმოვიდნენ აქეთ, დაახლოებით 1973–74 წელი იყო. მაშინ ჯერ კიდევ მშენებარე იყო, როცა ერთ-ერთი პირველი ჯვრისწერა, რომელიც ამ ეკლესიაში ჩატარდა, დედაჩემის და მამაჩემის ყოფილა.“

სტალინის დროს, ერთი ისეთი პერიოდიც იყო, ბევრი ღვთისმსახური რომ დაუჭერიათ და ეკლესიაში მამაკაცი ხუცესები თითქმის აღარ დარჩენილან. ჰოდა, მელანო ბებო, დილომში, ისევ რამდენიმე მეზობელთან ერთად იკრიბებოდა და ხან სად ლოცულობდნენ, ხან სად. მიუხედავად იმისა, რომ უბრალოდ მორწმუნე იყო, ქალების მაშინდელი მდგომარეობის ფონზე, რუსუდანს მელანო ბებო სერიოზულ ღვთისმსახურად მიაჩნია.

„მის დროს კი არა, როცა მე ამ ეკლესიაში ვიზრდებოდი, ქალები მაშინაც ძალიან შეზღუდული იყვნენ, ისინი ეკლესიის ძმებს სოციალურ საქმიანობაში, ავადმყოფების, მოხუცების მონახულება-მოვლაში ეხმარებოდნენ. ხოლო ლიტურგიაში მათი ერთადერთი



და ყველაზე აქტიური მონაწილეობა გალობით ან ლოცვით გამოიხატებოდა“.

...ეს ყველაფერი ხდებოდა, სანამ ეკლესიის სათავეში მალხაზ სონლულაშვილი მოვიდოდა. მანამდე კი, კიდეც ერთი სცენა, რომელიც ყოველთვის კარგად ახსენებს საეკლესიო რეფორმამდე მდგომარეობას.

„აქვე ხუცესების ოთახია, პატარა სტუდია გვექონდა, სადაც გადავწყვიტეთ, რომ მათი ქადაგებები, რომლებსაც კასეტაზე იწერდნენ, მუსიკალურად გაგვეფორმებინა, ვთქვათ, შესავალში ან მნიშვნელოვან მომენტებში კლასიკური ნაწარმოებებიდან ნაწყვეტები დაგვედო. ამას იმისთვის ვაკეთებდით, რომ მერე ეს კასეტები ლოგინად ჩავარდნილი ავადმყოფებისთვის მიეტანათ. რა თქმა უნდა, თვითონ ტექსტში საერთოდ არ ვერეოდით. ვინერდით ბიბლიურ მოთხრობებსაც და აქაც საინტერესო იყო, რომ აუცილებლად მამაკაცის ხმით იწერებოდა ეს ტექსტები, ქალის ხმა არ უნდა გამოჩენილიყო. ერთხელაც მოვიდა ხუცესი და ნახა, რომ სტუდიაში ვისხედით გოგოები და არასოდეს დამავინწყებდა, როგორ გაბრაზდა, ეს რა საბავშვო ბალიაო, როგორ გაბედეთ, პატარა გოგოები დგახართ და კასეტებს რალაცებს უშვრებითო. არადა, მანამდე ეგონა, რომ ამ კასეტებს იმ სტუდიის სხვა თანამშრომლები აკეთებდნენ და ძალიან ბედნიერი იყო პროდუქტით“.

ასეთი დამოკიდებულების ფონზე მოვიდა ეკლესიაში მალხაზ სონლულაშვილი და რუსუდანისთვის ყველაზე უცნაური, გარდატეხის პერიოდი დაიწყო.

პირველი ნაბიჯი – ბიბლიის სკოლის გახსნა იყო, სადაც საღვთო წერილის, ეკლესიის, ქრისტიანობის ისტორიის გაცნობა უკვე ყველას შეეძლო, კაცებსაც და ქალებსაც. ახალგაზრდებს თავისუფლების სულისკვეთება გაუჩნდათ და ყველაზე უცნაური ის იყო, რომ პატრიარქალურ კულტურაში, სადაც ისინი ცხოვრობდნენ და სადაც გენდერული თუ ასაკობრივი სეგრეგაცია არსებობდა, უცებ პატარებს, ახალგაზრდებს, ქალებს, კაცებს,

ჭკუას დაეკითხნენ, უცებ, მიხვდნენ, რომ ეკლესიაში მათი ნათქვამიც ფასობდა. უკვე ერთად სხდებოდნენ და გეგმავდნენ მოახლოებულ დღესასწაულებს, ისეთ რამეში შეერივნენ, რაც მანამდე ხელშეუხებელი, აკრძალული და ბოქლომდადებული იყო მათთვის. ამ პერიოდის შესახებ ისე ყვება, როგორც დიდი საიდუმლოს აღმოჩენის და განდობისას ადამიანი, ფრთხილად და თან აღელვებით.

მანამდე, იმის გამო, რომ ეკლესიას არ ჰქონდა საკუთარი საგანმანათლებლო ინსტიტუტი, ცოდნას ღვთისმსახურებისას იღებდნენ, ერთი მსახური ახალგაზრდას იმონაფებდა და გადასცემდა თავის ცოდნას, თან დაჰყავდა, როცა რამეს თვითონ აკეთებდა, ქადაგებდა თუ სოციალურ საქმიანობას ეწეოდა. ანუ ეს ხდებოდა არა აკადემიურ-თეოლოგიურ დონეზე, არამედ ცხოვრებისეული გამოცდილებით.

„ამ ჯაჭვში კი მაშინ ჩვენ არავინ მიგვაკარებდა. და ამ სკოლის გახსნისას თავიდან ვიფიქრეთ, რომ ამის დამთავრების შემდეგ, კარგი საკვირაო სკოლის მასწავლებლები გაეხდებოდათ. მერე დავინწყეთ რიტორიკის სწავლა, გამოცდებს ვაბარებდით, ქადაგების ხელოვნებას ვხვეწდით. ეს უკვე აღარ იყო საკვირაო სკოლის მასწავლებლობისთვის საჭირო საგნები და ნელ-ნელა ვხვდებოდით, რომ ჩვენს თაობას შეგვეძლო, რალაც სერიოზული გვეკეთებინა ეკლესიაში, ოღონდ რა შეიძლებოდა ეს ყოფილიყო, ჯერ არ ვიცოდით. არც ისე დიდი დრო იყო გასული მას შემდეგ, რაც ხუცესმა კასეტებში ჩარევის გამო, კარი მიგვიხურა“.

მიხურული კარის გაღებას წლები დასჭირდა, რეფორმებმა ნაბიჯ-ნაბიჯ მოიტანა, ჯერ საყოველთაო მღვდლობის იდეა, რაც მთავარი პრინციპია ბაპტისტურ ეკლესიაში, ეკუმენური ღიაობა, სოციალური აქტივობის წინ ნამონევა და გარდამტეხი მომენტი – ქალებისთვის ღვთისმსახურებაში კარის გახსნა. ამ ნაბიჯების გადადგმა ძვირადაც დაუჯდათ რეფორმატორებს, ეკლესიის ერთმა ფრთამ ვერ იგუა რეფორმის ის ნაწილი, რომელიც, მათი თქმით, ეწინააღმდეგებოდა იმ პრინციპებს, რაც ქრისტიანობაში მა-

ნამდე უსწავლიათ. ბუნებრივია, ასეთი განწყობა გაჩნდა მრევლის ნაწილშიც.

მნიშვნელოვანი დღე კი რუსუდანის სასულიერო ცხოვრებაში თითქოს ბუნებრივად მოახლოვდა, როცა წინამძღვარმა დაიბარა და ჰკითხა, როგორ ფიქრობ, ხომ არ დადგა დრო, სერიოზული გადაწყვეტილება მიიღო.

„ავიღე დრო ფიქრის და ლოცვისთვის და პირველი, რაც გავაკეთე, მოვედი სახლში, მიხო დავისვი და ვილაპარაკეთ დიდხანს, ბევრ რამეზე.“ – მიხო მეუღლეა. ადამიანი, რომელიც რუსუდანს სასულიერო მოღვაწეობის შემდგომი სტატუსის განსაზღვრაში ისევე მნიშვნელოვნად დაეხმარა, როგორც ეკლესიის წინამძღვარი. „იმ დროისთვის უკვე 8 წლის ოჯახი გვექონდა, ერთმანეთს ძალიან კარგად ვიცნობდით და რადიკალური ცვლილება ჩვენს ურთიერთობაში არ მომხდარა. სერიოზულად გამიმართლა, რომ რალაცების ახსნის გარეშე, ბუნებრივად მიხვდა ბევრ რამეს. ძალიან მიიღობს საქმეს, რომ ეს ადამიანი მეხმარება და ჩვენი თანასწორობა სახლის კარის ზღურბლთან არ მთავრდება. პირიქით, სწორედ იქ, ერთად ვიზიარებთ იმ პასუხისმგებლობას, რასაც ოჯახი და ბავშვების აღზრდა ჰქვია.“

ამგვარად, ფაქტობრივად ეკლესიაში გაზრდილი გოგონა, რომელსაც მრევლის დიდი ნაწილი ლადო პაპას შვილიშვილად იცნობდა, ახლა თავად უნდა გამხდარიყო მათი ერთ-ერთი წინამძღოლი.

ხოლო იქ, სადაც არც ლადო პაპას შვილიშვილად იცნობენ, უცხო თვალების გაკვირვებული მზერა აღარ უკვირს. საქართველოში კი არა, მსოფლიოს დასავლეთ ნაწილშიც უჭირთ, ქალი სამღვდლოებაში ჩვეულებრივად აღიქვან.

„საფრანგეთის ცნობილი ტეზუს მონასტრის ძმებს შენევაში პილიგრიმაჟი ჰქონდათ. 40 ათასამდე ადამიანი იყო ჩამოსული, ევროპიდან, ამერიკიდან, კანადიდან, კათოლიკეები, პროტესტანტები, სამწუხაროდ, მართლმადიდებლები – ნაკლებად. ერთი და იმავე შეკითხვებს: ასე რად გაცვია? საიდანა ხარ? ხუცესი ხარ? კათოლიკე ხარ? მონაცვლეობით ვისმენდი მათგან“.

მიხურული კარის
გაღებას წლები
დასჭირდა,
რეფორმებმა ნახიჯ-
ნახიჯ მოიტანა,
ჯერ საყოველთაო
მღვდლობის იდეა, რას
მთავარი პრინციპია
ბავტისტურ ეკლესიაში,
ეკუმენური დიალოგი,
სოციალური აქტივობის
წინ წამოწევა და
გარდამგებნი მომენტი
– ქალებისთვის
ღვთისმსახურებაში
კარის გახსნა.



ისტორია

ქალთან, რომელიც ანაფორას ატარებდა, ფოტოებს ისე იღებდნენ, როგორც ბავშვები მიკი-მაუსთან. ამბავს ხუმრობით კი იხსენებს, მაგრამ ყოველთვის არ ეცინება ამ საკითხზე ფიქრისას.

მასხენდება რამდენიმე ქართული ფორუმი, სადაც რუსუდანის ეპისკოპოსად ხელდასხმის შესახებ გახსნილ თემებს გადავანყდი, მართლმადიდებელი მრევლის ფორუმზე, ისევე როგორც „მრავალფეროვან“ forum.ge-ზე, უმრავლესობა ამ ამბის გამო აღშფოთებულია. განწყობას, მართლმადიდებელი მრევლის ფორუმზე, ისევე როგორც „მრავალფეროვან“ forum.ge-ზე, უმრავლესობა ამ ამბის გამო აღშფოთებულია. განწყობას, მართლმადიდებელი მრევლის ფორუმზე, ისევე როგორც „მრავალფეროვან“ forum.ge-ზე, უმრავლესობა ამ ამბის გამო აღშფოთებულია. განწყობას, მართლმადიდებელი მრევლის ფორუმზე, ისევე როგორც „მრავალფეროვან“ forum.ge-ზე, უმრავლესობა ამ ამბის გამო აღშფოთებულია.

ამართლონ ქალის ეკლესიაში მსახურება.

წმინდა ნიგნიდან ციტატების ომზე კი რუსუდანი ერთ ამბავს იხსენებს.

„სკოლაში სწავლისას ის დრო იყო, მასწავლებლები სპეციალურ საუბრებს რომ გვიტარებდნენ, თუ რა ჩამორჩენილები და არაპროგრესულები არიან ეს ჩვენი ბებიები და პაპები, ეკლესიაში რომ გვატარებენ, კვერცხს გვიღებავენ. მოკლედ, კომუნისტებს მაშინ თავისებური წინასააღდგომო „სამზადისი“ ჰქონდათ. ერთხელაც, დამრიგებელმა ისეთი რამ გვითხრა, რაც მერე ხშირად გამომიყენებია ჩემს ქადაგებებში. თქვა, რომ სახარებაში ბევრი ისეთი რამ წერია, რაც ერთმანეთს ეწინააღმდეგება, ამდენად, როგორ შეიძლება, ამას ენდოს კაციო. მას, ალბათ, არც ჰქონდა წაკითხული და ვერ ხვდებოდა, რას ამბობდა,

უბრალოდ დაავალეს, ასე ეთქვა. ამიტომ, ჩემმა მერი მასწავლებელმა არც ის იცოდა, თუ რამდენად მართალი იყო, ამას რომ გვეუბნებოდა. სახარება ისეთი ტექსტია, მას თუ მიყვები, როგორც კანონთა კრებულს, აბსოლუტურად ერთმანეთთან შეუთავსებელ რალაცებს წაანყდები. მაგრამ ეს არ არის კოდექსი, ეს სულ სხვა რამეა, ეს არის სიყვარულის, სიცოცხლის წიგნი. ბევრ რამეს იტევს და შეზღუდული არ არის.“

ამ საკითხმა შთააგონა, ჯერ კიდევ ელია წინასწარმეტყველის სკოლაში სწავლისას, სადილომოდო ნაშრომად თანასწორობის თემა აეღო. სახელწოდებაც – „ქალისა და მამაკაცის თანასწორობა ტაძრის კართან არ მთავრდება“ – ერთმა კონკრეტულმა შემთხვევამ უკარნახა.

საპატრიარქოს კონფერენცია ტარდებოდა, აზერბაიჯანიდან და ირანი-



დან იყვნენ სტუმრები. რელიგიებში ქალის როლს განიხილავდნენ, საღვთო წერილზე დაყრდნობით, სად პოულობენ, როგორ საზღვრავენ ქალის როლს. მთელი დღე ისმენდა მოხსენებებს იმაზე, თუ რა ბედნიერია ქალი ისლამში, იუდაიზმში, ქრისტიანობაში, როგორია მათი უფლებები, თანასწორობები.

„სხვათა შორის, ჩემთვის მაშინ მართლა აღმოჩენა იყო, თანასწორობის რამხელა რესურსს იძლევა თურმე „ყურანი.“ მერე, როცა დისკუსიის ეტაპზე გადავედი, მე, რომელიც არამართო ეკლესიაში, ყველგან, ქუჩაში, ოჯახებში ვანწყებოდი უთანასწორობას, ვერ მოვთოკე ემოცია, სიტყვა ვითხოვე და ვთქვი, რომ შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს ამ სამყაროს იქით, ვერაფერს ვხედავთ-მეთქი. ეს არის ქვეყანა, სადაც ეკლესია ასეთ ბევრ რამეს კარნახობს საზოგადოებას

და თუკი ამ ეკლესიაში იქნება არათანასწორი მიდგომა, ძალიან ძნელია, ეს დაივინყო, როცა იქიდან გამოხვალ, სახლში დაბრუნდები და ქალი ჭურჭლის რეცხვას შეუდგები, კაცი კი დაჯდება და გაზეთის კითხვას დაიწყებ. ყოველდღიურად თითქოს არაფერი, მაგრამ ეკლესიაში ბევრი ნიუანსია, თუნდაც ის, რომ ზიარება ჯერ კაცებმა უნდა მიიღონ. თუმცა ყველა რელიგიას თავისი სივრცე და კანონები აქვს და არ მაქვს უფლება, ეს გაგაკრიტიკო. ზოგადად კი, როცა რწმენა რელიგიად იქცევა, იქ უკვე ბევრ რამეზე აღარ უნდა გვქონდეს პრეტენზია, იმიტომ, რომ რელიგია ორგანიზაციაა, რომელიც ცოცხალ ურთიერთობებს აუქმებს.

I, II, III საუკუნეებში არსებობდა საფლავის ქვების წარწერები, რომლებიც იმ ადგილას დიაკვანი ქალის

სამყოფელს მიგვანიშნებდა, მაშინ სასულიერო იერარქია ხუცესებად და ეპისკოპოსებად არ იყოფოდა, და თუ ქალი დიაკვნობაზე იყო ხელდასმული, ეს უკვე ნიშნავდა, რომ ღვთისმსახურის ფუნქცია ჰქონდა. მნიშვნელოვანია, რომ ძველი ეკლესიების გამოცდილებაში III-IV საუკუნის შემდეგ, მას შემდეგ რაც established church გახდა, უცებ ბევრი რამე ცუდისკენ შეიცვალა. მერე იყო საეკლესიო კრება, რომელზეც საკითხი ისე დადგა, ქალი სულის მქონე ადამიანი იყო, თუ უბრალოდ რეპროდუქციული უნარის მქონე ცხოველი, რომელიც მამაკაცს სჭირდებოდა შთამომავლობის გასაგრძელებლად.“

ფიქრობს, რომ ამ თემაზე ჯერ კიდევ ბევრი აქვს სამუშაო და თავისი ნაშრომისთვის სხვადასხვა რელიგიის და მოციქულების ტექსტებს ისევ იკვლევს.

მანამ კი გზას, რომელიც ლადო პაპას შვილიშვილობიდან დღემდე გაიარა, ახლა მისი შვილები გადაიან, 11 წლის მათე და 13-ის ნანო. ეკლესიაში მის გვერდით არიან, ამ ეზოში თამაშობენ და ელოდებიან, ამ ეკლესიის საკვირაო სკოლაში და საზაფხულო ბანაკებში დადიან, მათთვისაც აქ უკვე ისეთივე ბუნებრივი გარემოა, როგორც, თავის დროზე, რუსუდანისთვის. ფიქრობს, რომ ბავშვებს მოსწონთ, „უცნაური“ დედა რომ ჰყავთ.

„ცოტა უფრო პატარები რომ იყვნენ, ქადაგებას მათ გარეშე არ ვამზადებდი, დავისვამდი ხოლმე და ამათ ვეკითხებოდი ბევრ რამეს. ზოგადად, ბავშვები ბევრ რამეს, თანაც უცნაურს მეუბნებიან. ძალიან უხაროდათ და ფილოსოფობას იწყებდნენ. ეს არის ჩემი ინსპირაცია და ყველა ნაბიჯის თანამდევი. ერთხელ, მასხოვს, გეთსიმანიის ბალის ამბავზე წითელი პარასკევის ქადაგება მქონდა მოსამზადებელი. ნანიკო 5-6 წლის იქნებოდა მაშინ, ვკითხე, როგორ ფიქრობ, აი, ქრისტე ხომ ღმერთი იყო, რატომ ტიროდა-მეთქი,“ ღიმილით იხსენებს მის პასუხს, მგონი, ქრისტე ფიქრობდა, ვაი და, მკვდრეთით რომ აღარ აღვდგეო!

კითხვაზე, როგორ უნდა მოქცეულიყვნენ, მასწავლებელმა მიუბო, რომ ვინც მუსლიმი იქნებოდა, ქლასიდან გავიდოდა და დარჩებოდნენ და ილოცებოდნენ მხოლოდ მართლმადიდებელი ბავშვები.



>>> ბაბრქელეზა გვ. 104

ოჯახი როგორც არჩევანი

ბავშვობაში ჩემთვის ყველაზე დიდი სიხარული ბებიისა და ბაბუის სახლში ყოფნა, მათთან დარჩენა და მათთან ერთად დაძინება იყო, ალბათ, არაფერს ახალს არ ვამბობ და ამ სიხარულით არავისგან გამოვირჩევი. ისინი დიდი ხანია რაც ცოცხლები აღარ არიან და ასეთი დაუოკებელი სურვილი ვინმეს სივრცეში და სახლში ყოფნისა – მეც დიდი ხანია აღარ მაქვს. სამაგიეროდ, ახლა ჩემი შვილი მიინეცს საკუთარი ბებია-ბაბუის ნიაღში.

მისი ოჯახის საზღვრები ბევრად უფრო ფართო და ვრცელია, ვიდრე, ვთქვათ, ჩემი და ჩემი ცოლის, იგი საშობაოდ სულ მცირე სამ სახლში ვარაუდობს და ელოდება საშობაოდ თოვლის ბაბუის მოსვლას, რომელიც მისთვის საჩუქრებს მოიტანს. პირველი, საკუთარ სახლში, მეორე ჩემი ცოლის მშობლების სახლში და მესამე, მამაჩემის სახლში. ჩვენ დაჩის ამგვარ სურვილს, ბუნებრივია, საჩუქრებისა და სათამაშოების ბავშვურ სიყვარულს ვუკავშირებთ, მაგრამ არა მგონია, რომ საქმე მხოლოდ საჩუქრებში და სათამაშოებში იყოს. სამივე ხსენებული სივრცე, მათში მცხოვრები ადამიანებით, მისი პირადი სივრცეა, სამივეგან იგი თავს საკუთარ სახლში გრძნობს, სადაც შეიძლება მასთან ზღაპრული თოვლის ბაბუა მოვიდეს. ჩვენთან კი უფროსებთან თოვლის ბაბუას მსგავსი ზუსტად ვიცით რომ არავინ მოვა, ჩვენ მათი არ გვჯერა. არათუ ზღაპრული თოვლის ბაბუების, არამედ ხშირად რეალურად არსებულის, ხელშესახები რამისაც არ გვწამს. რომელიც შეიძლება ჩვენს ცხვირნინ იყოს მუდამ, ან მთლად მასში ვიმყოფებოდეთ, მაგალითად იმის, რასაც ოჯახი ჰქვია. ოჯახზე ბევრი რამ დაწერილა, სხვადასხვა დროში და კულტურაში იგი ერთნაირად აქტუალური თავსატეხი გახლდათ ადამიანებისათვის – ზოგისთვის თბილი თავშესაფარი, ზოგისთვის ცივი საპყრობილე. და მაინც, როგორ ვუყურებთ დღეს ამ წინარეისტორიულ ინსტიტუტს. ანდა პირიქით, როგორ გვიყურებს და როგორ განგვსაზღვრავს ეს მარად ახალგაზრდა რელიქტი ჩვენ?!

ოჯახი ჩვენი, თავისუფლების შეზღუდვაა თუ თვითგანხორციელების სივრცე, სანამ ამაზე საუბრებს დაეიწყებდეთ, მხოლოდ ერთი ტრივიალური ფაქტის აღნიშვნის უფლებას მივცემ საკუთარ თავს, კარგ და ცუდ ოჯახებს ვქმნით მხოლოდ ჩვენ და არავინ სხვა ჩვენს გარდა, ისევე, როგორც საკუთარ თავს.

რატი ამალალობელი



F-V-IVORY

ჩემი „ღანაშაული“ და ჩემი „სასჯელი“

ავტორი: დიანა ანთონიძე

ეს ის შემთხვევაა, როცა სანახევრო და შუალედური არ არსებობს, როცა ან ფეხზე მდგარს გიყვარს ჭამა, ან ერთ მაგიდასთან დამსხდარ ოჯახის წევრებთან ერთად გირჩენია, ჩაის ან სულ უშაქროდ სვამ, ან 5 კოვზ შაქარს ყრი და ზედ ლედვის მურაბასაც აყოლებ, ან მწვადი უნდა დანვა, ან შამფური. რაზე ვლაპარაკობ – იკითხავთ თქვენ – რაზე და ჩვენთვის ასე საყვარელ სტერეოტიპებზე, როცა ან ლამაზი ხარ ან ჭკვიანი, ან ღრმადმორწმუნე, ან გამოუსწორებელი ათეისტი, ან ოცდაოთხი საათის განმავლობაში თეთრეულს და ჭურჭელს რეცხავ ან ქალთა უფლებებისათვის იბრძვი, ან სრულიად ბედნიერი თავისუფალი ურთიერთობა გაქვს, ან კიდევ ძალიან უბედური ცოლი ხარ, მოკლედ, უამრავი ასეთი ან – ან.

ძალიან დამღვლილია და ცოტა გულდასანყვეტი ლიტერატურასა თუ კინოში გავრცელებული მზა ტიპაჟები – შეუხედავი და მოსულელი ცოლი და ძალიან ლამაზი არაცოლი, რომელიც თურმე ჩელოზეც უკრავს და ჰაიდგერსაც კითხულობს, ღიპიანი და არაყისუნანი ქმარი და სიმპათიური არაქმარი, რომელიც მეზობლად ცხოვრობს და ასე ძალიან ჰგავს რობერტ ტილორს.

ვინმემ რომ მკითხოს, რა ვიცი ყველაზე კარგად, ან რა გამომდის ყველაზე ხარისხიანად – ალბათ, ასე ვუბნის – საქმლის კეთება და პოეზია, ხოდა, ამიტომ მაგალითსაც აქედან მოვიყვან. მთელი ცხოვრება ვამბობდი, რომ ჩიხირთმას ვერ ვიტან, არადა, გასინჯული არ მქონდა, ჩემს ოჯახში საქართველოს აღმოსავლეთისათვის დამახასიათებელი წვნიანების ტრადიცია არ ყოფილა, დედა არასდროს ამზადებდა. ამ ბოლო ხანებში მივირთვი ჩემი ქმრის ბებრის მომზადებული – ხოდა, მშვენიერი წვნიანი ყოფილა, ყუათიანი, გემრიელი, განსაკუთრებით ამაღლებს

გუნება-განწყობილებას.

ახლა მეორე მაგალითი – მეთერთმეტე კლასში რომ ვიყავი, მაშინ განსაკუთრებით მოდაში იყო გალაკტიონ ტაბიძის კრიტიკა, უნდა გეტყვა, რომ ტაბიძე არ მოგწონს და ტერენტი გრანელზე გიჟდები – თქვენ წარმოიდგინეთ, მაშინ მართლა ასე ვფიქრობდი, არადა ვერ ვამბობდი, რადგან ამის თქმა მოდაში იყო. ახლა ტერენტი გრანელი ისევ მიყვარს, თუმცა გალაკტიონმაც დაიბრუნა რეპრესირებული სახელი ჩემს გულში და ადგილი ჩემი წიგნის თაროზე.

და მესამე – სულ ვამბობდი, რომ ვერაფრით ვიცხოვრებდი ადამიანთან, ვისთვისაც სულერთი და არაფრისმთქმელი იქნებოდა ჩემთვის ასე მნიშვნელოვანი სახელები, როგორცაა, მაგალითად, გუსტავ მალერი ან ჰერმან ჰესე, ზუსტად ასეთ ადამიანთან ვცხოვრობ და ძალიანაც ბედნიერი ვარ.

ახლა დასკვნა ამ ყველაფრიდან – არ ღირს წინასწარ შეიქმნა წარმოდგენა ან აზრი, ამ შენი წარმოდგენის ან აზრის გალიაში ჩაჯდე და იქიდან ვერ გამოხვიდე, არა იმიტომ, რომ კარს კლიტე ადევს, არამედ იმის გამო, რომ გამოსვლის გრცხვენია. იჯდე მორჩილად და მშვიდად ადევნებდე თვალს, როგორ მოდიან დამთვალელები, გალიაში ბატიბუტს ან ირისის კანფეტებს გიყრიან და გულდასმით კითხულობენ შენს გალიაზე მიმაგრებულ საინფორმაციო აბრას.

წინასწარ იმასაც ვამბობდი, რომ არასდროს მოვამზადებდი სადილს მამაკაცის გულის მოსაგებად, თუმცა ამას, თითქმის ყოველ საღამოს ვაკეთებ, განა აუცილებელია, მაგრამ ძალიან მსიამოვნებს, როცა მთელი დღის მუშაობით დაღლილები ვსხდებით სა-მზარეულოში, ვაკვირდები მის რეაქციებს, როგორ ჯოჯობდა ცდილობს გამოიცნოს, მაინც რა სანელებლები

გამოვიყენე, კროსკორდით სათითაოდ ხსნის ყველა ინგრედიენტს, ზოგს – ზუსტად, ზოგს – სანახევროდ, ზოგს საერთოდ ვერ ხსნის.

სადილის მომზადებისას თითქმის არცერთ რეცეპტს არ მივყოლივარ ზუსტად, ზოგჯერ შემადგენლობას იმის მიხედვით ვცვლი, რაც მაცივარში მაქვს, ზოგჯერ ინტერესის ან ექსპერიმენტისათვის, ამიტომ ვერაფრით ვიტყვი ზუსტად, რატომ გამოვივიდა ის, რაც დღეს გვაქვს ჩვენი ოჯახის სახით. მაგრამ ერთი რამე ზუსტად ვიცი, არ ღირს წინასწარი დამოკიდებულების შექმნა არცერთ საგანთან თუ საკითხთან დაკავშირებით, ყველაფერი თავისთავად ხდება. არ შეიძლება ფილმის შეფასება მის ნახვამდე, წიგნზე რეცენზიის დაწერა მის წაკითხვამდე.

პირადად ჩემთვის კი ასე ცხოვრებას თუნდაც ის უპირატესობა აქვს, რომ იმ მრავალი ადამიანიდან, რომელიც მიყვარს და რომელთაგანაც ზოგი სად და ზოგი სად მყავს დაფანტული, ერთი მაინც ჩემს გვერდით ცხოვრობს და კიდევ დიდხანს იცხოვრებს, იმედია.

ამ ახალი წლის დღეებში, როცა თითქმის ყოველი დღე რაღაცას ნიშნავს ხან ძველი, ხან ახალი სტილით, საერო თუ რელიგიური შინაარსით, ერთმა ჩემმა მეგობარმა სადღაც დაწერა, რომ რცხვენია ამდენი დღესასწაულის გამო. მე კი მგონია, რომ სჯობს, ვაცალოთ დღესასწაულებს, თავისით გაიარონ და ჩვეულებრივი სამუშაო დღეების სიმრავლეც არ დააყოვნებს.

დაგჭირვებიათ თავის მართლება იმის გამო, რომ კარგად ხართ? ყველაზე ხშირად ჩემი მშვიდი და ბედნიერი ოჯახის გამო მიწევს თავის მართლება, თითქოს პარადოქსია, მაგრამ ასეთია სტერეოტიპების მსხვერპლთა სასჯელი დანაშაულისთვის, რომელსაც ოჯახური თანაცხოვრება ჰქვია.



**და მესამე – სულ ვამბობდი,
რომ ვერაფრით ვიხსოვრებდი
აღამიანთან, ვისტვისას სულერთი
და არაფრისმთქმელი იქნებოდა
ჩემთვის ასე მნიშვნელოვანი სახელები,
როგორცაა, მაგალითად, გუსტავ მალერი
ან ჰერმან ჰესე, ზუსტად ასეთ აღმიანთან
ვხსოვრობ და ძალიანაც ბედნიერი ვარ.**

თეკლა და ზურა

ავტორი: მაია სირაშუა

ამასწინათ, ერთ-ერთ შეხვედრაზე, სადაც მოზარდების რთულ ქცევაზე ვსაუბრობდით, სკოლის მასწავლებელმა წამოიძახა – „ხედავთ, თურმე ყველა მიზეზი გარეთაა: ოჯახში, სკოლაში, ქუჩაში, მასმედიაში, მაშინ, რას ვერჩით ბავშვებს?!“

მართლაც, რაღაცას ვერჩით ბავშვებს. მინდა ამასთან დაკავშირებით ჩემი გამოცდილება, დაკვირვება და გულისტკივილი გაგიზიაროთ – პრობლემური ბავშვების პრობლემები ორი კატეგორიის ოჯახიდან იღებს სათავეს:

1. ოჯახი, სადაც ბავშვებს უგულვებელყოფენ, მათზე არ ზრუნავენ, მათ მიმართ სითბოს, ყურადღებას არ (ვერ) გამოხატავენ. ბავშვისადმი ასეთი დამოკიდებულებას მხოლოდ ე.წ. სოციალური პრობლემები არ იწვევს და საკმაოდ „გაპრანჭული“, შეძლებული ოჯახებისთვისაც არის დამახასიათებელი.

2. ოჯახი, სადაც ბავშვები ჰიპერ-მზრუნველობის მსხვერპლნი ხდებიან, მშობლები მათ „ხელს არ უშევენ“, მათ ყველა ნაბიჯს, აზრს, ფიქრს, ოცნებას აკონტროლებენ და საკუთარ შვილებს მთელი ცხოვრება ტოვებენ სიყვარულსა და ზრუნვაში შეზავებული ძალაუფლების ტყვეობაში.

კიდევ ბევრი რამ მაქვს მოსაყოლი, მაგრამ გადავწყვიტე, ეს საქმე თეკლასთვის და ზურასთვის მიმენდო. თეკლამ, ალბათ, ყველაზე უკეთ იცის ოჯახის ფასი, როლი და ფუნქცია, რადგან ის არასდროს ჰქონია, ხოლო ზურას კი ოჯახისგან დაკისრებული „მისია“ მთელი ცხოვრების ტვირთად ექცა.

თეკლა

მე ვარ თეკლა. ახლა ხელები სალგავით მაქვს მოთხვრილი. დიდ კედელთან ვდგავარ და ფერების უჩვეულო ნაზავით ჩემს ამბავს „ვუყვები“.

თეთრ ფურცელზე, შიშველი ხელებით, საკუთარ ცხოვრებას ვხატავ.

16-ის ვარ. დედაჩემიც 16-ის იყო როცა მიქარა და გამაჩინა. ჯერ მშობლებს ფართხუნა ტანსაცმელში უმაღავდა მუცელს. მერე, როცა მაჩემმა „ზადნი“ მისცა, შეშინებული გაიქცა ოჯახიდან. მუდამ დამფრთხალი და დაბნეული მიყურებდა: თან ვუყვარდი, თან უტყდებოდა ჩემი არსებობა. ერთ პატარა ოთახში ვცხოვრობდით. ხშირად დამაგდებდა მარტოს. ჯერ ვტიროდი, მერე შევეჩვიე. გულამომჯდარს და მშვიერს ტკბილად მეძინებოდა. მახსოვს დედის სუნი, მისი გამომთვრალი მზერა. სიარული ჩემით ვისწავლე, ლაპარაკი მიჭირდა. პრინციპში, არც არაფერში მჭირდებოდა. ერთხელ მაგიდის გადასაფარებელი მოვქაჩე და ცხელი ყავა გადმომესხა. ახლაც მენვის ხელები.

დღემდე ყურებში მაქვს დედაჩემის ხმა, როცა უცხო ადამიანების ოჯახში მიმატოვა და თვითონ სადღაც გაემგზავრა. იმ დღიდან სიბნელეში და სიჩუმეში ვარ. ვერ ვიტანდი სახლს, სადაც ვცხოვრობდი. მეზობლები ადამიანები, რომლებიც ცდილობდნენ, ჩემთვის პირში ძალით ჩაესხათ საჭმელი. მენატრებოდა გახუხული პური, რომელსაც დედაჩემის ცრემლების გემო ჰქონდა. ვერ ვისწავლე სიყვარული, საზიზღარი გოგო გავხდი, არ ვლაპარაკობდი. იატაკზე განოლილს შემეძლო საათობით მეზღავლა. ვიჯექი ხოლმე ბალის სკამზე და მონოტონურად ვარწმუნებდი სხეულს. ძალიან მსიამოვნებდა, რადგან დედა მახსენებოდა. საყვარელი „საქმეც“ მქონდა – ადრე ვიღვიძებდი და ფანჯრიდან ვუყურებდი, როგორ მიჰყავდათ სკოლაში ჩემი მეზობლის ბიჭი ხან დედას, ხან – მამას, ხან – ბებიას. მერე მათ შინ დაბრუნებას ველოდი. მათთან ცხოვრება მინდოდა, სიამოვნებ-

ით ვიქნებოდი თუნდაც ნაგვის ყუთი მათ სახლში. ჩემ გარშემო მცხოვრები ადამიანები თანდათან გიგანტურ მასას ემსგავსებოდნენ, მე უფრო ვპატარავდებოდი. ვერ წარმოიდგენ, რა სასტიკია ქვემოდან დანახული ადამიანი. ჯერ ფეხები ჩანს, მერე ზორბა ტანი და ბრაზისგან დაპრანული თვალები. ვერ ვიტყვი, რომ „მშობლები“ ჩემს აღზრდას არ ცდილობდნენ, მე მაინც მათ სიძულვილზე ვნადირობდი. მივალწიე კიდევ. ცუდი გავხდი, უცუდესი და ერთხელაც „მამამ“ ძალღს მიუგდო ჩემი თავი დასაგლეჯად. გაახარებს ღმერთი – არ გამწირა ბენიმ, თუმცა შიშმა, დამცირებამ, სიძულვილმა ძალა მომცა და გამოვიქციე. ახლა აქ ვარ, ბავშვთა სახლში, ბევრ ჩემსავით მიტოვებულ ბავშვთან ერთად. საღებავში ამოსვრილი ხელების რიტმული მოძრაობით ვცდილობ, ტკივილი კედელზე დავტოვო. გიშველისო, მაია დეიდა.

ზურა

მე ზურა ვარ. 15 წლის. უკვე წელიწადი გავიდა, რაც დამაპატიმრეს და წელიწადია, რაც მამა არ მინახავს. გაბრაზებულია, ვერ მამაპატივს. ძალიან განიცდის და ჩემთან მოსული მთხოვს, ხელი არ ჩავიქნო. არ დავიბოლო. დღეს გადავწყვიტე წერილი მივწერო. დილიდან მოყოლებული მგონი მე-10-ჯერ ვწერ და ვხევ. ეს ბოლო მცდელობაა.

მა, შეგიძლია მამაპატიო? ბევრი რამ მაქვს შენთვის სათქმელი და მოსაყოლი. აქ ძალიან მიჭირს. სულ დაგრუზული დავდივარ, ზოგის ნაბიჯების ხმაც კი მალიზიანებს. სული ყელში მეზღინება, როცა ერთი ბიჭი მოდის და ჯიუტად სიგარეტს მთხოვს. იცის, არ ვწნევი და მაინც მთხოვს. არა-მეთქი, ვეუბნები! გადაიხარხარებს და მიდის. მინდა ვცემო, ხელები მტკიოდეს მისი



**მათთან ცხოვრება მიწოდდა, სიამოვნებით
ვიქნებოდი თუნდაც ნაბვის ყუთი მათ სახლში. ჩემ
ბარშემო მცხოვრები ალაშიანები თანდათან გიგანტურ მასას
ემსგავსებოდნენ, მე უფრო ვკატარავდებოდი. ვერ წარმოიდგენ, რა
სასტიკია ქვემოლან დანახული ალაშიანი. ჯერ ფხეები ჩანს, მერე
ზორბა ტანი და ბრაზისბან დაპრანული თვალები.**

ცემისგან. არ შემიძლია, მა! მაპატიებ? გახსოვს, შენ სულ მასწავლიდი, რომ სანამ დაგარტყამენ, უნდა დაასწრო, რომ თავი არავის უნდა დააჩაგვრინო, რომ თუ კაცი ხარ, კაცი უნდა იყო! სულ ყურებში მაქვს ეს სიტყვები, მა! ვერ მოვახერხე, ვერ შევძელი. სუსტი ვარ, მა! ამას შენთან ვამბობ, თორე ასი წელი ვერავინ მიხვდება სინამდვილეში, როგორი ვარ. ის სანადირო დანაც იმიტომ მოგპარე, რომ სუსტი ვარ. ამას ახლა მივხვდი. აქ მივხვდი. როცა მკლავი არ გერჩის და შენი თავის იმედი არ გაქვს, მაშინ იღებ იარაღს. გვიან მივხვდი ამას, მა! არადა, მაგრად ვცდილობდი, რომ ზუსტად ისეთი ვყოფილიყავი, შენ რო გინდო-

და, მაგრამ რაც უფრო ვინდომებდი, მით უფრო არაფერი გამომდიოდა. გახსოვს, ფეხბურთიდან ჩალურჯებული თვალით რომ დავბრუნდი? გითხარი, ჩხუბი აინია-თქო. სინამდვილეში ერთმა ბიჭმა მცემა, იმიტომ, რომ ჩემი კედები არ ვათხოვე. რატომ უნდა მეთხოვებინა? თავისიც ხომ ჰქონდა? მცემა. მიწოდდა, ხელი მეც გამეძრია, მაგრამ გავხვდი, მა! მახსოვს, შენ მითხარი კიდევ – კაცმა ჩხუბიც უნდა გამოსცადოს, არა უშავს, ეს ჩალურჯებული თვალი ჩაცხრება, სამაგიეროდ, ხელის გაქნევა ხომ მოახერხეო! ვერა, მა, ვერ მოვახერხე. მაშინ ვერ გავბედე ამის თქმა. ავიღე შენი დანა და ის ბიჭი დავჭე-

რი, ზურგიდან მივეპარე და მიწოდა და მომეკლა, შენი ხმა სულ ყურებში მქონდა – არ დაგაჩმორონ, ბიჭო! ვერ წარმოიდგენ, რამხელა სიამოვნებას და ძალას ვგრძნობდი, მა, და რა მაგრად ვიგრძენი თავი!

ახლა ხომ აღარ იტყვიან ჩემზე, „პალაუენიე“ მამამ დაუყენაო. გახსოვს, სკოლის ბუფეტში რომ იჯექი, სანამ მე-5 კლასში გადავიდოდი და ყველას რომ ეჩხუბებოდი, ვინც ოდნავ „შემეხებოდა“. ამას რატომ აკეთებდი მამა?!

თუ გინდოდა, რომ ძლიერი ვყოფილიყავი, რატომ არ მომეცი საშუალება, საკუთარი ხელები მქონოდა!

ვერასოდეს გაპატიებ, მამა!

მე თუ მკითხავ...

ავტორი: ანა კორძია-სამაღაშვილი

მე დავიბადე, გავიზარდე, ვცხოვრობ და, იმედი მაქვს, დავბერდები და მოვკვდები საქართველოში. გზად გზა რა ხდებოდა და კიდევ რა მოხდება — ეს სხვა ამბავია. ჩემს პირად ცხოვრებაში ცხვირის ჩაყოფის უფლებას საკუთარ თავს ადამიანები მხოლოდ საქართველოში აძლევდნენ — ახლა უკვე ნაკლებად, მაგრამ მაინც, — და ამიტომ მხოლოდ ამ კარგი ქვეყნისას მოგიყვებით.

ვერ ვიხსენებ, ეს კითხვა პირველად როდის დამისვეს. ჩანს, ყურადღება არ მიმიქცევია — და სულ ტყუილად: ის, პირველი კეთილისმსურველი იქვე უნდა გამელანძღა, და თუ იმავე არა, მეორე დღეს მაინც ყველას ეცოდინებოდა, რომ ცუდი გოგო ვარ, უფროს-უმცროსი არ ვიცი, და შემეშვებოდნენ. ეს შესანიშნავი კითხვა ჩვენს სამშობლოში ყველა მდებარე გაუგონია, ვინც ცამეტი წლის ასაკს გადასცილდა და განსაცვიფრებლად მახინჯი არაა: „აბა, როდის თხოვდები?“

ასაკის მატებასთან ერთად კითხვის ფორმა იცვლება. ხან კითხვაა, ხან — მოწოდება, ოღონდ, შინაარსი არ იცვლება:

- მალე შენს ქორწილში გვექეიფოს!
- მე არ მეკითხები — დაგპატიჟებ?
- ერთი კარგი ბიჭი რა გახდა?
- ჩემი ბიჭი რა შენი სალაპარაკოა?
- რატომ არ თხოვდები?
- შენ ვინ გეკითხება?

– სწავლა კარგია, მაგრამ ახლა ოჯახზეც იფიქრე!

სადაა ლოგიკა — სწავლა რა შუაშია?

მოგვიანებით:
– რით ვერ გათხოვდი?

ამ ასაკში შეპასუხების უნარი თითქოს უკვე გაქვს და ლულულულებ — შენი მოკლე ჭკუით, ხუმრობ:

- არავინ მითხოვა.
- კაი, კაი, კაი, — ამბობს კეთილისმსურველი. — მე მაინც არ ვიცოდე! ნეტა, რა იცის?

მერე — კიდევ უკეთესი:
– გაჰყევი ვინმეს, რა მნიშვნელობა აქვს, იყოს კოჭლი, ბრუციანი (ბოდიში. ციტატა. მე ამ ნიშნით არასოდეს არავინ დამინუნებია — ა.კ.ს.), მთავარია, გათხოვილი ქალი იქნები...

მერე?
მერე:
– შვილი მაინც შეგრჩება...

მითხარი, მკითხველო, არ დამიმალე: ასეთი რამ შენთვის რომ ეთქვათ, არ გენწყინებოდა? ან რომ გითხრეს, არ გენწყინა? მე მწყინდა.

შემდეგი სტადია მთლად ზღაპარია:
– შვილი მაინც გააჩინე...

პასუხად კითხვაზე — საიდან? უბინო ჩასახვა მე არ მემუქრება და ქუჩაში აგარდნილი მტვრის შვილი, რა ვიცი, კარგია, ვითომ? და კვლავ პასუხი:

- კაი, კაი, კაი, მე მაინც არ ვიცოდე...

რა იცი, შე დამბალო? და ვის გაუბედე? საერთოდ, იქნებ ტრაგედია მაქვს და გამჩენმა ბერნად შემქმნა — ჩამოვდგე და გიამბო?

ბოლოს ისეთი მითხრეს, მივხვდი, რომ მაჰათმა ვარ, თორემ ახლა ქსნის კოლონიაში ვიჯდებოდი, განზრახ მკვლელობისთვის:

- ბავშვი მაინც აიყვანე!
- უარესი რა უნდა მითხრან?
- ამ სატანჯველისგან თავის დახსნის ერთადერთი პასუხი არსებობს — სიმართლე უნდა თქვა: არ მინდა.

სულ მაინტერესებს: რატომ უნდა მინდოდეს?

საერთოდ, ბევრი კითხვა მანუხებს, და ვინაიდან მე უტიფრად მისვამენ იდიოტურ კითხვებს, მოდი, მეც ვიკითხავ:

- რა უთხრა რომის პაპს ატილამ?
- გაფრინდა თუ არა გაგარინი კოსმოსში?

რას ნიშნავს „ქალური ბედნიერება“?

ასეთი რა ტრავმა მიიღო ბავშვობაში სუპერდედამ, რომ ლაქის დანახვაზე საშინლად ყვირის: „არა!“?

რატომ უნდათ ადამიანებს, რომ ვინმესთან ერთად კი არ იყვნენ, არამედ ვილაცისა იყვნენ და ვილაცა ჰყავდეთ?

და სად წერია, რომ ყოველი ქალი მხოლოდ ოჯახურ სექსსა და უზრუნველყოფილ სიბერეზე უნდა ოცნებობდეს — კონსტიტუციაში?

ბავშვი მაინც აიყვანე!
უარესი რა უნდა მითხრან?
 ამ სატანჯველისგან თავის დახსნის ერთადერთი
 პასუხი არსებობს — სიმართლე უნდა თქვა:
არ მინდა.



ოჯახი რობორს „ტკბილი პასუხისმგებლობა“

ავტორი: იაგო კაჭკაჭიშვილი

ოჯახის მიმართ ესა თუ ის პოზიცია მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია იმაზე, თუ ვინ გამოხატავს მას:

1. ვისაც ოჯახი არ ჰყავს, მაგრამ უნდა, რომ ჰყავდეს;
 2. ვისაც ოჯახი არ ჰყავს და არც უნდა, რომ ჰყავდეს;
 3. ვისაც ოჯახი ჰყავს, მაგრამ ფიქრობს, რომ ცხოვრებაში (ოჯახის შექმნით) მცდარი ნაბიჯი გადადგა;
 4. ის, ვისაც ოჯახი ჰყავს და ფიქრობს, რომ ასე ყოფნა სჯობს უოჯახოდ ყოფნას.
- ოჯახის მიმართ უარყოფით ან კრიტიკულ დამოკიდებულებას, ცხადია, პირველი სამი კატეგორიის ადამიანები გამოთქვამენ. პირველი კატეგორიის ადამიანებს ნაკლებად დაეჯერებათ, რადგან ისინი არა-გულწრფელები არიან და ოჯახის ყოლის მიზანშეუწონლობას საკუთარი განუხორციელებელი სურვილებისგან გამოწვეული ფრუსტრაციების საკომპენსაციოდ (ანუ, თავდაცვის მექანიზმად) იყენებენ; არც მესამე კატეგორიის ადამიანებს უნდა ენდო ბოლომდე, რადგან ისინი საკუთარი ემპირიული გამოცდილებიდან ამოდიან და, შესაძლოა, სულაც არ ყოფილიყვნენ ოჯახის მიმართ რეზისტენტულები, სხვა პარტნიორი რომ ჰყოლოდათ. აი, რაც შეეხება მეორე კატეგორიის ადამიანებს, მათი მოსაზრებები საინტერესოა, რადგან საკუთარი მარცხი კი არ ალაპარაკებთ, არამედ – ღირებულებითი ორიენტაცია.

მამ, რას ამტკიცებენ ისინი, ვინც ოჯახის ყოლას ღირებულებითი პოზიციიდან აკრიტიკებს?

მათი არგუმენტები, ცხადია, არაერთია, თუმცა, ყველაზე წონადად მე მანც ის მეჩვენება, რომ ოჯახი თავისუფლების ნებაყოფლობითი შეზღუდვაა, მორჩილება გარკვეული ვალდებულებების წინაშე, ყოველდღიური რუტინაა, რომელიც შემოქმედებას და ინდივიდუალობას კლავს.

ვიდრე ამ არგუმენტს ვუპასუხებდე, მცირე კონცეპტუალური ჩანართი:

ოჯახის მიმართ უარყოფით დამოკი-

დეულებას ხშირად ასაზრდოებს ოჯახის კონსერვატიული (ფუნქციონალისტური) გაგება, რომლის თანახმადაც, ოჯახი არის ერთმანეთთან ლეგალურად და ბიოლოგიურად „გადაჯაჭვულ“ ადამიანთა (დედა - მამა - შვილი) ერთობა, ეს ადამიანები ერთ ფიზიკურ სივრცეში ცხოვრობენ და განსაზღვრულ (ხშირად, ურთიერთჩაუნაცვლებელ) ფუნქციებს ასრულებენ. ამ მოდელიდან ნებისმიერი გადახვევა, აღნიშნული მიდგომის ფარგლებში, ოჯახის არასრულყოფილების, ნაკლოვანების (დისფუნქციურობის) წინაპირობად ითვლება.

ოჯახის ფუნქციონალისტური გაგება კარგა ხანია, გადაისინჯა ფემინისტურ, პოსტმოდერნულ, ზოგადად, თანამედროვე პარადიგმებში. მაგალითად, დღეს ბევრს აღარ დავობენ იმაზე, რომ სრულფასოვან ოჯახად შეიძლება ჩაითვალოს შემდეგი შემთხვევები:

- ა) მონომობლიანი (ერთი მშობელი და მისი შვილი) ოჯახი;
- ბ) ოჯახი, რომლის წევრებს არაფერი აკავშირებთ ერთმანეთთან ბიოლოგიურად და არ არიან სისხლით ნათესავები (მაგ., პარტნიორებმა არ იყოლიეს შვილი, ან აიყვანეს ბავშვი);
- გ) წყვილი, რომელთა თანყოფნა არ არის იურიდიულად რეგისტრირებული;
- დ) პარტნიორები, რომლებიც ერთ ჭერქვეშ არ ცხოვრობენ (მაგ., წლობით მუშაობენ სხვადასხვა ქვეყნებში), მაგრამ თავს ერთი ოჯახის წევრებად თვლიან
- ე) ერთსქესიანი ოჯახები და ა.შ.

მოკლედ, დღეს უკვე ძალიან ჭირს ოჯახის ობიექტურ განსაზღვრებაზე შეთანხმება. სწორედ ამიტომ, ოჯახის კრიტიკიუმი სულ უფრო მინიმალისტური ხდება. მაგალითად, ამერიკის მენტალური ჯანმრთელობის ნაციონალური ინსტიტუტი (NIMH) გთავაზობს ასეთ მატყვ განსაზღვრებას: „ოჯახი არის ურთიერთვალდებულებათა ქსელი“ (Family = Network of Mutual Commitment).

მე მომწონს ეს ზედმიწევნით ლიბერალური განსაზღვრება და სწორედ ამ პოზიციიდან მინდა შევეპასუხო მათ, ვინც ოჯახის შექმნას „თავისუფლებისაგან გაქცევად“ მიიჩნევს და თვლის, რომ ოჯახის შექმნით თავისუფლებას იზღუდავს.

დიახ, მეგობრებო, ასეა, გეთანხმებით! თუმცა აქ აუცილებელია გავაკეთოთ მნიშვნელოვანი დაზუსტება.

განა ოჯახი, თავისუფლების შეზღუდვის თვალსაზრისით, გამონაკლისია? ასეთივე ლოგიკით უარი უნდა ვთქვათ მეგობრობაზე, სიყვარულზე, სამსახურზე – ყველაფერზე, რაც სხვა ადამიანებთან მეტ-ნაკლებად ჰარმონიულ ურთიერთობას გულისხმობს. შეიძლება, მაგალითად, მეგობრობა, დაცლილი იყოს ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობისგან? ხომ მოსალოდნელია, რომ მეგობარზე ზრუნვამ ზოგჯერ საკუთარ სურვილებზე, კეთილდღეობაზეც კი, ხელი აგვაღებინოს? თავისუფლებასა და პასუხისმგებლობას (ან, ვალდებულებას) შორის მტრობა მაშინ იწყება, როდესაც ვალდებულება თავსმოხვეულია, უცხოა და გორგუნავს. მაგრამ, თავისუფლება შეიძლება დაუკავშირდეს იმას, რასაც პოეტმა და ფილოსოფოსმა ჯიბრან ხალილ ჯიბრანმა „ტკბილი პასუხისმგებლობა“ უწოდა, როდესაც სხვის წინაშე მოვალეობის მოხდა კი არ გორგუნავს, არამედ გამაღლებს, გაკეთილშობილებს, ეგოიზმს გავიწყებინებს. ოჯახი სწორედ ერთ-ერთი იმ ინსტიტუტთაგანი შეიძლება აღმოჩნდეს, რომელშიც თავისუფლება „მოხსნილი და შენახულია“ (ჰეგელის სიტყვებია) და ის თვისებრივად სხვა – „ტკბილი პასუხისმგებლობის“ განზომილებას იძენს.

მაშასადამე, აქ მნიშვნელოვანი ისიცაა, როგორ გვესმის თავისუფლება. თუ თავისუფლებად მივიჩნევთ მხოლოდ საკუთარ თავზე ზრუნვას, მაშინ ყველაფერი, რასაც თანაგანცდა, ანუ, მარტივად, მეორე ადამიანისთვის თავის შენუხება ჰქვია, აზრს კარგავს. ასე ესმის თავისუფლება,



თავისუფლებასა და პასუხისმგებლობას (ან, ვალდებულებას) შორის მტრობა მაშინ იწყება, როდესაც ვალდებულება თავს მოხვეულობს, უსხოა და ბთრბუნავს. მაგრამ, თავისუფლება შეიძლება დაუკავშირდეს იმას, რასაც პოეტი და ფილოსოფოსმა ჯიბრან ხალილ ჯიბრანმა „ტკბილი პასუხისმგებლობა“ უწოდა.

მაგალითად, ნიცმეს, რომლისთვისაც თავისუფლება მხოლოდ საკუთარ თავზე პასუხისმგებლობაა. არსებობს თავისუფლების რადიკალურად განსხვავებული გაგებაც, რომლის თანახმადაც, როგორც ითქვა, თავისუფალი მაშინ ხარ, როდესაც აცნობიერებ ვალდებულებებს და ასრულებ მათ. ამ ვალდებულებათა საფუძველი მორწმუნესთვის მეტაფიზიკაშია, დემოკრატიისთვის – კანონში, კონსერვა-

ტორისთვის – ტრადიციაში და ა.შ.

რასაკვირველია, ოჯახი ამჟამად ვნებს კერძო (ნიცმეანურ) თავისუფლებას. თუმცა გასწავლის თანაცხოვრებას, სხვაზე (მეუღლეზე, შვილზე) ზრუნვას, ანუ საკუთარი თავის „დავინყების“ ხელოვნებას. ჩვენ შეგვიძლია არჩევანი გავაკეთოთ – ოჯახთან ერთად, ან მის გარეშე. თუმცა უნდა გვახსოვდეს, რომ ამით არასოდეს ვაკეთებთ მკაცრ და თანმიმდევრულ არჩე-

ვანს: ოჯახს ვეძნით, მაგრამ შემდეგ ვაშენებთ არხებს კერძო თავისუფლების გადსარჩენად (მაგ., ვანაწილებთ დატვირთვას, ძიებთ ვეტირობთ და ა.შ.), ხოლო, მეორე მხრივ, ოჯახზე უარის თქმით, ოჯახთან მიმსგავსებულ ურთიერთობებს სხვა კონტექსტებში ვეძებთ.

როგორც იტყვიან, ზომიერების და ბალანსის დაცვა ამ შემთხვევაშიც საუკეთესო გამოსავალია.

გათხოვება-არგათხოვება – ყოფნა-არყოფნისაეული საკითხი საქართველოში

ავტორი: თეო ხატიავილი

„ახლა უკვე გათხოვების დრო გაქვს!“ – პირველად ასეთი ფრაზით უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე მომმართეს. მას მერე ეს მისტიკური ფრაზა არაერთხელ მომისმენია ახლობლებისგან, ნაცნობებისგან და მათგანაც, ვისაც, წესით, ჩემი სოციალური სტატუსი არაფრად უნდა ანალღებდეს. სულ მათგანაც, რას ნიშნავდა „უკვე დრო გაქვს“ – რა ასაკობრივი ჩარჩოთი განისაზღვრებოდა ის? და საერთოდ, მხოლოდ ასაკი განაპირობებდა თუ კიდევ სხვა რამ? რაღაც ხუთწლედის გეგმასავით იყო: დამთავრებ სკოლას, აუცილებლად სწავლა უნდა გააგრძელო, მაგრამ ძლიანაც ნუ გადაჰყვები – დიპლომის აღების შემდეგ უკვე გათხოვება (დაქორწინება) დგას დღის წესრიგში. თუმცა ეს გეგმა სრულიადაც არ იყო მხოლოდ საბჭოეთის მორალური სრულყოფისათვის აუცილებელი – მიუხედავად იმისა, რომ რევოლუციური რიტორიკა პირველ წლებში ოჯახის, როგორც ბურჟუაზიული გადმონათის, წინააღმდეგაც ილაშქრებს ისევე, როგორც ნებისმიერი ტრადიციული ფორმის წინააღმდეგ, სულ მალე შესანიშნავად გამოიყენებს პატრიარქალური კულტურის ამ ბაზისურ ელემენტს.

თუ აბეზარ კეთილსმსურველებს იქით ჩავეციებთ, მეორე სტანდარტული ფრაზა, რასაც ვიღებ, არის – „პატრონი გეყოლებას“.

– და თუ შესანიშნავად ვპატრონობ თავს?

– ბავშვი მაინც გააჩინე...

ეს „მაინც“ კიდევ უფრო მათგანაც?! და-ახლოებით, ისე ამბობენ ხოლმე, თითქოს რაღაც ნივთზეა საუბარი, რომელიც სახლში აუცილებლად უნდა არსებობდეს.

ამ „გამოკითხვებში“ საერთოდ არ ფიგურირებს სიყვარული, ადამიანის, როგორც მგრძნობიარე და ბიოლოგიური არსების, მოთხოვნილებები, რაც ამგვარი ემპირიული დაკვირვებითაც ცხადყოფს, რომ ოჯახი სოციალური ინსტიტუტია, რომელიც არეგულირებს ურთიერთობებს, იერარქიულ წესრიგში მოჰყავს ისინი

(„პატრონი გეყოლება“) და, რაც მთავარია, პასუხს აგებს რეპროდუქციულობის უწყვეტობაზე („ბავშვი მაინც უნდა გააჩინო“). ოჯახის ჩამოყალიბებისა და დღემდე მისი სიცოცხლისუნარიანობის ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზს ეკონომიკური საფუძველი, ქონების განაწილება-გადაცემა წარმოადგენს, რაც „სისხლის, გენის გამგრძელებელს“ ეკუთვნის. ქონებრივი რეგულაციები ოჯახში არც თუ იშვიათად აბსურდულ ხასიათსაც იღებდა; მაგალითად: შუა აზიის მომთაბარე ხალხების ნაწილში, რომლებიც მუდმივად განიცდიდნენ წყლის დეფიციტს, წყალი მხოლოდ ოჯახის წევრ მამაკაცებზე ნაწილდებოდა, ოღონდ ეს უკანასკნელი დაქორწინებული უნდა ყოფილიყო. ამიტომ ხშირად სულ რამდენიმე თვის ბიჭს ცოლად რთავდნენ 20, 40, 50 და ა.შ. წლის ქალს.

დღეს საქართველოში ეკონომიკური მხარე ოჯახში, ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე ბუნდოვანი საკითხია (არა იმდენად კანონმდებლობის, რამდენადაც ყოფით დონეზე). იმის მიუხედავად, რომ ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირში საყოველთაო და აუცილებელი ემანსიპაციის შედეგად ქალთა დასაქმებულობის საკითხი მეტ-ნაკლებად გადაჭრილი იყო, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კი ეკონომიკური კოლაფსის პირობებში პროცენტული უპირატესობით ქალმა აიღო თავის თავზე ოჯახის მარჩენლის ფუნქცია, ქონების მართვა და განკარგვა მას ნაკლებად ეხება. მემკვიდრეობა კი ჯერ კიდევ დიფერენცირებულია სქესობრივი ნიშნით (განსაკუთრებით რეგიონებში) – თუ ოჯახში ქალ-ვაჟი ჰყავთ, ქალიშვილი, უმეტესად, არ მონაწილეობს მემკვიდრეობის მიღებაში (ამისთვის, მზითვემი გატანებული „სპალნაც“ საკმარისია).

ეკონომიკური პასუხისმგებლობისა და უფლებების მკაფიო გადანაწილება ოჯახში 60-იანი წლების ერთ-ერთი მონაპოვარია. თავისუფალი სიყვარულისა და სექსუალური რევოლუციის თაობამ, დაბრუნდა რა კომუნებიდან შინ, ოჯახი უფრო ეგალიტა-

რული გახადა, თუმცა ამით მისი რუტინული ხასიათი არ შეცვლილა. ადამიანის ბუნება ზოგადად არ არის მონოგამური, ოჯახი კი მის „მოთვინიერებას“ ცდილობს. მაგრამ არიღებს კი თავს ადამიანი ამ რუტინას თუნდაც ოჯახის გარეშე? რამდენად უფრო საინტერესო, ხალისიანი და მრავალფეროვანია მისი დამოუკიდებლად ცხოვრება? ეს საკამათო საკითხია, რომელსაც, ცხადია, არ აქვს ერთი პასუხი, რადგანაც ყველაფერი მაინც ინდივიდუალურად განისაზღვრება.

დღესდღეობით, კონტრკულტურული ეიფორიის შემდეგ, დასავლეთში აშკარად შეინიშნება ტრადიციული ოჯახისადმი ერთგვარი ნოსტალგია; ხშირად საუბრობენ მრავალსაფეხურიანი ოჯახის (მშობლები, შვილები, შვილიშვილები) სიკეთეზე, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბავშვის ფსიქიკის ჩამოყალიბებისთვის... მოკლედ, ხან თანასწორ უფლებებზე ფიქრობენ, ხან ოჯახის ბიუჯეტის თანაბარ გაძიოლაზე, ხან ბავშვის აღზრდისთვის საუკეთესო გარემოს შექმნაზე... საქართველოშიც რაღაცები შეიცვალა, თუმცა კვლავ ქორწინდებიან თითქმის სქესობრივი მომნიშვნისთანავე და მხოლოდ მოგვიანებით ხვდებიან, რომ, სინამდვილეში, მათ ოჯახი კი არა, სექსი უნდოდათ; ჯვარს იწერენ და მესამე შვილს აჩენენ იმიტომ, რომ მას საპატიო ნათლია ეყოლებას; ოჯახდებიან ისე, რომ არც ცოლი და არც ქმარი საარსებო საშუალებებზე არ ფიქრობს, ამაზე მათი მშობლები იზრუნებენ; და ზრუნავენ კიდევ – ხშირად საკუთარ ოჯახს მონყევტილი და წლების განმავლობაში უცხოეთში გადახვეწილი... მაგრამ ეს „სახლობანას მოთამაშე“ ოჯახები საზოგადოებაში სრულიად ნორმალურ მოვლენად აღიქმება, რადგან, რაც მთავარია, მათ „პატრონიც ჰყავთ და ბავშვიც“. კითხვა „რატომ არ თხოვდები (ქორწინდები)?“ და შეგონება – „ახლა უკვე გათხოვების დრო გაქვს“ – კი კვლავ ყოფნა-არყოფნის მთავარ საკითხად რჩება.



**თავისუფალი სიყვარულისა და
საქსუალური რევოლუსიის თაობაზე,
დაბრუნდა რა კომუნებიდან შინ, ოჯახი უფრო
ეგალიტარული გახდა, თუმცა ამით მისი რუტინული
ხასიათი არ შეცვლილა. ადამიანის ბუნება
ზოგადად არ არის მონობაგური, ოჯახი კი მის
„მოთვინიერებას“ სდილობს.**

ჩემი ერთ-ერთი საყვარელი რეჟისორი
ოქუ მუდმივად ოჯახზე იღებდა ფილმე-
ბს, თუმცა თავად არ ჰყავდა ცოლ-შვილი;
იღებდა „მონოტონურ“ კინოს, სადაც შვი-

ლებიც ჰყავთ, შვილიშვილებიც, მაგრამ ამ
სიმრავლეში ადამიანები კიდევ უფრო მარ-
ტოები ჩანან. ალბათ, იმის გასააზრებელი
დრო, რომ მარტოობას ვერსად გაექცევი,

ადამიანს ნამდვილად უდგება, უბრალოდ,
მერე ირჩევ ან სხვა მარტოსულებთან ერ-
თად ცხოვრებას ან განმარტოებით ყოფ-
ნას.

ოჯახი, ტიპოლოგია

ავტორი: კაათა საბელაშვილი

ოჯახი განვრცობითი ტერმინია და მრავალგვარ ერთობას აღნიშნავს, როგორც ადამიანების საზოგადოებაში, ისე – ფლორასა და ფაუნაში. რაც შეეხება ადამიანთა ოჯახებს, მათი მოწყობის წესი განსხვავებული იყო საქართველოს ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე, სხვადასხვა კუთხეში თუ სოციალური ფენის ფარგლებში (ან ფარგლებს გარეთ). სამწუხაროა, რომ ჩვენ ქვეყანაში, ანთროპოლოგები და ინსტიტუციები ოჯახის კვლევას ჯერაც ვერ მოეკიდნენ საჭირო სერიოზულობით. ჩემი დაკვირვებით, საქართველოში დღეს ოჯახის რამდენიმე საინტერესო ტიპის გამოყოფა შეიძლება.

აგრარული ოჯახი (გლეხობა): ადამიანთა ეს ერთობა მრავალრიცხოვანია და ხშირად რამდენიმე კომლისაგან შედგება. თუმცა განვითარების სტრატეგია შეთანხმებულია და მისი ნებისმიერი ნაწილის საპირისპირო მიმართულებით წასვლა ინვესტს შინაგან გათიშვას და გამოყოფას. ოჯახის დიდი ნაწილი კი განაგრძობს არსებობას მისგან სრულ ან ნაწილობრივ იზოლაციაში. ასე ფორმირდება გეოგრაფიულად ლოკალიზებული გვარები. ამ გვარებში სუბიექტი ვაჟის ოჯახია. ქალის ოჯახი დღეობაში სტუმრობის ფუნქციით შემოიფარგლება. უმეტესად გარიგებით ქორწინდებიან, თუკი შეუღლების მატერიალური მხარეები შეთანხმებულია ისე, რომ მხარეების დაინტერესებას პასუხობს და ამავდროულად, ახალშეუღლებულებს კარგ სასტარტო მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას უქადის. ამ წესიდან გადახვევა „მოტაცება“ ან „გაპარვა“, როდესაც არცერთი ოჯახი აღარ არის ვალდებული მატერიალური მონაწილეობა მიიღოს წყვილის თვითდამკვიდრებაში დამოუკიდებელ აგრარულ საოჯახო ელემენტად. აგრარულ ოჯახებში მოსალოდნელია მალა-ლი შობადობა, ვინაიდან მეურნეობაში მუშახელია საჭირო.

სუბურბანული ოჯახი 1 (წვრილი

ბურჟუაზია): ასეთი ოჯახი გვხვდება რაიონული ცენტრის ასპარეზზე პრივილიგირებულ ან რეგიონულ ცენტრებში დანიშნურებულ ფენაში. ოჯახის ერთ-ერთი წევრი (უფროსი) საზოგადოებასთან სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობის ძირითად ფუნქციას ითავსებს. სწორედ ის ხდება არამარტო „შემომტანი“, არამედ – სახეც. მისი ოჯახის ყველა დანარჩენი წევრი მოიხსენიება, როგორც მისი ცოლი, შვილი, დედა, მამა და ა.შ. ამ ოჯახის ყოფა-ცხოვრებაში როლები მკაცრად არეგლამენტირებული. თუ შემომტანი უაპელაციოდ მონიშნავს საკუთარ ძალაუფლების არეალს (ყველა მისი სურვილი ლეგიტიმურია), დიასახლისი აღმოაჩენს საკუთარ ნიშას და ცდილობს, დააბლანსოს სიტუაცია. ეს იმაში გამოიხატება, რომ მას შეუძლია ჩაერიოს ბავშვების განათლების, საოჯახო ინვენტარის არჩევის (და შემდგომ ამის ბიუჯეტის დამტკიცების ლობირების), მისი საზოგადოებრივ ადგილებში გამოსაჩენი ტანსაცმლისა და სამკაულის შესყიდვის საკითხებში.

სუბურბანული ოჯახი 2 (წვრილი ინტელიგენცია): გეოგრაფიულად ეს კატეგორია მეტ-ნაკლებად გადაფარავს წინას. თუმცა აქ აღსანიშნავია რამდენიმე განსხვავება. ოჯახის ერთ-ერთი წევრი აუცილებლად უნდა მუშაობდეს ფოსტაში, სკოლაში, გამგეობაში, ბიბლიოთეკაში, თეატრში, საავადმყოფოში, საწარმოში ეკონომისტად ან ბუღალტრად და ა.შ. მოკლედ, როგორც კომუნისტები იტყოდნენ „მუშა-მოსამსახურის“ ოჯახი. ასეთი ოჯახები არსებობენ დაბალი ნომინალური შემოსავლით, თუმცა თავს უფლებას აძლევენ სხვადასხვა სოციალური კონტაქტის გამოყენებით რეალური შემოსავალი იქონიონ. მათი სანუკვარი მიზანია ჯერ საკუთარი პირმშოს, შემდეგ კი მისი რჩეულის უმაღლესი განათლების სტატუსი. იდეალური სახლობა შედგება მათი წრის გოგოსა და

წვრილი ბურჟუაზიის წარმომადგენელ ბიჭს შორის. ეს ერთნაირად ნაადგეობა, როგორც ერთი ოჯახის მატერიალურ მხარეს, როგორც მეორე ოჯახის „გაკეთილშობილებას“. თუმცა ოჯახური კონფლიქტის დროს ეს შეიძლება, კარგ „წამოსაძახებელ“ მასალადაც გამოდგეს.

ურბანული ოჯახი (ნეოფიტური): ამ ტიპის ფორმირების წყაროა ზემოთ ჩამოთვლილი ორი. ურბანულ გარემოში მოხვედრის შედეგად ისინი განსხვავებული წარმატებით ახერხებენ დამკვიდრებას ქალაქის მათთვის უცნობ, ცარიელ და ქაოტურ გარემოში. ადგილობრივები მათი ინტეგრაციის პროცესს კიდევ უფრო რთულს ხდიან. ხშირად ემართებათ ნოსტალგია და კონტაქტს არ წყვეტენ მათ მშობლიურ გარემოსთან. თუმცა მაინც ახერხებენ საკუთარი ყოველდღიურობისათვის დამახასიათებელი ატრიბუტების ურბანულ გარემოზე მორგებას და მის ფართოდ რეპრეზენტირებასაც (რეიტინგები გადაცემა „პროფილისთვის“, ფონოტეკა სამარშრუტო ტაქსებში და ა.შ.). როგორც წესი, ქალაქის არაქართულ მოსახლეობას „ჩამოთრეულებს“ უწოდებენ, რის პასუხადაც მსგავს ეპითეტს იმსახურებენ.

ურბანული ოჯახი (სუბსტრადი): ძირითადად, საბურთალოზე მცხოვრები ოჯახები, რომელთაც აქვთ კერძო საკუთრება და კომუნისტური დროის სტანდარტებთან შედარებით არც უკეთ და არც უარესად ცხოვრობენ. მათი განვითარების დინამიკა შესაშურად უძლებს ეპოქალურ ცვლილებებს და მხოლოდ იმაში გამოიხატება, რომ მათ ოჯახში ტელევიზორი „სლავუტიჩი“ — „სონით“ შეიცვალა, რადიატორები მოიჭრა და მათი ადგილი „კარმამ“ დაიკავა, ხოლო მათი შვილები არა საქმელიორაციის უფროსი თანამშრომლები, არამედ რომელიმე ბანკის „ფრონტდესკ“ მენეჯერები გახდნენ.

ურბანული ოჯახი (ნომენკლატურ-



რომენტატურულ-ბლემურული: პირობითად ვაკის მოსახლეობა, რომლის ბენეფიკურად იმდენად გადაიჯაჭვა, რომ არა ზედმეტი პოპულაცია, რომელიც ახალი მშენებლობების ხარჯზე გამოერიათ, ყველაფერი ერთი დიდი მასობრივი ინცესტით დასრულდებოდა. დამახასიათებელია მკვეთრად რეგლამენტირებული ლექსიკური მარაგი (გაზაფხული-ზაფხული, შემოდგომა-ზამთრის სეზონურობით). ხანში შესული მამაკაცები ცდილობენ, ფორმაში იყვნენ, ქალები კი მეცადინეობას არ იშურებენ ფართო ბალახონებით დაიფარონ ნაყოფანების ცოდვის შედეგები. გოგო-ბიჭები ჩართულნი არიან მამათა და დედათა მიერ გაღვივებული ოჯახური კავშირების გაღრმავებაში.

რულ-გლამურული): პირობითად ვაკის მოსახლეობა, რომელიც გენეტიკურად იმდენად გადაიჯაჭვა, რომ არა ზედმეტი პოპულაცია, რომელიც ახალი მშენებლობების ხარჯზე გამოერიათ, ყველაფერი ერთი დიდი მასობრივი ინცესტით დასრულდებოდა. დამახასიათებელია მკვეთრად რეგლამენტირებული ლექსიკური მარაგი (გაზაფხული-ზაფხული, შემოდგომა-ზამთრის სეზონურობით). ხანში შესული მამაკაცები ცდილობენ, ფორმაში იყვნენ, ქალები კი მეცადინეობას არ იშურებენ ფართო ბალახონებით დაიფარონ ნაყოფანების ცოდვის შედეგები. გოგო-ბიჭები ჩართულნი არიან მამათა და დედათა მიერ გაღვივებული ოჯახური კავშირების გაღრმავებაში.

მათ იმაში გაუმართლათ, რომ შეუძლიათ, კარუსელი ითამაშონ. დედები და მამები? მათი ცალკე ასაკობრივ ან ქცევით ჯგუფად ცალკე გამოყოფა, ფაქტობრივად, შეუძლებელია. უბრალოდ, ისინი არიან გარკვეული მაღაზიების მომხმარებლები და ერთადერთი ინდიკატორი ეს თუ იქნება.

პოსტ-ოჯახი: ეს არის ოჯახის ყველა დანარჩენი ტიპისგან განსხვავებული სურვილით შეპყრობილი წყვილი ან მეტი ადამიანი, რომლისთვისაც უცხოა ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი ტიპი. მიუხედავად იმისა, რომ ხშირად ისინი ექსპლუატაციას უწევენ სხვა ტიპების მიერ მათთვის მიცემულ სიკეთებს, ეს მათ ვალდებულს არ ხდის, დაემორჩილონ თავსმოხვეულ კანონებ-

ბს. ისინი, როგორც წესი ლონდონსა და ბერლინში ატარებენ ნახევარ დროს (არაფინ უწყის, რატომ). წყვილების შემადგენლობაში ხშირი მონაცვლეობაც არ არის გამორიცხული. ეს შეიძლება, რეპროდუქციული ახირების შედეგად იყოს. შეიძლება, უბრალოდ, „პონტი“. მოკლედ, ეს ტიპი იმით გამოირჩევა სხვა ტიპებისგან, რომ მას არ სურს შვადვდეს ისეთ ოჯახს, რომლისთვისაც კუთვნილებისთვის ის სხვა შემთხვევაში განწირული იქნებოდა.

უტიპო ოჯახი: ეს არის ისეთი ოჯახი, რომელსაც ბოლომდე ვერც ერთ ზემოთ ჩამოთვლილ ტიპს ვერ მიაკუთვნებ. ძალიან ბევრ ასეთ ოჯახს ვიცნობ და მიყვარს ისინი.

Mail from Singapore Inc.

ავტორი: შოთა ბაბარინი

ხანდახან გინდება, ადგე და წახვიდე. უბრალოდ, წახვიდე, როგორც ზღაპრის გმირები მიდიან ხოლმე „ბედის საძებრად“: ამხედრდებიან რამე ჯაგლაგზე, რომელიც ჯადოსნური აღმოჩნდება და უბრძანებენ, გაფრინდეს ფიქრზე სწრაფად, ქარზე მალულად. მიმართულებას რა აზრი აქვს, რა ვაჟკაცის სადარდებელი ეგაა!

თუ არ იცი, რომელი ნავსაყუდელისკენ მიცურავ, არც ერთი ქარი ხელსაყრელი არაა, და ზუსტად ესაა ყველაზე მაგარი – სტიქია რომ გკიდა. არც ჩრდილოეთის, არც სამხრეთის, არც აღმოსავლეთის, არც დასავლეთის ქარი ქარი არაა, შენ თუ იმ ქარს აუტანიხარ, თავში რომ ქრის ხოლმე.

წარმოიდგინე, ზიხარ სადმე გორგოლაჭებიან სავარძელში, საგულდაგულოდ დალაგებულ-დახარისხებულ ყვითელ და წითელ დასატებს შორის სახრჩობელის ყულფივით შემოჭერილი ჰალსტუხით, ან მანდაც ვერ ზიხარ... ზიხარ ორღამენათევი, სამედიცინოს მეტროსთან ნაქირავებ ერთოთახიან ხრუმოვკაში. მაცივარი არ გაქვს, არც წყლის გამათბობელი. მაგიდის გარშემო შემომსხდარხართ ბანქოს მოთამაშეები. მაგიდაზე აწყვია ფოშკები, წვრილი პომიდვრის მწნილი და არაყი.

გეგმაზომიერად აგებ უკანასკნელ შვიდლარს და თან თვალს აპარებ საკუთარი ლოგინისკენ, რომელზეც გოშა და კოშკა თექესმეტ წლამდე გოგოს ტყნავენ ერთდროულად.

ნასვლა რომ მოგინდეს, აუცილებელი არაა ეგეთ ცუდ პონტში იყო. შეიძლება, უფლისწულად დაიბადო, ცხოვრობდე სასახლეში. შეიძლება, ნასვლა გამარჯვება კი არა, დამარცხება იყოს. რა არის ცუდი დამარცხებაში?! გამარჯვება სტატიკაა – შენახვა, შენარჩუნება, მაცუთის იქნება თუ ქცევის. დამარცხება კი რადიკალური ცვლილებების მომასწავებელი რამ, მოძრაობა. ჭკვიანი ხალხი გრძნობს, ყველაზე ლამაზ გამარჯვებას ლამაზი დამარცხება ჯობია. ჰანიბალი არ შევიდა რომში, ნაპოლეონმა უკან დახევის ბრძანება გასცა ვატერლოოზე, კურტ კობეინმა წარმატების ზენიტში მოიკლა თავი, ბუბიჩევი ყოველთვის მაგებიანებად წარდში, რომ არ მეტირა. ბერნარ ვერბერი ფიქრობს, ხშირად წარმატებისკენ სწრაფვაში სხვა სურვილი იმალება: აძერე ყველაზე მაღალ ვიშკაზე და იქიდან გადმოხტე (ან გაფრინდე, თუ იეჰოველი ხარ).

მოკლედ, არ მკითხოთ, რატომ წავედი. როცა პირველად დაფუსვი თავს ეს შეკითხვა, მართლა მალლა ვიყავი და უფრო

მალლა მივინვედი. თვითმფრინავის ილუმინატორიდან გადმოვყურებდი ჰიმალაის და შენგდუს, საიდანაც ავფრინდი. სიჩუანის პროვინციის ორ დუნდულოსებრ მთაზე ჩვენს ნელთალრიცხვამდე გაშენებული ეს პატარა, წითელი დასახლება ოდესლაც ნალდი ხვრელი იყო ჰიმალაური ბაბუინის ტრაკში, თორემ ახლა ჩინეთის მეოთხე გლამურული ქალაქია. პატარაო, რომ ვთქვი – ჩინური სტანდარტებით, ისე კი მოსახლეობით თერთმეტჯერ აღემატება მზიურ თბილისს. განულოლი, ნეონში ამოვლებული და ერეგირებულ-ცათამბვჯენებიანი მესტიაა.

ინდოეთიდან მოვხვდი მანდ, შემთხვევით. თავიდან გამიკვირდა, ამ სიმალღეზე ასეთ ქალაქს რა უნდა-მეთქი, მაგრამ მერე ისეთი ამბავი მომიხარეს, მეთქი უეჭველი უილიამ გოლდინგის რომანს ყვებიან. აი, ახალციხეში რომ ჩახვალ, ნოსტეში, გიორგი სააკაძის სამშობლოში, და დაჩამიჩებული ბაბუების ბაზარს უსმენ დიდ მოურავზე. უსმენ, უსმენ, როგორც თვითმხილველის ჩვენებას, და მერე წვაე, რომ ფილმს გიყვებიან ეგ ჩათლახები.

თურმე რა მოხდა: მასო ჰქონია ასეთი რეფორმა, დეცენტრალიზაციისთვის და დიდი ქალაქების განსატვირთავად ხალხი გადაასახლა. ადგა და მიმოფანტა სხვა-



დასხვა პროვინციაში. ამ დროს დაინგრა ოჯახები, დიდები ბრინჯის ველებზე მოხვდნენ, პატარები – ნითელ არმიამი. ეს ბავშვები მაგრად განამდნენ, ბუზებივით იხოცებოდნენ. რაღაც ექსპერიმენტი ტარდებოდა და ცელულოზით კვებავდნენ. ბოლოს, ეს საწყლები ვიღაცამ დაარწმუნა, რომ ყველაფერი ადგილობრივი ფუნქციონერების ბრალი იყო, მამო კი არაფერი იცოდა. ნაღდი ტოტალიტარული სისულელე. ბავშვებმაც წამოიწყეს წმინდა კამპანია – აუჯანყდნენ უშუალო ხელმძღვანელებს და, ვითომ ბელადისთვის ხმის მისაწვდენად, სინამდვილეში კი, ალბათ, ქვეყნიდან ასათესად, აღმოსავლეთისკენ დაიძრნენ. აქედან ადვილად შეაღწევდნენ ინდოეთში. შენგდუელთა განთქმული სტუმარ-მასპინძლობა ხომ მოგესხენებათ. თბილად მიიღეს აცრემლებული ბავშვები, დააპურეს, დააბინავეს. მაგრამ, ყველაფერს აქვს საზღვარი, ამ წვინტლიანი პატრიოტობანაკვლების ნაკადი კი არა და არ წყდება. თან ბავშვების ამბავი ხომ იცით, ერთს გაუცინებ და თავზე გადაიჯვამენ. ისე უნდა მოექცე, როგორც გაფუჭებულ ტელევიზორს, როგორც კი აურევინ, აილო ჩუსტი და გაუქანო თავში. მოკლედ, ეს ორი ათასი ბუნწულა ბიჭი მალე ნედაძელანნი ბრუსლების ორასი ათასიან არმიად იქცა. აღარ ყოფნიდათ, რასაც აძლევდნენ. ჰოდა, ძალით აიღეს. ჩამოაგდეს მერი, მოაწყვეს არჩევნები, აირჩიეს ცამეტი წლის ბელადი, შექმნეს მსოფლიოში პირველი ბავშვთა მთავრობა, მიიღეს კანონები, რომლის მიხედვითაც

მოპარვა ვიგრობაა, წუნწინი – ხიხი. მამინ ეს ქალაქი იზოლირებული იყო და გარეთ არავინ იცოდა, რა ხდებოდა, მაგრამ დროთა განმავლობაში, როგორც იქნა, რომელიღაც პრეფექტის ყურამდე მიაღწია ამ ამბავმა. იმანაც ეგრევე პეკინს უპატავა. 1967 წლის ერთ მშვენიერ დილას კი მათ გაიზმორა და ბრძანა, შესულიყო ნითელი არმიის ასი ჯავშანმანქანა და რამდენიმე ელიტური საბრძოლო ქვედანაყოფი შენს შენგდუში და ვინც 15 წელზე პატარა იყო, ყველანი გაეუფუა.

ამის მერე ვისაც ენა მოუბრუნდება, სამი თურგდალეულის ხვანცალს მამათა და შვილთა ბრძოლა უნოდოს, დაე, მაიკ პორტნოის ბარაბნადამც ქვეუღიყოს. ბრძოლა არა ის. ბრძოლა შენგდუში იყო. ხუთი დამცავი კედელი ჰქონდა ქალაქს, ხუთივე ჩამოიქცა. არადა, ჩინელებმა მაგარი კედლები იციან.

ამბავი, რა თქმა უნდა, არ გახმაურდა. ზუსტად ამ დროს მათ თავის მემარჯვენე ეკვილიბრს, სატანის გონებაჩამორჩენილ უმცროს ძმას – რიჩარდ ნიქსონს უნდა შეხვედროდა და არ უნდოდა მაგის ისედაც მანგუსტისებრი სიფათი კედელ ნიშნის მოგების ღიმილით დამანჭულიყო. ამხელა სტრესს პროლეტარიატის დიდი ბელადებიც ვერ უმკლავდებიან.

შენგდუზე შთაბეჭდილებების წერით ვიყავი გართული როცა პილოტის კაბინიდან – მგზავრებისკენ ჩინელი სტიუარდესა დაიძრა, მოკლე, მაგრამ ჩქარი ნაბიჯებით. ძალიან სასაცილოდ მოდიოდა, თითქოს სუპერ მარიოს სიარულს იმიტი-

რებდა. ჩინური არყით ვიყავი გაჭყეპილი, თან ორი აბი ლსდ გადავყლაპე აეროპორტში, ლოდინის შესაფერადებლად (დედას გეფიცვით, მაგასაც „მეიდ ინ ჩაინა“ ეწერა) და ამ სასაცილო სიარულზე ფხუკუნე ამიტყდა. სტიუარდესამ ისე შემომხედა, მეთქი გრენდიზერივით ლაზერს მესვრის თვალებიდან და საბრძოლო პოზიცია მივიღე, სხივის ასასხლელად. მაგრამ გრენდიზერი დილეტანტი როდი გამოდგა. მიკროფონი მოიმარჯვა და ფონეტიკური შეტევის განხორციელება დაიწყო. გამაყრებელ ხმებს გამოსცემდა – ქილას რომ ესვრი ასფალტს, ისე, რომ რამდენჯერმე ახტეს: ტიანნ-ტიუნკ-კუააა-პონნნნნნკ. ამ ხმების გაგონებაზე მგზავრებში ჩოჩქოლი ატყდა. ამკარა იყო, იტანჯებოდნენ. რაღაცით უნდა ჩამეხმო ავისმომასწავებელი ბგერები. სხვა გზა არ დარჩა, საიდუმლო იარაღი უნდა მეხმარა – ტექნიკა, რომელსაც ნეპალის მთებში დავეუფლე, დაოისტ ბერებთან როცა ვცხოვრობდი. ტუნები დაკვერცხებული ბურთის თარგზე მოვმუნე და ამოვიღმუფლე: „ტამა დ ბაისე ჯი ბა“!

მანტრამ იმოქმედა, სტიუარდესა მიკროფონს მოწყდა, ჩემსკენ გამოექანა და ახლა უკვე ნოდარ ნათაძის ხმით შეეცადა ჩემს ტვინში შემოღწევას, მაგრამ აცრემლებულ თვალებზე ეტყობოდა, რომ უკვე ძალიან დამესუსტებინა. ის, დამარცხებული და თავლაფდასხმული, ადგილიდან მოწყდა და ისევ პილოტის კაბინაში გაუჩინარდა, ისევ მარიოს ნაბიჯებით.

– შენძრეულების ქვეყანა, – ჩავილაპა-



ამის მერე ვისაც ენა მოუბრუნდება, სამი თურგდალეულის ხვანცალს მამათა და შვილთა ბრძოლა უნოდოს, დაე, მაიკ პორტნოის ბარაბნადამც ქვეუღიყოს. ბრძოლა არა ის. ბრძოლა შენგდუში იყო. ხუთი დამცავი კედელი ჰქონდა ქალაქს, ხუთივე ჩამოიქცა. არადა, ჩინელებმა მაგარი კედლები იციან.

დოკუმენტური პროზა

რაკე ჩემთვის, ილუმინატორს ფარდა ჩამოვფარე, თავქვემ ქურთუკი ამოვიდე და თვალები დავხუჭე, – მომავალი გაჩერება – საქართველო.

– მომავალი გაჩერება – საქართველო, გაჩერება – მომავალი საქართველო, – მომესმა გვერდიდან.

თვალები გავახილე. ვილაც წვერგაუპარსავი ტიპი მეჯდა გვერდით, ფრაკი ეცვა, რომლის სახელოებიდანაც გრავიურებიანი მანუეტები გადმოეყარა. თმები შუაზე გაეყო, პეტერბურგელი ლიმნაზისტივით.

– იმ ქალმა უნყოდა, რომ ტექნიკურის მიზეზის გამოისობით დაშვება სინგაპურს მოგვინევს. მოვედით თითქმის. ძილად დაბრუნებას აზრი აღარა აქვს, – მითხრა.

– უნყოდა არა ის. უნდოდა დავეჩმორებინე, ვერ ნახე, როგორ მომვარდა?

– მოვვარდა, რადგანაც თავის მშობლიურს ენაზე უყვირე „ნათერიე აქედან თეთრო ნაბიჭვარო“, როცა ამბავი თქვა სინგაპურს დაფრენაზედ.

– გრიშა, სინგაპური, ბუნდოვნად მახსოვს. სინგაპური, სინგაპური – ამოვილულლულე.

– ჰო, ეგეც – როგორა თქვი? – „შენძრეულეების“ აშენებული ქვეყანაა. ჰმ, უცნაურია. რას ვიფიქრებდი, დედამც შემერთოს ცოლად.

– რა არის უცნაური?

– ჩინთ წესს დამყნობილი ყველა ერი უცნაური და შენძრეულია, შვილო. განა ამისთვის დავმძიმდი ცხრა გრამით? რად არ მიგდებენ ყურსა?

მერე წამაკიმარა. ის კიდევ ლაპარაკს განაგრძობდა. ზუსტად ვერ ვიტყვი, რა ები თქვა, აქა-იქ დამამახსოვრდა. სინგაპურზე ყვებოდა. საქართველოსხელაო მოსახლეობითო, ფართით უფრო პატარაო. ვილაც კუნა ლიუმ თუ ლი კუნ იუმ პრემიერის ტახტი იგდო ხელთო სამოცი წლის წინათ და თქვაო: სინგაპურელები უზარმაზარი კომპიუტერების ელექტრონული ჩიპები არიან, რომელსაც სინგაპურის რესპუბლიკა ერქმევაო. მსოფლიოში ყველაზე დიდხანს მაგას ჭერია პრემიერის ტახტი, სანამ თბილისში სამოქალაქო ომი დაიწყებოდა, ეგ იყო უფროსი, მერე თანამდებობა მოიგონა, მინისტრ-მენტორი ქვია, იმად დაჯდა და ცოტა ხნით სხვა დასვა რულთანო. ამასობაში მაგის ბიჭი ნამოიჩიტა და ახლა ისაა პრემიერი, თავად კი ისევ მინისტრ-მენტორი გახლავსო. მერე უკვე ბუნდოვნად ჩამესმოდა ცალკეული სიტყვები: კანტორა, მენტორი, მენტო, მანდატური, დასტუკებული მოტორი, სიძვის დიაცთა კლიტორი, ცხვირში თითის პანტური, მოგენატრებათ ვარდის კოკორი, ჩქარა პანჩური, თორემ თუ არა, ერი არის განა, ფუნით თავის ბანა, აავსე ვანა, ვენაზე დაისვი დანა, ეგ ჯობიაო – რალაც ლექსს ამბობდა მგონი. როცა ძალით ვსწავლობდი, მაშინ ვერ ვიმახსოვრებდი ეგეთებს და მძინარე – მით უმეტეს.

ილუმინატორის ფარდის ტკაცუნით აწვეამ გამომაფხიზლა.

– დახე, აგე სინგაპური. იმ სამს ქალაქს ხედავ, გაკრეჭილი მოლით რომ გამოუ-

ყვიათ ერთურთისგან? ეგაა სინგაპური. ერთი ქალაქია ეკონომიკისთვის, მეორე ტურისტებისთვის, მესამე კიდევ ხალხის საცხოვრისი.

თვითმფრინავი დაჯდა. ნივთების ნამოკრეფისას ზურგჩანთა გამეჭედა საბარგულში. როცა დავისხენი, ჩემი თანამგზავრი აღარ ჩანდა. აეროპორტის გასასვლელშილა მოვკარი თვალი, იმანაც დამინახა. ახლოს აღარ მოსულა, უბრალოდ მომაცხა:

– ჰა, ჰარიფით არ მოიქცე შოთაჯან, გახსოვდეს, აქ გადაფურთხებას და ქალაქის დაგდებას თუ გაბედავ, ათასხუთას დოლარიან თამასუქს გაიჩალიჩებ. რომც ვერავინ გხედავდეს, კამერა გიმზერს.

– აბა თქვენ იცით, – ესლა დავუყვირე, სხვა არაფერი მომავიქრდა.

– ჰო, კიდე! ისაა მინსფერი ორქიდეის ჯიშია, ამათი სამამულო სიმბოლო. ვანდა მის ჯოაკიმი ჰქვიან, ღმერთი არ გაგინყრეს, ხელი არ ნატანო, თორემ გაგროზგავენ, აქ დღეის სწორამდის აგრე სჯიან. ხო იცი, მამულთან ხუმრობა არ ხამს.

– რა ქვია?

– ვანდა მის ჯოაკიმი, სხვამეხმა ქალმა გამოიყვანა ასი წლის წინათ, სახელად აგნეს ჯოაკიმი რქმევია, მაგის სოვდაგარი დედა მოვსტყან, დღემდე ნაწოლები მაქვს ზურგზედ!

მომაცხა და გაბრუნდა. გამართა ვილაც თეთრწვერა კაცისკენ, რომელსაც ცალ ხელში ჯოხი ეჭირა, მეორეში დაფა,



წარწერით „სეინტ ილია“, თან იკრიჭებოდა და როხროხებდა – გზაა, გზაა! ილია ფაიზალი მოდის!

მე წასასვლელი არსად მქონდა. იქვე პარკში დავენეყვე, გავშალე ლეპტოპი და შევედი მოგზაურების საიტზე, couchsurfing.org მასპინძლის მოსაძებნად. ღამე სადმე უნდა გამეთია, ჩემი რეისი შემდეგ დღემდე არ იქნებოდა. უკვე მოსალამოვებულიყო, ჩამავალი მზე შუშის შენობებზე ირეკლებოდა და თვალებს მჭრიდა. სანინალმდეგო მხარეს გავიხედე და ჰოთდოგის გამყიდველი მომხვდა თვალში. ახლალა ვიგრძენი შიმშილი. საშინელი ნაბახუსევი მქონდა, ნაწილებად ვიშლებოდი, როგორც ამ შუშის შენობების პრიზმაში გატარებული მზის სხივი. დიდი ძალისხმევა დამჭირდა საკუთარი სხეულის ნაწილ-ნაწილ შესაკრებად და მოსათვინიერებლად. ტრაკი აენიე და ჰოთდოგების გამყიდველისკენ წავლასლასდი. ერთი ჰოთდოგი 30 სინგაპურული დოლარი ღირდა. ფული აეროპორტშივე გადავცვალე. სულ 563 დოლარი გამომივიდა. არა, რა ჰოთდოგი, რამე სხვა უნდა ვიპოვო, უფრო იაფიანი. ავიღე ბარგი და გზას გავუყევი. 15 წუთი ვიარე გზაზე, რომელიც ფილიგრანულად გაკრეჭილ მოლს სერავდა. წინ არაფერი ჩანდა. მოგტრიალდი და ისევ აეროპორტისკენ გაებრუნდი, მწვანე ბალახის ზღვაში მოტივტივე ასფალტის კუნძულზე რომ წამოეჭიმათ. აეროპორტი და რალაც ადმინისტრაციული შენობები. და ჰოთდოგის გამყიდველი, ვინც ჩემი ბიუჯეტის ლამის შვიდი პროცენტი ამახია ერთ

მოცუცქნულ ხორცის ნაგლეჯში. ავიღე ჰოთდოგი და სიმწვანისკენ დავიძარი ლეჭვა-ლეჭვით. ბალახზე მოვკალათი და ლეპტოპი გავშალე.

ყვირილი შემომესმა. პოლიციელი მორბოდა ჩემკენ. თან ყვიროდა „სთენდ აფ“-ო. მეთქი რალაც ხდება და ნამოვხტი. პოლიციელი ზუსტად იმ ხაზთან გამემდა, სადაც ასფალტი მთავრდებოდა და მოლი იწყებოდა. უცებ შედგა, მკვეთრად, თითქოს ღმერთმა პაუზის ღილაკს დააჭირა ქვეყნის სამართავ პულტზე. ხმის ჩანევის წყალობა აღარ გაიღო: მაკარონისებრ-ულვაშიანი პოლიციელი ჯერ ჩინურად, შემდეგ კი ინგლისურად გაყვიროდა, გამაყრუებლად. გააძრო წიგნაკი და რალაცის წერა დაიწყო. მერე ფურცელი მომიხია და მომანოდა. დავხედე და გული გამისკდა. ათას ხუთას დოლარიანი ჯარიმა იყო. ამას ვინ ვგონივარ – ე, შენი კონფუცი დედა მოგტყან-მეთქი, ქალაქი გადავხიე და გულის ჯიბეში ჩაეჭმეუქნე. კონფუცი ისევ გაშეშებული იდგა და ჯიბეს დაჰყურებდა. ორიოდ წამში ამომხედა და ახლა მშვიდად, აღმოსავლური მონივნებით მომმართა:

- თქვენ ბირჟაზე მუშაობთ?
- არა-ს ხომ არ ვეტყოდი, თავი დაუქნიე.
- მერე ხომ მოგესვენებათ სერ, მოლზე გადასვლა აკრძალულია, – მიპასუხა, მერე გაიბადრა და დააყოლა – ვილაც აბეზარი რომ აღმოჩენილიყავით, სამიათას დოლარს გამოგინერდით ჯარიმად, აი, ქალაქის ერთი ნახევი ძირს დავარდა. ან სულაც დაგაბატიმრებდით, – ნაგლეჯს

დანვდა, ჯიბეში ჩაიტენა და დაამატა, – მე არ მიკვირს, როცა გადატვირთვისგან გატეხილ ხალხს ვხედავ.

ისევ შენობებისკენ დაიძრა. მე გამოყლებული ვუყურებდი და ვცდილობდი, მომხდარი გადამეხარმა, თან პარკისკენ მივინევიდი.

ნეტი შევამონმე და couchsurfing-იდან ვილაც ტიპის მესიჯი დამხვდა, სახელად ტანგ ვუ. მწერდა, რომ აეროპორტიდან მის სახლამდე დაახლოებით 40 კილომეტრია. სამოსახლო, ე.წ. დორტუარის ქალაქში ცხოვრობს და შანსი არაა, გამომიაროს, ტაქსით, მინიმუმ, 600 დოლარი დაჯდება ორი გზა. თუ მასთან მივალ, ადგილი აქვს და დამიტოვებს. ქვემოთ რალაც ციფრები ეწერა, ეტყობა – მისამართი.

აეროპორტის ტაქსმა დორტუარამდე ჩასაყვანად 550 დოლარი მთხოვა. ესეც გამართული ინგლისურით საუბრობდა, იმ პოლიციელივით. 550 დოლარს ცენტსაც არ აკლებდა. მე ვუთხარი, რომ ვიცოდი სამასი დოლარის ბაზარი იყო. სამასი დოლარი ქალაქის ტაქსებისთვისო. აეროპორტში ეს ფასიაო. 550 დოლარი არც დამრჩა, ჰოთდოგის მერე. რა გინდა, რომ ქნა. მეთქი აქვე დავიძინებ, პარკში, ამის დედაც მოვტყან და ხვალ გავფრინდები.

უცებ ყელსაბამებზელი ძალი მომიახლოვდა. ეტყობა პატრონი დაკარგა. საცოდავ ხმებს გამოსცემდა, წკმუტუნსაც რომ ვერ დაარქმევ. უფრო, მოგუდულ ხავილს გავდა.

>>> ბაზრქილვა ბვ. 108





**მდიდრებში
წახალისებულია ორი
შვილის ყოლა, მაგრამ
მდიდრები პენსიის გამო შვილს
გააჩენენ? მაგათი ისედაც აქვთ
ფული. თუ მდიდარი არ ხარ და
უკვე ერთი შვილი გააბორა,
პერიოდულად კოლისია ბირჟას
სალამოობით – გახსენებს, რომ
პრეზერვატივი გაიქითო.**



ქალი, რომლის ქმარის ანგელოზი იყო

ავტორი: დავით ჩიხლაძე





ის არც ანდერსენის ზღაპრის პერსონაჟი ყოფილა და არც ნიმფა, ნიუ იორკის გრინვიჩ ვილიჯის ქუჩებშიც იშვიათად ჩნდებოდა. თუმცა მისი ცხოვრება ნამდვილ მითს და გამოწვავდა. სანამ იდა კრადოკის არაორდინალურ ბუნებას და მისი მოღვაწეობის ასეთივე ხასიათს ოდნავ მაინც გავხსნიდეთ, სულსწრაფ მკითხველს ცოტა მოთმინება დასჭირდება. მცირე შესავლის გარეშე ის აუცილებლად ჩათვლის, რომ ამ ექსცენტრულ ქალს უბრალოდ მონაზვნის მიდრეკილება და რთული სამყაროდან გაქცევის ჩვეულებრივი და მოსაწყენი სურვილი ამოძრავებდა. თავიდან მართლაც ასე შეიძლება ჩანდეს, რადგან იდა კრადოკი არასოდეს ყოფილა ქორწინებაში. მაგრამ აქ გადამწყვეტი ფაქტორი მისი ბიოგრაფიის მეორე და უხილავი მომენტი – ის მთელი ცხოვრების მანძილზე ადასტურებდა, რომ ხანგრძლივი ეროტიული ურთიერთობა აქვს ანგელოზთან, რომელსაც სახელად სოფ ჰქვია. როგორც თავად ჰყვებოდა, მათი სექსუალური ინტერკურსი ერთხელ იმდენად ვნებიანი და ხმაურიანი აღმოჩნდა, რომ მეზობლებმა შეშფოთებაც კი გამოთქვეს.

იდა კრადოკი 1857 წლის 1 აგვისტოს დაიბადა ფილადელფიაში, მამა ადრე გარდაეცვალა და ახალგაზრდა გოგონა დედამისთან, გაძლიერებული კვაკერული განათლების გარემოცვაში აღიზარდა. მეცხრამეტე საუკუნის მიწურულს, როდესაც ამერიკაში სპირიტუალისტური საზოგადოებები საკმაოდ მოდური იყო, იდამ საერთოდ დაანება თავი კვაკერულ შეხედულებებს და თეოსოფიურ საზოგადოებას შეუერთდა. 1889 წელს, როგორც გამორჩეული თავისუფალი მოაზროვნე, ის აირჩიეს ამერიკული სეკულარული კავშირის ფილადელფიის განყოფილების მდივანად. იდა კრადოკი მთელი ცხოვრების მანძილზე აგროვებდა სხვადასხვა რელიგიურ შეხედულებას, დაინტერესებული იყო ეზოთერიკით, ოკულტიზმით და ცდილობდა, ერთ მთლიან სისტემაში მოექცია ეს სხვადასხვა დაჯინებული სწავლება ადამიანისა და სამყაროს შესახებ.

გასულ წელს, იდა კრადოკის გარდა-

ცვლებიდან საუკუნოვანი დუმილის შემდეგ, ამერიკაში „ტიტან პრესის“ გამომცემლობაში პირველად გამოიცა მეცხრამეტე საუკუნის ყველაზე ტაბუირებული სექსუალური მორალის წინააღმდეგ მებრძოლის, ქალთა უფლებების დამცველისა და თავისუფალი აზრის ადვოკატის – იდა კრადოკის წიგნი „მთვარისა და სექსის თაყვანისცემა“. ვერი ჩაპელი, წიგნის გამომცემელი წერს, რომ იდა კრადოკს ხოტბას ასხამდნენ როგორც ექიმები, ასევე მღვდლები და ერთხმად ადასტურებდნენ მისი ნაწერების ღირებულებას. და მხოლოდ იმიტომ, რომ კრადოკის თემა იყო სექსი – თუნდაც მხოლოდლა ოჯახის ფარგლებში განხილული და კანონიერი – მას მაინც დაბრალდა ამორალობა, სიგიჟე და უცენზურობა.

იდა კრადოკი ლაპარაკობდა კონტროლირებული ორგაზმის დანიშნულებაზე ოჯახის ფარგლებში, მას სწორედ მორალური და ჯანმრთელი მხარე აინტერესებდა და არა ჰედონისტური სიამოვნება და გართობა. ის საკუთარ მკითხველებს უმხელს სხვადასხვა ტექნიკას, კერძოდ კოიტუს რეზერვაციუსს, რაც მეუღლეების ცხოვრებას ჯანმრთელს და წარმატებულს გახდის. მსგავსად ძველი ჩინური ტაოისტური ტექნიკებისა, მისი ინსტრუქციების თანახმად, პარტნიორებმა სექსუალური აქტის დროს ორგაზმი უნდა შეაჩერონ და ეს ენერჯია სამყაროსეულ მთავარ ენერჯიას, პირველადი მატერიის იმპულსურ ძალას დაუკავშირონ, როგორც მესამე პარტნიორს. ამგვარად, მათ არასოდეს მობეზრდებათ ერთმანეთი და საკუთარ ცხოვრებაშიც ყოველთვის ენერგეტიკულად ჯანმრთელები იქნებიან.

მის წერილებში საუბარი არ ყოფილა გარყვნილებაზე. იდა კრადოკი თავის ნაშრომებში განიხილავს ადრეული რელიგიური კულტების გაჩენის სანყისებს, ამ კულტებს განიხილავს ნაყოფიერებისა და მატრიარქალური იდეასთან კავშირში და ასევე, აჩვენებს მთვარისეული ციკლების მნიშვნელობას ადრინდელ საზოგადოებებში, რაც მერე, თანდათან, მზის კალენ-

დარმა და მასკულინისტურმა სიმბოლოებმა ჩაანაცვლა. და მხოლოდ ის, რომ ამ წიგნების თემა სექსია, დაუჯერებელია მათი აკრძალვის მიზეზი გამხდარიყო, მაშინ, როდესაც პორნოგრაფია სულაც არ არის აკრძალული. მაგალითად, ვილჰელმ რაიხი საკუთარ ნაშრომებში იმქვეყნიურ სულებს არ ეხება, თუმცა მასთანაც, ისევე, როგორც კრადოკთან და ჩინურ ტაიჩიში სამყაროს მთავარ ენერჯიაზე საუბარი – რაიხთან ამას ორგონი ჰქვია, ჩინეთში ჩი ერქვა, ხოლო კრადოკი ამ საკითხს მკითხველს უტოვებს გადასანყვეტად, ის ამბობს: რაც გინდათ, ის უწოდეთ ამ ენერჯიას, მთავარია, რომ თქვენთვის ეს ყველაზე საკრალურთან იგივედებოდეს, როგორცაა ღმერთი მორწმუნეებისთვის, ღვთაება წარმართებისთვის, ბუნება პანთეისტებისთვის და ასე შემდეგ.

ტაი ჩი დაახლოებით ასეთ პროგრესიას გვამცნობს, რომ თუ სექსუალური აქტის დროს კაცი ერთხელ შეაჩერებს ორგაზმს, ეს მის ჯანმრთელობას გააუმჯობესებს, თუ ორჯერ – სიცოცხლეს გაიხანგრძლივებს, სამჯერ – იღბალი ეწვევა, ოთხჯერ – სიმდიდრე გაუჩნდება, ხუთჯერ – სიბრძნე ეწვევა, ექვსჯერ – მეფის ძალას შეიძენს და ასე შემდეგ, მგონი ცხრამდე აღის ათვლა. იდა კრადოკს ზოგი აკრიტიკებდა, რომ ეს რეცეპტები შეიძლება კაცებს გამოადგეთ, მაგრამ ქალებისთვის უსარგებლოა, რადგან ქალები კაცებზე რადიკალურად გამოიმუშავებენ ამ ენერჯიას, მათ ეაკულაცია არ გააჩნიათ, ასე რომ მათთვის ორგაზმის ყოველგვარ კონტროლირებაზე საუბარი ფუჭია. ამას იდა კრადოკი კატეგორიულად უპირისპირდებოდა და ის პირველი იყო, ვინც ქალის სექსუალურ ფუნქციებს კაცის ორგაზმთან ათანაბრებდა და ამბობდა, რომ ეს ტექნიკები ერთნაირად სასარგებლოა ორივე სქესისთვის და საპირისპირო შეხედულებებს მხოლოდ სიზარმაცესა და მანიპულაციის სურვილს უკავშირებდა.

იდა კრადოკს ჩიკაგოში ჰქონდა საკუთარი ოფისი, სადაც ქორწინებაში მყოფ წყვილებს ეხმარებოდა კონსულტაციებით სექსუალური პრო-



ილან გომრე გვიჩვენებს კვანთა — საქუთარის დედა, ლიზი. ის ყველანაირად სდილობდა, როგორცაა რაღაც სისტემაში მოქმედა საქუთარის ქალიშვილი, ასევე სხვებს, ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოათავსებინა. ილან დედას მისი ხელნაწერების დაწვა უდებოდა. შუაფოთებულმა ილან საქუთარი ნაწერები ინგლისში გადააგზავნა ჟურნალ „ინგლისის“ რედაქტორთან. მოგვიანებით, თეოდორ შროილერმა ეს ნაწერები სახსრით ილინოისის უნივერსიტეტის კოლექციას გადასცა.

ბლემების მოგვარებაში. მან არაერთი სტატია და გამოკვლევა დაწერა ისეთ საკითხებზე, რაზეც არც მაშინ და არც ახლა ბევრი ფიქრსაც კი ვერ გაბედავდა ან არც კი მოუფიქრდა თავში ასეთი რამ. მისი ნაშრომები – „ზეციური სასიძოვები“, „ფსიქიკური ქორწინება“, „პირველი ღამე“ და „სწორი მეუღლეობრივი ცხოვრება“ გარდა იმისა, რომ ფსიქოლოგიურ ნიუანსებსაც აღწერს, კაცობრიობისათვის უცხო, მაგრამ რელიგიურ წერილებში არსებულ იმ ფაქტებზე ამახვილებს ყურადღებას, რაც ადამიანის მიღმიერ სამყაროსთან სასიყვარულო ეროტიკულ კავშირზე მიუთითებს.

სტატია „ფსიქიკური ქორწინება“ აღწერს სამსაფეხურიან ინიციაციას სექსუალური საშუალებებით. პირველ საფეხურს ეწოდება ალფაიზმი, სადაც სექსუალური ენერჯის გაკონტროლება იმგვარად ხდება, რომ მეუღლეებს შორის მხოლოდ ბავშვის გაჩენის მიზნით არის სექსუალური კავშირი დასაშვები. მეორე საფეხურია დიანიზმი, სადაც სექსუალური კონტროლის მიზანია უმაღლეს ენერჯისთან დაკავშირება, რაც ეაკულაციის შეჩერების და აქტის განუსაზღვრელი დროით გახანგრძლივების გზით მიიღწევა. გაცილებით მაღალი თვითკონტროლის გამოუმუშავების შემთხვევაში კი ეაკულაციის გარეშე ორგანიზმის გავლაზე საუბარი, რომელიც თანაბრია როგორც კაცობისთვის, ასევე ქალებისთვის. მესამე და საბოლოო საფეხური კი ისეთი ცნობიერების მიღწევას შეეხება, როდესაც ღვთაება მუდმივად მოიაზრება და განიცდება მესამე პარტნიორად მეუღლეობრივ სიყვარულში.

ჰყავდა თუ არა იდა კრადოკს წინამორბედი ანდა გამგრძელებელი, იყო თუ არა მისი შეხედულებები უტოპია, ან იქნებ რაიმე ნიშანწყალი სალი აზრისა მაინც მოიძებნებოდა სხვა მოაზროვნეთა გამოძახილშიც? მოგვიანებით იგივე ბედი გაიზიარა ჩვენ მიერ უკვე ნახსენებმა უდიდესმა გერმანელმა ფსიქოლოგმა ვილჰელმ რაიხმა. საკუთარი შეხედულებებისთვის და წიგნებისათვის „ორგანიზმის ფუნქცია“ და „მასების ფსიქოლოგია

და ფაშიზმი“ მან ციხეში დაასრულა საკუთარი გამორჩეული კარიერა და სიცოცხლე. იდა კრადოკის მსგავსად, თუმცა კი უფრო მატერიალისტური შეფერილობით, ვილჰელმ რაიხის მთავარი ფსიქო-სოციალური თეზისი ის იყო, რომ სექსუალურობის რეპრესირება იწვევს როგორც ნევროზებს, ასევე პერვერსიებს და ხელს უწყობს პორნოგრაფიული ინდუსტრიის წარმოქმნას და მის შემდგომ აყვავებას. ის ერთგან იხსენებს ლენინს და ამბობს, რომ ადრეული საბჭოთა კავშირის პერიოდში ქორწინება აიკრძალა და ასე გრძელდებოდა დაახლოებით 5 წელს. არავინ არავის საკუთრებაში არ იყო, თუ არა მხოლოდ საკუთარი კეთილი ნებით. ქორწინების სურვილის გამოხატვაც კი სასჯელს ექვემდებარებოდა, როგორც მესაკუთრეობის და მანიპულაციის ფორმა, თუმცა ასევე ისჯებოდა ყველანაირი ძალადობა თანაცხოვრებაზე, რაც მეორე მხარის სურვილის საწინააღმდეგოდ იქნებოდა მიმართული.

ანტიკურ დრამაში, ტიტუს მაკციუს პლავტუსის „ამფიტრიონში“ ზევსი ალკმენას მისი ქმრის ორეულის სახით მოეწინებება, აცდუნებს და დააფხვნიძიმებს. შემდეგ კი, როდესაც გაირკვევა, რომ ქმარმა არაფერი იცის ამ „ერთადგატარებული ღამის“ შესახებ და დრამატიზმი თუ კომიზმი კულმინაციას მიაღწევს, ზევსი იძულებული ხდება, შეინყალოს მოკვდავნი, გამოეცხადოს მათ და აუნყოს, რომ თვითონ მოაწყოს ეს ოინი. შემდეგ კი ეს ამბავი ქმრისთვის, ცხადია, საამაყოა, რადგან თვით ღმერთი გახდა მათი შვილის მამა. მაგრამ დრო იცვლება. დღევანდელ ინგლისში, თუ სტატისტიკას ვენდობით, გახსნილი, დაუფარავი სამკუთხედები უკვე ჩვეულებრივი მოვლენაა, თუმცა იგივე შემთხვევებს ამერიკაში ადვოკატების ჩარევა და დახმარება სჭირდება. მაგრამ იდა კრადოკი ასეთ სამკუთხედებზე არ ლაპარაკობდა. მის სამკუთხედში მესამე სწორედ ზევსი იყო ან ნებისმიერი სხვა ღმერთი. მითებშიც ხომ გმირები ხშირად ქთონურ ქალღმერთებთან ქორწინდებიან.


სასიყვარულო ისტორიები სულე-

ბთან, უფრო კი სტიქიებში მოსახლე ელემენტალებთან მანამდე აღწერილია მე-17 საუკუნის ფრანგი მწერლის მონფოკონ დე ვილარის წიგნში „გრაფი და გაბალისი“, თუმცა ასეთივე ისტორიები აქვს ბევრ ანტიკურ თუ თანამედროვე მწერალს და ფილოსოფოსს, სოკრატეს, პლატონს, ნეტარ ავგუსტინეს, უოლტერ სკოტს და სხვ., სადაც საუბარია სტიქიებზე, ფაგნებზე, ნიმფებზე და სხვა სტიქიათა სულებზე, რომლებიც ადამიანთან შედიან კავშირში. იქ გრაფი გაბალისი იხსენებს, როგორ ჩაეშალა დანიშნული ქორწილი ერთ ადამიანს, როდესაც საზეიმო მაგიდასთან, სტუმართა თავს ზემოთ, მას უცბად ქალის მშვენიერი ფეხის ხილვა გამოეცხადა. ეს სცენა მშვენიერების ისეთი ძალის მატარებელი იყო, რომ ყველასთვის ცხადი გახდა ამ კაცის მიერ თავისი მინიერი ქალბატონის სასარგებლოდ გაკეთებული არჩევნის უსამართლობა, მერე კი ამ ელემენტალმა ადგილზე მოკლა იგი.

დე ვილარი ამბობს, რომ ელემენტალთა მშვენიერებას ვერ შეედრება მინიერი მშვენიერება. ამ კონცეფციის მიხედვით, ელემენტალები ადამის და ევას კი არა, ადამის და მისი მეორე, მარგინალიზირებული ცოლის, ლილითის შთამომავლები არიან. თავიდან ღმერთს ასეც ჰქონდა ჩაფიქრებული, რომ შთამომავლობა სწორედ ლილითს უნდა გაეჩინა ადამისთვის, მაგრამ ევამ აცდუნა და კაცობრიობამაც მხოლოდლა მინიერი და მატერიალისტური განზომილება მიიღო. სტიქიების მცხოვრებთ გაცილებით უკეთესით ღმერთის რაობა და ღვთაებრივი სამყარო, უფრო რელიგიურებიც არიან, ვიდრე ადამიანები, მაგრამ ერთი ნაკლი აქვთ – ადამის მიერ ლილითის უარყოფის გამო უკვდავება არ გააჩნიათ და თუმცა კი ხანგრძლივი სიცოცხლის მერე გარდაცვალებისას სამუდამოდ ნადგურდებიან. ამიტომ ესწრაფიან ისინი ადამიანებთან ქორწინებას, რადგან მათთვის ეს მარადიულობასთან ზიარების ერთადერთი შესაძლებლობაა.



ილუსტრაცია: მიხაილ შერეზინი



იდა კრადოკმა საზოგადოებისთვის განაცხადა, რომ ის იკლავს თავს, რადგან მოსამართლე ყოველგვარი საფუძვლის გარეშე და მხოლოდ ანთონი კომსტოკის მოწოდებას აყოლილა და მანამდე სწორედ იგი და რომ ამგვარად ამერიკის საზოგადოება უკეთ დანიხნავს ამ გადაწყვეტილების უსამართლობას. დედან კი მისწერა, რომ მას უფლება აქვს, მოკვდეს ისე, როგორც სხვებთან – თავისუფალ ქალად.

Love me tender.

აბელარი და ელოიზა

ავტორი: თამუნა ნალარაიშვილი

მინდა, მადლობით დავიწყო: მადლობა რუსთაველს, „ვეფხისტყაოსნის“ ბოლოში არავინ რომ არ დახოცა. „ვისრამიანშიც“, სპარსულად ისე ლამაზად რომ ჟღერს: „ვეის ორამინ“! ათასი ვაის და უის მერე, შმაგი მიჯნურები ცოცხლები დარჩნენ (და ორი ბიჭიც გააჩინეს). მრავალგვერდიანი თხრობის მერე დიდი შვებაა მკითხველისათვის. დასავლური შუასაუკუნეების ტრადიცია კი სასიყვარულო ისტორიისაგან კათარზის სამარის კართან შემდგარ ფინალში ხედავდა. ევროპულ ლიტერატურაში სამი მთავარი სასიყვარულო წყვილია: ტრისტანი და იზოლდა, რომეო და ჯულიეტა, აბელარი და ელოიზა. პირველი ორისაგან განსხვავებით, (რომლებიც უმნიშვნელოდ იქნენ ჩასახულნი მწერალთა წარმოსახვაში), აბელარი და ელოიზა ხორციელი ცოდვის ნაყოფები იყვნენ. აბელარმა თავისი „ბნედა, კვდომა, დაგვა და ალვა“ თავად გაგვანდო ავტობიოგრაფიულ რომანში „Historia Calamitatum“, ანუ „ჩემი უბედურებების ისტორია“. (წიგნი, მიუხედავად იმისა, რომ 800 წლისაა, სამწუხაროდ, ჯერაც არ არის ნათარგმნი ქართულად. გამომცემლებო! კარგ საქმესაც გააკეთებთ და სარგებელსაც ნახავთ; ერთი ამოსუნთქვით იკითხება). „უბედურებებმა“ ავტორის სიცოცხლეშივე მოიპოვეს გამოძახილი ლათინურს ნაზიარებ ევროპელთა გულეში. მოგვიანებით მონათხრობს შეყვარებულების შვიდწლიანი მიმონერაც დაურთეს თან. მეთორმეტე საუკუნის ბოლოს კი ლათინურიდან ხალხურ, ანუ ფრანგულ ენაზე თარგმნეს, და მას მერე ცხრა საუკუნეა „Historia Calamitatum“ ევროპული სასიყვარულო რომანების ტოპ-სიაში შედის.

მაგრამ მე ამ ისტორიაში სიყვარული კი არა, გენდერული პრობლემატიკა უფრო მაინტერესებს...

შუასაუკუნეების სულისშემკვრელი ლავსტორი

არის ასეთი ფრაზა: ნახო პარიზი და მერე თუნდაც მოკვდე. მეთორმეტე საუკუნეში შეიძლებოდა, გენახა პარიზი და საშინელ სუნს გაეგუდე. კანალიზაციის ნაცვლად – ღამის ქოთანს, ფანჯარა, ქუჩა. ამასთან ერთად, წლობით არ ბანაობდნენ (სწამდათ, რომ ხშირი დაბანა ჯანმრთელობას ვნებს). ეძინათ მჯდომარე მდგომარეობაში (დანოლილ ძილს არაჯანსაღად მიიჩნევდნენ). სპეციალური საფხანით იძრობდნენ ტილებს (იმ ეპოქის აქსესუარი), და ტოვებდნენ ამ სამყაროს ისე, რომ ერთხელაც არ ჰქონდათ ნათამაშები ფეხბურთი, არ ჰქონდათ გასინჯული შოკოლადი (არც

ცხელი, და არც არანაირი). მაგრამ! რაც შეეხება ხორციელ ვნებას... აი, მოისმინეთ მე-12 საუკუნის მამაკაცის აღსარება. ეს ისტორია, „მსმენელთა გულისა გასაგმირალი“, და „ყურნიცა რომ დავალდებთან“, მამაკაცური ღირსების მოკვეთით, (ანუ დასაჭურისებით) დამთავრდა. ამ ამბავმა მეთორმეტე საუკუნის დაუბანელი ევროპა შეძრა. მერე იყო მეცამეტე საუკუნე, მეთოთხმეტე... მაგრამ ინტერესი ამ წყვილის მიმართ არ ნელდება. პირიქით!

...აბელარი და ელოიზა ერთ აკლდამაში დაკრძალეს. სამი საუკუნის შემდეგ, მეთხუთმეტეში, ნეშტები ამოიღეს და საერთო კუბოში ჩაასვენეს. მხოლოდ თხელი ტყვიის გამყოფი იყო მათ შორის. საფრანგეთის რევოლუციის დროს იაკობინელებმა, აღვსილებმა „კეთილშობილი“ სულისკვებით მოეშოთ „ოპიუმი ხალხისათვის“, გაძარცვეს სავანე, სადაც შეყვარებულთა ნეშტები განისვენებდნენ. წმინდა სამების ქვის გამოსახულებაც კი დაამსხვრიეს, როგორც ცრურწმენის სიმბოლო. მხოლოდ აბელარისა და ელოიზასათვის არ უხლიათ ხელი (როგორც წერდა ცნობილი მკვლევარი ტკაჩევსკი: „ალბათ, იმიტომ, რომ ახალი რაციონალისტები სენტიმენტალურები იყვნენ, ნერვიულად მგრძნობიარენი“).

წერტილი ამ ისტორიაში ნაპოლეონმა დასვა: როგორც კი კონსული გახდა, გასცა ბრძანება „გონების სინმინდე“ (ასე იხსენიებდნენ აბელარს), პარიზში გადმოესვენებინათ.

...ის, რაც ოდესღაც იყო აბელარი, და იყო ელოიზა, ერთად დაასვენეს. ამჯერად უკვე სრულიად უშუალო, მაგრამ, ვაი, რომ შვიდასი წლის შემდეგ ყოველგვარ ეროტიულობას მოკლებულ სიახლოვეში. პიერ ლამეზის სასაფლაოს პატარა სამლოცველოს თავზე (სადაც ისინი დღესაც განისვენებენ ძვლებმისუტებულები), აბელარისა და ელოიზას სახელები ამოტვიფრეს და გააკეთეს წარწერა: „ან ერთად სამარადისოდ“. ძალიან გულის ამარწყებელია...

ცხოვრება კი უღმობელია. ზოგჯერ ის, რაც იწყება როგორც გართობა და თამაში, და „ვაუ, რა კარგია!“, კატასტროფით შეიძლება დასრულდეს. მაგალითად, დასაჭურისებით.

რა შეიძლება ამ ისტორიიდან გამოიტანოს კაცმა? ნათქვამია, ჭკვიანები სხვის შეცდომებზე სწავლობენ, სულელები კი თავისაზე (მე ვიტყვოდი, ზოგჯერ არც სხვისაზე გამოგდის სწავლა, და არც საკუთარზე...)

მაგრამ ეს ისტორია, ერთი მხრივ, ძალიან გულისამარწყებელია, მეორე მხრივ კი, ჭკუის სასწავლებელი.



ყველა დროს თავისი უსწავრობები სჭირს

ასე არიან ადამიანები: მოიგონებენ თავიანთთვის ათასგვარ წესებს, ჩვეულებებს და აკრძალვებს, და მერე იტანჯებიან ამით, სანამ მთლად გაუსაძლისი არ გახდება. მერე აღმოჩნდება, რომ ეს ყველაფერი სისულელე იყო.

მეთორმეტე საუკუნეში თავისი უცნაურობები სჭირდათ. ეს იყო პირველი ჯვაროსნული ომების ეპოქა. ბებერი ევროპა მაშინ ძალიან ახალგაზრდა იყო და მოჭარბებული ენერჯის გასავალს ეძებდა. მოსახლეობის ერთი ნაწილი ბრძოლის ველებზე და რაინდულ ტურნირში ჰპოვებდა განტვირთვას, მეორე კი, ფიზიკურად უფრო მჭლე და გონებრივად უფრო განვითარებული, ინტელექტუალურ ბატალიებში. იმ ეპოქაში ფილოსოფია ისეთივე პოპულარული იყო, როგორც შოუ ბიზნესი ჩვენს დროში. რომ წარმოვიდგინოთ, რაოდენ დიდი იყო „სიბრძნის სიყვარული“, აი, ასეთი მაგალითი: აბელარს (ის კი სწორედ ფილოსოფოსი და ღვთისმეტყველი იყო) თავის ყოფილ მასწავლებელთან დისპუტი ჰქონდა. მოხდა ისე, რომ მას პარიზის დატოვება და შემოგარენში გადასახლება მოუწია. მაგრამ ამის გამო დისპუტი არ შენელებულა: რამდენიმე ასეული სტუდენტი ყოველდღიურად ათობით მილს გადიოდა პარიზიდან შემოგარენში და უკან, რომ აბელარის კონტრარგუმენტები მოესმინათ მისი ოპონენტის პოსტულატებზე. აი, ასეთი იყო ცოდნისაკენ სწრაფვა.

ამავდროულად, კათოლიკური ეკლესია აგრესიული არატოლერანტობის ფაზაში შედიოდა, რაც მოგვიანებით ინკვიზიციაში გადაიზარდა. მერე კოცონზე აჰყავდათ განუწრეველად ყველაფრისათვის, იმისათვისაც კი, რომ დედამინა მრგვალია და ტრიალებს. (რატომღაც ეს რელიგიურ გრძნობას შეურაცხყოფდა).

მაგრამ ყველაზე შეურაცხმყოფელი, რა თქმა უნდა, სექსია. ამიტომ, იმ მოვლენებამდე ოთხმოცი წლით ადრე, რომელზედაც გვექნება საუბარი, კათოლიკურმა ეკლესიამ ცელიბატი შემოიღო, ანუ ბერობა ღვთისმსახურთათვის.

და ეპოქის ბოლო შტრიხი: უნივერსიტეტის პედაგოგები ასევე ვალდებულები იყვნენ, შეენახათ ცელიბატი. ამის გარეშე შეუძლებელია, მიხვდე, თუ რატომ მოჰყვებოდა აბელარს ორგანო.

პროფესორის ახორციელებული მუშაობა

პიერ აბელარი 1079 წელს კეთილშობილი რაინდის ოჯახში დაიბადა. მეთორმეტე საუკუნეში თანამედროვე გაგებით გვარები არ არსებობდა. იყო მხოლოდ მეტსახელები. უკრანელებს ესია მოგონებათ იმის გაგება, რომ დიდმა ფრანგმა მოაზროვნემ თავისი მეტსახელი ლორის სიყვარულის გამო მიიღო: აბელარი ლორის მოყვარულს ნიშნავს.

ამ ლორის მოყვარულმა, მიუხედავად იმისა, რომ ოჯახში უფროსი ვაჟი იყო, მემკვიდრეობა ძმებს დაუტოვა და „სამხედრო ალაფებს სიტყვიერ პაექრობებში გამარჯვებები ამჯობინა“.


დიალექტიკის შესასწავლად აბელარი პარიზს გაემგზავრა, და ორმოცი წლის ასაკისათვის უკვე მთელ ევროპაში განთქმული ფილოსოფოსი იყო. აბელარს უნივერსიტეტის



კათედრა ეკავა, და მდიდარი მოსწავლეების წყალობით, კარგი შემოსავალიც ჰქონდა. აბელარი ფიზიკური მომხიზვლელობითაც გამოირჩეოდა. ასევე იგი წერდა სიმღერებს, რომლებსაც მთელი საფრანგეთი მღეროდა. აბელარს კარგი ხმაც ჰქონდა და საკრავზეც უკრავდა... და ყოველივე ამასთან ერთად, უმანკო იყო.

(როგორც უნივერსიტეტის პროფესორს შეეფერებოდა).

და აი, ეს ორმოცი წლის, თავისი კარიერის მწვერვალზე მყოფი ვაჟიშვილი ქალის სურვილმა შეიპყრო. ალბათ, დაავიწყდა სახარებაში ნათქვამი: „უკუეთუ თვალი შენი მარჯვენე გაცდუნებდეს შენ, აღმოილე იგი და განაგდე შენგან, რამეთუ...“



მაგრამ ყველაზე შეურაცხველი, რა თქმა უნდა, საქსია. ამიტომ, ოთხმოცი წლით ადრე, ქათოლიკურმა ეკლესიამ ცალიბატი შემოიღო, ანუ ბარობა ღვთისმსახურათვის. და ეპოქის ბოლო შტრიხი: უნივერსიტეტის კელაგობები ასევე ვალდაბუღები იყვნენ, შეანახათ ცალიბატი. ამის გარეშე შეშლივართ, მიხვდა, თუ რატომ მოჰქვეითეს აბელარს ორბანო.

ზუსტად ეგრე მოხდა. ხოლო ეს ისტორია იმით დაიწყო, რომ ქალაქ პარიზში ცხოვრობდა 18 წლის ქალიშვილი სახელად – ელოიზა. ელოიზა ვინმე ფულბერტის ძმისშვილი იყო. ბიძას იგი ძალიან უყვარდა და ზრუნავდა, რომ გოგონას კარგი განათლება მიეღო. ელოიზა ძალიან ლამაზიც ყოფილა, და თავისი განსწავლულობით ყველასაგან გამორჩეული. სწორედ ამ ქალიშვილთან, რომელიც, როგორც თავად აბელარი წერს, შემკული იყო ყოველივე იმ თვისებით, რაც მამაკაცში შეყვარებულობას იწვევს, მან სასიყვარულო რომანის გაბმა გადაწყვიტა. „მე გადავწყვიტე, რომ ეს საკმაოდ იოლად გამომივიდოდა. მე ხომ ისეთი ცნობილი ვიყავი, და თან ისე მომგებიანად გამოვიჩნეოდი ახალგაზრდობითა და სილამაზით, რომ უარს ვერც ერთი ქალი ვერ მეტყოდა, თუკი მოვისურვებდი მისთვის პატივი დამედო და სიყვარული შემეთავაზებინა“.

აბელარმა ეშმაკური სვლა გააკეთა. ელოიზას ბიძას უთხრა, საყოფაცხოვრებო საქმეებზე ზრუნვა სამეცნიერო საქმიანობაში ხელს მიშლის, და ეგებ, თქვენთან ვისადილო ხოლმეო. კარგი ფულიც შესთავაზა, და სხვათა შორის, უთხრა, თუ გინდათ, თქვენს ძმისშვილს უფასოდ ვამეცადინებო. მიამიტი ფულბერტიც დათანხმდა.

როგორც თავად აბელარი წერს: „მეც გაოცებული დავრჩი მისი გულუბრყვილობით, უმანკო ბატკანი მშვიერ მგელს რომ მიანდო. თან ისიც მთხოვა, მკაცრად დამესაჯა ელოიზა, თუ კარგად არ იმეცადინებდა. ამით ჩემს სურვილებს სრული თავისუფლება მისცა. მე საშუალება მომეცა, ჩემი მდგომარეობა ელოიზას სურვილის წინააღმდეგადაც კი გამომეყენებინა. ასე რომ, თუ ალერსით ვერ დავიყოლებდი, მისი ცემაც კი შემეძლო. ...მაგრამ იყო ორი გარემოება, რომელიც ფულბერტს ჩემს მიმართ ყველა ეჭვისაგან ათავისუფლებდა: ძმისწულის მიმართ მისი უსაზღვრო სიყვარული და ჩემი, აქამომდე უმნიცვლო მეცნიერის სახელი“.

აბელარს არ დასჭირვებია ელოიზასათვის ძალის დატანება. მოსწავლეს ყურებად შეუყვარდა მასწავლებელი. სხვაგვარად არც შეიძლებოდა მომხდარიყო. წარმოადგინეთ, ელვის პრესლის, თავისი პოპულარობის მწვერვალზე, (თუმცა ის ყოველთვის იქ არის), გადავწყვიტა ვინმე გოგოსათვის მუსიკის გაკვეთილები მიეცა. ვინ გაუძლებდა ცდუნებას?

აბელარმა და მისმა მოსწავლემ ტრფობის იალქნები ააფრიალეს. ეჭვი რომ არ გამოენვიათ, აბელარი დრო და დრო თეთქვავდა ელოიზას. „მაგრამ სიყვარულით. ჩემი დარტყმა ყველა საღებუნ მალამოზე უფრო მამებელი იყო. და აი, საბოლოოდ, ჩვენ გრძნობის ყველა საფეხური გავიარეთ, იმის დამატებით, თუკი რაიმე განსაკუთრებული შეიძლება სიყვარულში მოიგონო. რაც ნაკლები გამოცდილება გვქონდა ამგვარ საქმეებში, მით მეტი აღმაფრენით ვეძლეოდით ტრფობას, და მით ნაკლებად ვიღლებოდით ამით“.

უფრო დეტალურ ინფორმაციას, თუ რა განსაკუთრებული მიგნებები ჰქონდა წყვილს „ტრფობის ხელოვნებაში“, აბელარი, სამწუხაროდ, არ იძლევა. მისეული კამასუტრა უცნობი დარჩა.

>>> ბაზრქილება გვ. 114

ისევ ჩანანები, ამჯერად თბილისური

ავტორი: ლანა ლომოვარიძე

„მას ქარის სილუეტი აქვს და უფსკრულში მოაბიჯებს“ – ფრანგი კრიტიკოსის მიერ ნათქვამი ამ დამაინტრიგებელი სიტყვებით გავიცანი ის ამ რამდენიმე წლის წინ, პარიზში. ალი აჰმად საიდ ესბერი, ლიტერატურული ფსევდონიმი – ადონისი. სირიელი პოეტი, რომელიც 1986 წლიდან პარიზში ცხოვრობს. წერს არაბულად და ფრანგულად ბეჭდავს მის მიერვე ავტორიზებულ თარგმანებს.

ამ ბოლოხანს ეს, მიყრუებულ სირიულ სოფელ კასაბინეში დაბადებული ბიჭი და დღევანდელი აპოკალიპტური ხედვით დაღდასმული პოეტი, რომელსაც ქარის სილუეტი აქვს და უფსკრულში მოაბიჯებს, რალაცნაირად ჩემი ცხოვრების თანამგზავრი გახდა, ალბათ, იმიტომაც, რომ ჩემი თაობისაა (1930 წელსაა დაბადებული) და ამავე დროს, ჩემი აღქმით, მის პოეზიაში ასე ძლიერად არის შერწყმული აღმოსავლეთი და დასავლეთი – ჩვენი კულტურაც ხომ ამ წინააღმდეგობრივი ნაზავის შედეგია.

ვკითხულობ და ვთარგმნი, ვთარგმნი და ვკითხულობ. და მასხენდება „მარიოტას“ შესავალში თამაზ ჩხენკელის მიერ მოყვანილი ერთი მოაზროვნის სიტყვები: ნამდვილად მხოლოდ ის წაგვიკითხავს, რაც გვითარგმნია. მე თვითონ ეს განცდა არაერთხელ მქონია: უცხოელი პოეტი ნამდვილად შენი მხოლოდ თარგმნის პროცესში ხდება. და დღეს, თარგმნისას, ასეთი „ჩემი“ ადონისი გახდა. ამ ბოლო დროს ის სულ თვალწინ მიდგას, თავისივე სიტყვებით დახატული: უფსკრულის კლდოვან კალთებს თავმიდებულები, ან ქარს მიდევნებულები, თხელი, ნაოჭებით სახედალარული კაცი, რომელიც ესაუბრება ეპოქას და ვისაც ჭირისუფლად სამყაროს ნან-



ADONIS *selected poems*
translated by khaled mattawa

გრევეები ევლინებიან. და არ მშორდება ფიქრი: მაინც რა ბედნიერებაა, შეძლო ჩაიძირო ახლად აღმოჩენილი და ასეთი მიმზიდველი სიტყვის სტიქიაში მაშინ, როცა ცხოვრება მთლად გაუსაძლისი ხდება! და კიდევ ვფიქრობ იმაზე, რაც ყოველთვის ერთნაირად მაცოცხლებს: ლექსი ნამდვილი განსაზღვრედილია მაშინაც, როცა ის თითქოს მხოლოდ სასონარკვეთას ასხივებს. და ეს იმიტომ, რომ სიტყვას თავისი, ღვთით მომადლებუ-

ლი ძალა აქვს – გაზიაროს სილამაზეს, რომელიც თავად არის „სიკვდილთან ჩვენი შემრიგებელი“!

ადონისის ლექსების ბოლო ფრანგულ კრებულს „ქარის მოგონებები“ ჰქვია. ეს სათაური – ფრანგულადაც – ორგვარად შეიძლება გაიგო: მოგონებები, რომლებიც ან თვითონ ქარისაა, ან პოეტისა ქარის შესახებ.
„თან მომაქვს ჩემი უფსკრული და მოვდივარ ასე.“

ჩიხში მიმავალ შუკებს ვანგრეე და ვარჩეე იმ გზებს,
თავი და ბოლო რომ არა აქვთ, ვით მტვერს და ჰაერს“.

ჩემს ალქმაში ადონისი ბოდლერივით ტრაგიკული და მასშტაბური:
„ვცხოვრობ მალულად მზის ნიაღში, რომელიც ჯერაც არ ამოსულა და მფარველად მყავს ღამის ბავშვობა ის იღებს ჩემს თავს და რიჟრაჟის მუხლზე ჩამოდებს.“

მე კი თავს ვაღწევ ღამეს და რიჟრაჟს, ვთხზავ განშორების უსასო ეტრატს და არავისგან აღარაფერს არ ველოდები. ვარ ერთდროულად მისანი და მთესველი ეჭვის...
ასე ვარსებობ სივრცის ხსოვნაში. ვეძებ ეპოქის რიტმსა და კილოს.“

ამავე დროს ის ომარ ხაიამივით სათუთი და ინტიმურია:



„ელვა ტიროდა და ტირილით მანიშნა რალაც
მერე ჩათვლიმა
წინათგრძნობათა უსიერ ტყეში
ვერ მიმხვდარიყო მე ვინ ვიყავი
მე – მეუფე შელამებისა
ელვა ტიროდა და ტირილით მანიშნა რალაც
მერე როდესაც დაინახა ჩემი თვალები
ჩემს გაშლილ მკლავზე ჩამოეძინა“.

რა მოულოდნელი პოეტური სახეა: ელვა, რომელმაც ტირილით ანიშნა რალაც პოეტს და მერე, როდესაც წინათგრძნობათა უსიერ ტყეში დაინახა მისი თვალები, მის გაშლილ მკლავზე ჩამოეძინა.

ტრაგიკული, მასშტაბური, ინტიმური და თან მთლად ჩვენებურად, ახლობლების, მამისა თუ ძმის მოყვარული:

„ამ სახლის თავზე მდუმარებას გული ელვავა სიმშვიდე ტირის
რადგანაც გუშინ მამაჩემი გარდაიცვალა მინდორი გახმა
მოკვდა მერცხალი“.

ან კიდევ:
„ვუყვარვარ ამ გზას ამ მყუდრო სახლსაც სახლში ვუყვარვარ წითელ სურას სურა კი უყვარს წყალს მოლიველივეს ვუყვარვარ ამ კაცს ჩემს მეზობელს ამ მინდორს ჰაერს ცეცხლს მოელვარეს ვუყვარვარ ჩემსკენ მომართულ მკლავებს“



წიგნის წონა მის სიტყვაში კი არ არის, არამედ იმ სიჩუბში, რომელსაც ის ქმნის. ეს აზრი დაეხება, ფაშაქის ქართულად შესანიშნავად თარგმნილი რომანის „მე წითელი მკვირს“ კითხვისას – მან ჩაბი დაბადა ღიღი სიჩუბი, რომლის თანდათან სხვადასხვა ფიქრით შეივსო.



ხანდახან მგონია, რომ
ქალიან, ქალიან დიდი
ხნით ვიყავი მოწყვდილი
ქართულ რეალობას, –
– და ამიტომაც ბევრ
რამეს, უოზიტიურს, სულ
ახლავურად განვიხიდი. ამ
უოზიტიურს, ძირითადად,
ბაჭდვით სიტყვაში
ვკოულოვ.



მშვიდსა და სათუთს
უყვარვარ ჩემი დამაშვრალი ძმის
მკერდის სიღრმიდან ამომსკდარ ფეთქვას
იქ იმ მოთბულ თავთავებში რომ იმალება
როგორც ბადახში სისხლზე წითელი“.

ადონისის სტიქია მოგზაურობაა, ოღონდ წარმოსახვითი. ის მოგზაურობს ტალღაზე და ფრინველის ფრთაზე, სტუმრად მიდის საუკუნეებთან, „რომ წავიდნენ და დაგვტოვეს ობლად“, ეწვევა შვიდ გალაქტიკას და ვნებით ანთებულ ტუჩებს. „მერე გავქრები, მკერდს მივანდობ გამყივან ქარებს და ჩემს ნაკვალევს დაგიტოვებთ გზაჯვარედინზე ერთ გადაკარგულ შორ უდაბნოში“.

და ბოლოს, რადგანაც ის არის არა ფრანგი, არამედ სირიელი პოეტი, მის

მიერ სამშობლოს განცდა ჩვენთვის განსაკუთრებით გასაგებად მეჩვენება:

ბეზარი ძვეყანა

„მივანდე კლდეებს და მათ ექოებს
გამოფიტული სურვილების ფარფატა
დროშა

მე ის მივანდე მტვრის საბურველს
გზაზე რომ დამხვდა
და ფიანდაზად დაუფინე
ამპარტავნებას უარყოფას და დამარცხებას
მხოლოდ შენ დამრჩი
შენ ბებერო ჩემო ქვეყანავ
ჩემო იმედო და საიდუმლო“.

ასეთია, ძალიან სქემატურად, არაბი პოეტი – ადონისი, რომელსაც ვთარგმნი და იმედია, გამოცემასაც მოვა-

ხერხებ. და როცა გამოცემე, ძალიან გამიხარდება, თუ მას წიგნის ქართველი მოყვარულიც, ჩემსავით, გაითავისებს.

იდეოლოგია, რომელიც არ ეყრდნობა ზნეობრიობას, განწირულია დასაღუპად.

მხოლოდ შინაგანად თავისუფალ ადამიანს შეუძლია, თვითონაც დასცინოს საკუთარ თავს და სხვასაც მისცეს შესაძლებლობა მისი დაცინვის.

თუ ჭეშმარიტებას შეუძლია გამოიწვიოს სკანდალი, ჯობია დაუშვა სკანდალი, ვიდრე უარყო ჭეშმარიტება (ამის მაგალითია სახალხო ფრონტის ყრილობაზე მერაბ მამარდაშვილის მიერ პოლემიკურად ნასროლი ცნობილი ფრაზა).

წიგნის წონა მის სიტყვებში კი არ არის, არამედ იმ სიჩუმეში, რომელსაც ის ქმნის. ეს აზრი დამებადა, (ან იქნებ ვილაცის მიერ ნათქვამი გამახსენდა?) ფაშუქის ქართულად შესანიშნავად თარგმნილი რომანის „მე წითელი მქვიას“ კითხვისას – მან ჩემში დაბადა დიდი სიჩუმე, რომელიც თანდათან სხვადასხვა ფიქრით შეივსო. მას მერე თვითონ რომანი თითქოს აღარც მახსენდება, მაგრამ მის სიჩუმეში დაბადებული ფიქრები კი სულ თან დამყვება, და მათ შორის უმთავრესი – ფიქრი სიკვდილზე. სიკვდილის ფაშუქისეული აღქმა რატომღაც ჩემში ახმატოვას სიტყვებს დაუკავშირდა:

„მე როცა წავალ, ყველაფერი დარჩება მერეც,
ეს ძველთაძველი შოშიის სახლიც,
და ეს ჰაერიც კვლავაც მიახლის
ზაფხულის სიცხეს გადამწვარ სერებს.
მარადისობა მეძახის ისევ
არამქვეყნიურ შეუვალლობით,
და მოვარე ესვრის, როგორც წყალობას
ალუბლის ბაღებს სხივების ისრებს.
და მეჩვენება ისე მსუბუქად,
თეთრად მბრწყინავი ტვერში უშუქოდ
გზა, მიმავალი, არ გეტყვით, საით,
აქ ყველაფერი ისევე მელის,
როგორც ეს ტბორი ცარსკოე სელოს
და ხეივანი შეუმოსავი“.

(თარგმანი ჩემია. ლ. ლ.)

>>> ბაზრქილება გვ. 116



სხალი შოკოლადი

დაბიუტი

მედიუმობა

ფოტობრაჟი

ილუსტრაცია

2010



„სხალი შოკოლადი“ წარმოგიდგენთ კონკურსი „დაბიუტის“ გამარჯვებულებს სამ ნომინაციაში



ეშმაკით შეპყრობილთა ფსიქოპათოლოგია და ეგზოტრიპი

ავტორი: ირაკლი ქავთარაძე

21 September, 1990

ბანათლება

„... – მე ვარ ის, ვინც სახლობს კაენში!
მე ვარ ის, ვინც სახლობდა ნერონში!
მე ვსახლობდი იუდაში!
მე ვიყავი ლეგიონთან ერთად!
მე ვარ ბელიალი! და მე ვარ ლუციფერი,
განხორციელებული ეშმაკი!“

საინტერესოა, ვის ეკუთვნის ეს სიტყვები – კაენს, იუდას, ნერონს, ლუციფერს თუ ანელის მიშელს, რომლის სახელიც ეშმაკით შეპყრობილთა სიაში მოიხსენიება.

არსებობს ანელისის ეგზოტრიპის სესიების აუდიო ჩანაწერები, რომლის დროსაც ის ჩამოთვლის დემონების სახელებს, რომლებიც სახლობდნენ მის სხეულში.

ანელისის შემთხვევას ეკლესია განიხილავს, როგორც ეშმაკის მცდელობას, მოიპოვოს საკუთარი მსხვერპლის სული და დაეუფლოს მის სხეულს. ამიტომ სასულიერო პირები იყენებენ ეგზოტრიპს, რათა განდევნონ ბოროტი სულები. ეგზოტრიპში ბერძნული სიტყვაა (ἐξορκισμός) და ნიშნავს „წყევლით შებოძებს“.

ფსიქიატრთა და ფსიქოლოგთა დიდი ნაწილი კი თვლის, რომ ეს არის ფსიქიკური აშლილობა და ყველა ეშმაკით შეპყრობილს აქვს კონკრეტული ფსიქიკური დარღვევის სიმპტომები და შესაბამისად მკურნალობა უნდა ჩატარდეს მედიკამენტების საშუალებით.

არსებობენ თუ არა ეშმაკები? შეუძლიათ თუ არა ადამიანის სხეულში ჩასახლება? შეიძლება თუ არა ეგზოტრიპით მათი განდევნა? ეს ნამდვილად ეშმაკით შეპყრობაა თუ ფსიქიკური აშლილობა?

ამ კითხვებზე პასუხისთვის საჭიროა განვიხილოთ თავად ეშმაკისა და ეგზოტრიპის იდეა და ამ იდეის განვითარება განსხვავებულ კულტურებსა და დროში.

კულტურული და ისტორიული კონტექსტი

რელიგიაში, მითოლოგიაში, ოკულტიზმსა და ფოლკლორში დემონი არის

ზებუნებრივი ძალა, ბოროტი სული. თუმცა მისი თავდაპირველი დახასიათება არ იყო უარყოფითი. დემონი მომდინარეობს ბერძნული სიტყვიდან დაიმონ, რომელიც აღნიშნავს ღმერთსა და ადამიანს შორის მდგარ არსებას. შემდგომში სხვადასხვა რელიგიებში დემონი განასახიერებს ბოროტ სულს.

ყველა რელიგიასა და კულტურაში ვხვდებით ეშმაკით შეპყრობილთა შემთხვევებს და შესაბამისად, მათი განდევნისთვის საჭირო ეგზოტრიპებს. ეგზოტრიპის ჩატარების უფლება ყველას არ აქვს, ასეთები არიან მხოლოდ მღვდლები, რაბინები, შამანები, ბრაჰმანები და სხვ. ისეთი ადამიანები, რომლებიც არიან ძლიერად მორწმუნენი და საკმარისად განათლებულები ამ სფეროში. თუმცა დღეს დასავლურ კულტურაში არიან ეგზოტრიპისტები, რომელთაც არ აქვთ რაიმე სასულიერო წოდება (მაგ. ბობ ლარსონი, რომელსაც ეგზოტრიპზე საკუთარი „ცოცხალი წარმოდგენაც“ (ე.წ. რეალითი შოუ) კი აქვს). ეგზოტრიპის რიტუალში იყენებენ ლოცვებს, კმევას, წმინდა წყალს, ჯვრებს, მარილს, ვარდს და სხვ.

ადრეულ ხანაში ყველა სახის დაავადება მიეწერებოდა ბოროტ ძალეებს. მაგალითად, ძველ ბაბილონსა და მესოპოტამიაში სჯეროდათ, რომ გარკვეული დაავადებები გამოწვეული იყო დემონური ძალებით, ჯადოქრობით ან ავი თვალთ („...თვალი ეცა...“). შეპყრობილობა მიღებული იყო როგორც სასჯელი. ბაბილონელი სასულიერო პირები ასრულებდნენ ეგზოტრიპს, რომლის დროსაც ამსხვერვდნენ თიხის ან ცვილის ფიგურას, რათა გაენადგურებინათ ადამიანში ჩასახლებული ავი სული.

ჩვენს ნელთარციცხვამდე 650 წლით დათარიღებულ ასირიულ ტექსტში აღწერილია ეპილეფსიური სიმპტომები როგორც ეშმაკით შეპყრობილობა:

„...თუკი მისი შეპყრობის დროს, როდესაც ის ზის, მარცხენა თვალი აუთამამ-

დება, ტუჩი დაეჭიმება, პირიდან ნერწყვი ნამოუვა, და მისი მარცხენა ხელი, ფეხი და ტანი ყელგამოჭრილი ცხვარივით დაინწყებს ფართხალს, ე.ი. ეს არის მიგტუ. თუ ამ დროს ის გონზეა, ეშმაკის განდევნა შესაძლებელია; თუკი არ არის გონზე, ეშმაკს ვერ განაგდებ.“

ინდურ ვედებში, რომლებიც დაწერილია ჩვენს ნელთარციცხვამდე 1000 წელს, შინდუს ღმერთებთან ერთად ნახსენებია ბოროტი არსებები, რომლებიც ადამიანების სიცოცხლეს აზიანებენ. ზოროასტრი ცხოვრობდა სპარსეთში, რომელიც ეგზოტრიპისათვის იყენებდა ლოცვებს, წმინდა წყალს და რიტუალებს. იგი მიჩნეულია პირველ მისნად და მან ჩაუყარა საფუძველი ზოროასტრიზმს.

სოკრატე თვლიდა, რომ შეშლილები განიცდიდნენ ეშმაკის ზეგავლენას. ასევე პლატონს სჯეროდა, რომ დემონები უსახლებიან სხეულში მოკვდავებს. ძველ საბერძნეთში დიონისეს კულტის სახელით იმართებოდა სექსუალური რიტუალები ღვინის თანხლებით, რომლის დროსაც მონანილები ნებაყოფლობით იღებდნენ ღვთაებრივ სულს.

ასევე ქრისტეს განკურნებათა უმეტესობა იყო ეგზოტრიპი. იგი განდევნიდა ეშმაკებს შეპყრობილებისგან. ეს უნარი მიანიჭა მან თავის მონაფეებს: „მოუწონდა თავის თორმეტ მონაფეს და მისცა მათ ხელმწიფება არანმიდა სულეზე, რომ განდევნათ ისინი...“ (მათე 10:1). სახარებაში მრავლად არის ნახსენები იესოს ეგზოტრიპები: „...იესომ შერისხა იგი და უთხრა: „გაჩუმი და გადი მაგისგან.“ არანმიდა სულმა შეანჯღრია იგი, დიდი ხმით დაიკვილა და გამეიდა მისგან...“ (მარკოზი 1:25,26) „...შერისხა არანმიდა სული და უთხრა: „, უტყვო და ყრუ სულო! გიბრძანებ, გადი მაგისგან და აღარ შეხვიდე მასში!“ (მარკოზი 9:25).

პირველი იუდაისტური ეგზოტრიპული რიტუალი თარიღდება ჩვენი ნელთარციცხვის პირველი საუკუნით. დიბუკი

მიჩნეულია ბოროტ სულად რომელიც უსახლდება მსხვერპლს სხეულში და ინვესტს გონებრივ დაავადებებსა და პიროვნულ ცვლილებებს. მისი გამოდევნა ხდება შეპყრობილის რომელიმე თითიდან და გამოდევნის შემდეგ ბოროტი სული უნდა გაიგზავნოს ჯოჯოხეთში. მუსლიმური ნაწერებიდან ცნობილია დემონი ჯინნი, რომელშიც თავს იყრის მთელი დემონური ძალები.

შამანურ ტრადიციებში ითვლება, რომ დემონი და ბოროტი სული იპარავს ადამიანის სულს, რაც ინვესტს სხეულებებს და უბედურებას. შამანი პასუხისმგებელია მოძენოს და დააბრუნოს გაძევებული სული. დემონს განაგდებს და სხეულს უბრუნებს ნამდვილ მეპატრონეს. შამანი ნიშნავს „აღლევებულს, შეძრწუნებულს, ან ამალღებულს“. ტრანსის დროს რამდენიმე სულს ერთდროულად შეუძლია რეინკარნაცია შამანში.

მას შემდეგ, რაც რომის იმპერიაში ქრისტიანობა ოფიციალურ რელიგიად გამოცხადდა (313 წელი), გაძლიერდა აზრი, რომ ფსიქიკური (სულიერი) დაავადებების მიზეზი ზებუნებრივ ძალებშია. „ბერძნული ფილოსოფიისგან განსხვავებით, ქრისტიანობა უარყოფდა მიზეზების ძიებას ადამიანში: ყველაფერს განსაზღვრავდა ცოცხალი, ღვთის ნება, სიყვარული და მორწმუნის ბედისწერა“. აპოკალიფსისში, ძირითადად, საუბარია ღმერთსა და მის ანგელოზებზე, ეშმაკზე და მის ლევიონზე. ხალხიც მრავალ დაავადებას ზებუნებრივ ძალებს მიაწერდა და, შესაბამისად, მის მკურნალობასაც მაგიური სახე ჰქონდა. მაგალითად, თვლიდნენ რომ ეპილევსის მკურნალობისთვის დაფხვნილი ძვლის მიღება სასარგებლო იყო.

შუა საუკუნეებში ადამიანებს მიაჩნდათ, რომ ნებისმიერი საყოველთაო უბედურების წარმოშობაში დამნაშავე იყო ეშმაკით შეპყრობილი ადამიანი და შესაბამისადაც ექცეოდნენ. ეგზორციზმების გარდა ეშმაკის გასაძევებლად შეპყრობილებს თმას ჭრიდნენ ისე, რომ მას ჯვრის ფორმა ჰქონოდა. მათ აბამდნენ ეკლესიასთან ახლოს, რათა წირვის მოსმენით განკურნებულიყვნენ.

„ერთმა ჭკვიანმა „თერაპევტმა“ გადაწყვიტა, რომ ადამიანები დაეკიდა შხამიანი გველებით საესე ორმოს თავზე,

რათა შეშინებული ეშმაკები გასულიყვნენ ადამიანის სხეულიდან (რომ არაფერი ვთქვათ თვითონ შეშინებულ ადამიანებზე). ზოგჯერ ეს მიდგომა ამართლებდა კიდევ. უცნაური ქცევის მქონე ადამიანები დროებით თავისუფლდებოდნენ სიმპტომებისგან.“

შოკური თერაპიის სხვა საშუალება იყო, შეპყრობილის ჩაშვება გაყინულ წყალში. ხშირად ადამიანებს ათავსებდნენ კუბოსმაგვარ ყუთში და უშვებდნენ ცივ წყალში, რათა ეშმაკებს დაეტოვებინათ მათი სხეულები.

კათოლიკურმა ეკლესიამ ეგზორციზმის ფორმალური სახე ჩამოაყალიბა. 1614 წელს პაპის, პავლე V კურთხევით შედგა ეგზორციზმის სახელმძღვანელო სასულიერო პირთათვის, რომელშიც მხოლოდ 1952 წელს შეიტანეს უმნიშვნელო ცვლილებები.

როდესაც მე-17 საუკუნეში ეს სახელმძღვანელო გამოქვეყნდა, სასულიერო პირები ეგზორციზმს უტარებდნენ არა მხოლოდ ეშმაკით შეპყრობილებს, არამედ – გონებრივი დაავადების მქონე ადამიანებსაც. სამედიცინო მეცნიერების განვითარებასთან ერთად საჭირო გახდა შეპყრობილობისა და ფსიქიკური აშლილობის განცალკევება, რაც არცთუ ისე ადვილი აღმოჩნდა, ვინაიდან მრავალი ფსიქიკური დარღვევა – შიზოფრენია, პიროვნული აშლილობა, ისტერია და სხვ. ძალიან ჰგავს შეპყრობილობას.

თუ პიროვნება გამოავლენს უჩვეულო უნარებს, მაგალითად, უცხო ენებზე ლაპარაკი, რომელიც მან არ იცის, ზებუნებრივი სიძლიერე, სხვა ადამიანების აზრების წაკითხვა ან მომავლის წინასწარმეტყველება, მაშინ ის შეიძლება ჩაითვალოს ეშმაკით შეპყრობილად. თუმცა ამასთან ერთად ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ ადამიანს ჰქონდეს ქრისტიანული სინამდვილის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება, რაც ხშირად ღვთის გმობით გამოიხატება.

ეგზორციზმს ასრულებს სულ ცოტა სამი სასულიერო პირი. ასევე მათთან ერთად არის ფსიქიატრი, რომელიც საჭირო შემთხვევაში შეპყრობილს დაუნიშნავს მედიკამენტს. სანამ რიტუალი დაიწყება, სასულიერო პირი აღსარების გზით თავისუფლდება ცოდვებისგან, რათა ეგზორ-

ციზმის პროცესში ეშმაკმა ვერ შეძლოს მისი შეწინააღმდეგება.

მღვდელი მშობლიურ ან ლათინურ ენაზე კითხულობს სხვადასხვა ლოცვას, გამოსახავს ჯვარს და ხელს ადებს შეპყრობილს. ეგზორციზტი მოუხმობს დემონს, რათა ქრისტეს სახელით განდევნოს იგი. ეგზორციზმის სენსები გრძელდება მანამ, სანამ ეშმაკი არ დატოვებს ადამიანს.

მართლმადიდებელ სარწმუნოებაში მკვეთრად არ არის გამოცალკევებული ეშმაკით შეპყრობილთა სიმპტომები, შესაბამისად, მრავალი ფსიქიკურად დაავადებული ითვლება შეპყრობილად და უტარდება ეგზორციზმი. კათოლიკურისგან განსხვავებით, მართლმადიდებელ ეკლესიაში ეგზორციზმი ძირითადად ტაძარში ტარდება და არა სახლში. ეგზორციზმი შეიძლება გაგრძელდეს რამდენიმე საათი. დასაწყისში ეგზორციზტი იყენებს ჯვარცმას და ადებს შეპყრობილს სხეულზე, რასაც თან ახლავს ლოცვები. საბოლოოდ მღვდელი ლოცავს ხალხს და აპყურებს ნაკურთხ წყალს.

ქართულად ეგზორციზმის შესაბამისი სიტყვა არის კვეთებული და ასევე ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიაშიც ტარდება ეგზორციზმები.

ეშმაკით შეპყრობილობისა და ეგზორციზმის იდეა დღესაც აქტუალურია თითქმის ყველა რელიგიასა და კულტურაში.

ეშმაკით შეპყრობილობისა და ეგზორციზმის ფსიქოლოგიური მხარე

შეხედულებები ეშმაკით შეპყრობილობის შესახებ ყოველთვის იცვლებოდა დროთა განმავლობაში და ისიც ცხადად ჩანს, რომ ცივილიზაციის სოციალური და კულტურული ფონი დიდად განსაზღვრავს ეშმაკით შეპყრობილობის იდეას.

ეს საკითხი მჭიდროდ უკავშირდება ფსიქიატრიას და კლინიკურ ფსიქოლოგიას და ცხადია ფსიქიატრების და ფსიქოლოგების ინტერესსაც ინვესტს.

კარლ გუსტავ იუნგს ბოროტი სულის ჩასახლება ადამიანის სხეულში ასე წარმოუდგენია: „ძირითადი საშიშროება ჩნდება მაშინ, როდესაც არქეტუპული სურათხატები იძენენ ძლიერი ზეგავლენის უნარს და ეს ხდება მაშინ, როდესაც ვერ ხერხდება მათი გაცნობიერება... ისიც შესაძლებელია, რომ არქეტუპულმა ფი-

გურებმა, რომელთაც მინიჭებული აქვთ კონკრეტული ავტონომია, ერთდროულად თავი დააღწიონ ცნობიერების კონტროლს და გახდნენ აბსოლუტურად დამოუკიდებელი, სწორედ ეს წარმოქმნის შეპყრობილობის ფენომენს.“

იუნგის შეხედულება ცნობიერისა და არაცნობიერის ურთიერთმიმართების შესახებ უფრო უახლოვდება თანამედროვე ფსიქოლოგიის შეხედულებებს პიროვნული აშლილობების შესახებ. თავის ნაშრომში „ცნობიერი, არაცნობიერი და ინდივიდუაცია“ იგი განმარტავს, რომ ცნობიერებას ახასიათებს მონესრიგებულობა, რომლის ცენტრი არის ეგო. არაცნობიერ შინაარსებს კი აქვს არაორგანიზებული ხასიათი. იუნგი აღწერს შემდეგს: „გარკვეულ პირობებში არაცნობიერი თავად ითვისებს ეგოს ფუნქციას. ასეთი ცვლილების შედეგი არის შესლილობა და დაბნეულობა, ვინაიდან არაცნობიერი არ არის მეორე პიროვნება ცენტრალიზებული და ორგანიზებული ფუნქციონირებით, არამედ ის მოიცავს არაორგანიზებულ ფსიქიკურ პროცესებს.“ ამით აიხსნება, რომ მრავალპიროვნული აშლილობის შემთხვევაში, ადამიანში ხდება არა გაორება, არამედ რამდენიმე „პიროვნება“ იჩენს თავს; სხვაგვარად, ხდება არაცნობიერი იდეების პერსონიფიცირება. დღეს ეს აშლილობა ცნობილია როგორც დისოციაციური იდენტურობის აშლილობა (Dissociative Identity Disorder - DID). ანელისი მიშელის შემთხვევაშიც, რომელიც შესავალში აღვწერეთ, ის საკუთარ თავს აიგივებს სხვადასხვა პიროვნებასთან (ნერონი, პიტლერი, კენი...).

დისოციაციური იდენტურობის აშლილობასთან ახლოს დგას დეპერსონალიზაცია (Depersonalization), რაც გულისხმობს საკუთარი იდენტურობის დაკარგვას, საკუთარი „მე“-ს შეგრძნების დაქვეითებას. ასეთ შემთხვევაში, ხშირად, ადამიანი საკუთარ თავს განიცდის სხეულისგან, ან გონებრივი პროცესებისგან განცალკევებულად. ეშმაკით შეპყრობილი ადამიანი განიცდის, რომ ის დემონური ხმები, რომლებიც ჩაესმის არ არის მისი და ახდენს ამ ხმების პერსონიფიცირებას. ამავე დროს ეს არ არის ტიპური ჰალუცინაცია, რომლის დროსაც ინდივიდმა არ იცის რომ ეს ხმები მოჩვენებითია, არამედ მათ

იღებს როგორც ობიექტურ რეალობას. შიზოფრენიისგან ამ ნიშნით განსხვავდება ეშმაკით შეპყრობილი ადამიანი, რომელმაც იცის, რომ ხმები ჩაესმის და არ ახდენს მის ლოკალიზაციას გარემოში.

ზოგიერთ შემთხვევაში ტორეტის სინდრომი (Tourette Syndrome) აღიარებულია როგორც ეშმაკით შეპყრობა, ვინაიდან ამ სინდრომს, ხშირ შემთხვევაში, ახასიათებს კოპროლალია, რომლის დროსაც ადამიანი კონტროლს გარეშე წარმოთქვამს საზოგადოებაში მიუღებელ სიტყვებს. ასევე მომენტალურად კარგავს სხეულზე კონტროლს, რაც სხეულში ჩასახლებულ ეშმაკს მიეწერება.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია, თუ რამდენად შთაგონებადია ადამიანი. როდესაც პიროვნება აღიარებს, რომ მასში სახლობს ეშმაკი, ამგვარად ის უშვებს, რომ ნებისმიერ მომენტში შესაძლებელია ეშმაკმა დაიმორჩილოს მთელი მისი ცნობიერება და სხეული. თუ ინდივიდი ადვილად შთაგონებადია, ეშმაკთან დაკავშირებული ნებისმიერი სტიმული შეიძლება აღმოჩნდეს ტრიგერი (გამომწვევი მიზეზი), რათა გამოავლინოს საკუთარ სხეულში ეშმაკის არსებობა – განახორციელოს ისეთი ქცევები, რაც ახასიათებთ ეშმაკეულებს.

შთაგონებადობა ყველაზე მნიშვნელოვანია მასობრივი ეგზორციზმის დროს, რაც, ფსიქოლოგების აზრით, სხვა არაფერია, თუ არა მასობრივი პანიკა. ამ დროს ყველაზე მეტად აქტიურდება განწყობა, რომ შესაძლებელია ადამიანი ეშმაკმა შეიპყროს. ეს მზაობა პანიკის საფუძველს წარმოადგენს და პიკს აღწევს, როდესაც ეგზორციზტი უახლოვდება ადამიანს. ამ დროს ის შედის ეშმაკით შეპყრობილის როლში და შესაბამისად იქცევა. ასეთ შემთხვევაში ადგილი აქვს ცნობიერების შეცვლილ მდგომარეობას (Altered states of consciousness – ASC), როდესაც ადამიანი კარგავს ცნობიერებას, საკუთარი თავის კონტროლს და წინა პლანზე გადმოდის არაცნობიერი პროცესები. ასეთი პროცესები კი, ძირითადად, საზოგადოებრივ ნორმებს ეწინააღმდეგება, რაც ასევე ეშმაკით შეპყრობას მიეწერება. თავად მღვდელში კი ვერ ჩასახლება ეშმაკი, ვინაიდან ის მასთან მეტროლია და შთაგონებას არ ემორჩილება.

ეგზორციზმის დროს ხშირია გულის წასვლა, რაც ეგზორციზტის მანიპულაციით ხდება. ცნობიერების ასეთი მომენტალური გათიშვა უკავშირდება „მყისიერი ჰიპნოზის“ ტექნიკას, რომლის დროსაც გარკვეული სიტყვების მანიპულაციითა და უცაბედი შეხებით ადამიანი ცნობიერებას კარგავს. მაგალითად, ეგზორციზმის დროს ხშირად სასულიერო პირი შეპყრობილს ლოცვისას ეუბნება: „განვედ მისგან“ ან მსგავსად მიმართავს და ამავე დროს მოულოდნელად ლოცვას ურტყამს თავზე ან ზურგზე, რაც ინვესს მომენტალურ გათიშვას.

ეშმაკით შეპყრობილთა მომავალი

მკვებრად ჩანს, რომ განმსაზღვრელი ფაქტორი იმისა, არის თუ არა ადამიანი ეშმაკით შეპყრობილი, არის ის, რომ ინდივიდი უნდა აიგივებდეს თავს ეშმაკთან. ასეთ შემთხვევაში ადამიანთა უმეტესობა და განსაკუთრებით სასულიერო პირები მიიჩნევენ, რომ ადამიანი ეშმაკით არის შეპყრობილი. მაგრამ ცხადია, რომ ეშმაკთან იდენტიფიკაციას იგივე განმარტობებელი ფაქტორი უდევს საფუძველად, რაც სხვა არსებობასთან ან პიროვნებასთან იდენტიფიკაციას.

მიუხედავად იმისა, რომ ეგზორციზმს ხშირ შემთხვევაში იგივე ეფექტი აქვს რაც მედიკამენტით მკურნალობას (უარყოფითი ემოციისაგან და დაძაბულობისგან განტვირთვა, რაც დროებით აქრობს სიმპტომს), მას აქვს ერთი აშკარა უარყოფითი მხარე – სტიგმატიზაცია. ასეთი ადამიანები საკუთარ თავს ეშმაკეულს უწოდებენ და სხვებიც ასევე მოიხსენიებენ, რაც ადამიანისთვის თავისთავად ტრაგედიას წარმოადგენს.

საქართველოში არ ჩატარებულა კვლევები კვებებულთან დაკავშირებით და არ არის ცნობილი, რა აშლილობის მქონე ადამიანები ხვდებიან ეშმაკეულთა კატეგორიაში. მაგრამ საზოგადოებაში არსებული წარმოდგენებიდან გამომდინარე, მდგომარეობა არ უნდა იყოს სახარბიელო.

სანამ ასეთი ადამიანების მკურნალობა მხოლოდ მედიცინის სფეროში გადაინაცვლებს, მანამდე მათ მჭიდროდ აქვთ მიკრული ეშმაკეულთა იარლიყი, რაც მათ სულიერ პრობლემებს კიდევ უფრო აძლიერებს.



ბიუტოლოგია


მნიშვნელობა

ფუნქციონირება

ილუსტრაცია



სტრუქტურა





სამცხეთაში სწავლა

მედიკალი
 ფორმის
 მკურნალობა



საქართველო





იქ, სადაც სიკვდილს დასცინიან

<<< დასაწყისი გვ. 26

მექსიკური კულტურა არ არსებობს წინააღმდეგობების გარეშე; სიკვდილსიციოცხლის დაპირისპირება, ისევე, როგორც გაყინულობისა და მოძრაობის დაპირისპირება, აისახება თუნდაც მეხიკოს სიმბოლოებში, რომელთაგანაც ერთ-ერთი – დიანას ქანდაკების ისტორია, შეიძლება ითქვას, მეოცე საუკუნის მექსიკის ისტორიას გამოხატავს.

30-იან წლებში, მას შემდეგ, რაც აქაურ „ელისეს მინდვრებზე“, რეფორმის გამზირზე მოქანდაკე ხუან ფრანსისკო ორაგიბელმა შიშველი დიანას ქანდაკება დადგა, კათოლიკურ-კონსერვატორულმა წრეებმა მთელი ქვეყნის მასშტაბით მოაწყვეს საპროტესტო აქციები „უზნეობის წინააღმდეგ“. დიანა ჩამოხსნეს, ჩააცვეს და ისევ დადგეს, მაგრამ მოქანდაკემ იეშმაკა და ისე „ჩააცვა“, რომ დიანას ხელახალი გაშვილება შესაძლებელი გამხდარიყო. 1967 წელს დიანა კვლავ გააშვილეს. ეს უკვე სხვა დრო იყო – მექსიკის ხელისუფლებაში მემარცხენეები მოვიდნენ!

„ერთსქესიანი ქორწინების დაკანონება ქვეყანაში, სადაც აბსოლუტური უმრავლესობა კათოლიკეა? ეს შეუძლებელია!“ – ამას როცა ამბობენ, ავინწყდებით, რომ მექსიკა სიკეირო-

სის, რიბერას, ფრიდა კალოს, ჩაველა ვარგასის, ნანლობრიგ – ლუის ბუნუელის სამშობლოა! ის ქვეყანაა, სადაც ლევ ტროცკიმ მიაგნო თავშესაფარს. ქვეყანა, რომელსაც „ყველაზე მარქსისტული ფილმის“ ავტორი „სამოთხე, სამოთხეს“ უწოდებდა.

არადა, მექსიკელთა ამ ვნებას, მუდმივად ებრძოლონ და მუდმივად დასცინონ სიკვდილსა და ძალაუფლებას, ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში მიაქცია ყურადღება რომის პაპმა, ლეო მეცამეტემ, რომლის ერთ-ერთი მთავარი მიზანი მუშათა მოძრაობის და სოციალიზმის წინააღმდეგ ბრძოლა გახდა. მისი 1881 წელს დაწერილი „რერუმ ნოვარუმ“, რომელიც, ნანლობრიგ, 1917 წელს მიღებულ მექსიკის კონსტიტუციაში აისახა, დღემდე კათოლიკური ეკლესიის მნიშვნელოვან დოკუმენტად ითვლება სოციალურ პოლიტიკაში. სოციალიზმი აქ ცხადდება „ყალბ ნამლად“ სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ. ლეო მეცამეტე მოუწოდებს მუშებს კი არ იბრძოლონ, არამედ ითანამშრომლონ კაპიტალისტებთან, რადგან ისინი ვერ იარსებებენ კაპიტალისტების გარეშე, ისევე, როგორც კაპიტალისტები ვერ იარსებებენ მუშების გარეშე... მუშას შეუძლია თავად გადაიქცეს კაპიტალისტად, თუკი იბრძობებს, ილოცებს და მორ-

ჩილად იცხოვრებს...

აბა, რა განსხვავებაა ერთ-ერთი ყველაზე კონსერვატორული პაპის მოძღვრებასა და მეხიკოს მემარცხენე მერის მონოდებას შორის? აბა, როგორ „გახდებიან პრეზიდენტები“ ქუჩის მუსიკოსები? გამოდის, რომ მათ უნდა ითანამშრომლონ „ძალაუფლებასთან“, არა?

სხვათა შორის, ხელისუფლებასთან თანამშრომლობა სთხოვა ხალხს მექსიკის პრეზიდენტმა, ფილიპე კოლდარონმა 2006 წელს, როცა ლიად გამოუცხადა ბრძოლა ორგანიზებულ დანაშაულს და ნარკომაფიას. მაგრამ ნარკომაფიასთან ბრძოლამ ამ ოთხ წელიწადში თითქმის 30 000 ადამიანი შეიწირა, განსაკუთრებით გართულდა კრიმინალური ვითარება ჩრდილოეთ მექსიკაში. უფრო მეტიც, ნარკომაფია უკვე კანკუნსა და აკაპულკოშიც კი უსწორდება ერთმანეთს. საზოგადოების ნაწილის უკმაყოფილება გამოიწვია ჯარის ჩართვამ ნარკომაფიასთან ბრძოლაში, რაც სწორედ იმიტომ მოხდა, რომ ხელისუფლებამ ვერ აღმოფხვრა კორუფცია პოლიციაში; ნარკომაფიასთან ბრძოლის ფონზე მექსიკური პოლიცია ისევ „შეკრულია“ ნარკომაფიასთან, მექსიკაში ისევ შემოდის იარაღი ამერიკიდან (სადაც იარაღით ვაჭრობა ნებადართულია).

მაგრამ ამერიკიდან მექსიკაში არა მარტო იარაღი შემოდის. თანამედროვე მეხიკო, მიუხედავად იმისა, რომ მინისძვრები აქ წელიწადში რამდენჯერმე ხდება, ცათამბჯენების ქალაქია, ყოველ ნაბიჯზე გახსნილი ამერიკული ფასტფუდებით, სავაჭრო ცენტრებით, მულტიპლექსებით (სადაც ჰოლივუდის ბლოკბასტერებზე მუდმივად დგას რიგები)... დაახლოებით 15 წლის წინ (მექსიკაში პირველად სწორედ მაშინ მოვხვდი) სოციალური კონტრასტები აქ უფრო მეტად იგრძნობოდა. აქაურ მუშათა კლასზე საუბრისას ირაკლი მარნმუნებდა, რომ ამერიკელებისგან განსხვავებით, იშვიათად შეხვდები მექსიკელს, რომელიც თავისი „სოციალური სტატუსის“ შეცვლისთვის იღვწოდეს. „ღარიბების უმრავლესობა აქ კათოლიკეები არიან.

ამიტომ მორჩილება მათი ცხოვრების წესს განსაზღვრავს“. კარგად მახსოვს ირაკლის სიტყვები, რომელიც მაშინვე გავაპროტესტე... შენ რა იცი, რას ფიქრობენ და რას განიცდიან-მეთქი! გავიდა თითქმის 15 წელი და მექსიკა ბევრად უფრო მდიდარი მომეჩვენა; ახალ წელს აკაპულკოში თითქმის შეუძლებელი იყო მანქანით გადაადგილება და პლაჟზე ადგილის პოვნა... „ახლა არდადეგებია. მთელი მექსიკა ისვენებს!“ – მითხრა ირაკლიმ... „მთელი მექსიკა ისვენებს!“ მრავალმნიშვნელოვანი ნათქვამია; გულისხმობს საყოველთაო მხიარულებას – მარიაჩებოთ, გათენებამდე ცეკვა-თამაშით (და არა თრობით... მექსიკაში ვერსად ნახავთ მთვრალებს), ქუჩაში ხვეწნაკოცნით და მუდმივი ღიმილით! აი, ასეთ დროს ნამდვილად იჯერებ, რომ სამოთხეში მოხვდი, სადაც ყველას უყვარს ერთმანეთი... სადაც არ იტაცებენ ბავშვებს, არ ესვრიან ერთმანეთს შუა ქუჩაში, არ ქურდობენ! მერე კი, როცა ზღვიდან მეხიკოში ბრუნდები და სქელი კედლებით, მავთულხლართებით შემოღობილ სახლებს ხედავ, გადიხარ ჩაკეტილ ზონებს, პოლიციით გადაკეტილ და დაცულ ქუჩებს, ხედები, რომ ეს „სამოთხე“ ამ ხალხს საკმაოდ ძვირად უჯდება.

„– ეჰ, ნეტა კომუნისტური იდეები ისეთი პოპულარული გახდეს, რომ ხალხმა ჩვენს მუზეუმში სიარული დაიწყოს!“ – რაღაც განსაკუთრებული სევდით უთხრა ჩემს ძმას ტროცკის მუზეუმის მოლარემ, ასე, 70 წლის კაცმა მას შემდეგ, რაც ირაკლიმ გაკვირვება გამოხატა, დამთვალეირებელი რატომ არ გყავთო... პრინციპში, დამთვალეირებელი დიდად არ გვანაღვლებდა – სუვენირების ყიდვას ვაპირებდით ტროცკის პორტრეტებით; მაგრამ, აღმოჩნდა, რომ ასეთი მალაზია ამ გაპარტახებულ სახლ-მუზეუმში არ არსებობს... მუზეუმს, მგონი, ზედამხედველიც არ ჰყავს; ყოველ შემთხვევაში, მე თავისუფლად გადავფურცლე ლევ დავიდოვიჩის კაბინეტში დანყობილი მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსებისა და ზიგმუნდ ფროიდის ტომები და იმ აბაზანასაც შევეხე ხელით, რომელშიც ბოლშევი-

კური რევოლუციის ბელადი ბანაობდა.

„რა ჯანდაბად გინდა ტროცკის „მაიკები“?“ – გაკვირვება ვერ დამალა ირაკლიმ, როცა იქვე, სალაროსთან, რამდენიმე მაისური შევნიშნე ტროცკის გამოსახულებით... ვერაფრით დაიჯერა, რომ ჩემს წრეში არიან ამ მაისურების „მუშტრები“ და რომ საქართველოში მემარცხენე იდეები ნელ-ნელა პოპულარული ხდება.

„– ეგ ეგზოტიკაა!“ – მითხრა საყვარელმა ძმამ, რომელიც მექსიკაში 90-იანი წლების დასაწყისიდან ცხოვრობს, მაგრამ ყოველთვის საქმის კურსშია, რა ხდება საქართველოში.

მაგრამ მექსიკაც ხომ ერთი დიდი „ეგზოტიკა“ ყველა არამექსიკელისთვის? იმ ესპანელებისთვისაც ეგზოტიკა იყო, ვინც, პრინციპში, ვერ შეძლო აქაური აცტეკების საბოლოო დამორჩილება (მეხიკოს პალეონტოლოგიის მუზეუმში, რომელიც ერთ-ერთ საუკეთესოდ ითვლება მთელ მსოფლიოში, ამ დაუმორჩილებლობის საოცარ სურათებს იხილავთ). მექსიკელები კათოლიკეები გახდნენ – სწორედ ისეთი კათოლიკეები, რომელთაც აუცილებლად შეაქებდა ჰაპი ლეო მეცამეტე „შრომის, ლოცვისა და მორჩილების უნარის“ გამო, მაგრამ ამ ხალხის საბოლოო დამორჩილება მაინც შეუძლებელი გახდა – მართალია, ძალაუფლებას (იგივე სიკვდილს!) მექსიკელი განვდილი ხელით ეხება, იგი ამავე დროს დასცინის კიდევ მას.

ყოველ შემთხვევაში ასეთი დაინახა მექსიკა ეიზენშტეინმა 30-იანი წლების დასაწყისში – იმხანად, როცა მისი ქვეყანა „დიდი ტერორისთვის“ ემზადებოდა, როცა „ყველაზე მარქსისტული ფილმის“ ავტორისთვის ცხადი გახდა, რომ საბჭოთა კავშირში თანასწორობის, ძმობის, ან, ისევე ეიზენშტეინს რომ დავესესხოთ, „ჰორიზონტის გასწვრივ ცხოვრების“ იდეები მთლიანად განდევნა სტალინურმა ტოტალიტარიზმმა... აქედან ჰოლივუდში გაქცეულ ეიზენშტეინს დახვდა სრულიად საპირისპირო – დახვდა „ამერიკული ტრაგედია“ (დრაიზერის ეკრანიზაციაზე ფიქრი მას ამერიკაში ჩასვლის დღიდან არ ასვენებდა)

– ნარმატებასა და ფულზე აგებული სამყარო, მისთვის დამახასიათებელი იერარქიული კობით, ე.ი. ისევ და ისევ ვერტიკალით.

სამოთხე არ არსებობს ამ პლანეტაზე და მისი დამყარება ილუზიაა! ეს იერარქიული კიბე – სხვის ხარჯზე გამდიდრებული კაპიტალისტებით და სისხლით, მსხვერპლით ძალაუფლების სათავეში მოქცეული მამა-ბელადებით ადამიანის დაუხვეწავი, „ნაკლული“ ბუნების შედეგია... ამას იფიქრებდა, ალბათ, ეიზენშტეინი დასავლეთში მოგზაურობის დასრულების შემდეგ. ადვილად დაიჯერებდა ამას, რადგანაც ადრეც უთქვამს, „ყველაზე მარქსისტული ფილმის“ პრემიერის შემდეგ: „ადამიანი არასდროს მაინტერესებდა. უფრო მეტად მსიბლავდა ის, რაც ადამიანებს შორისაა, მათი ურთიერთობა და მათი მოძრაობა“.

მაგრამ ამერიკიდან მექსიკაში მოხვდა და შესძახა: „სამოთხე, სამოთხე!“... არა მარტო იმიტომ, რომ „სექსუალურად გაილაღა“... მან მექსიკაში დაინახა შანსი იმ საყოველთაო ერთიანობის იდეის რეალიზაციისა, რომელიც მთელი ცხოვრება არ ასვენებდა და უწოდებდა «Grundproblem»-ს... როცა კულტურა თავიდან ბოლომდე გაჟღენთილია საზრისით „ყველა ერთისთვის, ერთი ყველასათვის!“, როცა სიცოცხლე მშვენიერი ხდება, რადგან უწყვეტ და უსასრულო ჰორიზონტზე განლაგებული და, რაც მთავარია, როცა ძალაუფლება – გამოხატული ძალადობის ვერტიკალის სათავეში მოქცეული მჩაგვრელით, თუ სიკვდილით, რომელიც ადვილად მანიპულირებს ადამიანებით, დათრგუნულია და დამარცხებული.

ყველაზე საინტერესო ისაა, რომ მექსიკელი რევოლუციონერის როლში აქ არა რომელიმე „ჩე გევარა“ (დღევანდელი კასტროსა თუ ჩავესის წინაპარი) გვევლინება. ეიზენშტეინთან ადამიანი, სიმბოლური გმირი, რომელმაც სამართლიანობა უნდა აღადგინოს ამ სამყაროში, არის ქალი და არა მამაკაცი. სწორედ მან – მთელი ცხოვრება თავის თავზე რომ გამოსცადა უსამართლობა, უნდა იხსნას ქვეყანა ნგრევისგან და ძალადობის-

გან, სწორედ ქალმა უნდა შეახსენოს ლეო მეცამეტისა და მისი იდეოლოგიით მოხიბლულ მემარჯვენეებს, რომ სამყარო არა მარტო უწყვეტია, არამედ უსასრულოც – ვიღაც პრივილეგირებულია, ვიღაც დაჩაგრული და უმწეო... მაგრამ „სასტარტო პირობა“ ყველას ერთნაირი აქვს. ყველას „ძირი“ უსასრულო წარსულშია (ეიზენშტიინის სიტყვებით „აცტეკურ მატრიარქატში“), რომელსაც მექსიკით სრულიად მოხიბლული კინორეჟისორი „სამოთხე, სამოთხეს“ ეძახის.

ეიზენშტიინის ჩანაფიქრით ეს როლი მექსიკელი რევოლუციონერი ქალისა, სოლდადერასი, რომელიც ერთდროულად ცოლიცაა, საცოლვეც, დედაც და დაც, ფრიდა კალოს უნდა შეესრულებინა. იმხანად, როცა ალექსანდროვი და ეიზენშტიინი „ვივა მექსიკას“ გადაღებას შეუდგნენ, ფრიდას ჯერ კიდევ არ ჰქონდა პრობლემები დიეგო რივერასთან; უფრო სწორად, მისი რეაქცია რივერას დონ-ჟუანიზმზე სრულიად მშვიდი იყო. და არა იმიტომ, რომ პოლიომელიტით დაავადებული, იმ საშინელი ავარიის შემდეგ კი, აბსოლუტური ხეივანი, კომპარტიის წევრი და ქალთა უფლებების დამცველი ფრიდა დაჩაგრული ცოლის სტატუსს შეურიგდა. ეს სახე – უბედური, ნიჭიერი მხატვარი ქალისა, რომელსაც ქმარი ლალატობდა, მაგრამ იგი მაინც „კომუნისტურად ითმენდა“, მელოდრამების თაყვანისმცემელი დიასახლისებისა და ძალაუფლების მოყვარული მამაკაცებისთვის უფრო შექმნა მეოცე საუკუნის კულტურამ... სინამდვილეში, ცნობილია ფრიდას სხვა ბიოგრაფიაც, რომლითაც, ეიზენშტიინი უთუოდ მოიხიბლებოდა; ეს ქალი, ისევე, როგორც, სხვათა შორის, რივერაც, მონოგამიას არ ცნობდა და დარწმუნებული იყო, ადრე თუ გვიან ოჯახის ინსტიტუტი – ძალადობის კიდევ ერთი ძველთა ძველი სახეობა, აუცილებლად გაუქმდებოდა. გულისამაჩუყებელი ლეგენდები უბედურ ფრიდა კალოზე, რომელიც ყველაზე მეტად დედობაზე ოცნებობდა, მაგრამ ავადმყოფობამ „რეპროდუცირების უნარი“ წაართვა, დაუფტოვოთ ლეგენდების მოყვარულს.

ჩვენ კი ფრიდა კალოს სურათები და მისი „ცისფერი სახლი“ დავათვალიეროთ მეხიკოს ბოჰემურ რაიონში, კოიოკანში.

ეს სახლი, რომელიც ფრიდა კალოს დაბადებამდე 4 წლით ადრე აშენდა, დიეგომ და ფრიდამ ლურჯად შეღებეს და ტრადიციული, „აცტეკური სტილით“ გააფორმეს – მაღალი ფანჯრებით და ქვის კერპებით, პალმებითა და კაქტუსებით დამშვენებული ბაღით.

ფარშევანგები ვერ შევნიშნე. თუმცა „ცისფერ სახლში“ სრული ილუზია გექმნება რეალური სამოთხისა თუ არა, სიზმარში ნანახი სამოთხისა მაინც. ისეთი შთაბეჭდილება გრჩება, რომ ყველა ეს სურათი სიზმარში იყო უკვე. თანაც, ტკბილ სიზმარში; მიუხედავად იმისა, რომ ავტოპორტრეტებში ფრიდა არასდროს ილიმება. მიუხედავად იმისა, რომ მკვდარი ბავშვების ხატვა უყვარს, მიუხედავად იმისა, რომ ყოველ სურათში ის ტკივილი იგრძნობა, რომელსაც ფრიდა მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება განიცდის – აუტანელი ფიზიკური ტკივილი... აუტანელი, მაგრამ, ამავე დროს, ერთგვარი „არგუმენტი“ იმისა, რომ სხეული ცოცხალია!

რამდენჯერმე თუ შემოუვლი ამ ბაღს და „ცისფერი სახლის“ ყოველ კუთხე-კუნჭულს დაათვალიერებ, დარწმუნდები, რომ ფრიდა კალო თავიდან ბოლომდე სიცოცხლის არგუმენტი. დიეგო რივერა – სახელგანთქმული რივერა, რომელიც იმ ბიოგრაფების ცნობით, რომელთაც ფრიდას, როგორც მსხვერპლის წარმოდგენა სურთ, მუდმივად ჩრდილავდა ცოლს და მუდმივად აყენებდა ტკივილს. ამავე დროს, ერთგვარი სტიმულიც კი გახდა ფრიდასთვის – იგი, შეიძლება ითქვას, „ეჯიბრებოდა“ თავის დონ-ჟუან მეუღლეს; ეჯიბრებოდა, როგორც მხატვარი თავისი ბევრად უფრო ადამიანური, ბევრად უფრო ხალისიანი, უფრო ფერადი, უფრო „მზიანი“ სურათებით და ეჯიბრებოდა როგორც უბრალოდ ადამიანი, რომლისთვისაც პროვოკაცია ლამის ცხოვრების მთავარი პრინციპი გახდა – იგინებოდა, უხამს გამოთქმებს არ ერიდებოდა, სვამდა, ნარკოტიკებს ეტანებოდა, თავის ბიექსუალურ ვენებებს არ მალავდა; სიკვდილის წინ, ყველასათვის ცნობილია ტროცკისტიკა, სტალინის პორტრეტი დახატა... ერთი შეხედვით, ბელადი ფრიდა კალოს ამ სურათში იქცა „გამოცხადებდა“, ზუსტად იმ სტილში, როგორც მიხეილ ჭიაურელის ფილმში „ფიცი“ (როგორც ჩანს, ფრიდა კალოს ნანახი ჰქონდა ეს ფილმი). მაგრამ ყურადღებით თუ ჩავაცქერდებით, დავრწმუნდებით, რომ ეს სურათი, რომელიც პირადად ჩემთვის აღმოჩენა იყო „ცისფერი სახლის“ ვერნისა-ჟზე, უფრო გამოცხადების პაროდიაა, ვიდრე ახლახან გარდაცვლილი ბელადის კულტი (ფრიდას „სტალინი“ 1954 წლითაა დათარიღებული); ბელადის, მამა-პატრიარქის მასხრად აგდება... დაცინვა! დაახლოებით ისე, როგორც ალექსანდრე ნეველია ეიზენშტიინთან და განსაკუთრებით „ივანე მრისხანე“ – ავტორიტარიზმისა და „ვერტიკალური ჯოჯოხეთის“ გენიალური პაროდია... მოლუშული, დამთრგუნველი და თანაც, ძალიან სასაცილო.

ფრთხილად უნდა ვიყოთ, როცა მექსიკელებზე, როგორც ჭკუამხიარულ ხალხზე, მუდმივად „მორჩილებზე“, ანდა პირიქით, მხოლოდ და მხოლოდ რევოლუციონერებზე ვმსჯელობთ.. თუკი აქაურობა ერთ გრანდიოზულ ფიესტად მოგეჩვენებათ.. აუცილებლად დაგცინებენ! მაგრამ თუკი მექსიკაში ჩასულელები მუდმივად ვიმსჯელებთ იმაზე, რომ აქ ცხოვრება საშიშია და რომ მექსიკა სოციალური კონტრასტების ქვეყანაა, დაცინვას ამ შემთხვევაშიც ვერ გადავურჩებით. მუდმივად უნდა გვახსოვდეს, რომ მექსიკელისთვის ცალმხრივობა, გაყინულობა, უმოძრაობა სიკვდილია. მუდმივად უნდა გვახსოვდეს, რომ „სიკვდილისგან“ ეს ხალხი ტორტებს აცხობს და მთელი ოჯახით შეექცევა.

აბა, სხვა რა არის სამოთხე, თუ არა დათრგუნული სიკვდილი? სივრცე, სადაც მე უკვე მაქვს ადგილი... სივრცე, საიდანაც ვერავინ შეძლებს ჩემს გამოძევებას.

თქვენ ვერც კი წარმოიდგენთ, რა ბედნიერებაა ეს!

ბს არ ერიდებოდა, სვამდა, ნარკოტიკებს ეტანებოდა, თავის ბიექსუალურ ვენებებს არ მალავდა; სიკვდილის წინ, ყველასათვის ცნობილია ტროცკისტიკა, სტალინის პორტრეტი დახატა... ერთი შეხედვით, ბელადი ფრიდა კალოს ამ სურათში იქცა „გამოცხადებდა“, ზუსტად იმ სტილში, როგორც მიხეილ ჭიაურელის ფილმში „ფიცი“ (როგორც ჩანს, ფრიდა კალოს ნანახი ჰქონდა ეს ფილმი). მაგრამ ყურადღებით თუ ჩავაცქერდებით, დავრწმუნდებით, რომ ეს სურათი, რომელიც პირადად ჩემთვის აღმოჩენა იყო „ცისფერი სახლის“ ვერნისა-ჟზე, უფრო გამოცხადების პაროდიაა, ვიდრე ახლახან გარდაცვლილი ბელადის კულტი (ფრიდას „სტალინი“ 1954 წლითაა დათარიღებული); ბელადის, მამა-პატრიარქის მასხრად აგდება... დაცინვა! დაახლოებით ისე, როგორც ალექსანდრე ნეველია ეიზენშტიინთან და განსაკუთრებით „ივანე მრისხანე“ – ავტორიტარიზმისა და „ვერტიკალური ჯოჯოხეთის“ გენიალური პაროდია... მოლუშული, დამთრგუნველი და თანაც, ძალიან სასაცილო.

ფრთხილად უნდა ვიყოთ, როცა მექსიკელებზე, როგორც ჭკუამხიარულ ხალხზე, მუდმივად „მორჩილებზე“, ანდა პირიქით, მხოლოდ და მხოლოდ რევოლუციონერებზე ვმსჯელობთ.. თუკი აქაურობა ერთ გრანდიოზულ ფიესტად მოგეჩვენებათ.. აუცილებლად დაგცინებენ! მაგრამ თუკი მექსიკაში ჩასულელები მუდმივად ვიმსჯელებთ იმაზე, რომ აქ ცხოვრება საშიშია და რომ მექსიკა სოციალური კონტრასტების ქვეყანაა, დაცინვას ამ შემთხვევაშიც ვერ გადავურჩებით. მუდმივად უნდა გვახსოვდეს, რომ მექსიკელისთვის ცალმხრივობა, გაყინულობა, უმოძრაობა სიკვდილია. მუდმივად უნდა გვახსოვდეს, რომ „სიკვდილისგან“ ეს ხალხი ტორტებს აცხობს და მთელი ოჯახით შეექცევა.

აბა, სხვა რა არის სამოთხე, თუ არა დათრგუნული სიკვდილი? სივრცე, სადაც მე უკვე მაქვს ადგილი... სივრცე, საიდანაც ვერავინ შეძლებს ჩემს გამოძევებას.

თქვენ ვერც კი წარმოიდგენთ, რა ბედნიერებაა ეს!



კომფორტის ზონა

<<< ღასაწყისი გვ. 30

„დღეს მოვრჩეთ, არა? ჟურნალისტების დაჯილდოების ცერემონიაზე მივიღვარ, – ამბობს და სავარძლიდან დგება, – ჩვენებიდან ბევრია წარდგენილი, ვილაც აუცილებლად გაიმარჯვებს“. სიამაყეს ვერ მალავს. როდესაც სკოლის კურსდამთავრებულების წარმატებაზე ლაპარაკობს, სულ ასე ელიმება, მშობლის კმაყოფილი ღიმილით.

არის ასეთი მიკროსაზოგადოება, რომელსაც „ჯაპელებს“ ეძახიან და ყველა „საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტისა“ და „ჟურნალისტიკისა და მედია მენეჯმენტის სკოლის“ კურსდამთავრებულია. მაია მათთან ურთიერთობის გაგრძელებასაც „თავის საქმეს“ არქმევს. ურთიერთობა წელიწადში მხოლოდ ერთხელ ბანკეტზე შეხვედრას არ გულისხმობს. ეს ჩვეულებრივი კვლევითი მიმართულებაა, რომელიც დროის დინამიკაში პროგრამის შეფასების საშუალებას იძლევა. „პირველ რიგში მაინტერესებს, მიდიან თუ არა ჟურნალისტიკაში. „წარუმატებელი“ ის შემთხვევაა, როდესაც ისინი თავიანთი კვალიფიკაციის შესაბამის პოზიციაზე არ მუშაობენ, ან თხოვდებიან და სხდებიან სახლში. ასეთ დროს

ვცდილობ, რამე მოვიგონო და ათას რამეს ვთავაზობ ხოლმე“.

„ცოტა საშიშია, არა? რალაც ასეთი გამოდის: მე გაკონტროლებთ – ყოველთვის ვიცი, სად ხართ და რას აკეთებთ“, – გულიანად ეცინება. მართლაც ასე გამოდის. ესეც მისი უნარების არსენალიდანაა – დაკარგული კონტაქტი არ არსებობს. ერთმა ძველმა „ჯაპელმა“ მითხრა: „უცნაური ვინმეა. იქ სწავლის დროს მის არსებობას საერთოდ ვერ ვგრძნობდი. ხანდახან იმასაც ვფიქრობდი, რომ სკოლასთან ყველაზე ნაკლები შეხება სწორედ მას ჰქონდა. სწავლა რომ დავამთავრე, მაია მერე გავიცანი. უჩინარი ჯინივითა და როცა ყველაზე მეტად გჭირდება, მაშინ გამოჩნდება. არ ვიცი, როგორ ახერხებს, თითქოს ვირტუალურად სულ შენს თავში ტრიალებს. სხვანაირად, ასი წლის უნახავი ვერასდროს მიხვდება, რისი მოსმენა გინდა ყველაზე მეტად“.

სკოლაში ახლა საახალწლო არადეგებია. აუდიტორიებში სიხალავათე და სიმშვიდეა. მაია ისევ მესამე სართულზე, თავის კაბინეტში მელიდება. ისევ მობილურზე საუბრობს და გორგოლაჭიანი სავარძლით ბზრიალებს. დღეს სკოლაზე და სამომავლო გეგმებზე უნდა ვისაუბროთ, ასე მოვილაპარაკეთ.

– წინა ინტერვიუ ოჯახზე მოსაწყენი გამოვიდა, არა? – მეკითხება.

– საშუალოდ მოსაწყენი. მერე ვხვდები, რომ „მოსაწყენი“ არაზუსტი პასუხია. უბრალოდ, მაიას ოჯახი ჩემთვის ნორმან როკუელის ფერწერას ჰგავს – ყველაფერი იმდენად პოზიტიურია, რთულია დაიჯერო, რომ მართლა არსებობს. ასეთ დროს, როგორც წესი ცნობისმოყვარე საზოგადოებას (ჟურნალისტებს) ბევრი კითხვა უჩნდებათ ხოლმე. მაგრამ მაიასთან კარი დაკეტილი გხვდება – ამ თემაზე სიღრმეებში ქექვა დიდად არ უყვარს. ამიტომ, ისევ სკოლას ვუბრუნდებით.

„სკოლის მიზანი არ იცვლება. რასაც ჩვენ ვასწავლით, ის მხოლოდ თავისუფალ მედიაგარემოში შეიძლება, სრულად განხორციელდეს. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ უნდა დაველოდოთ, როდის დადგება ეს დრო ჩვენ-

თან. გარემოში ცვლილებები მხოლოდ ზემოდან ქვემოთ, ან ქვემოდან ზემოთ არ ხდება. ყველა ადამიანს აქვს თავის გარშემო ცვლილებების მოხდენის პოტენცია. ჩვენ ამ წარმოდგენით ვუშვებთ ჩვენს კურსდამთავრებულებს და ვეუბნებით, რომ მათ უნდა „შეანჯღრიონ ნავი“, რომელიც ტბაზე ტივტივებს. ამ ჯანჯღარით დინამიკა შექმნან და მეტი სივრცე მოიპოვონ იმისთვის, რომ აკეთონ ის, რაც უნდათ. როცა აბსოლუტურად კონტროლირებად მედიაში ხვდები, სადაც ძლიერი პროფესიონალები არ სჭირდებათ და არც რეტიგენზე ფიქრობენ – იქ ვერაფერსაც ვერ გააჯანჯღარებ. მაგრამ არის სიტუაცია, სადაც რალაცის შეცვლა შესაძლებელია. როცა ლავირების საშუალება არსებობს, ჩემი რჩევაა, არ წამოვიდნენ და ბოლომდე სცადონ, თავიანთი გაიტანონ. ადრე იმას, რაც დისკომფორტს მიქმნიდა, მაშინვე თავს ვანებებდი. შესაბამისად, სადაც სუსტი ვიყავი, იმ მიმართულებით არც ვვითარდებოდი. არადა, განვითარება და პროგრესი მაშინ იწყება, როდესაც შენი კომფორტის ზონიდან გამოდიხარ და გარემოსთან კონფლიქტში შედიხარ. ამას გვიან მიხვდები“.

დღეს მაიას ერთი „ტრანსატლანტიკური“ გეგმა აქვს. ამერიკაში სამხრეთ კაროლინას უნივერსიტეტთან პარტნიორობის შეთანხმება უკვე გააფორმეს და ერთობლივ სამაგისტრო პროგრამაზე დაიწყეს მუშაობა. „ჩვენ გლობალიზებულ სამყაროში ვცხოვრობთ და დიდი კავშირების გარეშე სერიოზული არაფერი ხდება. მხოლოდ ასეთი კავშირებით შეიძლება აქტუალური დავრჩეთ, აქტუალური – სასწავლო პროგრამით, შინაარსით, წარმოდგენებით. იზოლაციაში არაფერი არსებობს, მით უფრო – ჟურნალისტიკა“. ამ გეგმაშიც ერთი პატარა დეტალია, რომელიც დარწმუნებული ვარ, არც მაიას მოსდის თვალში – თანამშრომლობა სულ სამ წელიწადს გრძელდება.

– რა ხდება სამი წლის შემდეგ?

– ძალიან მინდა, რომ პროექტი გაგრძელდეს.

„მინდა“ უკვე გეგმაა, ამიტომ არაფერს ვეკითხები. ვხვდები, რასაც მიპასუხებს.



ჯეკი ო. – ქალი, რომლის მუშაობდა

<<< ლასაწყისი გვ. 42

ჯეკი დანაკარგთან შეგუებას და საკუთარ თავთან გამკლავებას ცდილობს. ამ დროს იწყებს შიაცუს ნერტილოვანი თერაპიის სპეციალისტთან, ლილიან ბიკოსთან მკურნალობას და ფსიქოთერაპევტთან სიარულს. „კოსმოპოლიტენის“ ჟურნალისტთან საუბარში ბიკო მოგვიანებით იტყვის: „ჯეკის დაძაბულობა მისი მუდმივი შფოთვის ბრალაა. პრობლემები იმის გამო შეექმნა, რომ ძალიან გულდახურულია. მეც მხოლოდ ამის გამო დავჭირდი“.

ლეთიშა (თიშ) ბოლდრიჯი, ქალი, რომელიც თეთრი სახლის დიასახლისობის წლებში ყოფილ პირველ ლედის საზოგადოებრივ საქმეთა მდივნად ემსახურებოდა, ჯეკის მდგომარეობას კარგად ხედავდა. სწორედ მან შესთავაზა, მხნეობის შესამატებლად და საკუთარი თავისათვის ახალი გზის დასასახად მუშაობა დაეწყო. ბოლდრიჯმა, რომელიც მერე მანჰეტენზე, საზოგადოებრივ ურთიერთობებზე მომუშავე ფირმას ედგა სათავეში, „ნიუ-იორკ ტაიმის“ წარმომადგენელს უთხრა: „დარწმუნებული ვიყავი, რომ მას ამ სამყაროსკენ გამობრუნება და ისეთ ადამიანებთან შეხვედრა სჭირდებოდა, რომლებიც საინტერესო რაღაცებს აკეთებენ. ჯეკის ეს ენერჯია უნდა გამოეყენებინა და თავისი შესანიშნავი ტვინი აემუშავებინა. საგამომცემლო საქმე შევთავაზე. ჩემი გამომცემელი „ვაიქინგი“ იყო და ჯეკის

ვუთხარი: მისმინე, ტომი გინზბურგს ხომ იცნობ – ეგებ დაელაპარაკო-მეთქი.

ეს ერთ ჩვეულებრივ საღამოს მოხდა, ჩაის სმის დროს, და ჯეკი რჩევას მსუბუქი სკეპტიციზმით შეხვდა. „ვიმუშავო? ვინ, მე?“ სამსახური, ამ სიტყვის ჩვეული გაგებით, ჯეკის 1953 წლის შემდეგ აღარ ჰქონია. მაშინ „ვაშინგტონ ტაიმს-ჰერალდის“ „ცნობისმოყვარე ფოტოაპარატთან გოგონას“ კვირაში \$42.50-ს უხდიდნენ. მაგრამ ზაფხული გავიდა, დადგა შემოდგომა და ჯეკი მუშაობის იდეას უფრო სერიოზულად მოეკიდა. გამოცდილმა ჟურნალისტმა, ჯიმი ბრესლინმა რედაქტორობა ურჩია. „შენს ცხოვრებაში ახალი ეტაპი იწყება, აბა, ეს წლები რა უნდა აკეთო, მხოლოდ პრემიერებზე და ვერნისაყებზე აპირებ სიარულს?“ მისი ნათქვამი დამეხმარა, რედაქტორობასაც და საკუთარ შესაძლებლობებსაც უფრო სერიოზულად მოვკიდებოდი“. ჟაკლინ ონასისი.

შეხვედრის დაწყება

ჯეკი გამომცემელ თომას გინზბურგს ოცი წელი მაინც იცნობდა. იელიის უნივერსიტეტში სწავლისას თომასი და ჯეკის ბიძაშვილი, ჰიუ დ. ოშინქლოსი ერთ ოთახში ცხოვრობდნენ. 50-იან წლებში გინზბურგი მწერლებთან – ჯორჯ ფლიმფთონთან და პიტერ მეთისენთან ერთად „პარიზ რევიუს“ ცნობილი დაჯგუფების წევრი იყო. მერე მამისგან, ჰეროლდ ქ. გინზბურგისგან სერიოზული მემკვიდრეობა, გამომცემლობა „ვაიქინგი პრესი“ ერგო. ჯეკის გადმობო-

რების პერსპექტივით აღტყინებული თომი მანჰეტენის ერთ-ერთ რესტორანში, „ლე პერიგორ პარკში“ სადილობისას მას „ვაიქინგის“ რედაქტორობას სთავაზობს.

გინზბურგი, რომელიც შარშან სექტემბერში გარდაიცვალა, იხსენებდა, რა უთხრა მაშინ ჯეკის: „რედაქტორობისთვის მზად არ ხარ. არ იფიქრო, იმას გეუბნებოდე, თითქოს საამისოდ ნიჭი ან გონიერება გაკლია, მაგრამ გამომცემლობაში მუშაობის გამოცდილება არ გაქვს, ამიტომ, ასე მგონია, სხვა, პროფესიონალი რედაქტორების გვერდით თავს ცუდად იგრძნობ. მაგრამ შენგან კარგი რედაქტორ-კონსულტანტი დადგება... ამ რედაქტორების ძირითადი სამუშაო გამომცემლობაში წიგნების მოზიდვა და შექმნაა.“ მერე ავუხსენი, რომ მას წიგნზე იმ მწერლებთან ერთად უნდა ემუშავა, რომლებიც მას თავად მოსწონდა. მას შეეძლო წიგნი თავიდან ბოლომდე შექმნა და ასე შეედგე“.

1975 წლის ზაფხულში გინზბურგის მიერ კონსულტანტ-რედაქტორად მიწვეული ჯეკი კვირაში ოთხ დღეს მუშაობდა და ასეთ სამუშაო კვირაში \$200-ს იღებდა. ჯეკის ფული არ ჭირდებოდა, ჯონ კენედის ფონდიდან მას შთაბეჭდავი თანხა დარჩა მემკვიდრეობით, მერე კი, ქრისტინა ონასისისთან საკუთრების გაყოფის შემდეგ, \$26 მილიონი ერგო.

სანამ პრესა და საზოგადოება მისი, როგორც მომუშავე ქალის სტატუსს შეეგუებოდა, ჯეკის საკუთარი კარიერის დაცვა დიდხანს უხდებოდა. „ვერ ვიტყვი, რომ ცხოვრებაში საინტერესო არაფერი მიკეთებია. ოდესღაც რეპორტიორი ვიყავი და ამერიკის ისტორიის უმნიშვნელოვანესი მონაკვეთის თანამონაწილედ ვყოფილვარ. არა მგონია, ამ სამუშაოსთვის ყველაზე შეუფერებელი ადამიანი ვიყო.“

ჯეკის მაშინდელი თანამემწე, ბეკი სინგლტონი იხსენებდა, რა ამბები მოჰყვა „ვაიქინგში“ ჯეკის იქ მისვლას: „ათის ნახევარზე ჯეკი სანერ მაგიდას ეჯდა, ყავას აუჩქარებლად სვამდა და რედაქტორების ჩვეულ სამუშაო მინერ-მონერას ეცნობოდა... სამწუხაროდ, ძალიან ბევრი ადამიანისთვის, მნიშვნელობა არ აქვს, მისი თავგადაკლული ფანები იქნებოდნენ თუ სხვადასხვა მოტივით არაკეთილგანწყობილი ხალხი, ჯეკის ასეთი სიახლოვე, მისი „ხელშესახებობის“ ფაქტი შემანუხებელი, ლამის მტანჯველიც კი შეიქნა. „მცირე

წარმოდგენა მაინც რომ შეეკიმნათ, რამდენად დიდი, მეტიც – არანორმალური იყო საზოგადოების ინტერესი იმ ამბის მიმართ, რომ ჯეკიმ გამომცემლობაში დაიწყო მუშაობა, „ვაიქინგის“ ერთ ტიპურ მაშინდელ დილას ალგინერთ: 10.00-ზე მირეკავს პატი რიცო, გამომცემლობის პორტივ და მეუბნება, რომ ადამიანი, რომელიც საგანგებოდ ჯეკის სანახავად ყოფილა მოსული, ვიზიტორებისთვის განკუთვნილ ოთახში შემამოფოთებლად იქცევა. ქვემოთ იმ მომენტში ჩავედი, როცა ჯეკის ნახვის მსურველი პატარა ტანის ჯენტლმენი იქ მყოფებს არწმუნებდა, რომ მკერდზე დინამიტი აქვს მიკრული და თავის აფეთქებას აპირებს. ერთობ საინტერესოდ ნავიმუსაიფეთ, რის შემდეგაც ძლივს დავიყოლიე, ჯეკისთვის წერილი დაეწერა, რომელსაც მე შემდეგ ადრესატს ზემოთ აუფხანდი. მერე იმაშიც დავრწმუნდი, რომ ასაფეთქებელი ნივთიერებით არ იყო მოსული, და შენობის ერთ-ერთი გასასვლელიდან ძლივს გავდევნე. აბრუნებული არ ვიყავი, რომ ერთმანეთზე მიყოლებით დარეკეს: (1) მაიქ უოლასმა, რომელიც დაჟინებით ითხოვდა ჯეკისთან 60-წუთიან ინტერვიუს; (2) ქალმა, რომელიც ყოველდღე რეკავდა და ითხოვდა ჯეკისთან ტელეფონით დაგვეკავშირებინა. როცა ვუთხარი, რომ მისი თხოვნის შესრულება შეუძლებელი იყო, პასუხად მომიგო, ის მაინც მითხარით, დღეს რა აცვიაო. დეტალურ აღწერას ითხოვდა; (3) კიდევ ერთმა ქალბატონმა, რომელიც პირველის რეგულარობით რეკავდა, მაგრამ ამასთან საქმის დაჭერა უფრო ადვილი იყო, რადგან ჯეკისთვის მხოლოდ ერთი ამბის მოყოლა სურდა: რომ ქლაივ ბარნსი, იმ წლებში ძალიან ცნობილი თეატრალური კრიტიკოსი, მის სახლთან ფურგონით იყო მისული და ავეჯის მოპარვას უპირებდა, რაც, როგორც გაირკვა, ადრეც არაერთხელ გაუკეთებია.“

ჯეკის ძველმა მეგობარმა, ჯორჯ ფლიმფთონმა 1977 წელს ჟურნალ „ფიფლს“ განუცხადა: „ვგრძნობ, რომ მასში რაღაც ცვლილება მოხდა. ახლა ჯეკი გაცილებით მეტია, ვიდრე იუმორის გრძნობით და ენთუზიაზმით აღსავსე გოგონა, რომელსაც ოდესღაც ვიცნობდი. დამოუკიდებლად დგომა მისთვის გასაცარი, ახალი ენერგიით დამუხტველი შეგრძნება უნდა იყოს – აქამდე ხომ მის როლს ცხოვრებაში ყოველთვის მამაკაცები ამცრობდნენ“.

ვეთხრათ რადაქმონს?

პირველსავე წელწინადაც ჯეკი მთელი არსებით ჩაერთო „ვაიქინგის“ სხვადასხვა პროექტში, მათ შორის ისეთებში, რომელთა ავტორები ბარბარა ჩეიზ-რიბო („სელი ჰემინგისი“) და იუჯინ კენედი (დიას! ნიგნის სათაური იყო „ქალაქის მერის ცხოვრება და დროება. რიჩარდ ჯ. დელი“) იყვნენ. მაგრამ იყო ერთი პროექტი, რომლისგანაც ჯეკი თავს შორს იჭერდა: რომანი „ვუთხრათ პრეზიდენტს?“, რომლის ავტორი ბრიტანეთის პარლამენტის ყოფილი წევრი ჯეფრი არჩერი იყო, წინააღმდეგობრივი ფიგურა, რომელსაც კომერციული ფანტასტიკის უნარში უზარმაზარი წარმატება ხვდა წილად. არჩერის ნიგნი, რომელიც ახლა „ვაიქინგს“ უნდა გამოეცა, ნაწილობრივ ფრედერიკ ფორსაითის გაბესტელე-რებული რომანით „ტურის დღე“ (1971 წ.) იყო შთაგონებული. „ტურის დღე“ შარლ დე გოლის მკვლელობის მცდელობის თავისებურ, მხატვრულ რეკონსტრუირებას წარმოადგენდა. არჩერს დაახლოებით ამგვარი სიუჟეტური ხაზი ჰქონდა შემუშავებული, ოღონდ მოქმედება 1983 წელს, ანუ იმ დროისათვის ჯერ გაურკვეველ მომავალში ხდებოდა. რომანის ფაბულის მიხედვითაც, პრეზიდენტის მკვლელობა იგეგმებოდა და ამ პრეზიდენტში ყველა ნიშნით ჯეკის მახლის, თედ კენედის ფიგურა იკითხებოდა. რომანის გამოსაქვეყნებელ ვერსიაში კენედი ბექდის თვლის მსგავსად, პასიური როლით იყო წარმოსახული, რომლის გარშემოც ფსბ-ს ახალგაზრდა აგენტი ინტრიგათა ხლართის გახსნას და შეთქმულების ჩაშლას ცდილობდა. დანარჩენს მნიშვნელობა აღარ ჰქონდა: ეს შტრიხებიც საკმარისი გამოდგა, რომ ამგვარი რომანის გამოცემას კენედების ოჯახის აღშფოთება გამოეწვია.

ამ ეპიზოდს, სულ ცოტა, ორი, და ერთმანეთისგან გამომრიცხავი ვერსია აქვს. ფაქტი ისაა, რომ საბოლოოდ ჯეკის კენედების ოჯახთანაც და საკუთარ გამომცემელთანაც ურთიერთობა დაეძაბა. 1977 წლის ოქტომბერში, როცა არჩერის რომანი გამოიცა, „ნიუ-იორკ ტაიმსმა“ კრიტიკოს ჯონ ლეონარდის ამ ნიგნისადმი მიძღვნილი რევიუ გამოაქვეყნა, რომელშიც ამ პროექტში ჯეკის წვლილზე არცთუ სიფრთხილით იყო მინიშნებული, ფინალური ფრაზები კი მისთვის გამოტანილი საბრალდებო დასკვნასავით ჟღერდა. „ასეთ ნიგნის

მხოლოდ ერთი სიტყვა შეესატყვისება“, – წერდა ლეონარდი, „ნაგავი. მავანმა და მავანმა, ვისი სახელიც ამ ნიგნის გამოცემასთანაა დაკავშირებული, თავი შეირცხვინა“.

მოგვიანებით ლეონარდმა დაადასტურა, „რა თქმა უნდა, „მავანში“ მას (ჯეკის) ვგულისხმობდი. ამ პროექტზე უარი უნდა ეთქვა. რომ მოენდომებინა, ამ ნიგნის პუბლიკაციასაც შეაჩერებინებდა.“

ამ დაუნდობელმა სტატიაში უსიამოვნო მოვლენების მთელი ჯაჭვი გამოიწვია, რასაც დაუყოვნებლივ ჯეკის გადადგომა მოჰყვა. ჟურნალისტებისათვის მიწოდებულ განცხადებაში ჯეკის მდივანი და წარმომადგენელი, ნენსი თაკერმანი ჯეკის ციტირებას ახდენდა: „შარმან, გაზაფხულზე, როცა ამ ნიგნზე მუშაობას შეუდექი, ვცდილობდი, საკუთარ თავში „ვაიქინგის“ თანამშრომელი და კენედების ნათესავი ერთმანეთისგან გამეცალკეებინა, მაგრამ წელს, შემოდგომაზე, როცა ამ ნიგნთან კავშირზე საგანგებოდ მიმანიშნეს და გამიციხეს, რომ მისი გამოცემის გამო სინანულს არ განვიცდიდი, მივხვდი, უნდა გადავმდგარიყავი“.

„თაკი“, როგორც მას ჯეკი ეძახდა, მისი ადრეული ბავშვობის მეგობარი იყო. თეთრ სახლში რომ მივიდა, ჯეკიმ თაკი საზოგადოებრივ საქმეთა მდივანად დანიშნა. მოგვიანებით თაკერმანი „დაბლდის“ გამომცემლობაში გამომცემლის თანამშენებელ მოეწყო. სანამ ჯეკი „ვაიქინგში“ მუშაობდა, თაკი მის მდივნობას აგრძელებდა და არასდროს ყოფილა იმაზე საუბარი, რომ ისინი, არსებითად, ორ კონკურენტ გამომცემლობაში მუშაობდნენ და როდესმე შეიძლებოდა, ამ ვითარებაში ინტერესების კონფლიქტიც გამოვლენილიყო. ჯეკის მეგობარი იყო „დაბლდის“ რედაქტორი, ლაიზა დრიუც, რომელმაც 1976 წელს ჯეფრი არჩერის პირველი ნიგნი გამოცა, თუმცა მის მეორე რომანზე, რომელიც შემდეგ „ვაიქინგმა“ შეიძინა, დრიუმ მანამდე უარი თქვა და „სრულიად უგემოვნო“ უწოდა. როცა რომანი გამოიცა, მერე კი „ნიუ-იორკ ტაიმსში“ ლეონარდის წერილიც დაიბეჭდა, ჯეკიმ ლაიზა დრიუს დაურეკა. მისი სიტყვებით, ჯეკის უთქვამს: „არ ვიცი, როგორ მოვიქცე, მგონი, ამ საქმეს უნდა შევეშვა. ნენსიმ გადმომცა, რომ შენ თურმე აღშფოთებული ყოფილხარ.“ ვუპასუხე, დაიხ, აღშფოთებული ვარ-მეთქი, „რადგან ორი კვირა ან სულ ოდნავ მეტი იქნებოდა

გასული მას შემდეგ, რაც „ვაიქინგმა“ ეს რომანი შეიძინა, როცა სადილობის დროს ამ დაწუნებულ წიგნზე ჩამოგიგდე სიტყვა. კარგად მახსოვს, შენ მის შესახებ არაფერი იცოდი“. მახსოვს, ჯეკიმ მითხრა: „ღმერთო ჩემო, ამ წიგნს გულისხმობდი? იცი, რომ იმ დღეს სადილის შემდეგ თომ გინზბურგთან წავედი, მოვუყევი, ლაიზა დრიუსთან ერთად ვისადილე-მეთქი, და ისიც ვუთხარი, რომ ვილაც ტიპს, არჩერს, თედ კენედისზე წიგნი დაუნერია. თომმა მიპასუხა, ნუ წუხხარ, შენ ეგ წიგნი არანაირად არ შეგეხებაო. თომს დიდი ხანია ვიცნობ, ამიტომ ვიფიქრე, რომ ჩემი ინტერესების გაუთვალისწინებლად არ მოიქცეოდა და ეს წიგნი გონებიდან ამოვიგდე. ახლა კი „ნიუ-იორკ ტაიმსი“ წერს, რომ ამ წიგნზე ყველაფერი ვიცოდი!“ სამიწლად გრძნობდა თავს. ორი საათის შემდეგ ნენსიმ დამირეკა და შემაცხოვინა, რომ ჯეკი სამსახურიდან წასვლას აპირებს და საღამოს თომს ამას წერილობით შეატყობინებს“.

მოგვიანებით მოვლენების კიდევ ერთი ინტერპრეტაცია ჯეკი ანდერსონის და ლეს უითენის სტატიაში გამოჩნდა, რომელიც „ვამინგტონ პოსტის“ 1977 წლის 14 დეკემბრის ნომერში დაიბეჭდა. ამ ავტორების თანახმად, გინზბურგი ჯიუტად იმეორებდა, რომ ამ რომანს ჯეკი კენედისონასისის თანხმობის გარეშე არაფრით შეიძენდა. ამგვარი თანხმობა მან თითქოს იმავე წლის 13 თებერვალს მიიღო, მაშინ, როცა მისის ონასისმა, მათივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „შეგატყობინა, რომ წიგნის შესახებ პირველად იმავე წლის 2 მარტს შეიტყო, ორი მეგობარი ქალისგან, რესტორანში სადილობის დროს... იმ დღემდე საკუთარი ბოსისთვის წიგნზე არაფერი უკითხავს. მხოლოდ მერე შეიტყო, რომ წიგნი კენედების უკანასკნელი ცოცხალი ძმის, თედის მკვლელობის მცდელობას შეეხებოდა. ჯეკის თქმით, როგორც მას ახსოვს, გინზბურგის პასუხი ასეთი იყო: „შესანიშნავი წიგნი გვაქვს, შესანიშნავი ამბით.“ მისის ონასისი კატეგორიულად უარყოფს, თითქოს გინზბურგს მისგან წიგნის გამოცემაზე თანხმობა ეთხოვოს. ჯეკის შეფასებით, გინზბურგის ფრაზა, თითქოს მას ჯეკისგან „სულგრძელობით აღსავსე და შეგნებული პასუხი“ მიეღოს, ჩვეულებრივი ტყუილია.“

კენედების კლანმა ჯეკი ისეთ მდგომარეობაში ჩააყენა, რომელშიც საკმა-

რისზე მეტი მიზეზი ჰქონდა, გინზბურგის დისკრედიტაცია მოეხდინა. შესაძლოა, ისეც მომხდარიყო, რომ ჯეკიმ გინზბურგს წიგნის გამოცემაზე თანხმობა ისე მისცა, რომ მასთან დაკავშირებულ დეტალებში ჩაღრმავება არ ისურვა; შესაძლოა, წიგნის ავტორის გვარიც არ უკითხავს, რის გამოც მერე, დრიუსთან და თავკერძთან საუბრის დროს ვერ გაიხსენა. ასე იყო, თუ ისე, მისი ვერსიის თანახმად, გინზბურგმა არჩერის რომანი „მის ზურგს უკან“ გამოაქვეყნა. გინზბურგს, რომელიც 2010 წლის სექტემბერში გარდაიცვალა, საკუთარი ვერსია სიცოცხლის ბოლომდე არ შეუცვლია. ის ყოველთვის ამტკიცებდა, რომ რომანის გამოსაცემად ჯეკის თანხმობა მიღებული ჰქონდა. „ვაიქინგის“ თანამშრომლები ყვებოდნენ, რომ გინზბურგი ჯეკის აღმერთებდა და საეჭვო ღირებულების რომანის გამო მასთან ურთიერთობას სასწორზე არ დადებდა. მათი საუბრის გინზბურგისეულ ვერსიას ჯეფრი არჩერის ბიოგრაფი, მაიქლ კრიკი გვთავაზობს. გინზბურგი მას სიტყვა-სიტყვით უყვებოდა ამ დიალოგის შესახებ. აი, ერთი ნაწყვეტი კრიკის ნაწერიდან: „ჯეკის ვუთხარი, ერთ ხელნაწერთან დაკავშირებით პრობლემა მაქვს-მეთქი. რა ხდებაო, – მკითხა. ერთი ინგლისელის ტრილერია, ავტორს ჯეფრი არჩერი ჰქვია-მეთქი. მომიყევიო, შემომთავაზა. ვუთხარი, როგორც ამ ყაიდის სხვა წიგნებში, მარტილი აქაც იმაშია, რომ სიუჟეტი მკვლელობას უკავშირდება-მეთქი. „რის თქმას ცდილობ, თომ?“ მკითხა მაშინ ჯეკიმ“. „ამ შემთხვევაში, საქმე თედ კენედის მკვლელობას ეხება, ამბავი 1983 წელს ხდება“, უპასუხია გინზბურგს. ამას რომ მიყვებოდა, გინზბურგმა დასძინა: „ეს რომ ვუთხარი, ვიგრძენი, თავზარი დავცა. თითქოს ვილაცამ სახეში გაარტყა. შეკრთა და რაღაც ამგვარი ჩაიბუტბუტა, „ამ ხალხს ვერაფერი გააჩერებს ... „არაფერი მიპასუხია. ცოტა ხანში თავს მოერია და მკითხა, კარგი წიგნი მაინც თუ არისო? არჩერზე ვუთხარი, ტექსტს თუ დახვეწს, კარგი უნდა გამოვიდეს, კენედებთან დაკავშირებული ზოგი ეპიზოდი უნდა შეიკვეცოს, მაგრამ წიგნის ავკარგი ზოგადად ასეთ შესწორებებზე დამოკიდებული-მეთქი. რამდენიმე წუთი კიდევ იფიქრა. „ჩვენ რომ არ მოვკიდოთ ხელი ამ რომანს, სხვა გამომცემლობა თუ მიიღებსო. რა თქმა უნდა, – ვუპასუხე, – მაგრამ წიგნის შე-

მდგომი ბედი შენი საწუხარი აღარ უნდა იყოს-მეთქი.“

ჯეფრი არჩერის ლიტერატურული აგენტი, დებორა ოუენიც ჯეკის მიმართ გინზბურგის განსაკუთრებულ დამოკიდებულებას იხსენებს. „თავს დავდებ, რომ სწორედ ტომის ვერსიაა სარწმუნო,“ – ამბობს ოუენი. ზოგიერთის აზრით, მას შემდეგ, რაც შეიტყო, რომ „ვაიქინგი“ არჩერის წიგნის გამოცემას აპირებდა, ჯეკის მის პუბლიკაციამდე მართლაც საკმარისი დრო ჰქონდა, რომ საკუთარი აზრი საჯაროდ გამოეთქვა, მაგრამ ეს არ უქნია. გინზბურგი სასონარკვეთილი ცდილობდა ჯეკისთან დაკავშირებას, მაგრამ მხოლოდ ერთხელ მოახერხა მასთან ტელეფონით გასაუბრება. იმ ჯერზე ამაოდ ემუდარებოდა, სადმე შეხვედროდა. შემდგომი კონტაქტის საშუალებას ნენსი თავკერძი აღარ აძლევდა.

გინზბურგმა „ნიუ-იორკ ტაიმისი“ წარმომადგენელთან საუბრისას თქვა: „ნახევარი ცხოვრება მეგობრები ვიყავით და მისის ონასისის გადაწყვეტილებით, ჩემთან გასაუბრების გარეშე გადამდგარიყო, ღრმად ვარ დამწუხრებული. კენედების ოჯახის მიმართ მხოლოდ აღფრთოვანებას განვიცდი, მისის ონასისის ორწლიანი წვლილი „ვაიქინგის“ მუშაობაში შეუფასებელია, და უმეტესად სწორედ ამან მიმაღებინა გადაწყვეტილება, არასოდეს გამოვცე ნებისმიერი სხვა წიგნი, რომელიც მის აღმფოთებას გამოიწვევს“.

საკუთარ თანამშრომლებს კი განუცხადა, რომ არჩერის წიგნის გამოცემა ჯეკისთან ნამდვილად განიხილა. „ვაიქინგ პრესის“ ერთ-ერთი რედაქტორი, ამანდა ვილი მას სწორედ იმ შეხვედრის შემდეგ შეხვდა, რომელზეც ჯეკიმ თითქოს არჩერის რომანის გამოცემაზე თანხმობა განაცხადა. მისი ნაამბობით, იმ დღეს ჯეკის გინზბურგისთვის უთქვამს: „ამ წიგნზე არაფრის ცოდნა არ მინდა. მე ნურაფერს მეკითხები. სხვა რომელიმე რედაქტორის აზრით ასე ხომ არ დაინტერესდებოდი! სხვებისგან განსხვავებულად ნუ მიპყრობი. რაც უკვე მიაბე, ამ წიგნის შესახებ იმაზე მეტის ცოდნა არ მსურს“. და, ვილის თქმით, ეს ამბავი თებერვალში მოხდა. როცა ჯეკის მიმართ ჩადენილი ლალატის ბრალდებაზე პასუხობდა, თომას გინზბურგს ერთხელ უთქვამს: „რას იზამ, ეს ჯეკი ონასისი იყო. განა რა ნონა ჰქონდა ჩემს სიტყვას მისი ნათქვამის წინააღმდეგ!“

რა თქმა უნდა, მეხსიერება ადამიანებს სწორად ღლატობს და ამ შემთხვევაშიც შეიძლება, ასე მომხდარიყო. ყოველ შემთხვევაში, „ფაბლიშერს უიქლისთვის“ 1993 წელს მიცემულ ინტერვიუში, რომელიც მისი უკანასკნელი ინტერვიუ გამოდგა, ჯეკიმ გინზბურგთან რაიმე შეთანხმების არსებობა კვლავ უარყო. რაც არ უნდა ეთქვა, ერთი ცხადი იყო: ჯეკი „ვაიქინგ პრესიდან“ იმ უსამოვნო წამოსვლის ისტორიით ბოლომდე ტრავმირებული დარჩა. „ვაიქინგში“ დარჩენილი მეგობრები არ დაინწყებია, მაგრამ გინზბურგისგან და მისი ყოფილი კოლეგებისგან თავი ყოველთვის შორს ეჭირა.

არჩერის წიგნმა ურთიერთგამომრიცხავი გამოხმაურებები მიიღო. ჯეკისთან დაკავშირებულმა ინციდენტმა ამ რომანის გაყიდვას, რა თქმა უნდა, ხელი შეუწყო, მაგრამ „თაიმის“ მიერ დასახელებული ბესტსელერების სიაში მან მხოლოდ ერთი კვირა დაჰყო.

ჯეკიმ კი ამ მარცხის შემდეგ ფეხზე წამოდგომა საგამომცემლო სახლის შეცვლით გადაწყვიტა, რაშიც თავკერძანის და დრიუს ნახალისება არ დააკლბია.

ფანჯარიანი ოთახის მოსაპოვებლად

1977 წლის 24 ოქტომბერს „ტაიმმა“ მკითხველს შეატყობინა, რომ ჯეკი უსამსახუროდ დარჩა. მომდევნო წელს ის უკვე ნენსი თავკერძანთან და ლაიზა დრიუსთან ერთად „დაბლდეიში“, რედაქტორის თანაშემწედ მუშაობდა, კვირაში სამი დღე, წლიური ანაზღაურება კი \$20,000-ს აღწევდა, რაც „ვაიქინგში“ მის თავდაპირველ ხელფასზე ორჯერ მეტი იყო. ლაიზა დრიუს ჯეკისთან კიდევ ერთ საუბარს იხსენებს, რომელიც, პირველის მსგავსად, სადილობის დროს წარიმართა: „დაბლდეიზე“ ვლავარაკობდით. ჯეკიმ ფრთხილად იკითხა, შეეძლო თუ არა იქ მუშაობის დაწყება. ვუთხარი, რომ „დაბლდეიში“ თავს უკეთ იგრძნობდა. ნენსიც იქ მუშაობდა, თან ჯეკი ჯონ სარჯენტის, გამომცემლობის გენერალურ დირექტორს იცნობდა. ჯეკი გრძნობდა, რომ „დაბლდეიში“ ბევრი ისეთი ადამიანი მუშაობდა, ვისაც მისი დაცვა შეეძლო, ამიტომ საკუთარი ცხოვრების კიდევ ერთხელ სამზეოზე გამოტანისას ძალიანაც არ რისკავდა.

მოგვიანებით ვკითხე, რაში დასჭირდა რამდენიმე თვე ჭოჭმანი და ფიქრი, სანამ მუშაობის ხელახლა დაწყებას გადაწყვე-

ტდა. მიპასუხა, სიფრთხილეს ვიჩენდიო. ცხოვრებაში რამდენიმე შეცდომა იმის გამო მომივიდა, რომ ვიჩქარე, ახლა მაინც მინდოდა ზუსტად მცოდნოდა, რომ სწორად ვიქცევო.“

245, პარკ ავენიუზე განლაგებულ შენობაში, რომელიც გრანდ სენტრალის შენობიდან რამდენიმე კვარტალში მდებარეობდა, ჯეკი 1978 წლის 11 თებერვალში შეუდგა მუშაობას, ისევე ისე, როგორც ადრე – გულმოდგინედ, თავმდაბლობით, მეტიც, სამუშაო გუნდის წევრებს შორის ჯეკი თითქმის უჩინარი იყო. საკმაოდ უბრალო, უფანჯრო კაბინეტი გამოუყვეს. ამის გამო შენუხებული სარჯენტის ასე დაამშვიდა: „ეგ არაფერი, ჯონ. შინ ბევრი ფანჯარა მაქვს.“ მოგვიანებით თავისი ავტორისთვის, იუჯინ კენედისთვის უთქვამს: „ფანჯარიანი კაბინეტისკენ გზა მეც, სხვებივით, შრომით გავიკაფეო“.

ოდესღაც „დაბლდეიში“ ჯეკის მიღებას ჯონ სარჯენტმა ასეთი კომენტარი დაურთო: „სანამ საქმეს შეუდგებოდა, მეგონა, რომ ამ სამუშაოს სერიოზულად არ მოეკიდებოდა. არასრული სამუშაო დღე ჰქონდა, ეგეც რომ არა, რასაც მოისურვებდა, ყველაფერი ისედაც მის ფერხით იყო, ამიტომ გუნდში მართლაც არსებობდა იმის განცდა, რომ სამუშაო მისთვის მხოლოდ რეალობიდან გაქცევის ხერხი იყო. მაგრამ ჯეკი ისეთ სიმშვიდეს და კეთილგანწყობას აფრქვევდა – და იმდენად შორს იყო გამაღიზიანებლად ექსტრავაგანტული, ულტრაგლამურული ფიგურისგან, როგორც მანამდე იცნობდნენ – რომ ყველა ჩვენი თანამშრომლის გული მოიგო.“

ამგვარად, სამუშაოსთან ერთად, ჯეკიმ მუდმივი საზოგადოებრივი ყურადღებისაგან ოთხდღიანი საიმედო თავშესაფარიც ჰპოვა. „ვაიქინგიდან“ „დაბლდეიში“ გადასვლა მისთვის მასშტაბისა და კორპორატიული კულტურის ცვლილებასაც ნიშნავდა. განსხვავებული იყო ამ ორი საგამომცემლო სახლის პოლიტიკაც. თომ გინზბურგის თქმით, ეს ისეთივე ცვლილება იყო, როგორც მოტორიანი ნავიდან საომარ გემზე გადაბარება. „ვაიქინგს“ 200 თანამშრომელი ჰყავდა, მაშინ, როცა „დაბლდეი“ ქვეყნის უდიდესი, ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული გამომცემლობა იყო, სამჯერ მეტი თანამშრომლით, წიგნის მაღაზიების ქსელითა და წიგნის კლუბებით, მიუხედავად იმისა, რომ, გაყიდვების მხრივ, სხვა მაშინდელი

გამომცემლობების მსგავსად, „დაბლდეი-საც“ გასაჭირი ადგა. „თუმცა, „დაბლდეის“ ხარისხს – გარეკანი, ქალაქი, ტიპოგრაფია – უნუნებდნენ, რადგან გამომცემლობა ბექდვისას მომჭირნეობის მომხრე იყო. ამის გამო ჯეკის რთული ამოცანის წინაშე ელოდა დადგომა, რადგან იმ პროექტებისთვის, რომლებიც მის ხელში გადაიოდა, ყოველ მხრივ უმაღლეს სტანდარტს მოითხოვდა.

ჯონ სარჯენტის ჯეკის გვერდით ხშირად ხედავდნენ, რის გამოც მალე ხმები დაიჩხა, თითქოს მათ რომანტიკული ურთიერთობა აკავშირებდათ. მისმა ვაჟმა, ჯონ სარჯენტ ჯუნიორმა, ამავე გამომცემლობის თანამშრომელმა (დღეს „მაკმილანს“ უდგას სათავეში) მითხრა: „ჯეკი და მამაჩემი მეგობრები იყვნენ. თუ მათ შორის რამე სხვაც ხდებოდა, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, მამაჩემი ამ ამბავს საფლაგში ჩაიტანდა და ამიტომ ამას დაზუსტებით ვეღარასოდეს გავიგებთ. იმ წლებში ძალიან პოპულარული იყო, უამრავ ქალს ხედავდა და წლების განმავლობაში ყველაზე მიმზიდველი და მდიდარი უცოლო ნიუ-იორკელების „ტოპ-ათეულში“ (და ბევრ სხვა ამგვარ ათეულშიც) ხედავდა. ოჯახში არავინ ვიცოდით, რას წარმოადგენდა მათი ურთიერთობა. მეგონი, მაინც მეგობრები იყვნენ და შესაძლოა, ერთმანეთს ბევრ რამესაც ანდობდნენ. მამამ ჯეკი ისეთ მომენტში აიყვანა სამსახურში, როცა ეს მისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო“.

იმის მიუხედავად, რომ „დაბლდეიში“ მეგობრები ეგულებოდა და ისედაც, ყველა შესანიშნავად შეხვდა, ჯეკისთვის კორპორაციის ცვლას ადვილად არ ჩაუვლია. ეჩვენებოდა, რომ გამომცემლობაში მის ენთუზიაზმს ცოტა არ იყოს, ანობდნენ კიდევ, რომ რაღაც საგანგებო ფუნქციით იყო სამსახურში აყვანილი, და რასაც ეტყოდნენ, ყველაფერი უნდა გაეკეთებინა. დაძაბულობის მოსახსენილად სხვა რედაქტორს, ქეროლინ ბლექმორს საგანგებოდ მოუხდა იმის თქმა, რომ მისთვის უინტერესო პროექტზე შეეძლო უარი ეთქვა.

„ვაიქინგში“ ჯეკის ერთი რუტინული პროცედურა ჰქონდა გასავლელი. ამა თუ იმ წიგნის შექმნის საჭიროება რომ დაეძაბუებინა, პროექტი დასამტკიცებლად სარედაქტორო და სამარკეტინგო კომიტეტების ყოველკვირეულ შეხვედრაზე უნდა

გაეტანა. საგამომცემლო სფეროში ასეთი შეხვედრები მაშინ სიახლე იყო, ახლებური მოდუს ოპერანდი, რომელიც ამ სფეროში მეგა-კონგლომერატების გაჩენამ თავისით მოიტანა. „დაბლდის“ ყოფილმა აღმასრულებელმა რედაქტორმა, ბეტი პრაპერმა საგამომცემლო სფეროში მომხდარი ეს ცვლილება ელ სილვერმანის წიგნის „მათი ცხოვრების დრო“ მოშველიებით აღწერა, რომელმაც ამ პერიოდის აღწერა ქრონიკის სახით დაგვიტოვა: „თავიდან, ორმოციან და ორმოცდაათიან წლებში, რედაქტორი იმ საგამომცემლო პირამიდის წვერში იყო მოქცეული, რომელიც ადმინისტრაციის, სამხატვრო განყოფილების, გაყიდვების და რეკლამის დეპარტამენტებზე იდგა. ბიზნესდეპარტამენტი, პრაქტიკულად, არ არსებობდა, მაგრამ წლების განმავლობაში პასუხისმგებლობების ეს პირამიდისებრი განაწილება შეიცვალა, რედაქტორები მისი წვერიდან ჩამოქვეითდნენ და ძირში აღმოჩნდნენ.“ ჯეკისთვის ეს ძალიან რთული გარემო უნდა ყოფილიყო.

„ის ფაქტი, რომ ჯეკი რედაქტორი გახდა, წიგნის ბიზნესისთვის დიდი გამართლება და შენაძენი იყო“, – ამბობს ჯეკის ყოფილი კოლეგა „დაბლდის“.

„დაბლდის“ სასოლო

იმ დროს „დაბლდის“, ნელსონ დაბლდის ჯუნიორის საკუთრება და საოჯახო ბიზნესი, ლამის მამაკაცთა კლუბი იყო. დაბლდის ეკუთვნოდა „მეტსიცი“ – „მეტროპოლიტენი“, ბეისბოლის ცნობილი გუნდი. თითო-ორიოლა ქალ რედაქტორს, მაგალითად, პრაპერს, რომელიც ამ მამაკაცთა გუნდს შერეოდა, „უმრავლესობა“ დაბლდის საცოლეებს ეძახდა.

ჰარიეტ რუბინი, რომელიც მოგვიანებით „დაბლდისში“ ჯეკის მსგავსად, რედაქტორად მივიდა, მის წვლილს კომპანიაში ასე აღწერს: „ის ფაქტი, რომ ჯეკი რედაქტორი გახდა, წიგნის ბიზნესისთვის დიდი გამართლება და შენაძენი იყო. მეგონი ჯეკი წიგნს ისე უყურებდა, როგორც მაგის, ჯადოსნობის ფორმას. ტაძრები ხომ საკრალურ ტექსტებზე შენდება. მგონი მასაც ასეთი რამ უნდოდა: თანამედროვე მაგიური ფორმულების შექმნა, რომლებიც ადამიანებს გონებას გაუხსნიდა და დაფარულ სიბრძნეს აპოვებდა.“ რუბინის თქმით, საგამომცემლო სახლში ჯეკიც „დაბლდის“ ერთ-ერთ „საცოლედ“ ითვ-

ლებოდა. რუბინი ამ ქალების განსაკუთრებულ როლზე მინიშნებს: „იმ წიგნების მეშვეობით, რომლებსაც, ეს ქალები, როგორც რედაქტორები, ირჩევდნენ, კულტურული კონვენსაციის პრეცედენტს ქმნიდნენ. რედაქტორს შესაშური უპირატესობა აქვს: მას შეუძლია კულტურაში წელიწადში ოცი წიგნი „ჩაუშვას“, მწერალი კი – მხოლოდ ერთს ორი-სამი წლის განმავლობაში. ბლოგერებს იმის შესვენება სჭირდებათ, რომ საზოგადოებას, ადამიანების ცხოვრებას სწორედ წიგნები ცვლის. ჩემი აზრით, ჯეკიმ აღმოაჩინა, რომ როგორც რედაქტორს, ელიტასთან, დანაწილებულ კლასთან, ზოგ ჩვენგანთან თავისი წიგნების მეშვეობით საუბარი შეეძლო.“

„ყველაზე დასახსომებელი რედაქტორთა ყოველკვირეული შეხვედრები იყო, რომლებსაც ის თვეში ერთხელ ესწრებოდა. როცა მისი იდეების პრეზენტაციების დრო დგებოდა, ისეთ პროექტებს წარმოადგენდა ხოლმე, რომელთა გამო სხვას, ალბათ, სამსახურიდან დაითხოვდნენ, დანარჩენებს კი კომიკურად არაკომერციული ეჩვენებოდათ: მაგალითად, პუშკინის თხზულებათა მრავალტომეული; „პლეადების“ ამერიკული გამოცემა; ვაზარის ნაწერებზე დაყრდნობით შესადგენი საბავშვო ილუსტრირებული წიგნი, რომელშიც ლეონარდო და ვინჩის ხელოვნური მწერების ესკიზები იქნებოდა გაცოცხლებული. ჯეკიმ, რა თქმა უნდა, ყველა ეს ბრძოლა წააგო.“

ამავე თათბირების გახსენებისას „დაბლდის“ კიდევ ერთმა ყოფილმა რედაქტორმა, ჯეიმს ფიცჯერალდმა მითხრა: „ჯეკის მაინცდამაინც ბევრი პროექტი არ ებარა ხოლმე, მაგრამ, როგორც რედაქტორი, ნამდვილად ერთ-ერთი ჩვენგანი, ჩვენი იყო. მასაც ისევე ეუბნებოდნენ უარს ზოგ იდეაზე, როგორც ჩვენ, დანარჩენებს. ამ თვალსაზრისით, საგამომცემლობაში სრული დემოკრატია გვექონდა.“

ყოფილი მთავარი რედაქტორი, სენდი რიჩარდსონი იხსენებდა, როგორ შევიდა ჯეკი პირველად რედაქტორების შეკრებაზე. როგორ მიუბრუნდა „გვერდით მჯდომ კოლეგას და თავისი ცნობილი „პატარა გოგოს ჩურჩულით“ იკითხა, ახლა რა უნდა გავაკეთოთ.

საგამომცემლო სფეროში საკმაოდ გავრცელებული პრაქტიკაა: როდესაც რედაქტორი საგამომცემლო სახლს იცვლის, თან თავისი რჩეული, საყვარელი ავტო-

რებიც „გადაჰყავს.“ როცა ჯეკი „ვაიქინგ პრესიდან“ წავიდა, სწორედ ასე გადაჰყავა „დაბლდისში“ დაიანა ვრილანდი და მისი ფოტოალბომის მაგვარი წიგნი Allure. ავტორის შვილიშვილი, ნიკოლას ვრილანდი ბებიაშის და ჯეკის თანამშრომლობას „სიყვარულიან შრომად“ იხსენებს. „ბებია-ჩემის ბინაში მოდიოდა, მასალას იატაკზე შლიდნენ, რალაც მაკეტის მაგვარს ადგენდნენ და ერთად წყევტდნენ, რა როგორ გაეკეთებინათ. რაც ყველაზე გასაოცარი იყო, წიგნს დიზაინერი არ ჰყოლია, დიზაინთან დაკავშირებული სამუშაო თავად გასწიეს.“ (ეს წიგნი, Allure, საგამომცემლობამ Chronicle Books 2010 წლის ოქტომბერში ხელახლა გამოსცა).

მერე დადგა დრო, როდესაც ჯეკი „დაბლდის“ უფროსი რედაქტორი გახდა, მაგრამ ბრძოლებს და იდეებს მერეც აგებდა. მისი კარიერის განმავლობაში უამრავი ისეთი წიგნი ყოფილა, რომელთა გამოცემა სურდა, მაგრამ თანამოაზრეების პოვნა ვერ მოახერხა. არც წიგნების შერჩევისას ჰქონდა უფრო ხშირად სრული თავისუფლება, მიუხედავად იმისა, რომ „დაბლდისში“ ყოველთვის არსებობდა იმის შეგნება, რა დიდი შენაძენი იყო ის გამოცემლობისთვის. მისი დაკარგვა არავის სურდა. ამის გამო, მის „მოსათაფლად“, ზოგიერთ „უგუნურ“ პროექტზე ხანდახან თანხმობას მაინც აძლევდნენ.

მაიკლ ჯექსონის 1988 წელს გამოცემულ მოგონებების წიგნზე Moonwalk მუშაობისას, რაც ოთხი წელი გრძელდებოდა, ჯეკიმ დიდი მოთმინება გამოიჩინა და პოპვარსკვლავის ექსცენტრულ მოთხოვნებს გალიზიანებით არასდროს პასუხობდა. ჯო არმსტრონგმა, „როულინგ სთიუნის“, „ნიუ იორკის“ და „ნიუ უესისის“ ყოფილმა გამომცემელმა მითხრა: „ჯეკი ამ პროექტში იმიტომ კი არ იყო ჩართული, რომ თავად სურდა, ან აინტერესებდა, რა გამოვიდოდა ამ საქმიდან. მას სურდა, „დაბლდის“ კანონმორჩილი მოქალაქე“ ყოფილიყო. ეს მისი სიტყვებია. თავად მითხრა, თუ ამ საქმეს თავს გაავართმევ, ისეთი წიგნებზე მუშაობის საშუალებას მომცემენ, რომლებიც მე თვითონ მიყვარსო.“

რინესანსული ქალი


ჯეკის ავტორების უმეტესობამ არაფერი იცოდა მოვლენათა იმ ჯაჭვის შესახებ, რომელიც 1993 წელს დაიწყო – ნომებერში

ჯეკის ლიმფომის დიაგნოზი დაუდასტურდა, ავადმყოფობისა, რომელიც ექვსი თვის შემდეგ მისი გარდაცვალების მიზეზი შეიქნა. კოლეგების და მეგობრების უმეტესობამ მისი ავად ყოფნის შესახებ დანარჩენ მსოფლიოსთან ერთად შეიტყო, მომდევნო წლის თებერვალში, როცა ნენსი თავერმანმა ამის შესახებ საჯარო განცხადება გააკეთა. ძალიან მალე ჯეკი სამსახურში დაბრუნდა და კოლეგებს საკუთარი ავადმყოფობის შესახებ შეატყობინა. „ტკივილებზე ერთხელაც არ დაუჩივლია“, – თქვა მისმა იმდროინდელმა თანამშემემ, სკოტ მოიერსმა. „არასდროს გვიგრძენია, რომ ასე მძიმედ იყო დაავადებული. სამსახურში ადრინდელივით დადიოდა. ისევე ენთუზიაზმით და ენერგიით აღსავსე ჩანდა. ხანდახან დოლბანდის სახვევებით მოდიოდა, კანზე თერაპიის თანმდევი ჩალურჯებები აჩნდა, მაგრამ თავის პროექტებს არ ეშვებოდა. როცა საავადმყოფოში პირველად მოხვდა და გონს პალატაში მოვიდა, მიხვდა, რომ საბავშვო წიგნის ავტორ პიტერ სისსთან (რომლის წიგნზე დიდი სიყვარულით მუშაობდა) შეხვედრას ვეღარ მოახერხებდა. პირველი რაც თქვა, ეს იყო: „გთხოვთ, პიტერს დაურეკეთ და შეატყობინეთ, რომ

ვერ მივალ.“ ჯეკის შემდეგ მისმა რამდენიმე ავტორმა „დაბლდისთან“ თანამშრომლობა ვეღარ გააგრძელა – აზრი, რომ იქ მის გარეშე მოუწევდათ მუშაობა, ძნელი შესაგუებელი აღმოჩნდა. ბიოგრაფიული ჟანრის ავტორი და სცენარისტი დევიდ სტენი წერდა: „ის თემებს კი არა, ავტორებს ეთაყვანებოდა და უფროთხილდებოდა. დღევანდელ საგამომცემლო ბიზნესში ის ხარ, რაზეც წერ, და თუ ისეთ ავტორებს არ მიეკუთვნები, ვისი წიგნებიც ყველა შემთხვევაში იყიდება, გამომცემლობა შენთან ურთიერთობას მხოლოდ იმის გამო არ გაუფრთხილდება, რომ შენი სჯერა. ჯეკი ადამიანზე რუღუნებდა და ამით რენესანსის დროინდელი გილდიების დამოკიდებულებას ამჟღავნებდა – მართლაც რენესანსული ყაიდის ქალი იყო.“ ჯეკი ხუთშაბათს, 19 მაისს, 22.15 საათზე გარდაიცვალა. მეორე დღეს ჯონი, მისი ვაჟი, პრესის წარმომადგენლების წინაშე განცხადებით წარდგა, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ ჯეკი „მეგობრების, ოჯახის წევრების, იმ წიგნების და ადამიანების გარემოცვაში გარდაიცვალა, რომლებიც უყვარდა – ისე, როგორც თავად სურდა:

პირობები, რომლებიც თავად ითხოვა, და-ცულ იქნა. ამას ბედის წყალობად მივიჩნევთ. ახლა ის ჩვენი უფლის ხელშია.“ ერთი წლის შემდეგ ჯეკის საყვარელმა თოთხმეტმა ავტორმა მისდამი მიძღვნილ თოთხმეტ ესეის, რომლებითაც გამოემშვიდობნენ და უკანასკნელი პატივი მიაგეს, თხელ, ელევანტურ ლურჯ წიგნში მოუყარეს თავი. წიგნი ძალზე მცირე ტირაჟით გამოიცა, პრივატულად, მხოლოდ მეგობრებისა და ოჯახის წევრებისთვის გადასაცემად. ხედავ, რომელიც ჯეკიმ საგამომცემლო საქმეში მიიტანა, იმის შეგნებას ეფუძნებოდა, რომ საზრისი ყოველ სიცოცხლეს გააჩნია, ყოველი მათგანი ფასეულია, და მხოლოდ „მწერლობის უმძიმესი შრომა“ ხდის ფარდას ამ სიმართლეს. ჯეკის მიერ „ვაიქინგში“ და „დაბლდისში“ გამოცემული წიგნების დიდი წილი, როგორც არაკომერციული გამოცემები, დღეს ბეჭდვიდანაა ამოღებული. მხოლოდ Google-ის საოცრებათა საუკუნეში შეიძლება იმედი ვიქონიოთ, რომ ისინი მკითხველისთვის არ დაკარგულა – იმ ნატივ სიბრძნესთან ერთად, რომელიც მის ამქვეყნიურ გზას თან სდევდა.






**“KNOWING I LOV'D MY BOOKS,
HE FURNISH'D ME FROM MINE
OWN LIBRARY WITH VOLUMES”**
*Prospero... - The Tempest,
William Shakespeare*

გამომცემლობა „ემ ფაბლიშინგის“ ჟურნალები – „ლიბერალი“, „ცხელი შოკოლადი“, „ბიზნესი: ადამიანები, მეთოდები, სტრატეგიები“ უკვე **Prospero's Books & Caliban's Coffee-ს** წიგნის მალაზიასა და კაფეში იყიდება!

მუშაობს ყოველ დღე: 9:30 – 20:00
ბავშვთა საათი: კვირა, 12:00

მისამართი: თბილისი, რუსთაველის 34
ტელეფონი: (995 32) 92 35 92





ეპისკოპოსი, ექსპერტი ბენდარის საკითხებში

<<< ღასაწყისი 83. 48

ისეც ხდება, რომ დატვირთული რეჟიმის გამო, ნანიკო სახლში ზის და ელოდება, ვიდრე დედა მივა. თუ წირვის დღეს საკვირაო სკოლის გაკვეთილების გამო წირვას ვერ ესწრება, აუცილებლად ჰკითხავს, იმ დღეს რაზე ჰქონდა ქადაგება. ეს

საუბრები ერთგვარი კომპენსაციაა შვილებთან, რომლებთან ურთიერთობაც ღვთისმსახურ დედას ჩვეულ „დედობრივ რეჟიმში“ არ გამოსდის. მიუხედავად ასეთი ურთიერთობისა, ნანიკოსთან ნათლობაზე ჯერ არ უსაუბრია, მართალია ჯერ მხოლოდ 14 წლის ხდება, ბაპტიზმში კი, მიღებული წესის თანახმად, ადამიანი ზრ-

დასრულობისას იღებს მონათვლის გადაწყვეტილებას, თუმცა გოგონას აქამდე არც სურვილი გამოუთქვამს, რუსუდანს კი არ უნდა, თუნდაც მხოლოდ შეკითხვით, რაიმე გავლენა მოახდინოს და შვილს აფიქრებინოს, დედას ხომ არ აქვს რაიმე მოლოდინიო. სამაგიეროდ, 11 წლის მათემ, უკვე საკუთარი გააზრებული სურვილით გადაწყვიტა მონათლულიყო.

ბავშვები ჩვეულებრივ საჯარო სკოლაში დადიან. კლასელებმა, ძირითადად, არ იციან მათი დედის შესახებ და აქამდე არც ყოფილა ამის საჯაროდ გამოვლენის აუცილებლობა. მხოლოდ მათეს მეგობრებმა იციან, რომ მათე ბაპტიცია.

„ყოველთვის ვფიქრობდი, რომ ჩემს შვილებს ამ კუთხით პრობლემა არ ჰქონიათ, იმიტომ რომ კონკრეტული ფაქტი არასოდეს მომხდარა.“

მაგრამ ერთმა შემთხვევამ მოგვიანებით, სხვანაირად აფიქრებინა. მაშინ ჯერ კიდევ გადაცემა „დროება“ გადიოდა, იმედის ეთერით. სიუჟეტში სკოლებში რელიგიის საგნის გაუქმებაზე საუბრობდნენ. ერთმა მასწავლებელმა თქვა, რომ მნიშვნელოვანი იყო ამ საგნის არსებობა და მართლმადიდებლური წესით ლოცვა. კითხვაზე, როგორ უნდა მოქცეულიყვნენ ამის სავალდებულოდ ქცევის შემთხვევაში, ვთქვათ მარნეულის სკოლებში, მასწავლებელმა მიუგო, რომ ვინც მუსლიმი იქნებოდა, კლასიდან გავიდოდა და დარჩებოდნენ და ილოცებდნენ მხოლოდ მართლმადიდებელი ბავშვები.

„ამას ვუსმენ, უცებ შემოვბრუნდი და ვხედავ, ნანიკო ტირის. მეუბნება, რაო, ახლა უნდა მითხრან, კლასიდან გადიო? დაეუწყე დამშვიდება, რომ ეს მხოლოდ სიუჟეტია და რესპონდენტი პასუხობს ასე. მიუხედავად იმისა, რომ კონკრეტული ამბავი ამ ბავშვების ცხოვრებაში არაფერი მომხდარა, მათესაც უთქვამს, სულ მგონია, რომ უცხოები მოვლენ ესლა და იკითხავენ, ვინ არა ხართ მართლმადიდებლები და ფეხზე აგვაყენებენო. მერე მივხვდი, რომ არ არის აუცილებელი, ვილაცამ მაინცდამაინც შეურაცხყოფა მიაყენოს ჩემს

კოვა
მარჯანიშვილის
 სახელობის
 სახელმწიფო
 დრამატული **თეატრი**



კოვა
 მარჯანიშვილის
 სახელობის
 სახელმწიფო
 დრამატული **თეატრი**



კოკი მიჭანის მიხედვით

შეშლილი

რეჟისორი ლევან წულაძე

მონაწილეობენ:

ნატო მურვანიძე

ნიკა კუჭავა

木莓



მადლობას მოვახსენავთ JT1 - ს კომპანიების დახმარებას
 მხარდაჭერისათვის

მარჯანიშვილის ქ.მ.ბ.ბ.ბ.: +995 32 95 59 66 / 47 57 68 (საქაპო);
 +995 32 95 35 82 (სახელმწიფო);
 ფაქსი: +995 32 95 48 81
WWW.MARJANISHVILI.GE

შვილს, რომ პრობლემა შეეხოს. ის რაც გარედან ესმით ხოლმე, ამ ბავშვებში რალაცნაირად ილექება.“

ბევრს საუბრობს სხვა ეკლესიებთან ურთიერთობაზე. მისთვის საეკლესიო რეფორმებს შორის, სქესთათანასწორობის მიღწევასთან ერთად, ეკუმენური ღიაობა ასეთივე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო. ჯვრის პროცესის გზა, რომელსაც უკვე 5 წელია კათოლიკური, სომხური სამოციქულო და ლუთერანული ეკლესიების წარმომადგენლებთან ერთად დიდი ხის ჯვრით გადაიან, მისთვის ემოციურად ყველაზე დატივრთული გზაა. არასოდეს დაავიწყდება, შეგრძნება, როცა ერთ წითელ პარასკევს, ვაგზის მოედანზე, პირდაპირ გადაჭედდნ დახლებსა და დამპალი პროდუქტების ურნებს შორის ატარეს ეს ჯვარი და მაშინ წარმოიდგინა, როგორი შეიძლებოდა ყოფილიყო ქრისტესთვის გოლგოთის გზა.

„ეს ერთ-ერთი საშუალებაა იმის დემონსტრირებისთვის, რომ ეს ეკლესიები არ არიან თავიანთ ვიწრო თემში ჩაკეტილები, არამედ ერთად დგანან და მათ აერთიანებთ ჯვარი, ქვეყანა და ქალაქი, რომელშიც დადიან. გვყავს ძალიან დამეგობრებული ეკლესიებიც, საერთო პროექტებსაც ვაკეთებთ. განსაკუთრებით დაგვაახლოვა ქრისტიანული ბანაკების პროექტმა, ყველა ეკლესია თავის ბანაკს აკეთებს, თუმცა, ხშირად ერთმანეთისგან ვინვეთ მასწავლებლებს, ბაპტისტური, კათოლიკური, ლუთერანული ეკლესიების და 50-იანელების წარმომადგენლები. სამწუხაროდ, ამ ეკუმენურ ერთიანობაში საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია ნაკლებადაა ჩართული. ბანაკების დონეზეც კი, საპატრიარქოსთან არ გვაქვს კავშირი, მხოლოდ რომელიმე ლოკალური მართლმადიდებლური ეკლესია თუ გადაწყვეტს, რომ მათაც სურთ მსგავსი ბანაკები, სემინარებზე გზავნიან რამდენიმე მასწავლებელს.“

იმაზე, თუ რატომაა ქვეყანაში ყველაზე მძლავრი და მრავალრიცხოვანი მრევლიანი ეკლესია რელიგიურ უმცირესობებთან თანამშრომლობაში

ჩაკეტილი, პასუხი არ აქვს. „როგორც წესი, ასე იქცევა ის, ვისაც ეშინია მრევლის დაკარგვის, ან რამე ამგვარი, მაგრამ ეს ხომ ძლიერი და გავლენიანი ეკლესიაა და არ უნდა ეშინოდეს 3000-კაციანი პატარა ეკლესიასთან კეთილგანწყობილი ურთიერთობის. თუ ეს პლუსებს არ მიუწერს, არანაირ უარყოფით შედეგს არ მოუტანს.“

მის მეგობრებში კი მართლმადიდებელიც ბევრია, მაგრამ ბავშვობის მეგობართან გადამხდარი ერთი შემთხვევაც ახსოვს, რომელიც 6-7 წელია არ ენახა. დიდი ხნის შემდეგ კვლავ შეხვედრისას, საუბარში მეგობარმა ახსენა, რომ ძალიან რელიგიური გახდა, ეკლესიაშიც დადის და მოძღვარიც ჰყავს.

„ვუთხარი, რომ ეს ძალიან კარგია. როცა ღმერთთან ურთიერთობის სურვილი გიჩნდება, რა მნიშვნელობა აქვს, სად იწყებს ამას. ეს რომ ვუპასუხე, ამოისუნთქა, გაიხარა და მერე ისეთი რალაც მითხრა, რამაც გული დამწყვიტა. ძალიან კარგი „მამაო“ მყავსო და შენთან წამოსვლამდე, მივედი და ვუთხარი, ბაპტისტი ბავშვობის მეგობარი მყავს და თუ შეიძლება, შევხვდეთ. მითხრა, რა თქმა უნდა, მიდი, თუ თავს არ გახვევს თავის აზრსო. აი, რა კარგი კაციაო.. ასეთ დროს, მგონია, რომ უფრო თვითცნუნზურა მოქმედებს, ვიდრე ის, რომ მას ვინმე ავალდებულებს, ბავშვობის უსაყვარლეს ადამიანს რომ დაეკონტაქტო, ვილაცას უნდა დაეკითხო და ნებართვა სთხოვო“.

ბოლოსთვის მოვიტოვე, მეკითხა, როგორ აბალანსებს საერო და სასულიერო ცხოვრებას და ასე თუ ისე, სეკულარულ სახელმწიფოში ცხოვრებისას, რა მნიშვნელობას იძენს მისთვის ეკლესიაში მსახურობა.

„მაშინ, როცა სქესთან თანასწორობის პრობლემა მაინტერესებდა, პარალელურად, ეკლესიაშიც დაწყებული იყო რეფორმების პროცესი. მიუხედავად იმისა, რომ რელიგია, რომელიც ასეთ საკითხებში ზოგადად უფრო კონსერვატორულია, ვიდრე სეკულარული საზოგა-

დობა, მივხვდი, რომ ჩემს ეკლესიას საზოგადოებასთან შედარებით მეტი წინსვლა ჰქონდა. თან ვნახე, რომ მსგავსი პროექტები, კვლევები, ტრენინგები იმ არასამთავრობო ტარდებოდა და სიამოვნებით ჩავერთე მუშაობაში. ძალიან ბევრი რამ მომცა იქაურმა გამოცდილებამ. მაგალითად, როცა გენდერის ტრენინგით ჩავდიოდით, ვთქვათ, ახალქალაქის მიუვალ სოფლებში.“

რასაც სამოქალაქო სივრცეში ემსახურება, არის ის, რისაც სწამს. განსხვავება გადმოცემის ფორმებშია. ის, რომ ძალადობას არ უნდა ჰქონდეს ადგილი, ამას ყოველთვის საღვთო წერილის მუხლების მოშველიებით არ ამბობს. არასამთავრობო ორგანიზაციაში მუშაობა მხოლოდ ეხმარება, სხვა ჭრილში დაინახოს რალაც საკითხი თუ პრობლემა.

„ანუ, ვერ ვიტყვი, რომ ცა და მიწასავით განსხვავებულია ეს ორი სივრცე ჩემთვის. მე მწამს, რომ ადამიანი თავისთავად როგორც არის, ის არის ღირებული. იმედია, ერთ მშვენიერ დღეს ეკლესიები მიხვდებიან, რომ ადამიანი და მისი ღმერთთან ურთიერთობაა მთავარი. ჩვენ კოლექტიური საზოგადოება ვართ, რომელშიც ადამიანი მაშინ ფასობს, როცა არის ამ გვარის, ამ უბნის, ამ ფერის, ამ ორიენტაციის და ა.შ. მართალია, ბევრ რამეში მომხმარა ის, რომ ამ ეკლესიისათვის უფრო მისაღები ვიყავი, რადგან ამ წვენში მოვიხარმე, ის, რომ პაპაჩემის შეილიშვილი ვიყავი, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ერთმნიშვნელოვნად დადებითი ამბავია. მასხოვს, ერთი წირვის შემდეგ, ქალბატონი მოვიდა და წყრომით მითხრა, ძმა ლადოს ჩემთვის ეს არ უსწავლებიაო, პაპას გულისხმობდა. საკმარისია, მე ცალკე აღებულმა, რუსუდან გოცირიძემ, რამე ისეთი ვთქვა, რასაც პაპა არ ამბობდა, მიუღებელი ვხდები ამათთვისაც კი. აი, ესაა მნიშვნელოვანი, რომ ცალკეული ადამიანი გახდეს ღირებული. რასაც ვაკეთებ, ყველაფრით ამას ვესახურები“.



ბელი ნანსულაძე



1 თბილისელი

ბენი ბენედიტი და ვისაშინი



2 თბილისელი

ბონატი კინეზიერი



3, 25 თბილისელი

ბელა ბონაძე



4 თბილისელი

ბონა-ბონაძე



5 თბილისელი

ბენიუნო ზუსატი, სკოლაში სკენალი



6 თბილისელი

ბიონატი, ნილი ბაგუჩინაძე



8 თბილისელი

ბიონატი



9 თბილისელი

ბიონატი და ტიხონოვსკი



10 თბილისელი

ბიონატი ბიონატი



11 თბილისელი

ბიონატი, ბიონატი



12 თბილისელი

ბიონატი ბიონატი



13 თბილისელი

ბიონატი ბიონატი და ბიონატი ბიონატი



16 თბილისელი

ბიონატი



17 თბილისელი

ბიონატი ბიონატი და ბიონატი ბიონატი



22 თბილისელი

ბიონატი-ბიონატი



23 თბილისელი





Mail from Singapore Inc.

<<< დასაწყისი გვ. 68

ვერც აღვწერ, ძალისგან ეგეთი არაფერი მსმენია. თან ყბას ისე აფართხალებდა, თითქოს ყეფდა. მეგონა ყელში ჰქონდა რალაც გაჩხერილი და დრუნჩზე დავაკვირდი. უცებ ძალის თავისკენ წამოსული ყულფი დავინახე, ავიხედე და ისევ ის დედამოტყნული პოლიციელი არ დგას? თან პირზე სადისტური ღიმილი დასთამაშებს.

– ოე, კონფუცი! ვათს, გოინგ ონ – ვუყვირე.

– სერ, ეს ძალის დღისითაც დავინახე და ვერ დავიჭირე. მთელი ბრიგადა ავანოოკე, მთელი დღე ეკრანების ყურებაში გავატარე, რომ მეპოვა. – და ავისმომასწავებლად ჩაიბურღლუნა – ახლა სადღა წამივა?

– ეს ძალის ჩემია. მე დავკარგე დილით, როცა ჩამოფრინდი. სამსახურში მეჩქარებოდა, ველარ მოვძებნე. მეც ამის მოსაძებნად დავბრუნდი. ვიპოვე და მიმყავს. სად მიგყავდათ?

– თავშესაფარში, როგორც წესია. ხვალ შუადღემდე თუ არ მოიკითხავდით, დააძინებდნენ.

სანამ პოლიციელი პასუხს დაამთავრებდა, დავითრიე ძალის და ტრასისკენ გავემართე. იქვე, გაჩერებასთან ჩამოვჯექი.

იქნებ ავტობუსისმავგარმა მაინც გამოიაროს რამემ. ასე შემოგვალამდა.

ეჰ, ჩემო ცუგა. ახლა ჩვენ პარკში უნდა დავბრუნდეთ. თუ იმ მართლა ძალმა დაგვინახა, რომ იქ გვძინავს, მიხვდება, რომ მე ვილაც ბრადია ვარ, შენსავით. შენ

დასაძინებლად წავიყვანს, მე იმხელა ჩეკს ამარტყამს, ცხოვრებაში რომ ვერ გადავიხდი და ვილაც ნაკოლიკიანი სინგაპურელი შტანგისტის ნაშა გავხდები ზონაზე. დაგვეძრა.

Deux Ex Machine, ღმერთი მანქანიდან, ღმერთი კაილაკით, როგორც ბებერი სტივენ კინგი იტყოდა – ასე ქვია, როცა უიმედო მდგომარეობაში აღმოჩენილ გმირს სიუჟეტის განვითარება-გადაწყვეტისთვის ახალი გზა ეხსნება, რალაც ღვთაებრივი ჩარევით. მაგალითად, როცა სუპერგმირი ადამიანი-ფანტომი უპილოტო, მწყობრიდან გამოსულ თვითმფრინავშია და თვითმფრინავი ეს-ესაა ვარდნას დაიწყებს, და უცებ, საიდანაც, ერთ-ერთი სავარძლის ქვეშ პარაშუტი აღმოჩნდება. მაგარია ხო?

ფეხებთან მანქანამ მომიჩერა. მძღოლმა გვერდზე მჯდომი ხელში იტაცა და უკანა სავარძელზე მოისროლა. კარი ნელა გაიღო.

მე ჯერ მძღოლს შევხედავ, მერე ჩაბნელებული უკანა სავარძლისკენ გავიხედე. პინგ-პონგის მსაჯივით ვაცეცებ თვალებს.

– შეიძლება, მიმიხვდნენ, რომ ცოცხალი არაა, – გაისმა მანქანიდან, – დაჯექი.

ფსიქოლოგია ადამიანებს სამ ჯგუფად ყოფს, იმის მიხედვით, როგორ რეაგირებენ საფრთხეზე. ზოგი გარბის, ზოგი შეშდება, ზოგი შეტევაზე გადადის. მე ამ სამიდან ყველაზე დებილური და გაუმართლებელი ინსტინქტი მაქვს. ვშეშდები. ჰოდა, გავშეშდი.

წარმოიდგინე, მანქანიდან გიყურებს

ვილაც გრძელთმიანი, სლავური გარეგნობის კლიენტი. არა, გარეგნობით საშიში არ ეთქმის, პირიქით, ზედმეტად მშვიდი და სანდომიანია. ჰო, სანდომიანი, ალბათ, იმასაც ესიმპათიურა, უკანა სავარძელზე რომ აგდია ახლა.

მძღოლმა გადაიხარხარა. – პირველად ჩამოხვედი აქ? – გაიცანი, ეს ჩემი ალტერეგოა, მოფერებით ფედისა ვეძახი, – ხელი უკანა სავარძელზე გადაყო და თანამგზავრს ამოახედა. მანეკენი ყოფილა.

– კანონია აქ ეგეთი, ექვსი საათის მერე თანამგზავრის გარეშე სიარული არ შეიძლება. გზები რომ არ გადაიჭედოს. ჯარი-მაა ათას ხუთასი დოლარი, ჩემი ნახევარი თვის ხელფასი, – რუსულად მეუბნება, – არ ვაჩერებ ხოლმე, მაგრამ გიყურებ, კავკასიელი ხარ. ფაქტობრივად, ზემლიაკი. ჩვენ ყველანი საბჭოთა კავშირში გავვაკეთეს.

მე გაუფიქრე და სავარძელში მოვთავსდი.

– ძალს წამოვიყვან. – დავი! – მითხრა და მანქანა დაძრა. – აქ ვიპოვე, შემეცოდა, მოკვლას უპირებდნენ. ისე, სტრანი ძალა. სულ რაღაცას ლულულულებს. კარგი ვინმეა. დროა, სახელი დავარქვა.

– შეგიძლია „პარასკევა“ დავარქვა, მაგასაც ენა აქვს მოჭრილი, როგორც „პარასკევას“ კუტზეებს „მისტერ ფო“-დან.

– ენა? – ნუ, ფიგურალურად კი ნუ გაიგებ, ხმის იოგები ამოაჭრეს. აქ ყველა ძალს ეგრე უშვებთან, წესრიგი უყვართ.

ძალმა დიდი, წყლიანი თვალებით შემომხედა.

– აი, იმ ბანერს ხედავ? – დიდ ეკრანზე გზების აბლაბუდა ეხატა, ზედ მანათობელი წერტილებით, – ეგეც წესრიგისთვისაა. ყველა მანქანას აქვს დატრიკი. ყველამ იცის, ვინ სად დადის.

ცოტა ხნის მერე უხერხული სიჩუმე ისევ თვითონ დაარღვია:

– ფოკუსი გინდა? ამის თქმა იყო და საშინელი ხმა გაისმა, თითქოს გოძილა მომეპარა და შიგ ყურში ჩამაკუა. პარასკევა ისე შეხტა, რომ კინაღამ ფანჯრიდან ისკუპა.

– 80-ს როგორც კი გადააცილებ, ეს ხმა დაგაყრუებს. აქ ყველა მანქანა ეგრეა. ეგეც ჩამონტაჟებულია. ყველაფერი ჩამონტაჟებულია.

– ნე ხუია სეზე!
– თავიდან ძნელია, მიეჩვიო. რომ ჩამოვედი გამიჭირდა. მერე მუშაობას იწყებ, ცოტა ფული გაგიჩნდება და ყველაფერს ეჩვევი. თან ფიქრის და პრეტენზიების დრო არც გრჩება. გასართობებიც არის, კაზინოა უამრავი. ჩინელს მოფსმას გადააჩვევ, თამაშს ვერა... შენ საიდან მოდიხარ და საით მიდიხარ?

ფურცლის ნაგლეჯზე მინერილი მისამართი გაუწოდდე:

– აქ მივდივარ, აღმოსავლეთიდან მოვდივარ.

– აღმოსავლეთი, – გაიღიმა, რალაც გაასხენდა, – მეთე კლასში ვარ, ლენინგრადის პირველ გიმნაზიაში. კარგი მოსწავლე ვიყავი, მაგრამ ქიმი არ მევასებოდა. ერთი გოგო იყო რა, პალესტინელი, აქსა ერქვა, პატარა შური-მური მქონდა. ეგ მინერდა ქიმიის საკონტროლოებს, სულ ხუთიანებს ვიღებდი. სხვა არაფერი იცოდა, ქიმი და თაყვანისცემა მარტო. ქიმიის სწავლას მამამისი აძალბებდა. ოჯახში ერთი ექიმი რომ უნდა იყოს, ისე, პალესტინურ ოჯახში ერთი პროფი ამფეთქებული უნდა იყოს. მეთერთმეტე კლასში სხვა სკოლაში გადამიყვანეს. იქ სხვა გოგო დამხვდა, ადა. კაი გოგო იყო, ისრაელიდან. ჰოდა, მე ადას რუსულ ენასა და ლიტერატურაში ვეხმარებოდი, ეგ – ქიმიამი.

– აქსას დაადე?
– არა, აქსაც მიყვარდა. ბოლოს ისე მოხდა, რომ ქიმიამი ჩემი მიღწევებით მოხიბლულმა დირექტორატმა ოლიმპიადაში ჩამწერა მონაწილეობის მისაღებად, ადასთან ერთად. ზაკონ პოდლოსნი. ოლიმპიადაზე, იასნა, აქსაც გაიჩითა. ჰოდა, აქსამ არაორგანული ქიმი დაამინერა, ადამ ორგანული. მე ფიგარო არა ვარ. ეგრევე გასკდა ამბავი. გოგოები დაეჯახნენ და იძულებული ვიყავი ამერჩია. ან ადა, ან აქსა.

– მერე?
შემომხვდა, მარცხენა ხელით საჭეს დაეყრდნო და გამიციანა.

– მერე ის, რომ ამ არჩევანმა განაპირობა მთელი ჩემი შემდგომი პოლიტიკური პრეფერენციები.

ამასობაში რალაც ქალაქში შევედით. სადაც არ გაიხნედავდი, ყველგან ხელოვნური ჩანჩქერები და შადრევნები მოგხვდებოდა თვალში. ერთი უცნაური შადრევანი იყო, ლომის თავით და თევზის კუდით. კუდი დონივით შემოერტყა. პირიდან ასხამდა

წყალს, თითქოს ნაპორით არწყევდა. საცოდავი სანახავი იყო.

– ეს მერლიონია. სინგაპურის ძლიერების სიმბოლო. ხშირად ნახავ.

– დიდი ხანია, აქ ცხოვრობ?

– ოცი წელია უკვე. რუსეთში გამომცემლობაში ვმუშაობდი, მერე რადიო ჟურნალისტობა დავიწყე. მაგარი გადაცემა მქონდა, „ეგ ემ დოსტოევსკი“, იქიდან ტელევიზიაში მოვხვდი. ქვეყანა რომ აირია უკვე აქ ვიყავი, ინტერნად. დარჩენის შანსი გამიჩნდა და დავრჩი. მოქალაქეობის მიღება მაშინ ძალიან ადვილი იყო. დემოგრაფიული პრობლემა აქეთ, ერთ ბერდება, ახალი სისხლი უნდოდათ.

– მე ვიცოდი რომ პირიქით, ბავშვებზე ლიმიტი.

– ჰო ეგრეა. აკრძალულია ლარბებისთვის. მდიდრებში ნახალისებულია ორი შვილის ყოლა, მაგრამ მდიდრები პენსიის გამო შვილს გააჩენენ? მაგათ ისედაც აქეთ ფული. თუ მდიდარი არ ხარ და უკვე ერთი შვილი გააგორე, პერიოდულად პოლიცია გირეკავს საღამოობით – გასცენებს, რომ პრეზერვატივი გაიკეთო.

– ჰა?

– ჰო, არ აიღებ და შენი აჯობებს. მე, მაგალითად, სტერილიზაცია გავიკეთე. სტერილიზაციას თუ გაიკეთებ, კარგი პენსია გენიშნება. ლი კუან იუ ფიქრობს, რომ ჯობია ქვეყანაში ცოტა ბავშვი გყავდეს, რომ კარგი განათლება მისცე. ერის დაბერებასთან ბრძოლა კი გრამატი ახალგაზრდების ჩამოსახლებით შეიძლება. ვინც ნერა-კითხვა და ინგლისური არ იცის, იმას აღარც ეკითხებიან, ისე უკეთებენ ვაზექტომიას.

– სად მუშაობ?

– აეროპორტში, დისპეტჩერად. ჟურნალისტისკაცსაც ველარ გავყევი. ორივე მთავარ თემაზე აკრძალულია ლაპარაკი: პოლიტიკაზეც და სექსზეც. რახან ბოლოს ყველაფერი ამ ორზე დადის, ჯობია, საერთოდ არ ილაპარაკო.

ლაპარაკში ქალაქს გავცდით. ისევ გაკრეჭილი ბალახის ზღვა და ერთი გზა შემდეგ კუნძულამდე მისაცურად.

– კარგია, რომ ნაცნობი აღმოგაჩნდა. ისე, 560 დოლარი ერთი ლამის გასათევად არ გეყოფოდა. ჯობია შენს მასპინძელს დაურეკო უკვე. ყველა სადარბაზოს თავისი მცველი ჰყავს და უცხოებს არ უშვებენ. გარეთ დაგხვდეს, ხუთ წუთში მივალთ, –

მითხრა და მობილური გამოიმინოდა.

მე ნომერი ავკრიფე. ტანგმა მითხრა, რომ ხუთ წუთში ჩამოვიდოდა.

– ფიოდორ, არ გინდა აქედან ნახვიდე? არ გგუდავს ეს კეთილსურნელოვანი ხელოვნური ორქიდეები?

– რატომ ნახვიდე? ახალგაზრდა არ ვარ, რომ ვიხულოვო. სიმკაცრეა, სამაგიეროდ, წესრიგია. რუსეთში განა შემეძლება დასვენების დღეებში კაზინოში ვიარო? იქ ყველა პარკი ნაგავსაყრელია. მე ეს ოქროს გალია მირჩენია.

ტანგის კორპუსთან გაგჩერდით. უკანა სავარძლიდან ფეხი გადმოვიყვანე, ვითომ ადამიანია, კამერებისთვის თვალის ასაბმელად, და წინ დავსვი. გამომშვიდობებისას ფიოდორი ჭოჭმანობდა, ბოლოს გაბედა:

– შოთა, პარასკევას შენ მაინც ვერ მოუვლი აქ. მე ნახვიყვან. ბუძეტ ს კემ პაგავარინ.

– აბშინეს ნა ზდაროვიე! – ვუპასუხე ღიმილით და ხელი ჩამოვართვი.

ტანგ ვუ ჩემზე სამი წლით დიდი ყოფილა. ეგეთი დარტყმული იშვიათად შეგხვდება კაცს. დასახვედრად ისე გამოვიდა, რომ მაისურის მაგივრად შარვალი ეცვა, შარვლის მაგივრად კი პიჯაკი. ეგრევე შემომიბტია, რაო, გაგიტყდა ბრინჯიჭამია ტერმიტი რომ არ დაგხვდაო? რომ დამერწმუნებინა, როგორ ყლზე მეკიდა რა ეცვა, ფეხზე გავიხადე და წინდით პეპელა გავიკეთე საყელოზე. ეგრე შევედი სადარბაზოში. ჯერ კამერებს მიმოავლო თვალი, მერე კარისკაცს შეხედა, პირი ყურთან მომიტანა და ჩამჩურჩულა: არა უშავს, რომ თეთრი ხარ. იცოდე, მიყვარხარ, – მერე ხმამალა დაიყვირა, – მე ყველანი მიყვარხარ!

ბინაში რომ ავედით, მიბრძანა, ფეხზე გაიხადეო. მეგონა მეკაიფებოდა, სახლი ჯუნგლებს ჰგავდა. იატაკზე მკვდარი ოქროს თევზები ეყარა, გადმოყირავებული კარადა მაგიდად გადაეკეთებინა, ტუალეტიდან შლანგი გამოდიოდა. ერთი ბოლო უნიტაზში ჩაეყო, მეორე ბოლო ეგდო ტელევიზორთან, რომელიც ტანგს გამოეფატრა და ეკრანის მაგივრად სარკე ჩაესვა. ჭერზე, ჭალის ადგილზე, შეღებილი დევიდ ბოუის პორტრეტი ეკიდა. ამ სახლიდან მგონი ნაგავი არასდროს გაეტანათ. ყველაფერი იატაკზე იყო მიმოფანტული.

– გაიხადე მეთქი! რატომ არ გინდათ პა-

ბაბრქილება

ტივი სცეთ ნეს!

ეს ისტორიკა აღარ მომეწონა. კარისკენ შევტრიალდი წასასვლელად.

– არ მოიხედო, მარილის სვეტად იქცევი!

მეთქი ახლა ამას ვაჩვენებ სვეტს, ინსტიტუტურად საყელოზე წინდა მოვიდელე, იმის საჩვენებლად, რომ არ ვხუმრობდი და მოვტრიალდი.

მოვტრიალდი და მარილის სვეტად ვიქეცი. მოვტრიალდი და მივხვდი, რატომ მოიმკვდარუნა ლოტის ცოლმა თავი, როცა გომორელებმა დიდი ფოიერვერკი მოაწყვეს ამ ბებერი ტვინისტყვენა მქადაგებლის ქალაქიდან გასატყუებლად, თვითონ რომ აღარ უდგებოდა და არც სხვას აცლიდა.

ცოდვილი ტანგ ვუ მიღიმოდა და კაი გაძეგლდ მოსანვეს მიმიზნებდა. ფეხზე გავიხადე. ოთახში შევედი. დავექეცი. მთელი კვირა ასე ვიჯექი. საჭმელი იყო, წიგნები იყო, მოსანვეი იყო. ერთი ის ტეხავდა, რომ ტანგმა მოკიდება არ გამაზა, სულ მამა-დლიდა, ამისთვის სიკვდილით სჯიანო.

თითქმის სულ გარეთ იყო, გარდა იმ დროისა, როცა თავს იხატავდა. მოიტანდა რალაც ლანდშაფტის ან შენობის სურათს და ზუსტად ისეთ ფერებს გადაიტანდა სხეულზე. გავიდოდა გარეთ და ობიექტს შეერწყმებოდა. მართლა ძნელად გაარჩევდი. საათობით იდგა ასე, გაუნძრევლად. არ ვეკითხებოდი, რატომ აკეთებდა ამას. მივჩვიე, რომ დაყლებული იყო. ზუსტად ასეთი მომწონდა.

ტანგ ვუ 5 წლიდან ხატავდა. არ გაუმართლა, მესამე ბავშვი იყო ოჯახში. მშობლები ბუდისტები იყვნენ და ბავშვი ვერ მოიშორეს, თუმცა ვერც ვაზრდიდნენ, მეორე ბავშვზე გადასახადს ძლივს აუდიოდნენ. სამშობიაროშივე დაუტოვებიათ და კალათაში წერილი ჩაუდიათ, სადაც მდგომარეობას აღწერდნენ, ბოდიშს იხდიდნენ. წერილს ხელმოწერა არ ჰქონდა, პოლიციას რომ არ მიეგნო. ეს წერილი ახლა ფანჯარაზე იყო გაკრული. ტანგ ვუ ხუთ წლამდე ინტერნატში იზრდებოდა, მერე ვილაცამ იშვილა. იშვილა კი არა, როგორც მოგვიანებით აღმოჩნდა, იყიდა. უფრო სწორად, თავის ყლეს უყიდა. 12 წლიდან სახლიდან გამოიქცა. მამობილს დაემუქრა, გიჩივლებ და სიკვდილით დაგსჯიანო. იმის მერე მამობილი ფულს უგზავნიდა. ამით ცხოვრობდა ტანგი. ხელოვნების სკოლაში ჩააბარა,

ჰონგ-კონგში, მაგრამ მალევე შეწყვიტა სწავლა, სინგაპურში დაბრუნდა და ცხოვრება განაგრძო.

ერთი ღამის კლუბი არის, ზოუკი. პრესტიჟულ უზანშია და ძალიან პოპულარულია ტურისტებსა თუ ადგილობრივ ბურჟუებს შორის. იქიდან გამოვედი, მაგრამ სახლში წასვლა არ მინდოდა. ტანგს ვუთხარი, დავლიოთ-მეთქი. არ მინდაო, მეძინებო, შენ თუ გინდა, წადიო და რალაც კლუბი მიმასწავლა, ექსკლუზიურად უცხოელეებისთვის. მდიდარი უცხოელეებისთვის. კარგა ხანს ვეხვეწე, ნამომყოლოდა. ბოლოს ნერვები მომეშალა და რალაცეები ვუთხარი, ახლა მაგრად ვნანობ. მივაძახე, რაც არ უნდა ბევრი საღებავი შეისხა პროქში, მაინც ამათიარი ნაცრისფერი კაცი დარჩები-მეთქი. მე მეგონა გაბრაზდებოდა. ტანგმა კი პირიქით, კეთილად გამიღიმა და მითხრა:

– გახსოვს, რა სახე გქონდა თავზე შარვალჩამოცმული რომ დაგხვდი? ადრე ეგრე დავდიოდი ქუჩაში. ვპროვოკატორობდი. პროტესტი მქონდა, რომ ისე ვერ ვცხოვრობდი, როგორც სხვა ქვეყნებში ცხოვრობენ ადამიანები. როცა შორტების ჩაცმაზე 1500 დოლარიანი ჯარიმას, საერთოდ რა ცხოვრებაზეა ლაპარაკი. მე კანონს არ ვარღვევდი, გრძელი შარვალი მეცვა, მაგრამ მეცვა თავზე. ვუცემივართ კიდეც, დავუპატიმრებთ ვართ კიდეც, გაროზგვაც მოუწვიათ, მაგრამ არ დავუჯარიმებთ. ახლა საკუთარი თავისთვის რალაცეების დამტკიცებას შევეშვი. უბრალოდ, ხალხს მინდა ვანახო, როგორ ქრება ადამიანი. როგორ იკარგება ამ ხელოვნურ ბალებს, შენობებს, გზებს შორის. ჩვენგან ემოციები განდევნეს. ახლა უბრალოდ ხიჭვი ვართ, რომელიმე ღამაზე პეინაჟის ტრაკში. ასეთ ყოფნას ჯობია, არ იყო. ჰოდა, მეც ვქრები, ქამელეონივით.

– რატომ არ დაიკიდებ? რატომ არ აითესები ამ ყლებიდან?

– სად წავიდე? ან რომ წავიდე, რა? აქ არავინ მაინც ვარ, კაცი, რომელიც ქრება. სხვაგან ეგეც ვერ ვიქნები. ან თუ ვიქნები, რას ვიტყვი ამით? ვის რად უნდა საფრანგეთში ჩემი გაქრობა? თუ წასვლაა, საფრანგეთში უნდა წახვიდე, სკანდინავიაში უნდა წახვიდე. იქ უნდა წახვიდე, სადაც ადამიანები იზრდებიან, კი არ პატარადებიან. სხვა ყველაფერი ან ვერშემდგარი სინგაპურია, ან ვერშემდგარი ჩინეთი. და

ეს ორიც ერთი ყლება. წავედი, დავიძინე.

წავედა და დაიძინა. მე ბუკიტ ტიმაჰს ქუჩისკენ ავიღე გეზი.

კლუბი დიდი არაფერი, ერთი ჩვეულებრივი ბორდელი იყო მდიდრებისთვის. სტამბულშიც ბევრია ზუსტად ასეთი. ბართან დავექეცი და ლუდი მოვიტხოვე. ტანგთან ლაპარაკის მერე ჟიმაობის არც სურვილი მქონდა, არც ფული. ვუყურებდი, როგორ ებღლარძუნებოდნენ ვოლ-სტრიტ ვარსკვლავთბიჭუნები ყველა შესაძლო ეთნოსის გოგონებს. ზოგი უკვე ჭარმაგი იყო და ჭუჭუს ქელესს უხდიდა, ზოგიც ჯერ კიდევ ბრგე ახალგაზრდა, ისეთი, მუნუკები რომ ამოსდით გაპარსული წვერის ადგილას, მაგრამ მაინც ჯიუტად იპარსავენ. ოქროს ქუსლებზე შემდგარი ლილიპუტების სამყაროში ჯობია, მუნუკები გიფარადეს სახეს, ვიდრე წვერი.

– ორი ლუდი. ჩემთვის და ჩემი ახალი მეგობრისთვის! – ხმაურთანად მომიჯდა ვილაც. საგანგებოდ გაუთოებულ პერანგში ისე გამოიყურებოდა, როგორც მენაგვე ალღუმზე.

– მადლობა, – ვუთხარი და ზაუმნი სიფათი დავეკრე. ვითომ რალაცაზე ფეიქრობდი და საუბრისთვის არ მეცალა.

– აი, მესმის. სამი წელი მეც ეგრე ვიმუშავე, ახლა უკვე შემიძლია, შაბათ-კვირებით მოვეშვა. მე ჯონი მქვია. მეგობრები კონსულს მეძახიან. კონსული გაპატიუებთ, – ტაბლეტი გამომიწონდა, რალაც ბარბიტურატს ჰგავდა.

– სასიამოვნოა, კონსულ, – გამოვართვი.

– კონსულს იმიტომ, რომ თუ რამე ქვეყანაში რამე საფონდო ბირჟის რამე უჯრედი არსებობს, ყველგან ვყოფილვარ, ყველგან კარგად წარმიდგენია ჩემი კორპორაცია. ყველგან მომიგია.

ალარაფერი ვუპასუხე, მზერა ისევ მობღლარძუნებზე გადავიტანე. ამაზრუნეი სანახავეები იყვნენ. ტაბლეტი ენის ქვეშ ჩავიდე და ლუდი დავაყოლე.

– მაგარი ადგილია, არა? აქ ყველაფერი არა. არ გინდა, ერთი გოგო დავითროთ?

– არა, ჯონიბოი, რალაც არ ვარ ხასიათზე, ლუდიც მეყოფა, დიდი მადლობა.

– შენ ახალი შეგრძნებები გინდა. რასაც თვებით ვერ აკეთებ, ერთ დღეში უნდა აინაზღაურო, თორემ გადაიწვები. რა გგონია, აქამდე როგორ მოვატანე? – თავი ახლოს მოიტანა, თვალი თვალში გამიყარა და დაბალ ხმაზე გააგრძელა, – ბიჭი?

– ეს პატარა ბიჭი? – ვკითხე და ვიგრძენი როგორ წამოვიდა სიცივე ფეხებიდან. ფეხებმა ფართხალი დაიწყო, ბაქანზე ამოგდებული თევზის კუდივით.

– ჰო, პატარა ბიჭი. პატარა ეძახე და ჩემი მკლავის სისქე განავალი აქვთ.

სიცივე წელამდე ამოვიდა. ტანი გამიხევადა. დამბურძგლა. ისე დამბურძგლა, რომ რაც მქონდა, ის ბურძგლები, აღარ მეყო და ახლები ამოვიდა. მთელი ტანი ბალნით დამეფარა. ფეხებზე დავიხედე და თევზის კუდს ვხედავ, ხელებზე დავიხედე და – თათებს. დამენძრა. მერლიონის ქანდაკებად ვიქცევი. ლომთევზად. სინგაპურის სიმბოლოდ. სხეულის სიღრმიდან ზემოთ მომავალი წყალიც ვიგრძენი.

ყელი.
პირი.

და ჭავლმაც ამოხეთქა. ჯონის ლუდის ჭიქაში ჩაიღვარა. მე სკამიდან წამოვხტი

და გარეთ გამოვვარდი. კონსული ფეხდაფეხ მომყვა, ყვირილით.

– გაჩერდი! გაჩერდი! ყველა უნდა მონათლოს! ყველა მოგენათლეს ფრემშენობისას! გაჩერდი, გაიგე! ჩვენია აქაურობა! ჩემია! არწყვი, მერე რა? ხმის ამოღებას ვინ გაბედავს! ჩვენ ვართ აქ უფროსები! მე ვარ აქ უფროსი! მე ვაქციე ეს ქვეყანა აზიურ ვეფხვად! მე ვაქციე გლეხების სინგაპური ცხოვრების დონით მეორე ქვეყანად აზიაში! რობოტ იაპონელებსაც გაგუსწრებთ მალე! მე გავზარდე ამათი მთლიანი შიდა პროდუქტი! – პირი გაუშრა, ნარწყევინი ლუდი გადაკრა და კათა ასფალტზე დაახეთქა, – მე, გესმის? მე! მშპ მსოფლიოში მესამე! ეკონომიკური სასწაული! სასწაულებს ღმერთები ახდენენ და მე ღმერთი ვარ! მე ღმერთი ვარ!

გავრბოდი და აღარ მესმოდა, რას ყვიროდა. რომელიღაც სკვერს შევაფარე თავი.

დილით სკამზე გამეღვიძა. პოლიციელი მადგა თავზე. ავდექი, მოვუბოდიშე, ვუთხარი, რომ ბირჟაზე ვმუშაობდი და სახლისკენ წამოვედი. ტანგ ვუ დილიდანვე „გასაქრობად“ გასული დამხვდა. ფურცელი ვერ ვიპოვე. ფანჯრიდან მოვხსენი მისი მშობლების წერილი და უკანა მხარეს დავანერე: ტანგ ვუ, არ მინდა სინგაპურში. სახლში მინდა, საქართველოში. აღარ ვიცი, სხვა რა დავწერო. აი, ჩემი ემაილ. მომწერე ხოლმე. გამიხარდება თუ თბილისში ჩამოხვალ. მალე აქაც შესაძლებელი იქნება გაქრობა.

სამი დღის წინ მივიღე წერილი სინგაპურიდან. იწერებინ, რომ ტანგ ვუ მოკვდა. მოლს შეერწყა და ბალახის საკრეჭმა თავზე გადაუარა. არც განძრეულა, რომ გაცლოდა მანქანას. ჩემი წერილი უნახავთ ფანჯარაზე და მომწერეს.

ეს შენ გეძღვნება, ტანგ ვუ, სადაც არ უნდა იყო!

დაფიქი, ვის ანობ შენს ხბილებს!



მისამართი: ქ. თბილისი, მიცკევიჩის 15
ტელ.: 380060 871 380060



ქალი, რომლის ქმარის ანგელოზი იყო

<<< ლასაწყისი გვ. 72

ასევე ცნობილია დიდი ინგლისელი პოეტის უილიამ ბლეიკის ისტორიაც, როდესაც მან, სწორედ ბიბლიური მაგალითების მიხედვით, ხანდაზმულ ასაკში გადაწყვიტა, გაეჩინა კონკუბინა, მეორე ოფიციალური ცოლი. კონკუბინაჟის სისტემა ინგლისში ადრე გავრცელებულიც იყო, თუმცა მისი წარმომავლობა მაინც უფრო რომის რესპუბლიკასთანაა დაკავშირებული. გადმოცემების თანახმად, უილიამ ბლეიკს ეს სურვილი მისმა მოძღვარმა გრაფმა ზინზენდორფმა აღუძრა მორავიული ეკლესიიდან, სადაც ბლეიკი საკუთარ მეუღლესთან ერთად დადიოდა და ასევე გავლენა იქონია გამოჩენილი ფილოსოფოსის, „მეუღლეობრივი სიყვარულის“ ავტორის ემანუელ სვედენბორგის ფილოსოფიამ. 10-წლიანი ომის შემდეგ საკუთარ მეუღლესთან, ზოგიერთი ჭორის თანახმად, მან მაინც განახორციელა ეს სურვილი. ასე რომ,

იდა კრადოკის ხილვები სულაც არ იყო უპრეცედენტო გამონაგონი.

იდა კრადოკის კონფლიქტი ამერიკის პურიტანულ საზოგადოებასთან 1893 წელს დაიწყო, როდესაც ის ჩიკაგოში მუცლის ცეკვის პირველ წარმოდგენას დაესწრო. მუცლის ცეკვა ამერიკაში მალე პოპულარულ გასართობად იქცა და ანთონი კომსტოკის, ნიუ-იორკის მანკიერებათა აღკვეთის საზოგადოების თავმჯდომარის, ეგრეთ წოდებული მორალური პოლიციის დამაარსებლის ყურადღებაც მიიქცია და ის, ცხადია, ამ შოუს აკრძალვას ითხოვდა. იდა კრადოკმა კი აღმოაჩინა, რომ მუცლის ცეკვა სექსუალური თვითკონტროლის ნამდვილი გამოხატულება იყო და რომ ეს ტექნიკა შეეძლოთ გამოეყენებინათ ცოლებს საკუთარ სექსუალურ ცხოვრებაში. მან დაწერა და გამოაქვეყნა საკუთარი შეხედულებები ამ საკითხზე, რითაც ანთონი კომსტოკის რისხვა და გადამტერება გამოიწვია.

მაგრამ იდას მეორე მტერიც ჰყა-

ვდა – საკუთარი დედა, ლიზი. ის ყველანაირად ცდილობდა, როგორმე რამე სისტემაში მოექცია საკუთარი ქალიშვილი, ასევე სცადა, ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოეთავსებინა და მისი ხელნაწერების დაწვა უნდოდა. ამით შეშფოთებულმა იდამ საკუთარი ნაწერები ინგლისში გადააგზავნა ჟურნალ „ინგლისის“ რედაქტორთან. მართლაც, სწორედ ამ არქივის შედეგად მოახერხა შემდგომში თეოდორ შროიდერმა მათი პოვნა 1914 წელს და ეს ნაწერები სამხრეთ ილინოისის უნივერსიტეტის კოლექციას გადასცა.

1898 წელს მისმა მტრებმა მაინც მოახერხეს იდას მოთავსება პენსილვანიის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში, საიდანაც 3 თვის შემდეგ გამოვიდა. იმის გამო, რომ კომსტოკმა ვერაფერი გააწყო ვერც იდას და ვერც მუცლის ცეკვის წინააღმდეგ, მან გადაწყვიტა ბოლომდე მიეყვანა საქმე და იდას წინააღმდეგ სასამართლოში აღძრა საქმე უცენზურობის ბრალდებით.

ფსიქიატრიულის გარდა, იდა კრადოკი არაერთხელ იჯდა ამერიკის სხვადასხვა ქალაქების ციხეებში, ნიუ-იორკის ბლეკველ აილენდზე სამთვიანი გამასწორებელი სამუშაოები გაიარა, სადაც მისი სიცოცხლე უკვე ფიზიკური განადგურების საშიშროების წინაშე იდგა და ბოლოს, როდესაც 45 წლის ასაკში მისთვის 5 წლიანი პატიმრობა უნდა შეეფარებინათ, იდა კრადოკმა საკუთარი მონინააღმდეგეების გეგმა საბოლოოდ ჩაშალა – მან საკუთარ ბინაში გაზის ონკანი გახსნა და საკონტროლო მიზნით მაჯა გადაიჭრა. იდა კრადოკმა საზოგადოებისთვის განაცხადა, რომ ის იკლავს თავს, რადგან მოსამართლემ ყოველგვარი საფუძვლის გარეშე და მხოლოდ ანთონი კომსტოკის მონოდებას აყოლილმა დამნაშავედ სცნო იგი და რომ ამგვარად ამერიკის საზოგადოება უკეთ დაინახავს ამ გადაწყვეტილების უსამართლობას. დედას კი მისწერა, რომ მას უფლება აქვს, მოკვდეს ისე, როგორც ცხოვრობდა – თავისუფალ ქალად.



**შეხინარჩუნოთ ახალგაზრდული კანი
Microcellulaire-ის ხაზი**

GUAM-ის კოსმეტიკის მიკროუჯრედოვანი ხაზი შექმნილია GUAM-ის ფიტოპლანქტონის და კოსმეტიკური წყლის (Acqua Madre) საფუძველზე. მათი ერთობლივი ზემოქმედება ღრმად კვებავს, ატენიანებს და აიბაღვაზრდავებს სახის კანს. აღნიშნული ხაზის საშუალებებს გააჩნია ძლიერი ანტიოქსიდაციური (ანტი-აგე) ეფექტი. GUAM-ის ფიტოპლანქტონი 2-3 მიკრონი დიამეტრის მქონე ერთუჯრედიანი წყალმცენარეა, რომელიც განსაკუთრებულ პირობებში იზრდება. 1 მილილიტრ წყალში მრავლდება 3,5 მილიარდამდე წყალმცენარე, რომელიც გადაიორმევა და შემდეგ გამოიყენება GUAM-ის კოსმეტიკური საშუალებების წარმოებისათვის. წყალმცენარე შეიცავს 50%-დე ამინომჟავებს, რომელთა სტრუქტურა ძალიან მჭიდვს სახის კანის უჯრედების ამინომჟავების სტრუქტურას. აღნიშნული ამინომჟავები სახის კანის უჯრედების მიერ აღიქმება როგორც საკუთარი და სწრაფად შეიწოვება. ამინომჟავებს აქტიური როლი უკავია კანისათვის აუცილებელი ცილების წარმოებაში (კოლაგენი, კერატინი და ელასტინი). გარდა ამისა, ამინომჟავები ხელს უწყობს და აღადგენს კანის დატენიანების ნორმალურ დონეს.

კოსმეტიკური წყალი წარმოადგენს სასიციველო მნიშვნელობის მქონე მიკრო, მაკრო და ოლიგოლევემენტების მაღალკონცენტრირებულ ხსნარს, რომელიც მიიღება ზღვის წყლიდან მაროლის გამოყოფის პროცესის შედეგად. კოსმეტიკური წყალს გააჩნია ძლიერი ანტიოქსიდაციური თვისებები, იგი აქტიურად კვებავს კანის უჯრედებს და ხელს უწყობს მათ განახლებას. კოსმეტიკური წყალი ამცირებს შეშუპებას და ღრმად ატენიანებს კანს.

GUAM-ის მიკროუჯრედოვანი კოსმეტიკა სახისათვის - 7 დღის მანძილზე რეგულარულად გამოყენების შემდეგ კანს მატებს ტონუსს, სიმკვრივესა და ელასტიურობას, აუმჯობესებს სახის კანის ფერს, რაც დადასტურებულია კლინიკური ტესტებით.

GUAM-ის პროდუქციის შექმნა შეგიძლიათ GPC-ის სააფთიაქო ქსელსა და სილაზაზის სალონებში

 <p>თვალის ბაგავი შეშუპებისა და სიწკარველის სალონებში ბაზრ. 308ლ.</p>	 <p>სახის კვებადანი პროდუქტი ნიაზრ. 758ლ.</p>	 <p>სახის კვებადანი კაბი ზონის ნორმალური ნიაზრ. 508ლ.</p>
 <p>ბლემი ნიაზრ 20 - პროდუქტი ნიაზრ. 508ლ.</p>	 <p>პროპიონი ნიაზრის სალონებში კაბი, ნაგავითკაბილი პროდუქტი</p>	 <p>პროპიონის პროდუქტი ნიაზრ. 758ლ.</p>
 <p>ნიაზრის სალონებში კაბი პროდუქტი</p>	 <p>GUAM-ის ზონის პროდუქტი ნიაზრის სალონისა და ნორმალური.</p>	 <p>ნიაზრის პროდუქტი კაბი.</p>



Love me tender. აბელარი და ელოიზა

<<< ლასაწყისი გვ. 78

...მიუჩვევლზე გადამეტებულმა სექსმა აბელარი სრულ გამოფიტვამდე მიიყვანა. უძილობისაგან ლექციები მოსწავწენ მოვალეობად გადაექცა. მოსწავლეები ამით ძალიან უკმაყოფილონი იყვნენ. ერთადერთი, რაც აბელარს ამ მდგომარეობაში შეეძლო ეკეთებინა, სასიყვარულო სიმღერები იყო. და მალე მათ მთელი პარიზი მღეროდა. ხმები იმის შესახებ, თუ რა ხდება საბრალო ფულბერტის ჭერქვეშ, მოედო ქალაქს, და მალე აბელარისა და ელოიზას რომანის შესახებ ყველამ იცოდა. ფულბერტის გარდა. მას ყველანაირად ანიშნებდნენ, მაგრამ არ სურდა დაჯერება. იმიტომ რომ ენდობოდა ძმისწულს და აბელარს პატივს სცემდა.

ფულბერტის ამ ფენომენალური მინდობლობის შესახებ აბელარს მოჰყავს წმინდა იერონიმის სიტყვები: „საკუთარ ჭერქვეშ ბოროტების შესახებ ყველაზე გვიან ჩვენ ვიგებთ, ხოლო ჩვენი შვილებისა და ცოლების მანკიერების შესახებ არ ვუნწყით მაშინაც კი, როდესაც ამაზე უკვე მთელი სამეზობლო ლაპარაკობს“.

როგორც იქნა, ფულბერტმა ცოდვის შესახებ შეიტყო. აბელარი სამარცხვინოდ გააძევეს. ეს ამბავი შეიძლება ჩაფარცხულიყო კიდევ, მაგრამ, როგორც ეს მელოდრამებში ხდება, ქალი ფეხმძიმედ აღმოჩნდა. მან ეს სატრ-

ფოს ამცნო. აბელარსაც დიდხანს არ უფიქრია, გამოიტაცა ელოიზა და თავის ნათესავეებს ჩაუყვანა პროვინციაში. იქ ელოიზამ შვა ბიჭი, რომელსაც სახელად ასტრალაბული დაარქვეს. (ალბათ, იმის აღსანიშნავად, რომ ბავშვი სამეცნიერო წიგნებზე იქნა ჩასახული). ასტრალაბუსი აბელარის დას გადასცეს აღსაზრდელად. საყვარლები კი პარიზში დაბრუნდნენ. ამ ხნის მანძილზე ფულბერტი დარდისაგან კინლამ ჭკუიდან გადავიდა. აბელარი, როგორც პატიოსანი კაცი, მივიდა ფულბერტთან, ჩადენილი ცოცხა მოინანია და მისგან შეცდენილი ქალის ხელი სთხოვა. მაგრამ ერთი პირობით: ჯვრის წერა საიდუმლოდ უნდა ჩატარებულიყო.

იკითხავთ, რატომ? იმიტომ რომ გარეთ მეთორმეტე საუკუნეა, პროფესორისათვის დაქორწინება არ შეიძლება. ეს მას კარიერაში პრობლემებს შეუქმნის. თავად აბელარი ასე წერს: „ზიანი რომ არ მიყენებოდა ჩემ სახელს“. ბიძა ფულბერტი დათანხმდა. ელოიზა კი წინააღმდეგი იყო! ელოიზამ ქორწინების საწინააღმდეგო მთელი წერილიც კი დაწერა! ციტატა: „მე გეკითხებით, როგორ შეიძლება ქალმა იამაყოს ქორწინებით, რომელიც აბელარს დიდებას ჩამორეცხავს და ჩვენ ორივეს ერთნაირად დაგვამცირებს? როგორ სასჯელს მოითხოვს კაცობრიობა ქალისათვის, რომელიც მას ამ დიდებულ

შუქურას წაართმევს? რამდენი წყევლა მოყვება ამას, რამხელა ზიანი მიადგება ეკლესიას, რამდენ ცრემლს დაღვრიან ფილოსოფიის მოყვარულები! რა სამწუხაროა და უზნეოც კი, თუკი ისეთი კაცი, როგორც აბელარია, რომელიც ბუნებამ საერთო კეთილდღეობისათვის შექმნა, თავს მხოლოდ ერთ ქალს მიუძღვნის და ასეთი დამამცირებელი უღლის ქვეშ დახრის თავს!“

როგორ უნდა გადარჩიო ქალი, ამისთანა რომ ათქმევინო? ალბათ, რაღაც ძალიან განსაკუთრებული იყო აბელარის კამასუტრაში.

ერთი სიტყვით, ელოიზა მზად იყო ამაყად ეტარებინა ზნედაცემული ქალის სახელი.

მაგრამ, საბოლოოდ, აბელარმა და ელოიზამ მაინც დაინერეს ფარულად ჯვარი. მერე ორივე თავთავიანთ სახლებში დაბრუნდნენ. და მას მერე ერთმანეთს იშვიათად და ისიც მხოლოდ ფარულად ხვდებოდნენ.

მაგრამ ბიძა ფულბერტმა, რომელმაც, როგორც იქნა, ოჯახს სირცხვილი ჩამორეცხა, თავი ვერ შეიკავა და გათქვა, რომ მისი ძმისწული მეძავი კი არა, პატიოსანი გათხოვილი ქალია. ისევე დაიწყო მითქმა-მოთქმა. ელოიზა უარყოფდა, რომ მისთხოვდა აბელარს. ბიძამისი ამით დანალღლიანებული იყო...

მაშინ აბელარმა მოჰკიდა თავის მეუღლეს ხელი და ქალთა მონასტერში წაიყვანა, სადაც დაითანხმა იმაზე, რომ მონაზონის ტანისამოსი ჩაცვავა. წარმოიდგინეთ, მონასტრის სიტუაციაში მათი ცოლ-ქმრული შეხვედრები. ყველანაირ ეროტიულ ფანტაზიას სცდებოდა...

საწყალმა ფულბერტმა იფიქრა, რომ აბელარმა ელოიზა აიძულა, მონაზვნად აღკვეცილიყო. ამიტომ სამაგიეროს გადახდა გადაწყვიტა. მოისყიდა აბელარის მოსამსახურე, და ერთხელ ღამით, როდესაც აბელარს მშვიდად ეძინა, მისთან საძინებელში შეიჭრნენ და სასქესო ორგანო მოჰკვეთეს. აბელარი საჭურისი გახდა.

საინტერესოა, როგორ მოქმედებდა იმ დროის თემიდა. აბელარის დამსჯელები დაიჭირეს, თვალები დათხარეს და დაასაჭურისეს. მხოლოდ ფულბერტს აკმარეს ქონების ჩამორთმევა...



საბანკო-სერვისის ბანკი
BANK OF GEORGIA

SOLO

ART OF BANKING

PRESENTS:

JAZZ SERIES



MONTY ALEXANDER - Vocal/Piano

HASSAN SHAKUR - Acoustic Bass

OBED CALVAIRE - Drums

17 FEBRUARY 2011. 21:00

TBILISI EVENT HALL™
Organized by wildandoverco

MONTY ALEXANDER TRIO

www.montyalexander.com



საინფორმაციო სისტემების კომპანია AMERICAN EXPRESS ბანკის მფლობელია. ამ კომპანიის მიერ მოწოდებული სერვისები არ არის დაკავშირებული ამ კომპანიის მიერ მოწოდებულ სერვისებთან. Tel.: 990 099 / www.easternpromotion.com

Organized by Wild and Over Co



ისევ ჩანანები, ამჯერად თბილისური

<<< ლასაწყისი გვ. 82

სიკვდილის გზა – მსუბუქი, უშუქო ტევრში თეთრად მბრწყინავი... მარადისობის ძახილი. სიკვდილის ასეთი გაგება სიცოცხლეს გიმსუბუქებს, რაც მას ძალიან, ო, როგორ ძალიან სჭირდება!

და საბოლოოდ ჩვენ ყველა სიკვდილის მძევლები ვართ.

ყველა ერთმანეთის მძევალი ვართ. ქართველები და აფხაზები. ქართველები და რუსები. მძევალი ვართ ერთობლივი გაუტანლობის, მიუხედავად დროის, სიმართლის ვერდანახვის. დიდი პერსპექტივით, არავის არ მოუგია იმით, რაც მოხდა. ჩვენი დანაკარგი ნათელია, გარდა ტერიტორიული მთლიანობისა და ქვეყნის ერთიანობისა, დაკარგეთ ჩვენთვის ესოდენ ბუნებრივი სიცოცხლის ჰარმონიულობის შეგრძნება. აფხაზებმა დაკარგეს იდენტურობის შენარჩუნების პერსპექტივა, რომელიც ჩვენთან ერთად ყოფნის შემთხვევაში, ვფიქრობ, განადგებული ჰქონდათ, – ეს იმიტომ მგონია, რომ ისტორიის დარტყმებმა ჩვენც რალაცა გვასწავლეს (აღბათ!). ასევე თავისი უგუნური და ბეცი პოლიტიკის მძევლები არიან რუსებიც. თუ მომავლის გადასახედიდან აწონ-დაწონი, რა

მოიგეს და რა ნააგეს, მათ ნააგეს ბევრად მეტი: მსოფლიოს ხალხთა, ერთა, პიროვნებათა ნდობა და პატივისცემა. ეს კი აუნაზღაურებელი დანაკარგია.

ბოლოდროინდელი დარდი: როგორ უნდა ნავიდე ამ ქვეყნიდან ისე, რომ ამდენი კითხვა დამრჩეს პასუხაუცემელი. რომ აღარაფერი ვთქვათ ეგზისტენციურ პრობლემებზე, სულ მარტივ და პრაგმატულ კითხვებზეც არ მაქვს პასუხი: რატომ ვერ ვსწავლობთ საკუთარ შეცდომებზე, ვერც პიროვნებები და ვერც ერები? რა არის ამის მიზეზი: სიბრყვე? მოვლენებში ჩაღრმავების უუნარობა? ამპარტავნობა? რატომ ვცდილობთ დავიჯეროთ, რომ თვითონ ყველაფერში მართლები ვართ და ყველა სხვაა დამნაშავე ჩვენს წინაშე?

ჩეხოვის „სამი დის“ ერთ-ერთი პერსონაჟი (მამა) ამბობს:

„ფრინველები კი სულ დაფრინავენ, ათასი წელია, დაფრინავენ და არ იციან, რატომ, და ეს ასე იქნება, ვიდრე ღმერთი არ გაუმხელს საიდუმლოს.“

ეს „ვიდრეც“ იმედის მომცემია.

დიურერის საფლავის ქვაზე წერია: „აქ დამარხულია ყველაფერი ის, რაც მოკვდავი იყო დიურერში.“

ამ, ასე სწრაფად ცვალებად, სამყარო-

ში სულ მეტი და მეტი ნოსტალგია ჩნდება. ადამიანი ვერ უძლებს ცვლილებების ასეთ აუტანელ სისწრაფეს და შვებას იმის გაიდებლობაში ეძებს, რაც უკვე იყო და წარსულს ჩაბარდა. ეს სიძნელებთან შეურიგებლობის ბუნებრივი კომპენსაციაა. ნოსტალგია – სინამდვილესთან შეგუების ძიება.

გუშინ კიდევ ერთხელ ვნახე „ამარკორდი“ – და კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ეს ფილმი არ არის, არამედ საკუთარ სულში უსასრულო მოგზაურობაა. და ის განსაკუთრებით გიზიდავს იმიტომ, რომ ადამიანის მთელი ცხოვრებაც სწორედ ეს არის – უსასრულო მოგზაურობა საკუთარ სულში, მოგზაურობა რომელიც ხიფათებითაა სავსე, ანუ ამ ხეტიალისას რაც უფრო ღრმად შეაღწევ სულის ფარულ კუნჭულებში, მით უფრო მეტ მოულოდნელობას აწყდები.

ხანდახან მგონია, რომ ძალიან, ძალიან დიდი ხნით ვიყავი მონყვეტილი ქართულ რეალობას, – (თუმცა ეს, საბოლოო ჯამში, რვანელინდნახევარია), – და ამიტომაც ბევრ რამეს, პოზიტიურს, სულ ახლებურად განვიცდი. ამ პოზიტიურს, ძირითადად, ბეჭდვით სიტყვაში ვპოულობ. ჩემი პირველი აღმოჩენა და სიყვარული, ჯერ კიდევ სხვაგან ყოფნისას, „ცხელი შოკოლადი“ იყო, რომელმაც ბევრი საინტერესო ავტორი და ადამიანი გამაცნო და ჩემთვის უცხო თვალთ დამანახა ჩვენი სინამდვილე, მერე ასეთი საღი კრიტიკული ანალიტიკით და ობიექტური ინფორმაციულობით დატვირთული „ლიბერალი“, და კიდევ „ქართული მწერლობა“, „ლიტერატურა“...

„ქართულ მწერლობაში“ გამოყოფილი როსტომ ჩხეიძის „ყოფითობის ჯადოსნურ მადლს“. პალესტინელი მწერლის „მე ვნახე რამალას“ შესახებ დაწერილი ეს წერილი ყურადღებას იპყრობს შინაარსის სიღრმითაც და ფორმითაც, რაც არანაკლებად მნიშვნელოვნად მიმაჩნია. ფორმაში სტატის სტრუქტურას ვგულისხმობ – ყოველი ლიტერატურული პასაჟი ამგვარი წინადადებებით იწყება: „მურიდ ალ ბარლუთი მაინც პოეტი რომ არის“, ან „მურიდ ალ ბარლუთი მაინც ლტოლვილი რომ არის“, ან კიდევ „მურიდ ალ ბარლუთი მაინც ჰუმანისტი რომ არის“, და ბოლოს „მურიდ ალ ბარლუთი მაინც საკუთარი დაბადე-

ბისაკენ რომ მიიღვინო... ჩემის აზრით, ამგვარი ჩართვები ნამდვილი მხატვრული მიგნებაა.

ბოლო „ცხელი შოკოლადი“ სულმოუთქმელად წავიკითხე. უბრალოდ აღმაფრთოვანა გიორგი მისურადის ასეთმა ღრმა და თამამმა რეფლექსიებმა დიდი და მცირე იმპერიების შესახებ, ეს ხომ ისეთი სასიამოვნო განცდაა, როდესაც ახალგაზრდა კაცი იმაზე და იმავე მიდგომით წერს, რაზედაც შენც არაერთხელ გიფიქრია; საინტერესოა, როგორც ყოველთვის, დავით ბუხრიკიძის წერილი რეზო გაბრიაძეზე, და ისევ დიდი სიამოვნება მომგვარა ლევან ბერძენიშვილის ესემ პასტერნაკის ბოლო ტრაგიკული წლების შესახებ, – ეს ის მოვლენებია, რომლებიც თავის დროზე მე თვითონაც ძალიან მძაფრად მაქვს განცდილი (ლევან ბერძენიშვილის ყველა წერილი, განსაკუთრებით – პატიმრობის წლების ამსახველი, მისი ავტორის ნამდვილ ერუდიციას, ადამიანებისადმი ინტერესსა და ლიტერატურულ ნიჭიერებაზე მეტყველებს).

ძალიან კარგად და საინტერესოდ არის დაწერილი ჩემთვის სულ უცნობი ქეთი ქანთარას კომენტარი...

და კიდევ, „ცხელი შოკოლადის“ დამატება „ლიტერატურა“...

ესეც დავწერე და ჩემ თავზე გამეცინა: ვითომ ვინმემ დამავალა ქართული პერიოდიკის მიმოხილვა გამეკეთებინა და ჩემი აზრები გამომეთქვა იქ დაბეჭდილი წერილების შესახებ. მერე ნათლად გავიაზრე, რა მამოძრავებს: მთავარი მაინც ჩვენს დღევანდლობაში რალაცა კარგის დანახვის სურვილია. და კიდევ: მთელი ცხოვრება იმათთან გაგატარე, ვისთანაც ყველაფერი საერთო მქონდა: აზრები, ემოციები, სიხარულები და წუხილები. ახლა ეს წრე ძალიან შევიწროვდა – ჩემი თაობის სულ რამდენიმე ადამიანი და დამრჩა, ვისთანაც სამყაროს ერთგვარი აღქმა მაერთიანებს. ხანდახან ისეთი აზრიც გეუფლებოდა, რომ შენი აზრი (გამოუთქმელი) არის აზრი მლაღადებლისა უდაბნოსა შინა. და უცებ, სწორედ მაშინ, როცა აღარაფერს ელი ახალს და სასიხარულოს ჩვენს სიძულვილით და შეურიგებლობით დატენილ ატმოსფეროში, აღმოაჩენ ვიღაცას, ვინც შენსავით ფიქრობს, და, რაც მთავარია, ვიღაცას სულ სხვა თაობაში! და ის მაშინვე შენი ახლობელი ხდება! ეს კი ჭეშ-

მარტი სიხარულის მომტანია და გინდა ეს სიხარული სხვებსაც გაუზიარო...

და აი, ამ ახსნა-განმარტებით შეიარაღებული ვუბრუნდები „ლიტერატურას“:

ზაზა შათირიშვილი ჩემთვის სიურპრიზი არ იყო, მე მას კარგა ხანია ვკითხულობ, ვუსმენ და გარკვეული დამოკიდებულებაც მაქვს ჩამოყალიბებული: უაღრესად საინტერესოდ და თანამედროვედ მეჩვენება მისი ფილოსოფიური თუ პოლიტიკური აზროვნება. მაგრამ, თუ ლიტერატურული კრიტიკაც მისი სტიქია იყო, ეს, უბრალოდ, არ ვიცი. მან ისე ხატოვნად, ღრმად და ემოციურად დაწერა ზურაბ ქარუმიძის რომანის „მელია-ტულეფას“ შესახებ, რომ მაშინვე მისი წაკითხვის სურვილი აღმიძრა (რაც, ცხადია, კრიტიკის უპირველესი მიზანია). ისე საინტერესოდ დაახასიათა მოდერნისტული რომანი, რომელიც „ყველაფერთან ერთად, ყავახანების, კაფეებისა და რესტორნების რომანია“, და არისტოკრატიული სალონი, „არისტოკრატიული მოცალებობის განუყრელი ქრონოტოპოსი“, რომელიც „ფაქტობრივად, პრუსტის რომანთან ერთად დასრულდა (პრუსტის „დაკარგული დრო“ არისტოკრატიული მოცალებობაცაა)“. ზ. შათირიშვილის აზრით, რომანი დაიბადა „თბილისურ-პოსტმოდერნისტული დაგვიანებულობისა და პერიფერიულობის, ჩარეცხილობისა და მაინც მემკვიდრეობითობის ჭეშმარიტად ნაგრძნობი მტანჯველი განცდიდან“. „ესაა სევდა პერიფერიულობისა, პროვინციალიზმისა, ორნამენტალურობისა, დაგვიანებულობისა... რომ ვართ „ყურესა ამ ქვეყნისასა“ – უმამოდ და უპაპოდ, უგრალოდ, უეფროპოდ, უკავშიროდ, უნატოოდ და უსასოოდ“. რა ენამახვილურია ამ ცნებების ერთად დაყენება – გრაალი და ნატო! იქნებ მართლაც ოდესღაც ისევე მივისწრაფოდი გრაალისაკენ, როგორც ახლა – ნატოსკენ. და ამავე კონტექსტში – უსასობა?!

მინდა წერილიდან ერთი აზრი გამოვყო, რომელიც, თურმე, თვითონ ზაზა შათირიშვილს ეკუთვნის და რომანში კი მისი ხეზე ამძვრალი პერსონაჟი – ნიკოლოზ შენგელაია – ჩასძახის გამვლელებს: „მე ვუმღერ იმას, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია ქართულ ხასიათში – მოცალებობა და მჭვრეტელობა, შინაგანი გარინდებულობა, არისტოკრატიზმი და სიცოცხლის სიყვარული!“ მოცალებობა, არისტოკრატიზმი

და სიცოცხლის სიყვარული, კი, რა თქმა უნდა, მაგრამ მჭვრეტელობა და შინაგანი გარინდებულობა? ვითომ ესეც ჩვენი დამახასიათებელი თვისებებია? ცალკეული ადამიანების კი არა (რაც, ცხადია, ეჭვს არ იწვევს), არამედ მთელი ერის ხასიათის, ანუ ქრონოტოპოსისთვის (სიტყვა, რომელიც ასე უყვარს ბატონ ზაზას და მეც ამიტომ ვიმეორებ) ძალიან მნიშვნელოვანია? მე, პირადად, მგონია, რომ არსებითად სწორედ მჭვრეტელობა და გარინდებულობა გვაკლია, ანუ ადამიანის სულის ის მდგომარეობა, რომელიც ყველაზე ახლოსაა დაფიქრებასა და ჩაღრმავებასთან...

და ბოლოს, რეზიუმეს სახით: რა კარგია, რომ არსებობს ასეთი მწერალი – ზურაბ ქარუმიძე, მისი რომანი, „ალუბიებისა და ციტატების ნაზავი“, „ერუდიციისა და ენციკლოპედიური ცოდნის დახვავება“, და მისი შემფასებელი (თუ დამფასებელი) ასეთი მოაზროვნე და ინტელექტუალი კრიტიკოსი!

ზაზა შათირიშვილის წერილის კითხვისას ფრანგული ლიტერატურული ყოფა გამახსენდა: რა აყალ-მაყალი ატყდებოდა ხოლმე პარიზში ყოველი ახალი და, რა თქმა უნდა, ღირებული წიგნის გამოსვლისას! ინერება სტატიები, რადიოსა და ტელევიზიის სხვადასხვა გადაცემებში ერთმანეთს ეცილება წიგნის შესახებ საუბარში, ინვევენ ავტორს, ბჭობენ, დავობენ, კამათობენ... მკითხველიც ენაფეხა წიგნს, ისწრაფვის წიგნის მრავალრიცხოვან მალაზიებში მის შესაძენად, ის კერძო საუბრების თემაც ხდება, და ყველაფერი ამის შედეგად რომანი, თუ პოეტური კრებული, თუ რაიმე საინტერესო ესე ძალიან ჩქარა იქცევა არა მარტო ლიტერატურის, არამედ საზოგადოებრივი ცხოვრების ფაქტად. უნდა გითხრათ, რომ ამგვარი აჟიოტაჟი წიგნის გარშემო ნამდვილი შურის გრძნობას აღმიძრავდა: რატომ არ ხდება იგივე ჩვენთან, რატომ არ ინერგება ასეთივე სიყვარული წიგნის მიმართ, ნუთუ იმის ნაცვლად, რომ თვეში ერთხელ მაინც, ერთ არხზე მაინც გვქონდეს წმინდად ლიტერატურული გადაცემა, სადაც მოინვედნენ ავტორს და კომპეტენტური ადამიანები იმსჯელებდნენ რომანის ან ლექსის შესახებ, მოსახლეობას თავი უნდა გამოვუღაყოთ ლათინური ამერიკის მდარე ხარისხის სერილებით და სკანდალური საყოფაცხოვრებო სიუ-

ბაბრქელა

ყეტებით? ვიცი, რომ ეს რიტორიკული შეკითხვაა, მაგრამ, ვფიქრობ, ღირს შემფოთება მაინც გამოვხატოთ. როგორ სჭირდება ქართულ ტელევიზიას ანალიტიკური, ინტელექტუალური სივრცე, როგორ გვაკლია სერიოზული პრობლემების მშვიდი, დაფიქრებული განსჯა. და მაგალითად, რა სიამოვნებით ვნახავდი ტელეეკრანზე ზურაბ ქარუმიძეს და მოვისმენდი რომანთან დაკავშირებულ მის ფიქრებს და, თუ კარგი ტოკ-შოუ იქნებოდა, ავტორის ხასიათსაც, უფრო ზოგადად, პიროვნებასაც გავიცნობდი!

„ლიტერატურაში“ დაბეჭდილია ნობელის პრემიის წლებადელი ლაურეატის – მარიო ვარგას ლიოსას სანობელო ლექცია. ამასთან დაკავშირებით გამიჩნდა სურვილი მკითხველს ჩემი ერთი მოგონება გავუზიარო.

ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალი. 1982 წელი. მიწვეული ვარ საერთაშორისო ჟიურის წევრად. კინოფესტივალის ჟიურის წევრი (და თავმჯდომარეც) სხვა დროსაც არაერთხელ ვყოფილვარ, მაგრამ ეს მართლაც განსაკუთრებით საინტერესო გამოცდილება იყო, ალბათ, ფესტივალის მასშტაბისა და ჟიურის შემადგენლობის გამო და რომ ახლად არ ვნერო, მოვიყვან ნაწყვეტს ჩემი წიგნიდან: „ჟიური – ეს სხვადასხვა ეროვნების, ასაკის, გამოცდილების, ტემპერამენტის ადამიანთა ერთობლიობაა, ისინი დიდიდან უყურებენ ფილმებს, ერთად სადილობენ და ვახშობენ, და კამათობენ, მსჯელობენ, ეცნობიან ერთმანეთს. ამ ხნის მანძილზე ხდება ჯგუფებად დაყოფა, გაერთიანება, შეკავშირება. ხანდახან ეს სხვადასხვაგვარი ადამიანები ისე უკავშირდებიან ერთმანეთს, რომ ცოტა ხნით რაღაც, ოჯახისმაგვარიც იქმნება“. ჩვენი ბუნებრივად ჩამოყალიბებული ჯგუფი კი ასეთი იყო:

ჟიურის თავმჯდომარე – ლივ ულმანი, ბერგმანის ყოფილი ცოლი და მისი ფილმების რჩეული მსახიობი; მარიო ვარგას ლიოსა – უკვე მაშინ განთქმული პერუელი მწერალი, ჟიურის დასენი, ცნობილი ამერიკელი რეჟისორი, მასთან სტუმრად ჩამოსული მისი მეუღლე – მელინა მერკური, შესანიშნავი მსახიობი და საბერძნეთის კულტურის მინისტრი. ხანდახან მიკვირს კიდევაც, როგორი მძაფრი და გულახდილი იყო ჩვენი ურთიერთობები! რატომღაც პირად ამბებზეც ვლაპარაკობდით, ჟიურს

დასენი თავისი ცხოვრების ტრაგედიის შესახებ გვიამბობდა – როგორ გარდაეცვალა შვილი, ჯო დასენი, საქვეყნოდ ცნობილი მომღერალი, „ეს ამბავი მხოლოდ ამან გადამატანინაო“, – თქვა მორცხვი ღიმილით და ხელი მისი მშვენიერი მეღინასაკენ გაიშვირა; ლივ ულმანი ბერგმანის უმძიმეს ხასიათსა და მასთან განშორების ტკივილზე ლაპარაკობდა; ლიოსა კი, ლამაზი, შავგვერდანი, დიდი ანთებული თვალებით მთლიანად თავისი ქვეყნის ტკივილებში იყო ჩაფლული... ერთი ასეთი საღამოს მერე ლიოსამ და მე ქუჩაში გასეირნება გადავწყვიტეთ – ლიოსას ინტერესი ჩემს მიმართ გაათქვცდა მას შემდეგ, რაც გაიგო, რომ მე მისი „მწვანე სახლი“ ნაკითხული მქონდა. სხვათა შორის, ეს თვითონაც მითხრა სიცილით – მთელი თავისი 32 ქათქათაპილიანი მომხიბლავი სიცილით: რა საინტერესოა, მართალია, თავიდანაც სიმპათიით განვწყვე თქვენს მიმართ – საბჭოთა კავშირის წარმომადგენელი ჩემს წარმოსახვაში სულ სხვანაირი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ვალიარებ, მას შემდეგ, რაც გავიგე, რომ ჩემი რომანი გაქვთ ნაკითხული, და მარტო ნაკითხული კი არა, არამედ მისი პერსონაჟები გახსოვთ კიდევ და მათზე ლაპარაკიც შეგიძლიათ, თქვენმა პიროვნებამ ჩემ თვალში სულ სხვა წონა შეიძინაო. მასხოვს, ამაზე ბევრი ვიცინეთ. ისიც ვთქვით, რომ ეს ლიოსას პირადი ნაკლი არ არის, არამედ საერთოდ ადამიანის ბუნებაა ასეთი, ყველა მოვლენას საკუთარი პრიზმიდან აფასებს. ბერლინის ქუჩებში იმ საღამოს ხანგრძლივი ხეტიალიდან კიდევ ერთი რამ დამამხსოვრდა: თურმე მასაც, ისევე, როგორც მე, უკვირდა (და მოსწონდა კიდევ) ჩვენი კოლეგების გულახდილობა, მათი სურვილი, გაეზიარებინათ ჩვენთვის, ფაქტობრივად, უცხო ადამიანებისთვის, თავიანთი ღრმად ინტიმური ტრაგედიები. ამ თემაზე საუბრისას მივედი საერთოდ დასკვნამდე: ამგვარი თავისუფლება და უკომპლექსობა თავისუფალი სამყაროს შვლთა უპირატესობაა ჩვენს წინაშე... ჩვენ ხომ ყველგან და ყოველთვის ჩვენი პატარა და ბედკრული ქვეყნების ტრაგედიები დაგვყვება თან, რაც გვბოჭავს და არ გვაძლევს შესაძლებლობას, სრულიად თავისუფლები ვიყოთ. მერე კარგა ხანს საქართველოზე ვლაპარაკობდით, მისმა ცხოველმა ინტერესმა ჩემი ენთუზიაზ-

მიც გამოიწვია... და ლამის გათენებისას დავბრუნდით კემპინსკის მშვენიერ სასტუმროში. ასეთ იდილოურ საღამოს მერე ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ ჟიურის შემაჯამებელ სხდომაზე ჩემი მთავარი მოწინააღმდეგე სწორედ მარიო იქნებოდა – ჩემი ახლად შექმნილი მეგობარი! მოვლენები კი ასე განვითარდა: ქალის საუკეთესო როლზე ერთ-ერთი (ჩემ მიერ წარდგენილი) ნომინანტი იყო ინა ჩურიკოვა ტოდოროვისკის ფილმში „სამხედრო საველე რომანი“. მე მომწონდა ფილმიც და ჩურიკოვაც (ძალიან) და მთელი ენერგიით ვიბრძოდი მის დასაცავად. და უეცრად, ამ ნომინაციის წინააღმდეგ კატეგორიულად გაილაშქრა ლიოსამ ერთადერთი მოტივით – ეს საბჭოთა ფილმი და მისთვის პრიზის მიცემა მთელი ტოტალიტალური სისტემის ნახალისებას ნიშნავსო. მე გამწარებით ვიცავდი ფილმს, რადგანაც ის სწორედ არსებითად არ იყო „საბჭოთა“, ლიოსა კი ისევე დესპოტური სისტემის წინააღმდეგ იბრძოდა. ჩემი საბოლოო არგუმენტი ასეთი იყო: პრიზის არმიცემა იქნება ძალიან უსამართლო გადაწყვეტილება პიროვნების მიმართ, ვინაიდან იქ, საბჭოთა კავშირში, პატიოსანი შემოქმედი მუდმივად იბრძვის სისტემის წინააღმდეგ, რაც ხშირად ძალიან ძვირად უჯდება, და თქვენ კი გინდათ, რომ აქ სწორედ პიროვნებამ აგოს პასუხი სისტემაზე! არ ვიცი, ამ არგუმენტმა გაჭრა, თუ ლიოსას ბოლო წუთში გაახსენდა, რომ მე მისი „მწვანე სახლი“ მქონდა ნაკითხული და მისი პერსონაჟებიც მასხოვდა, ყოველ შემთხვევაში ამ შეუვალმა მოპაექრემ უეცრად ფარ-ხმალი დაყარა. და საბოლოოდ, პრიზი ქალის საუკეთესო როლისთვის მიენიჭათ მონიკა ვიტის და ინა ჩურიკოვას, რაც ყველამ და, მათ შორის, მაყურებელმაც, სამართლიან გადაწყვეტილებად ჩათვალა. ლიოსამ კი, კენჭისყრის მერე, შეთქმულივით ჩამიკრა თვალი! ბერლინის მერე კანის ფესტივალზე ვიყავი მიწვეული ჩემი ფილმით და როცა დავბრუნდი, დამხვდა ლიოსას ღია ბარათი, რომელიც ასე იწყებოდა: I already miss you... რატომღაც, ალბათ, ქართული დაუდევრობის გამო, არ ვუპასუხე და კოორდინატებიც დაგვკარგე.

და საბოლოოდ კი ეს სათქმელი დამრჩა: პასტერნაკის მერე მარიო ვარგას ლიოსა არის მეორე ნობელიანტი, რომელსაც პირადად ვიცნობდი.

www.silknet.com

100 400



სილკ Internet

საქართველოს სილქის სერვისი

ექსპორტზე გატანილი პირველი ქართული ღვინო



ს.ს. შატო მუხრანი
მცხეთა, 3309, მუხრანი

Chateau Mukhrani
Mukhrani, Mtskheta, 3309, Georgia

tel.:(995 32)22 04 84;
e-mail: sales@mukhrani.com
www.mukhrani.com